ეთერ მესტვირიშვილი, მაია ოღრაპიშვილი, თამარ გახელაძე

# ქართული ენა

## არაქართულენოვანი სკოლებისთვის

# მასწავლებლის წიგნი

## XI კლასი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი 2023

ეთერ მესტვირიშვილი, მაია ოღრაპიშვილი, თამარ გახელაძე

# ქართული ენა
## არაქართულენოვანი სკოლებისთვის

მასწავლებლის წიგნი

XI კლასი

I გამოცემა, 2023

დამკაბადონებელი
ლიკა სხირტლაძე

რედაქტორი
ნინო გურასპაული

ISBN 978-9941-31-619-7

© ეთერ მესტვირიშვილი, მაია ოღრაპიშვილი, თამარ გახელაძე, 2023.
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2023.

**გამომცემლობა ინტელექტი**
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №5
225-05-22, 291-22-83, 5(99) 55-66-54
ელფოსტა: info@intelekti.ge ვებგვერდი: www.intelekti.ge

# სარჩევი

1. სახელმძღვანელოს კონცეფცია ........................................ 5
2. ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტი ........................................ 8
3. მეთოდიკური რეკომენდაციები........................................ 15
4. თემატური მატრიცები........................................ 23
5. პროექტზე დაფუძნებული სწავლება და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა... 193
6. შეფასების რუბრიკები ........................................ 200
7. გლობალური მიზნები მდგრადი განვითარებისათვის ........................................ 208
8. თანაცხოვრება კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებაში ........................................ 210
9. აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. დიფერენცირებული სწავლება........................................ 214
10. მოსასმენი მასალა ........................................ 227
11. გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტრესურსები ........................................ 229

# 1.სახელმძღვანელოს კონცეფცია

**სახელმძღვანელო განკუთვნილია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებისთვის.**

სახელმძღვანელოს შედგენისას ავტორების მიერ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაში. ძირითადი აქცენტი კეთდება ოთხ ძირითად საკითხზე:

• რა მიზნით ვასწავლით საგან „ქართული ენას“ (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) (სწავლა-სწავლების მიზნები)?

• რა რესურსებზე დაყრდნობით ვასწავლით (საკითხები, სასწავლო რესურსები)?

• სწავლების რა მეთოდებსა და სტრატეგიებს ვიყენებთ (როგორ ვასწავლით)?

• როგორ ვაფასებთ მოსწავლის მიღწევებს (შეფასება)?

**სახელმძღვანელო შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან**:

1) **მოსწავლის წიგნი** – აგებულია თემების მიხედვით. თითოეულ თემაში მოცემულია ძირითად თემასთან დაკავშირებული ქვეთემები. ყველა თემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილ სავალდებულო თემებს/თემატურ ბლოკებს. სახელმძღვანელოში სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხები წარმოჩენილია მოსწავლისთვის გასაგებ, ცხოვრებისეულ კონტექსტებთან ახლოს მდგომი, მიზნობრივად შერჩეული მხატვრული და არამხატვრული ტექსტებით. სხვადასხვა საკითხისა და თემის კონტექსტში მოსწავლეები შეძლებენ სამიზნე ცნება/ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას (გაგება, ინტერპრეტირება, გრამატიკული კანონზომიერებების აღმოჩენა და გამოყენება, თხრობა, აღწერა, შედარება, აზრის გამოხატვა და დასაბუთება, ჟანრები და ა. შ.). ტექსტებში ზომიერად არის წარმოდგენილი ახალი ცნებები/ტერმინები, გათვალისწინებულია ასაკობრივი ინტერესები. რაც შეეხება დავალებებისა (მათ შორის, კომპლექსურ დავალებებსაც) და სავარჯიშოების შესრულების ფორმატს — ინდივიდუალურად შეასრულონ, წყვილებში თუ მცირე ჯგუფებში — მასწავლებელი ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკლასო საჭიროებების მიხედვით. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენი მოსწავლეა კლასში, რა მზაობისა და საჭიროებისანი არიან ისინი, რა კონკრეტული საგაკვეთილო მიზანი აქვს მასწავლებელს და ა. შ. შეთავაზებული დიფერენცირებული დავალებები აგებულია გარდნერის ,,მრავალმხრივი ინტელექტის“ თეორიის მიხედვით, მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტელექტის ტიპებისა და უნარების გათვალისწინებით. ამ დავალებების წარმატებით დაძლევის შემთხვევაში მოსწავლე განვითარების არსებული ზონიდან უახლოეს ზონაზე იოლად შეძლებს გადასვლას. აქტივობები ისეა შერჩეული, რომ მასწავლებლის როლი ძირითადად ფასილიტატორის ფუნქციითაა წარმოდგენილი. ის ეხმარება მოსწავლეებს, აძლევს

მითითებებს, ოღონდ ისე, რომ მოსწავლე მთელი გაკვეთილის პროცესში აქტიურ პერსონად რჩება. მოსწავლის წიგნი მთლიანად აგებულია კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებზე – ყოველი ახალი საკითხი იმგვარადაა მიწოდებული, რომ წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახლის ძველზე დაყრდნობას მოითხოვს. ამასთან, მოსწავლეს გაკვეთილზე მიღებული ცოდნის სხვა საგნის ფარგლებში და, საბოლოოდ კი, ცხოვრებაში გამოყენების საშუალება ეძლევა. წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეტაკოგნიტურ უნარებს — ,,სწავლის სწავლება“ არის ის ძირითადი ორიენტირი, რითაც ავტორებმა იხელმძღვანელეს როგორც მოსწავლის წიგნის, ასევე რვეულისა და მასწავლებლის წიგნის შექმნისას.

წიგნის აგების დროს გათვალისწინებულია პროექტული სწავლება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, მდგრადი განვითარების მნიშვნელობის გაცნობიერება, დემოკრატიული კომპეტენციების ხელშეწყობა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო უნარების განვითარება, პრობლემების ხედვა გლობალურ ჭრილში.

2) მოსწავლის რვეული – შეიცავს მრავალფეროვან სავარჯიშოებს და ეხმარება მოსწავლეს იმ მასალის ათვისებაში, რომელიც მოსწავლის წიგნშია. თითოეული თემატური ერთეულისათვის შეიცავს მრავალფეროვან აქტივობებს. დავალებები იძლევა ტექსტების მრავალმხრივად დამუშავების შესაძლებლობას, ხელს უწყობს სხვადასხვა უნარის განვითარებას. აქტივობები ორიენტირებულია მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე (ცოდნა, გაგება, გააზრება, გაანალიზება, შეფასება, სინთეზი. სავარჯიშოების შესრულების პროცესში მოსწავლეს უწევს ახალი ლექსიკური ერთეულების გამოყენება, არსებული და გაკვეთილის ფარგლებში მიღებული ახალი ცოდნის სინთეზი, შეფასება, თემის, იდეისა და პრობლემატიკის ამოცნობა. საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის მთავარი სათქმელის მიმართ. შესწავლილი ტექსტების ცხოვრებისეული გამოცდილებით გაანალიზება, ხედვის კუთხის შეცვლა, თხრობა მთხრობლის შეცვლით, ნაწარმოების პერსონაჟად საკუთარი თავის წარმოდგენა და მისი ემოციებისა და შეხედულებების ემპათიური აღქმით გადმოცემა. მრავალფეროვანი და ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული სავარჯიშოები უვითარებს მოსწავლეს პრობლემის იდენტიფიცირების, მისი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიების, გადაწყვეტილების მიღების, სხვათა თვალით სიტუაციის შეფასებისა და სხვა მრავალმხრივ უნარს, რაც, საბოლოოდ, დაეხმარება მას ცხოვრებისეული საკითხების უკეთ მართვაში. მოცემულია დავალებები ცოდნის გამოყენებაზე (მაგალითად, საყოფაცხოვრებო და საგანთშორისი კავშირების ამსახველი ან შიდასაგნობრივი, რომელიც ცოდნის ტრანსფერს მოითხოვს).

3) მასწავლებლის წიგნი – მასწავლებლის წიგნში დეტალურად გაწერილია ყველა თემა თავისი ცნებებითა და მკვიდრი წარმოდგენებით, საკვანძო შეკითხვებით, კომპლექსური დავალებებითა და სხვა კომპონენტებით. აქვეა წარმოდგენილი მეთოდიკური მითითებები, რომლებიც უთუოდ დაეხმარება მასწავლებელს, უკეთ წარმართოს საგაკვეთილო პროცესი. წიგნში დაწვრილებით აღწერილია, როგორ უნდა წარმართოს მასწავლებელმა სწავლა-სწავლება, როგორ უნდა მიაღწიოს მოსწავლის წიგნში არსებული სტრუქტურული ერთეულის (თემა) ფარგლებში დასახულ მიზანს. ყველა თემაში მუშავდება ის შედეგები, რომელიც საგან ქართული ენისთვის

(არაქართულენოვანი სკოლებისთვის / სექტორებისთვის) არის განსაზღვრული. წიგნში მოცემული რეკომენდაციები და მრავალფეროვანი აქტივობები დაეხმარება მასწავლებელს საინტერესოდ, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, დაგეგმოს და წარმართოს სწავლება. მოცემულია მეთოდური რეკომენდაციები (მოსწავლეთა მოსალოდნელი ტიპური შეცდომებისა და მათი პრევენციის, აგრეთვე განმავითარებელი შეფასებისთვის საჭირო აქტივობებისა და ინსტრუმენტების ჩათვლით). წიგნი აძლევს მასწავლებელს გამოცდილებას თავადაც დაგეგმოს, განახორციელოს და შეაფასოს სხვადასხვა აქტივობა. მასწავლებლის წიგნში სრულად დაცულია პრინციპი – მოსწავლე სწავლების ცენტრალური ფიგურაა, მასწავლებელი კი ფასილიტატორი, რომელიც ეხმარება მას ცოდნის კონსტრუირებაში.

4) აუდიოდისკი – შეიცავს მოსასმენ ტექსტებს. მოსმენის უნარის განსავითარებლად გამოიყენება როგორც ავტორების მიერ სასწავლო მიზნით შედგენილი ტექსტები, ასევე ინტერნეტრესურსები. მოსასმენი დავალებები შერჩეულია მარტივიდან რთულისაკენ, რაც ეხმარება მოსწავლეს მისი განვითარების უახლოესი ზონა ნაბიჯ-ნაბიჯ და ემოციური დაძაბვის გარეშე იქცეს არსებულ ზონად.

ენის სრულყოფილად ასათვისებლად უცილებელია ყველა ამ კომპონენტის ინტეგრირებულად გამოყენება.

**მოსწავლის წიგნი და მოსწავლის რვეული დაყოფილია** 5 თემატურ ერთეულად. თითოეულ თემაში მოცემული აქტივობები ხელს უწყობს მოსმენის, კითხვის, წერისა და ლაპარაკის უნარების განვითარებას, ასევე მოცემულია თემატიკასთან დაკავშირებული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული გრამატიკის საკითხები.

ეს თემებია:

1. ჩემი ცხოვრების ერთი ეპიზოდი;
2. წარმატების საიდუმლო;
3. კულტურა;
4. დედამიწა ყველას სახლია;
5. ეს ჩვენი სამშობლოა.

# ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტი

## დანართი 2

**მუხლი 59. ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის), დაემატოს პუნქტი 3 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**4. ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) საშუალო საფეხურზე**

**4.1. ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) – სავალდებულო კურსის სტანდარტი**

## შესავალი

საშუალო საფეხურზე ქართული ენა ისწავლება როგორც ყველასთვის სავალდებულო კურსის სახით.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია **გრძელვადიანი მიზნები.**

**შინაარსი** აღიწერება თემატური ჩარჩოს, საგნობრივი ქვეცნებებისა და საკითხების სახით.

თემატური ჩარჩო სასწავლო თემებისათვის აჩვენებს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძლოს მოსწავლემ ქართული ენის გაგება-გამოყენება.

თითოეულ თემას უნდა ახლდეს **შეფასების კრიტერიუმები,** რომლებიც განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. შეფასების კრიტერიუმები ჯგუფდება ცნებების მიხედვით.

**საფეხურის სტანდარტი**

საშუალო საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ქ.ე.საშ. 1.**

**„ქ.ე.“** - მიუთითებს საგანს „ქართული ენა“;
**„საშ.-** მიუთითებს საშუალო საფეხურის სტანდარტს;
**„1“-** მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

| ქართული ენის სავალდებულო კურსის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე | | |
|---|---|---|
| **შედეგების ინდექსი** | **მოსწავლემ უნდა შეძლოს:** | **სამიზნე ცნებები** |
| **ქ.ე.საშ.1.** | სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, მისთვის საინტერესო თემასა თუ საკითხზე სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა და/ან წაკითხვა მისი გაგება/გააზრებისა და შესაბამისი დასკვნების გამოსატანად; | **სამეტყველო ქმედება** (ქ.ე.საშ.1, 2, 3, 4, 6) |
| **ქ.ე.საშ.2.** | სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა მისთვის საინტერესო თემაზე საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად; | **ტექსტი** (ქ.ე.საშ.1,2,3,4,6) |
| **ქ.ე.საშ.3.** | სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვების საუბარში ჩართვა მისთვის საინტერესო და აქტუალურ თემებზე, საკითხებსა თუ პრობლემებზე სასაუბროდ; | **ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** (ქ.ე.საშ.5) |
| **ქ.ე.საშ.4.** | საკუთარი ან სხვისი გამოცდილების გამოყენება აქტუალურ თემებზე, საკითხებსა თუ პრობლემებზე ზეპირად და/ან წერილობით საუბრისას საკუთარი ან სხვისი პოზიციის ახსნა-დასაბუთების მიზნით; | |
| **ქ.ე.საშ.5.** | კონკრეტული გრამატიკული კანონზომიერებების გაგება, ნასწავლი ენობრივი საკითხების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად; | **კულტურათა დიალოგი** (ქ.ე.საშ.7) |
| **ქ.ე.საშ.6.** | შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა ტექსტების შედგენა-გადმოსაცემად. | |
| **ქ.ე.საშ.7.** | განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და განსხვავებულ კულტურულ კონტექსტებში ინტერპერსონალური უნარების გამოსავლენად; | |

**ძირითადი თემატური ბლოკები და სასწავლო თემები**

თემატური ბლოკები წარმოდგენილია მიმართულებებად, სადაც თავმოყრილია ის სავალდებულო შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და მოთხოვნებს და შეესაბამება ენობრივი ცოდნის მოცემულ დონეს.

**I. მე და სამყარო:**

**ყველაფერი ჩემ შესახებ** (მონაცემები, უახლოესი გარემო, ოჯახი და სახლი; ირგვლივ მყოფი ხალხი; პროფესიული არჩევანი; სამსახური/სწავლა; მომავლის დაგეგმ-ვა/არჩევანის გაკეთება; ყოველდღიური ცხოვრება; ჯანმრთელობა, თავისუფალი დრო, ჰობი, ინტერესები, არაფორმალური შეხვედრები, გასართობი ღონისძიებები, დასვენე-ბა...);

**ფიზიკური გარემო** (დედამიწა, მსოფლიოს გარშემო - ქვეყნები და ქალაქები; ეკოლოგია, ბუნებრივი კატასტროფები, გეოგრაფიული გარემო, მხარეები, აღმოჩენები; გამქრალი ცივილიზაციები, სამყარო და მისი წარმოშობა...).

**II. სოციოკულტურა და კულტურა:**

**ყოველდღიური ცხოვრება** (ეტიკეტი, სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში, კვებითი ჩვევები, თავისუფალი დროის გატარება);

**პიროვნებათშორისი ურთიერთობები** (ოჯახური ურთიერთობები, თაობებს შორის ურთიერთობები, ურთიერთობები თანატოლებთან; საზოგადოების წევრებს / ჯგუფებს შორის ურთიერთობები; საზოგადოებრივი ქცევის ტრადიციულად დადგენილი წესები სხვადასხვა ქვეყანაში...);

**ღირებულებები და ფასეულობები** (კულტურა, ტრადიციები, დღესასწაულე-ბი და ფესტივალები, ღირსშესანიშნაობები; ისტორიული პიროვნებები და მოვლენები; უმცირესობები - ეთნიკური / რელიგიური, სხვა ქვეყნები და ხალხები; პროფესიული ჯგუფები; პოლიტიკა, ხელოვნება, არქიტექტურა...).

მასწავლებლის თუ ავტორის მიერ შერჩეული სასწავლო თემები საშუალო საფეხ-ურის სამივე კლასისთვის უნდა გამომდინარეობდეს სტანდარტის თემატური ჩარჩოდან.

**ქვეცნებები / საკითხები**

| ცნებები | ქვეცნებები, საკითხები/ქვესაკითხები |
|---|---|
| **სამეტყველო ქმედება**<br><br>(ქ.ე.საშ. 1,2,3,4,6) | **ფუნქციური სამეტყველო აქტები**<br><br>• **ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** (*კომუნიკაციის დაწყება/ დასრულება, წარდგენა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, წახ-ალისება/შექება, კეთილი სურვილების /თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მობოდიშება*);<br><br>• **ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** (*პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი / თვისებები; გარემოს, საქმიანობის / მოვლენის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (ჰობი და ინტერესები, საქმიანობა, ჯანმრთელობა, შეგრძნებები, გეგმები/ განზრახვა* და ა.შ.);<br><br>• **ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკ-იდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატ-ვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...);<br><br>• **ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, სიხშირე და ხანგრძლივობა, თანადროუ-ლობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზ-ღვრა..);<br><br>• **ლოგიკური კავშირების გამოხატვა** (მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა, მიზანი)<br><br>**სიტუაციური მახასიათებლები** (კომუნიკაციის თემა, კომუნიკაციის მიზა-ნი, კომუნიკაციის მონაწილეები); |

| | |
|---|---|
| **ტექსტი**<br><br>(ქ.ე.საშ. 1,2,3,4,6) | **მეტყველების ფუნქციური ტიპები** (თხრობა, აღწერა, მსჯელობა)<br><br>**ტექსტის ტიპები -** მხატვრული, არამხატვრული<br><br>**ტექსტის ჟანრები:**<br><br>• **მხატვრული ლიტერატურა:** პროზაული და პოეტური ნაწარმოებები - ლექსები; ადაპტირებული ისტორიული თხზულებები, მოთხრობები, ნოველები, იგავ-არაკები, მითები და ლეგენდები;<br><br>• **არამხატვრული ლიტერატურა:** ა) კორესპონდენცია - პირადი და ოფიციალური წერილები, ინტერვიუ; ბ) საგაზეთო პუბლიკაციები - სტატია, გამოხმაურება, ქრონიკა, რეპორტაჟი; გ) ბიოგრაფიული ტექსტები - ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ნარკვევები, პორტრეტები, მოგონებები; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები - სტატიები წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან; ესსე; ე) სამეცნიერო-პოპულარული ტექსტები, მარტივი ენით დაწერილი დარგობრივი ტექსტები;<br><br>• **მედია/მულტიმედია ტექსტები:** მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები; საინფორმაციო, გასართობი და შემეცნებითი ტელეგადაცემები; სტატიები ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;<br><br>• **სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები:** თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; კითხვარები, მინიკვლევები, ანგარიშები.<br><br>**ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება**<br><br>• **ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა, შემოკლებული სიტყვები);*<br><br>• **ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, ცხრილი, ლოგო,; ტიპოგრაფიულ მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი);*<br><br>• **აბზაცის სტრუქტურა** - თემატური წინადადება, დამხმარე წინადადებები (დამატებითი ინფორმაციის შემცველი მაგალითი, დეტალი, მონაცემი), დასკვნითი წინადადება. |

| | |
|---|---|
| **ენო-ბრივ-გრამა-ტიკული საშუალებე-ბი** (ქ.ე.საშ.5) | **გრამატიკა:**<br>• **მორფოლოგია:** სახელები და მათი წარმოება და ფუნქციები (არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი); ზმნა: მწკრივთა წარმოება და ფუნქციები; დამხმარე ზმნები; ზმნის მარტივი და რთული (I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი) ფორმები; რთულფუძიანი ზმნები და მათი წარმოება (მაგ., ვავადმყოფობ, ცხადვყ-ოფ და სხვა); თავისებური ზმნები და მათი წარმოება; მოქმედების შეს-რულების დრო და გამოხატვის ფორმები (მწკრივები, დროის ზმნიზედე-ბი, სახელები და საწყისები, შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები); მოქმედების მრავალგზისობა და მისი გამოხატვის ფორმები; სუბიექტუ-რი და ობიექტური პირები და მათი ფუნქციები; ერთპირიანი, ორპირი-ანი და სამპირიანი ზმნური კონსტრუქციები; ზმნისწინი და მისი ფუნ-ქციები (მიმართულება, ასპექტი, სიტყვაწარმოება); ქცევა (წარმოება და ფუნქციები); კონტაქტი (წარმოება და ფუნქცია); საწყისი და მიმღეობა (წარმოება და ფუნქციები); ზმნიზედები და მათი ფუნქცია; კავშირი (აგე-ბულება და ფუნქციები); ნაწილაკი (მისი ადგილი წინადადებაში და ფუნ-ქციები); შორისდებული და მისი ფუნქცია;<br>• **სინტაქსი:** მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა (მსაზღვრელის რა-ოდენობა, ადგილი, ფუნქცია, ბრუნვა და რიცხვი); რთული წინადადება (წინადადებათა თანწყობა და ქვეწყობა; აზრობრივი მიმართებები თან-წყობილ წინადადებაში; დამოკიდებული წინადადებები და მათი ფუნ-ქციები; დამოკიდებული წინადადების ადგილი ქვეწყობილ წინადადე-ბაში, საკავშირებელი სიტყვები, კავშირიანი და უკავშირო შეერთება, ზმნის ფორმები; ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში); სიტყვათა რიგი მარტივ და რთულ წინადადებებში; მიმართებითი სიტყვები და წევრ-კავშირები (ზოგიერთი მიმართებითი სიტყვისა და წევრ-კავშირის ფუნქცია წინადადებაში; წევრ-კავშირი „რო-მელიც" და მასთან დაკავშირებული საკითხები); სინტაქსური კავშირები და მათი გამოხატვის ძირითადი ენობრივი საშუალებები (სიტყვის ფორ-მა, დამხმარე სიტყვები, სიტყვათა რიგი, ინტონაცია); პირობით-შედეგო-ბითი წინადადებები; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; პირდაპირი ნათქვა-მის ირიბად გადაკეთება და პირიქით; რთული წინადადების მარტივად გადაკეთება და პირიქით;<br>• **მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:** სახელები (რთული რიცხ-ვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით; ნაცვალსახელი - მისი/თავისი; ჩემს მეგობარს, შენს ქალაქში; თავისი/თავიანთი) და მათთან დაკავშირებული მართლწ-ერის საკითხები; რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები; რთუ-ლი სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები; სხვათა სი-ტყვის ნაწილაკების მართლწერის საკითხები; სასვენი ნიშნების ხმარება რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში, პირდაპირ და ირიბ ნათქვამ-ში, განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან; რთულფუძიანი ზმნების მართლწერა; წევრ-კავშირების ხმარება რთულ წინადადებაში (განცხადება, რომელშიც თუ განცხადება, სადაც? და სხვა); |
| | **ლექსიკა:**<br>სინონიმი, ანტონიმი; დანართი, ჩართული; ფრაზეოლოგიზმები; კომპოზიტე-ბი, მათი შედგენილობა და მნიშვნელობა; პროფესიული და დარგობრივი ლე-ქსიკა; ჩართული, დანართი; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. |

| | |
|---|---|
| **კულტურათა დიალოგი** (ქ.ე.საშ.7) | **სოციოკულტურული რეალიები**<br><br>წეს-ჩვეულებები (ყოფით სიტუაციებში ქცევები და ურთიერთობები, ქცევისა და მეტყველების ეტიკეტი); ტრადიციები (ფესტივალები, კარნავალები; შესაბამისი აქსესუარები; რიტუალები), ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები, სახელმწიფო სიმბოლიკა და ყოფითი რეალიები; ფასეულობები; ღირსშესანიშნაობები; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; იუნესკო და საქართველო; სამყაროსეული ხედვა; კულტურული ნორმები.<br><br>**ენაში აღბეჭდილი სამყარო**<br><br>კომპოზიტები, ანდაზები, მყარი შესიტყვებები, ფრაზეოლოგიზმები. |

**სასწავლო თემების ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები**

## 3. მეთოდიკური რეკომენდაციები

მეორე ენად იწოდება ის ენა, რომელსაც ადამიანი ქრონოლოგიურად პირველი ენის შემდგომ ან პირველი ენის პარალელურად ითვისებს და ეუფლება. მეორე ენა ის ენაა, რომელზეც ადამიანი არაფორმალურ, ყოფით გარემოში ამყარებს კონტაქტს ამავე ენაზე მოსაუბრე სხვა ადამიანებთან. როგორც წესი, მეორე ენა ფიგურირებს იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომლებიც ცხოვრობენ იმ ქვეყანაში, სადაც მოცემული ენა წარმოადგენს მშობლიურ ენას ან მისი ერთ-ერთი მშობელი ამ ენაზე ლაპარაკობს. უცხოური ენის დაუფლება განსხვავდება მეორე ენის დაუფლებისაგან იმით, რომ მეორე ენის შემსწავლელებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ შესასწავლი ენა არაფორმალურ გარემოში (მაგ., ეზოში თანატოლებთან თამაშისას) გამოიყენონ. ასე ეუფლებიან, მაგალითად, გერმანიაში მცხოვრები თურქი ბავშვები გერმანულს, ან საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები ქართულს, როგორც მეორე ენას, ვინაიდან მათ ეს ენა ესმით ყველგან: ქუჩებში, სხვებთან თამაშისას და სხვა. შესაბამისად, ისინი იყენებენ ამ ენას, როგორც საკონტაქტო ენას.

**მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება**

გაკვეთილზე გადამწყვეტია ის ფაქტი, რომ ყველანაირი აქტივობა და მათ შორის, **ტექსტზე მუშაობა** მოსწავლეზე იყოს ორიენტირებული. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ტექსტზე მუშაობის ქმედებასა და პროდუქტზე ორიენტირებული ფორმები. ტექსტზე მუშაობის ქმედებასა და პროდუქტზე ორიენტირებულ ფორმებს აქცენტი ტექსტიდან მოსწავლეზე და მათ მიერ წაკითხულის გაგებაზე გადააქვს. აღნიშნული ხერხი ყურადღებას მხატვრული ტექსტის კითხვისას მოსწავლის ქმედებაზე ამახვილებს. ეს კი მოსწავლეს ხელს უწყობს ტექსტის გაგების პროცესში. ქმედებასა და პროდუქტზე ორიენტირებული მეთოდები განსაზღვრავს მოსწავლეთა კრეატიული ქმედებების ორ ძირითად ფორმას. ტერმინით „ქმედებაზე ორიენტირებული“ აღინიშნება მრავალფეროვანი ილუსტრაციული, მუსიკალური, გამომსახველობითი რეაგირება ტექსტზე. ტერმინი „პროდუქტზე ორიენტირებული“ გულისხმობს ახალი ტექსტების შექმნას ანუ „ტექსტების დაწერას ტექსტების შესახებ“. განხილული ტექსტი ამ შემთხვევაში საკუთარი ტექსტების შექმნის საფუძველს ქმნის. ტექსტზე სამუშაოდ მასწავლებელი წინასწარ ამზადებს დავალებების ფართო სპექტრს *(მოსამზადებელი ეტაპი)* და გეგმავს ტექსტის წაკითხვამდე (ტექსტამდელ), ტექსტის წაკითხვის პარალელურად მიმდინარე (ტექსტის პარალელურ) და ტექსტის წაკითხვის შემდგომ შესასრულებელ დავალებებს (ტექსტის შემდგომი დავალებები).

გაკვეთილზე გამოყენებული სამუშაო ფორმები ასახავენ თანამშრომლობას როგორც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის, ასევე მოსწავლეებს შორის. განასხვავებენ სწავლების შემდეგ ძირითად სოციალურ ფორმებს:

- *ფრონტალური გაკვეთილი,*
- *მუშაობა ჯგუფებში,*
- *მუშაობა წყვილებში,*
- *ინდივიდუალური მუშაობა.*

იმის მიხედვით, თუ რომელი ფორმა გამოიყენება გაკვეთილზე, იცვლება მასწავლებლისა და მოსწავლეების როლები და მათთან დაკავშირებული დავალებები. სწავლების სოციალური ფორმები განაპირობებენ ურთიერთობებს, ერთი მხრივ, მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის და, მეორე მხრივ, მოსწავლეებს შორის. ეს სოციალური პროცესები კი გავლენას ახდენენ მეორე ენის ათვისებაზე. ემპირიულად დადგენილია, რომ დადებითი სოციალური გარემო ეფექტიანი გაკვეთილის საწინდარია. ამ პროცესების კონსტრუქციული გამოყენება კი ხელს უწყობს ენის ათვისების წარმატებულ სწავლებას.

**ფრონტალური გაკვეთილი**

ფრონტალურ მუშაობაში მასწავლებელია საუბრის წარმმართველი და ის, პირველ ყოვლისა, საორიენტაციო ცოდნას გადასცემს მოსწავლეებს. ამ სამუშაო ფორმის მნიშვნელოვანი არსებითი მახასიათებელი მასწავლებელზე ორიენტირებაა და ცოდნის ცალმხრივი გადაცემა. ფრონტალური გაკვეთილი გამოიყენება, ძირითადად, ახალი მასალისახსნის,მოსწავლეებისახალთემაშიშეყვანისადამასალისგანმტკიცებისდროს. ფრონტალური გაკვეთილის დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ შესაძლებელია:

◊ ამ სამუშაო ფორმის სხვადასხვა მიზნით გამოყენება.

◊ მისი მონაცვლეობით გამოყენება სხვა მეთოდურ ფაზებთან მიმართებაში;

◊ ინფორმაციის მოწავლეებისათვის მცირე დროში მიწოდება, როდესაც მისაწოდებელი მასალა დიდი მოცულობისაა და საჭიროა მისი სწრაფად ათვისება;

◊ ვიზუალურად საინტერესო მასალის ჩვენებით ან მასალის მოსმენით (თემის სათაური, სურათი, ნაწყვეტი ფილმიდან, მუსიკა/მელოდია და სხვ.) გაკვეთილის წარმართვა და სხვ.

ფრონტალური გაკვეთილის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ

◊ მასწავლებელია ინფორმაციის ერთადერთი წყარო და გაკვეთილის წარმმართველი; ყველა მოქმედება მისკენაა მიმართული და მის გარეშე არაფერი ხდება;

◊ მხოლოდ მცირედ ეწყობა ხელი მოსწავლის მოტივირებას;

◊ უმნიშვნელოა მეთოდური, სოციალური და მორალური კომპეტენციების წახალისება;

◊ ორიენტირებულია უმეტესწილად მასწავლებელზე და ფაქტებზე.

◊ ავტორიტარულია და მოსწავლეები უმეტესწილად პასიურები არიან; ნაკლებად ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში, არ არის გათვალისწინებული შემსწავლელის ინდივიდუალური ტიპი და სხვ.

დიდაქტიკოსების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სწავლების ეს ფორმა ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვას და უარყოფით მხარედ ასახელებენ, უპირველესად, იმას, რომ ამ ტიპის გაკვეთილი ხელს არ უწყობს მოსწავლეთა სოციალური კომპეტენციის განვითარებას, და რომ ის არ არის ეფექტიანი მოსწავლეთა აზროვნების უნარების განვითარების თვალსაზრისით.

**ჯგუფური მუშაობა**

ჯგუფური მუშაობა თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი ფორმაა და საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას გულისხმობს. ჯგუფში

მუშაობისას იკრიბება რამდენიმე (როგორც წესი, სამიდან ექვსამდე) მოსწავლე და შინაარსობრივად წინასწარ ჩამოყალიბებულ დავალებას ურთიერთდახმარებით ასრულებს. თანამედროვე გაკვეთილი ჯგუფური მუშაობის გარეშე წარმოუდგენელია და მასწავლებლებიც აქტიურად იყენებენ სწავლების ამ ფორმას. ჯგუფებში მუშაობით პრობლემის ერთობლივად გადაჭრა და საბოლოო და საერთო მიზნის მიღწევა უფრო მარტივია და ჯგუფის თითოეული წევრი პასუხს აგებს როგორც საკუთარ თავზე, ისე ჯგუფის წარმატებაზე. ჯგუფებში მუშაობისას მოსწავლეებს უვითარდებათ:

• ჯგუფური პასუხისმგებლობა (ჯგუფი ერთობლივი მუშაობით აღწევს წარმატე-ბას);

• ჯგუფის თითოეული წევრის პასუხისმგებლობა (თითოეულ მოსწავლეს შეაქვს წვლილი მთლიანი ჯგუფის წარმატებისათვის. ჯგუფში მუშაობის დროს ყოველი მოსწავლის ჩართულობისათვის საჭიროა, მასწავლებელმა გამოიყენოს ე. წ. სეგმენტური მეთოდი, რომელიც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, შეაფასოს ჯგუფის თითოეული წევრის წვლილი და მინიმუმამდე დაიყვანოს ასეთი შემთხვევების რიცხვი).

ჯგუფებში მუშაობა ხელს უწყობს ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: სხვისი აზრის მოსმენა და პატივისცემა, კონფლიქტის მართვა, საკუთარი შესაძლებლობების სხვებთან შედარება და მათი სრულყოფა. მისი სასწავლო პროცესში შეტანა შესაძლებელია *ისეთი დავალებების მიცემის დროს*,

• რომლებშიც კომუნიკაცია არის სასურველი (დიალოგების გათამაშება, დაწერა და სხვ.);

• როდესაც შესაძლებელია დისკუსიისა და ინსცენირების მოწყობა ან რომელიმე საკითხის დამუშავება (მაგ.: პლაკატის გაკეთება, კედლის გაზეთის გამოშვება, გამოკითხვის ჩატარება და ა. შ.);

• როდესაც დავალება საკმაოდ რთულია და მათი შესრულებისას მოსწავლეებს უამრავი შეკითხვა უჩნდებათ (მაგ.: ვრცელი და რთული ტექსტის წაკითხვა და გაგება) და სხვ.

ჯგუფური მუშაობისათვის დამახასიათებელი *დადებითი მხარეები:*

◊ მოსწავლეებში თავდაჯერებულობის ზრდა;

◊ სოციალური კომპეტენციების განვითარება;

◊ მოსწავლეთა ჯგუფში სოციალური ურთიერთობების მოტივირება;

◊ პრობლემებისა და ამოცანების დაძლევისათვის საჭირო დამოუკიდებელი აზროვნების მოტივირება;

◊ მოსწავლეების საკომუნიკაციო კომპეტენციების მოტივირება და გაუმჯობესება.

ჯგუფური მუშაობისათვის დამახასიათებელი *უარყოფითი მხარეები*:

◊ მოსწავლეებისათვის საჭირო მაღალი დონის სოციალური კომპეტენციების არქონა;

◊ მასწავლებლის მიერ გაკვეთილის დაგეგმვისა და მომზადებისათვის დიდი დროის დათმობა;

◊ ჯგუფის წევრების მიერ ერთმანეთისათვის ყურადღების სხვა რამეზე გადატანა;

◊ ჰომოგენურ ჯგუფებში დავალებების შესრულებისას მშობლიურ ენაზე ურთიერთობა;

◊ ჯგუფში რომელიმე წევრის დომინანტობა (ლიდერობა), რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხვა წევრების მასზე დამოკიდებულება, მისი აზრის უკრიტიკოდ მიღება (ან პირიქით, ჯგუფში სუსტი წევრის არსებობა და მისი „უფუნქციობა“) და სხვა.

**წყვილებში მუშაობა**

თანამშრომლობითი სწავლის ერთ-ერთი ფორმაა მეწყვილესთან ერთად მუშაობა. სწავლების ეს ფორმა განსაკუთრებით მოსახერხებელია ცალკეულ მონაკვეთებზე სამუშაოდ. მისი გამოყენება ასევე წარმატებით შეიძლება

• რთული დავალებების შესრულებისას, როდესაც მოსწავლეებს ერთმანეთის დახმარება შეუძლიათ (მაგ.: მოსასმენი სავარჯიშოების გაკეთება; ახალ გრამატიკულ მასალაზე ვარჯიში და სხვ.);

• ისეთი დავალებების დროს, როდესაც მათი დანაწილებაა შესაძლებელი (მაგ.: დიალოგების როლებში წაკითხვა ან გათამაშება; დიალოგების დაწერა ერთობლივად და სხვ.);

• ისეთი დავალებების დროს, რომლებიც ინდივიდუალური მუშაობისთვის ძალიან რთულია, ჯგუფური მუშაობისათვის კი საკმაოდ იოლია და ძალიან ცოტა დროს მოითხოვს;

• დიფერენცირებული მუშაობისათვის (ძლიერი ეხმარება სუსტს, ე. ი. სუსტისა და ძლიერის წყვილებში მუშაობა და ა. შ.) და სხვ. წყვილებში მუშაობის *დადებით მხარეებს* მიეკუთვნება პირველ ყოვლისა ის, რომ

◊ გაკვეთილზე წყვილი ბუნებრივად ერთვება კომუნიკაციაში;

◊ წყვილი იძლევა საკუთარი აქტიურობის გაზრდისა და წარმოჩენის საშუალებას;

◊მეწყვილეებისწავლობენურთიერთდახმარებასადაურთიერთთანამშრომლობას;

◊ მოსწავლეები თავს არიდებენ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას და ამით სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად ერთვებიან და სხვ.

წყვილებში მუშაობის *უარყოფით მხარეებს* წარმოადგენს ის, რომ

◊ შესაძლოა, მოსწავლეებმა ერთმანეთს ყურადღება სხვა რამეზე გადაატანინონ;

◊ მეწყვილეების მიერ ერთმანეთის შეცდომების შესწორებას შესაძლოა სირთულეები მოჰყვეს;

◊ ზოგიერთი მასწავლებელი, ნაცვლად იმისა, რომ შედეგები განიხილოს, როგორც ერთობლივი წარმატება, ცალკეული მოსწავლის დამსახურების წინ წამოწევას შეეცდება.

**ინდივიდუალური მუშაობა**

ინდივიდუალური მუშაობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სამუშაო ფორმაა და ნებისმიერი პერიოდის სასწავლო პროცესის თანამდევი მომენტია.

ინდივიდუალური მუშაობისათვის დამახასიათებელია დავალებების დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად შესრულება მოსწავლეებთან ინფორმაციების გაცვლის გარეშე. სკოლის პირობებში სწავლების ეს ფორმა არც ისე ხელსაყრელია, რადგან მასწავლებელი ვერ ახერხებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური მუშაობის შეფასებას, ამას ხელს უშლის მოსწავლეების სიმრავლე და საგაკვეთილო პროცესის დროის სიმცირეც.

ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად გამოიყენება

• ახალ მასალაზე ვარჯიშისა და ნასწავლი მასალის გამეორების დროს;

• ტექსტების დეტალურად დამუშავების დროს;

• ისეთი დავალებების დროს, როდესაც ენის შემსწავლელს ამა თუ იმ საკითხის დასწავლა აქვს განზრახული (მაგ.: სიტყვების, მნიშვნელოვანი წინადადებების, ლექსების დასწავლა და სხვ.);

• საშინაო დავალებების შესრულების დროს;

• ტესტებზე მუშაობის დროს და სხვ.

ინდივიდუალური მუშაობის *დადებითი მხარეებია*:

◊ გარკვეული ოდენობით „თვითსწავლა" და „თვითგანვითარება";

◊ განსხვავებული სირთულის დავალებების განაწილების შესაძლებლობის მიცემა მოსწავლეებისათვის;

◊ თითოეული მოსწავლისათვის სასურველი ტემპით მუშაობის შესაძლებლობის მიცემა;

◊ მასწავლებლისათვის საშუალების მიცემა, მოსწავლეებს სათითაოდ მისცეს რჩევები;

◊ თითოეული მოსწავლისაგან შესაძლებელი აქტიურობა;

◊ სასწავლო პროცესში ორგანიზებისათვის ნაკლები დროის დათმობა და სხვ.

ინდივიდუალური მუშაობის *უარყოფითი მხარეებია:*

◊ სოციალურ-აღმზრდელობითი ასპექტების ნაკლებობა;

◊ ცალკეული მოსწავლეების შესაძლებელი იზოლაცია;

◊ კონკურენციის ხელშეწყობა;

◊ გათვალისწინებულზე მეტი დროის საჭიროება.

**პროექტებით მუშაობა**

დარგობრივ ლიტერატურაში პროექტირების მეთოდს ხშირად პროექტმეთოდს, პროექტგაკვეთილს, პროექტით სწავლას, პროექტით მუშაობას, პროექტზე ორიენტირებულ გაკვეთილს, პროექტირების მეთოდს, სასწავლო პროექტს ან პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასაც უწოდებენ. პროექტებით მუშაობას ხშირად ცალკე არ განიხილავენ და მას ჯგუფურ მუშაობას აკუთვნებენ, რადგან პროექტების მომზადება, ძირითადად, ჯგუფებში ხორციელდება.

პროექტით მუშაობა არის სწავლების სოციალური ფორმა, რომლის დახმარებითაც

◊ მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, მასწავლებელთან ერთად ერთობლივი დისკუსიებისა და გარკვეული ქმედებების გზით გადაჭრან პრობლემები;

◊ განსაზღვრონ სწავლების შინაარსი და გაკვეთილის თემა, გაკვეთილის მიზანი და დასახული მიზნების განხორციელების მეთოდები;

◊ შეიმუშაონ პრობლემები, წარმოადგინონ შედეგები და შეაფასონ ჩატარებული მუშაობა.

პროექტზე მუშაობა *სამი ძირითადი ფაზისაგან* შედგება:

• მოსწავლეებისთვის სასურველ თემაზე პროექტის დაგეგმვა;

• ამ გეგმის რეალიზება და მიღებული შედეგების პრეზენტაცია.

პროექტი შესაძლებელია იყოს *მოკლევადიანი* (მაგ.: ორი გაკვეთილი, ერთი კვირა) და *გრძელვადიანი* (მაგ.: ორი-სამი თვე, მთელი სემესტრი, მთელი წელი). პროექტით მუშაობისას გაკვეთილზე მასწავლებლები და მოსწავლეები მიმართავენ ერთობლივად ფორმულირებულ სასურველ თემას და მის დასამუშავებლად ადგენენ გეგმას, მონაწილეობენ ამ გეგმის შესრულებაში და შედეგად წარმოადგენენ ერთ საერთო „პროდუქტს".

**ტექსტზე მუშაობის სამფაზიანი მოდელი**

**ტექსტამდელ ფაზაში** საჭიროა, მოსწავლეებს ისეთი ტიპის დავალებები მიეწოდოს, რომელთა დახმარებითაც მათ გაუიოლდებათ ტექსტისა და ახალი თემების გაგება. ახალი ტექსტის შეტანამდე სასურველია მოსწავლეთა დაინტერესება და მათი მოტივაციის ამაღლება, რაც, მაგალითად, მათთვის ისეთ საინტერესო საკითხებზე საუბრით ან საინტერესო სურათისა თუ ვიდეოსცენის ჩვენებით არის შესაძლებელი, რომლებიც ახალ თემას უკავშირდება *(სავარჯიშოთა ტიპოლოგია: ტექსტში მოცემულ თემატიკაზე საუბარი, კითხვა-პასუხი, მარტივი დისკუსიის წარმართვა, თემასთან დაკავშირებული სურათის აღწერა ან სიმღერის მოსმენა და ა. შ.).* ამავე ფაზაში შესაძლებელია, რიგ შემთხვევებში, ტექსტში მოცემული ახალი გრამატიკული სტრუქტურების შესწავლის გასაიოლებლად ნასწავლი მასალის გამეორება ან ტექსტში ახალი ლექსიკური ერთეულების შეხვედრამდე, მათზე მუშაობა (მაგ.: შედგენილი სიტყვების შემთხვევაში ამ სიტყვების შემადგენელი მარტივი ლექსიკური ერთეულების გამეორება წინასწარ მომზადებული ბარათებით, დაფაზე ჩვენებით და ა. შ.). ტექსტამდელ ფაზაში გამოიყენება როგორც ღია და ნახევრად ღია, ასევე დახურული და ნახევრად დახურული ტიპის დავალებები. **ტექსტის** კითხვის/მოსმენის **პარალელურ ფაზაში** ძირითადად ტექსტის გაცნობითი კითხვა/მოსმენა ხდება, რომლის ტიპურ დავალებას წარმოადგენს ტექსტის წაკითხვა/მოსმენა და შეკითხვა, რაზეა ტექსტში საუბარი. ამავე ფაზის ტიპურ დავალებას წარმოადგენს, მაგალითად, ტექსტის წაკითხვა/მოსმენა და ტექსტის ცალკეული ნაწილების დასათაურება, ან პატარ-პატარა ტექსტების სურათებთან დაკავშირება. ტექსტის პირველი წაკითხვისას/მოსმენისას მოსწავლეები მის ძირითად აზრს იგებენ და ტექსტში მოცემული ახალი ინფორმაციების, ლექსიკური თუ გრამატიკული ერთეულების გასაცნობად და შესასწავლად ემზადებიან (ტექსტის დეტალური გაგება). ამავე ფაზაში შესაძლებელია, მოსწავლეებს ტექსტში მხოლოდ რომელიმე ინფორმაციის/ინფორმაციების ამოკრეფა/მოძებნა დაევალოთ *(სავარჯიშოთა ტიპოლოგია: წაიკითხეთ/მოისმინეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვას, რაზეა ტექსტში ლაპარაკი; მოძებნეთ ტექსტში გარკვეული ინფორმაცია; დააკავშირეთ ტექსტები მოცემულ სათაურებთან; დააკავშირეთ ტექსტები მოცემულ სურათებთან და ა. შ.).* ამ ფაზაში გამოიყენება უმეტესწილად დახურული ტიპის დავალებები.

**ტექსტზე მუშაობის შემდგომი ფაზა** ეთმობა ტექსტის საშუალებით შესწავლილი ახალი მასალის გამოყენებას, რაც მოსწავლეების მიერ ნასწავლ მასალაზე დაყრდნობით ახალი ტექსტის პროდუცირებას უკავშირდება. ამ ფაზაში უმეტესწილად ღია და ნახევრად ღია ტიპის დავალებები გამოიყენება, კერძოდ:

*ტექსტის პერსონაჟებზე საუბარი, ტექსტში მოცემული კულტურული მოვლენების საკუთარ კულტურასთან შედარება.*

იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი სრულყოფილად მიმდინარეობდეს და მოსწავლეთა შედეგებიც ეფექტიანი იყოს, საჭიროა სამფაზიანი მოდელი მასწავლებელს ყურადღების მიღმა არ დარჩეს და სასწავლო პროცესში ყველა დეტალი გაითვალისწინოს, განსაკუთრებით კი მოსწავლეთათვის იოლად ხელმისაწვდომი სტრატეგიების გამოყენება.

წინასწარ განსაზღვრული (კითხვის, მოსმენის) მიზნების მისაღწევად ***კითხვის სტრატეგიები*** გამოიყენება, რომლებიც მთელ რიგ მიზანდასახულ ქმედებებს გულისხმობს. კითხვის თუ მოსმენის სტრატეგიებს მოსწავლეები შეგნებულად ეუფლებიან და დამოუკიდებლად იყენებენ მუშაობისას. სწორად შერჩეული სტრატეგია მოსწავლეებს ეხმარება:

- ტექსტის მიზანდასახულად გაგება-დამუშავებაში;
- ტექსტის გაგებასა და ტექსტის შესახებ შეკითხვების დასმაში;
- ტექსტიდან დასკვნების გამოტანასა და მიღებული ცოდნის შემდგომ გამოყენებაში და ა. შ.

გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მაგალითად, საკითხავ ტექსტში მოცემული ყველა ინფორმაციის გაგება ან მხოლოდ ერთი პატარა ინფორმაციის ამოღება. უცხოური ენის გაკვეთილზე დღეს მოსწავლეები ხშირად გამოიყენებენ შემდეგ სტრატეგიებს:

- ტექსტში ორიენტირებისათვის საჭირო სტრატეგიები (მაგალითად, ტექსტში ყველაფრის გაგება, ტექსტში რომელიმე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიებით ან თვალის ერთი გადავლებით კითხვა);
- ტექსტიდან მთავარი იდეების ამოკრეფა (მაგ.: საკვანძო სიტყვების ბარათებზე ამოწერა, ძირითადი შინაარსის ამოღება, გეგმის შედგენა, გრაფიკების/ცხრილების შედგენა);
- ტექსტის ძირითადი იდეების/მოსაზრებების გვერდით მიწერა/საკვანძო სიტყვების ამოწერა;
- ტექსტში რთულად გასაგები ადგილებისათვის დამხმარე საშუალებების გამოყენება შეკითხვების დასმა, უცნობი სიტყვების ლექსიკონში მოძებნა, ტექსტის დანაწევრება და ა. შ.

***კითხვის სტრატეგიები***

1. კითხვის წინასწარ დაგეგმვა:

- მოსწავლეთა ცოდნის გააქტიურება, ტექსტის სათაურის შესახებ იდეების შეგროვება, ტექსტის შინაარსზე ვარაუდის გამოთქმა და ა. შ.

2. ტექსტის ზოგადი/გლობალური გაგების სტრატეგიები:

- თვალის გადავლებით ტექსტის წაკითხვა, ანუ ტექსტის სწრაფად გადაკითხვა;
- კითხვის პროცესის შემოწმება;
- ვარაუდების გადამოწმება;
- ტექსტის გაგების სირთულის დადგენა;

• ტექსტში ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაციების შედარება მოსწავლეთათვის აქამდე ნაცნობ ინფორმაციებთან და ა. შ.

3. ტექსტის დამუშავებისა და გამოყენების სტრატეგიები:
• ტექსტის შესახებ კითხვების დასმა;
• მნიშვნელოვანი ინფორმაციების მოძიება;
• საკვანძო სიტყვების ქვეშ ხაზის გასმა;
• მინდორზე ჩანიშვნების გაკეთება;
• ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა;
• ქვესათაურების პოვნა/გამოყოფა;
• წაკითხულის საკვანძო სიტყვების დახმარებით მოყოლა და ა. შ.

4. ტექსტის გაგების დროს წამოჭრილი პრობლემების გადასალახავი სტრატეგიები:
• სიტყვების ახსნა (კონტექსტის მიხედვით, ლექსიკონის დახმარებით);
• ტექსტის შინაარსის გაგების შემდეგ ლაპარაკი ამა თუ იმ თემაზე;
• საკუთარ ცოდნასა და ტექსტის ერთი ნაწილის გაგებაზე დაყრდნობით მთლიანი ტექსტის გაგება და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების დაძლევა.

**წერის უნარ-ჩვევაზე მუშაობა**

წერითი კომპეტენციის ჩამოყალიბებაზე მუშაობისას განასხვავებენ ორ მომენტს: წერას, როგორც მიზანს და წერას, როგორც საშუალებას მიზნის მისაღწევად. *წერა, როგორც მიზანი* – არსებობს წერითი აქტივობები, რომლის დროსაც წერა არის მიზანი. როდესაც ენის შემსწავლელი წერს წერილს, მისი მოქმედების შედეგს წარმოადგენს სწორედ ეს წერილი, რომლის გაგზავნასაც ის ისახავს მიზნად.

წერის ასეთივე მაგალითებს წარმოადგენს
• უცხოელ მეგობრებთან სოციალური ქსელის საშუალებით მიმოწერა;
• ფორმულარების შევსება;
• საფოსტო ბარათებზე მოკლე წერილების წერა;
• მისალოცი ბარათების წერა;
• სააპლიკაციო ფორმების შევსება და ა. შ.

არსებობს უამრავი წერითი აქტივობა, რომლის დროსაც წერა წარმოადგენს არა მიზანს, არამედ რომელიმე ენობრივ საშუალებაზე ვარჯიშს, ანუ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას. მაგალითად, გრამატიკული სავარჯიშოების წერისას ენის შემსწავლელის მიზანს წარმოადგენს რომელიმე კონკრეტულ გრამატიკულ სტრუქტურაზე ვარჯიში.

მსგავსი ტიპის მაგალითებია:
• საკვანძო სიტყვების ჩანიშვნა რაიმეს მოსმენისას;
• სიტყვების ამოკრეფა-დაჯგუფება სატელეფონო საუბრისას.

*წერით კომპეტენციაზე მუშაობას* თანამედროვე გაკვეთილზე ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილი უკავია და როგორც მოსწავლისაგან, ასევე მასწავლებლისგანაც საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

# თემატური მატრიცის თავფურცელი

| | |
|---|---|
| **თემის სახელწოდება: ჩემი ცხოვრების ერთი ეპიზოდი**<br><br>**საათების სავარაუდო რაოდენობა: მასწავლებელი განსაზღვრავს კლასის საჭიროე-ბებისა და მოსწავლეთა უნარების მიხედვით.**<br><br>**ძირითადი რესურსი:** მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი<br><br>**თემატური მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>**საკუთარი ცხოვრებიდან მნიშვნელოვანი ეპიზოდების დღიურის ფორმით წარმო-სადგენად საჭიროა დღიურის ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება;**<br><br>**პირადი ინტერესების, შთაბეჭდილების გაზიარების მიზნით პერსონაჟისათვის წერილის მისაწერად საჭიროა როგორც წერილის ჟანრობრივი მახასიათებლების, ასევე სათანადო ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენება.**<br><br>**სათანადო ლექსიკის, გრამატიკული მასალის ცოდნა და მიზნობრივი გამოყენება მნიშვნელოვანია დისკუსიის წარმართვისთვის.**<br><br>**სამეტყველო ქმედება**<br><br>**მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>• სამეტყველო ქმედებები *(მაგ., ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში - თხოვნა, შეთავაზება..., საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება, დროსა და სივრცეში ორიენტირება, პოზიციის გამოხატვა, ახსნა და დასაბუთება* და ა.შ.) ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით (მაგ., *ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამოხატვა ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით* და ა.შ.);<br><br>• ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით | |

(*მაგ., თავაზიანი თუ ფამილარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.*).

**ტექსტი**

***მკვიდრი წარმოდგენები:***

- არსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / არამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, კორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი და წერილობითი ტექსტი;
- ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის შესაქმნელად;

ტექსტის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და არასიტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია*) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება.

**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები**

***მკვიდრი წარმოდგენები:***

- ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს;
- ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის დასაუფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური ასოები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები, ქართული ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, სხვადასხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა* და ა.შ.);

| | | | |
|---|---|---|---|
| ქართული ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის*) ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის;<br>**კულტურათა დიალოგი**<br>***<u>მკვიდრი წარმოდგენები:</u>***<br>• ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროს შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებას (მაგ., *თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას*);<br>განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება გვეხმარება მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში. | | | |
| **სამიზნე ცნებები** | **საკითხი 1**<br>**საუბარი საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდზე.** | **საკითხი 2**<br>**პირადი ინტერესების, შთაბეჭდილების გაზიარება წერილის საშუალებით.** | **საკითხი 3**<br>**საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა დისკუსიის საშუალებით.** |
| **სამეტყველო ქმედება** | **ქვეცნება:** ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში.<br>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა დაშეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ;<br>ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ<br>**ქვესაკითხები:**<br>*კომუნიკაციის* | **ქვეცნება:** ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში.<br>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა დაშეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ;<br>ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ.<br>**ქვესაკითხები:**<br>*კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, წარდგენა, თხოვნა.* შთაბეჭდილების, | **ქვეცნება:**<br>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა დაშეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ;<br>ლოგიკური კავშირების გამოხატვა.<br>ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ.<br>ლოგიკური კავშირების გამოხატვა.<br>**ქვესაკითხები:**<br>შთაბეჭდილების, |

| | | | |
|---|---|---|---|
| | *დაწყება/დასრულება, წარდგენა, თხოვნა.* შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა. მოწონება/არ მოწონება; სურვილისა და ინტერესის გამოხატვა; დადებითი და უარყოფითი შეფასება (კარგია, ცუდია...); | შეფასების, პოზიციის გამოხატვა. მოწონება/არ მოწონება; სურვილისა და ინტერესის გამოხატვა; დადებითი და უარყოფითი შეფასება (კარგია, ცუდია...); | შეფასების, პოზიციის გამოხატვა.<br><br>მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა, მიზანი.<br><br>მოწონება/არ მოწონება; სურვილისა და ინტერესის გამოხატვა; დადებითი და უარყოფითი შეფასება (კარგია, ცუდია...); |
| **ტექსტი** | **ქვეცნება:** ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება.<br><br>ტექსტის ჟანრები.<br><br>**ქვესაკითხები:** ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები.<br><br>ტექსტის ტიპი - დღიური. | **ქვეცნება:** ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება (წერილის სტრუქტურა);<br>ტექსტის ჟანრები.<br><br>**ქვესაკითხები:** ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები.<br><br>ტექსტის ტიპი - არამხატვრული (წერილი). | **ტექსტი** - მეტყველების ფუნქციური ტიპები<br><br>**ქვესაკითხები:** თხრობა, აღწერა, მსჯელობა. |
| **ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** | **ქვესაკითხები:**<br><br>ლექსიკა - შესაბამისი დარგობრივი ლექსიკა: დღიური, შთაბეჭდილება, ემოცია, სიხარული, მოწონება, აღტაცება, მონატრება, გართობა, სტუმრობა, მასპინძელი, | **ქვესაკითხები:**<br><br>ლექსიკა - შესაბამისი დარგობრივი ლექსიკა: თავშესაფარი, მეურვე, დაარსება, გაუგონარი, ძვირფასი, დარდი, სიხარული, გართობა, ბედნიერება, გრძნობები... | **ქვესაკითხები:** - ლექსიკა:<br>თინეიჯერი, დისკუსია, გემოვნება, ჩაცმულობა, გამომეტყველება, გარეგნობა, ვარცხნილობა...<br>ომონიმები: მძიმე, წელი...<br><br>გრამატიკა: ზმნა და მიმღეობა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ღირსშესანიშნავი, განსაკუთრებული, მოგონება...<br><br>გრამატიკა: ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირები. | გრამატიკა - გრამატიკა: ზმნა და ზმნის საწყისი ფორმა | |
| **კულტურათა დიალოგი** | **ქვეცნება:** სოციოკულტურული რეალიები<br><br>**ქვესაკითხები:** წეს-ჩვეულებები, ყოფითი რეალიები; ღირსშესანიშნაობები; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; | | |
| | **კომპლექსური დავალება 1**<br><br>გაიხსენე შენი ცხოვრებიდან ერთი რომელიმე ეპიზოდი და გადმოეცი დღიურის სახით. | **კომპლექსური დავალება 2**<br><br>მისწერე წერილი ჯუდის, ესაუბრე რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი; რა არის შენი ყველაზე დიდი ოცნება; რა გზით გსურს ამ ოცნების ასრულება. | **კომპლექსური დავალება 3**<br><br>მნიშვნელოვანია თუ არა ჩემთვის სხვისი აზრი მაშინ, როდესაც ვირჩევ მოდას, მეგობარსა თუ მომავალ პროფესიას. იმსჯელე რატომ. („მრგვალი მაგიდის მოწყობა“) |

## შუალედური სასწავლო მიზანი - 1

**თემა: ჩემი ცხოვრების ერთი ეპიზოდი**

**კომპლექსური დავალების თემა: ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდის გაზიარება.**

**სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები**

**სამეტყველო ქმედება** - ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში.
**ტექსტი** - ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება (დღიურის სტრუქტურა);
**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** - ლექსიკა: შესაბამისი დარგობრივი ლექსიკა: დღიური, შთაბეჭდილება, ემოცია, სიხარული, განსაკუთრებული, მოწონება, აღტაცება, მონატრება, გართობა, სტუმრობა, მასპინძელი, ღირსშესანიშნავი, განსაკუთრებული, მოგონება... გრამატიკა: ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირები

**კულტურათა დიალოგი** - სოციოკულტურული რეალიები

**საკითხი: საუბარი საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდზე.**
**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:**

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო საუბარი საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდზე? როგორ მოვახერხო ჩემ შესახებ ინფორმაციის საინტერესოდ გადმოცემა?
- რა ცოდნა და სტრატეგიები დამეხმარება დღიურის შესაქმნელად? როგორ დაგეხმარათ დღიურის სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა ამაში?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო მიზნობრივად და მართებულად წერისა და მეტყველებისათვის? რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა საკუთარი ცხოვრების ეპიზოდის აღსაწერად და დღიურის შესაქმნელად?

**კომპლექსური დავალება 1.** გაიხსენე შენი ცხოვრებიდან ერთი რომელიმე ეპიზოდი და გადმოეცი დღიურის სახით.

**დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:**

- დღიურის სტრუქტურის ცოდნა და საკომუნიკაციო მიზნების შესაბამისი მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური, გრაფიკულ-მაორგანიზებელი ელემენტების მართებული გამოყენება **(ტექსტი)**;
- შესაბამისი გრამატიკული ცოდნა და ნასწავლი ლექსიკის მართებული გამოყენება **(ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; სამეტყველო ქმედება)**.
- ღირსშესანიშნაობებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გაცნობა მეხმარება განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენაში, მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში **(კულტურათა დიალოგი)**.

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)**

**ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** წინარე ცოდნის გააქტიურება.
მოსწავლეები აკვირდებიან სატიტულო გვერდზე მოცემულ ილუსტრაციას და გამოთქვამენ ვარაუდებს: ვინ არის გამოსახული? რა იცი მის შესახებ? რას აკეთებს? რას შეიძლება წერდეს წიგნაკში?
რადგან კომპლექსურ დავალებაში მოსწავლეებმა უნდა დაწერონ დღიური, ამიტომ მასწავლებელი ამ კუთხითაც ააქტიურებს მათ წინარე ცოდნას:

- რა არის დღიური და რა ფუნქცია აქვს მას?
- ფიქრობთ, თუ არა, რომ დღიურის დასაწერად საჭიროა ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება? რატომ?
- თქვენი აზრით, რა სახის პირადი ინფორმაციის გაზიარება შეიძლება საზოგადოებისთვის?
- შეგიქმნიათ თუ არა დღიური და როდის, რატომ და რა მიზნით?

**აქტივობა 2.** დავალების მოთხოვნების გააზრება.

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?

- რას უნდა მიაქციო ყურადღება დღიურზე მუშაობისას?
- რაზე უნდა ისაუბრო პრეზენტაციის დროს?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რის შესწავლა დაგვჭირდებათ?
- რა გაგიადვილდებათ? რა გაგიძნელდებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

რეკომენდაცია: კლასის/მოსწავლეების **საჭიროების გათვალისწინებით შეგიძლიათ** გარკვეული პასუხები მშობლიურ ენაზე მოსთხოვოთ მოსწავლეს, ვინაიდან აქ მოწმდება არა ქართული ენის ცოდნა (ეს არ არის მიზანი), არამედ, ვარკვევთ რა გამოცდილება აქვს მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით.

**ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1. რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო / დამჭირდება დავალების შესასრულებლად?**

**საჭირო ენობრივი საკითხები:**

**ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირები**

**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

**აქტივობები:**
წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ მასწავლებელი კომენტირებული და მართული კითხვის გამოყენებით მოსწავლეებს აცნობს ტექსტს: „ლალას დღიური“.

ორიენტირებული კითხვა მონაკვეთებად დაყოფილ ტექსტთან მუშაობას გულისხმობს და მოიცავს კითხვის სამივე ფაზას: წაკითხვამდე, კითხვის დროს, წაკითხვის შემდეგ.
პირველ ფაზაში მასწავლებელი ამზადებს მოსწავლეებს კითხვის დასაწყებად. ამ ფაზაში მოსწავლეები ააქტიურებენ წინარე ცოდნას, განიხილავენ ტექსტის მნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულებს (სიტყვებს, ცნებებს, ტერმინებს), აყალიბებენ ტექსტის წაკითხვის მიზანს, დემონსტრირებისა და პრაქტიკული ვარჯიშის გზით ივითარებენ ეფექტური კითხვისა და გაგებისთვის საჭირო უნარებს. კითხვის პროცესში, მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების მეშვეობით, მოსწავლეები ცდილობენ ტექსტის გაგებას. ამ ფაზაში ისინი მიმართავენ გაგებისთვის საჭირო ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა წაკითხულის შეჯამება, დასკვნის გამოტანა, კითხვების დასმა, ვარაუდის გამოთქმა და ა.შ. ასევე, ცდილობენ გაარკვიონ, რა ვერ გაიგეს სათანადოდ და როგორ

არის შესაძლებელი გააზრებაში წარმოქმნილი ხარვეზების დაძლევა.
ორიენტირებული კითხვის მეთოდი შემდეგი ძირითადი კითხვებზე პასუხს გულისხმობს:

რა იცით ამ საკითხის შესახებ?

რას გეუბნება სათაური?

რას შეეხება ეს ტექსტი?

რატომ გგონია ასე?

რას გეუბნება ტექსტში მოცემული ილუსტრაციები?

რას მოგვითხრობს ეს ტექსტი? რატომ ფიქრობ ასე?

რას გრძნობ და რატომ გაგიჩნდა ეს განცდა?

შეგიძლია თუ არა დაასაბუთო შენი ვარაუდი?

რა მოხდება ამის შემდეგ? რატომ გგონია ასე?

შენი ვარაუდის დასაბუთებლად რომელ ადგილს მოიშველიებ ტექსტიდან?

რით უკავშირდება წაკითხული ტექსტი რეალურ ცხოვრებას?

როგორ გამოვიყენებ წაკითხულით მიღებულ გამოცდილებას რეალურ ცხოვრებაში?

შესაძლოა გამოვიყენოთ **ვარაუდების ცხრილი:**

პირველი ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ, ყოველი მომდევნო ეპიზოდის წაკითხვამდე, მოსწავლეები ავსებენ ვარაუდების ცხრილის პირველ ორ მონაცემს, ხოლო ბოლო მონაცემს - წაკითხვის შემდეგ; მსჯელობენ მინიშნებებზე, რომლებსაც მიაქციეს/არ მიაქციეს ყურადღება;

**ეპიზოდი 1.**

- როგორ ფიქრობ, რა მოხდება? -------------------
- რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი?-
- სინამდვილეში რა მოხდა? ---------

**ეპიზოდი 2.**

- როგორ ფიქრობ, რა მოხდება? -------------------
- რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი?-
- სინამდვილეში რა მოხდა? ---------

ორიენტირებული კითხვა ხელს უწყობს მოსწავლეებს ტექსტის უკეთ გააზრებაში, უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას – ისინი სწავლობენ კითხვის დასმას, ვარაუდის გამოთქმასა და არგუმენტირებულ მსჯელობას.

ლექსიკური აქტივობები: მასწავლებელი ახალი ლექსიკური ერთეულების შინაარსის სწორად გასააზრებლად გამოიყენებს აქტივობას: „სიტყვის პირამიდა“.
მასწავლებელი მუშაობს ლექსიკაზე. მოსწავლეები ინიშნავენ უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს და ერთმანეთის ან მასწავლებლის დახმარებით განმარტავენ. მასწავლებელი დაფაზე წერს ასეთ სიტყვებს და მოსწავლეებს სთხოვს ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინონ წინადადებები ან ააგონ „სიტყვის პირამიდა“(მოასწავლე დაწერს მოცემული სიტყვის სინონიმს ან ანტონიმს, შეადგენს წინადადებებს.):

შესაძლოა მოსწავლეებს მივცეთ რამდენიმე სიტყვა და მოიფიქრონ ამბავი მათი გამოყენებით.
მოსწავლეები შეასრულებენ წიგნში მოცემულ დავალება N 1-ს.
ლექსიკური მასალის განმტკიცების მიზნით რვეულში წერენ სავარჯიშოებს: N 1, 2, 3.

ნასწავლი ტექსტის გასააზრებლად წერენ სავ. N 4-ს.

ნასწავლი ტექსტის პირად ცხოვრებასთან დაკავშირების მიზნით წერენ სავ. N 5-ს.

გრამატიკული აქტივობები: მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გრამატიკის გზამკვლევში მოცემულ მასალას: ზმნის სუბიექტური (S) და ობიექტური (O) პირები. ის დაფაზე წერს წინადადებას: გრადის ციხეზე ავედით (ჩვენ/S). სთხოვს მოსწავლეებს შეუწყონ პირის ნაცვალსახელები და დაასახელონ, რამდენპირიანია ზმნა.

შეახსენებს, რომ ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი ან სამპირიანი. მოქმედი პირი არის სუბიექტური, სამოქმედო კი ობიექტური პირი. აცნობს სუბიექტური და ობიექტური პირების ბრუნვებს შესაბამისი წინადადებების დახმარებით. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად, ეცნობიან გრამატიკის გზამკვლევში მოცემულ მასალას, აკვირდებიან ცხრილში მოცემულ სიტყვებს და მათი დახმარებით ადგენენ წინადადებებს, რომლებსაც წერენ ფლიპჩარტზე და გამოაკრავენ კლასში თვალსაჩინოდ.

ასრულებენ მოსწავლის წიგნში გრამატიკულ გზამკვლევში მოცემულ დავალება N 1-ს: ცხრილში მოცემული ზმნებით შეადგენენ წინადადებებს და შემდეგ ასრულებენ დავალება N 2-ს: შეუწყვე ზმნებს პირის ნაცვალსახელები, გაარკვიე სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები. ნამუშევრებს გაცვლიან ჯგუფებში და ამოწმებენ ერთმანეთის ნაშრომებს, რამდენად სწორად შეასრულეს. პრეზენტაციებს წარადგენენ კლასში. მასწავლებელი ყურადღებით უსმენს მათ და მათ მუშაობას აფასებს განმავითარებელი კომენტარით.

ნასწავლი გრამატიკული მასალის გამეორება/განმტკიცების მიზნით ასრულებენ სავ. N 6, 7, 8, 9, 10, 11.

აღნიშნული დავალებები ხელს შეუწყობს ახსნილი მასალის გაგება-გააზრებისა და პრაქტიკაში სწორად გამოყენების უნარების განვითარებას.

მოსწავლეები ავსებენ თხრობის რუკას და მასზე დაყრდნობით ზეპირად გადმოსცემენ დღიურში მოთხრობილ ამბავს.

| **მთავარი პერსონაჟები:**<br><br><br>**სხვა პერსონაჟები:** | **მოქმედების დრო და ადგილი:** |
|---|---|

| რა მოხდა დასაწყისში | შემდეგ რა მოხდა? | რით დასრულდა ამბავი? |
|---|---|---|
| „ერთხელ... | „ამის შემდეგ... | „ბოლოს... |

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გააგრძელონ თხრობა, ისაუბრონ, მათი აზრით, როგორ განვითარდება ამბავი. ასევე მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, საინტერესო იქნება მათი აზრი, რას ჩაწერდა პაველი თავის დღიურში ლალას სტუმრობის შესახებ. საინტერესო იქნება თხრობა მთხრობლის შეცვლით. შეასრულებენ წიგნში მოცემულ დავალება N 2-ს.

მოსწავლეები შესწავლილ ლიტერატურულ და გრამატიკულ მასალაზე დაყრდნობით ადვილად შეასრულებენ კომპლექსურ დავალებას.

**კომპლექსური დავალების პირობა:**

გაიხსენე შენი ცხოვრებიდან ერთი რომელიმე ეპიზოდი და გადმოეცი დღიურის სახით.

შენთვის მოსახერხებელი ფორმატით (Power Point-ის პრეზენტაცია, ქაღალდი, ფანქრები, ხელნაკეთი წიგნაკი, Canva) შექმენი დღიური.

**ნამუშევარში:**

გაითვალისწინე დღიურის ფორმა-სტრუქტურა.

სათაურის ნაცვლად დღიურში დასახელებულია დღეები (რიცხვები და ზოგჯერ საათებიც კი), გადმოცემულია საინტერესო მოვლენები, ფაქტები, პირადი შთაბეჭდილებები.

დღიური შეიძლება სანდო მეგობრად გექცეს. მთავარია, გულწრფელი იყო და უბრალო სიტყვებით გადმოსცე ის, რასაც იმ წუთში ფიქრობ. დაწერე იმდენი, რამდენიც გინდა. შენზეა დამოკიდებული, ხშირად დაწერ თუ იშვიათად.

**დავალების წარდგენის შემდეგ ისაუბრე:**

- ახსენი, რა ნაბიჯები გადადგი დავალების შესასრულებლად.
- რა დაგეხმარა დღიურის დაწერაში.
- რა ენობრივი საშუალებების ცოდნა გამოიყენე დღიურის წერის დროს.
- თავიდან რომ წერდე დღიურს, რას შეცვლიდი და რატომ?

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ დღიურის დასაწერად და მის წარსადგენად?<br>• სად/როგორ გამოიყენებთ ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირების სათანადო ბრუნვებს?<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |

***ნაბიჯი 2. როგორ მოვახერხო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადაჭრა-დღიურის დაწერა? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამისთვის? რომელი ფორმატით წარვადგინო ჩემი ნამუშევარი კლასის წინაშე? როგორ დამეხმარება ნასწავლი ენობრივი საშუალებები და გამოყენებული სტრატეგიები ამაში?***

***რესურსები და აქტივობები***

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული**

**დამატებითი რესურსი:**

**აქტივობები:**

**აქტივობა 1.** მოსწავლეები იმსჯელებენ, რატომაა შესწავლილი ტექსტი დღიური, რომელ ჟანრობრივ მახასიათებლებს გამოყოფენ. ჩამოაყალიბებენ ინსტრუქციას, რომელიც უნდა გაითვალისწინონ დღიურზე მუშაობის დროს. ნიმუშის სახით გაეცნობიან ტექსტს „უცნობი ბიჭის დღიური“ და მოემზადებიან კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

**აქტივობა 2.** კონკრეტული სამეტყველო ქმედების განხორციელება საკომუნიკაციო სიტუაციების გათვალისწინებით. მოსწავლეები შეეცადონ ზეპირად შექმნან დღიურის ტექსტი. მასწავლებელი ყურადღებით უსმენს, შეესაბამება თუ არა მათ მიერ მოფიქრებული ტექსტი დღიურს.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ მოემზადებით წასაკითხი ტექსტების გასაგებად?<br>• რა ხერხებს გამოიყენებთ მათ გაცნობამდე? მათი გაცნობისას?<br>• კითხვები ტექსტის გაგება/გააზრებისათვის (რა არის დიალოგის საკომუნიკაციო სიტუაცია - ვინ არიან თანამოსაუბრეები ერთმანეთისთვის, რა არის მათი საუბრის თემა, სად მიმდინარეობს დიალოგი)<br>• როგორ/რა ენობრივი საშუალებებით წარმოაჩენთ თქვენს დამოკიდებულებას, რჩევას? როგორ გამოხატავთ და დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას?<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? |

***ნაბიჯი 3. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო დღიურის შესაქმნელად? როგორ გამოვიყენო დღიურის ჟანრობრივი მახასიათებლები ტექსტის შესაქმნელად.***

***რესურსები და აქტივობები:***

**რესურსი 1.** ნებისმიერი დღიური (შესაძლებელია როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ვერსია), მაგალითად: „ანა ფრანკის დღიური“.



**რესურსი 2.** დღიურის შეფასების კრიტერიუმების ბადე.

| **კრიტერიუმები** | **გასაუმჯობესებელია** | **კარგია** |
|---|---|---|
| **დაცულია დღიურის სტრუქტურა და ფორმალური მხარე.** | | |
| **დღიურში მკაფიოდ არის წარმოჩენილი ავტორების მთავარი სათქმელი - ძირითადი და საინტერესო ინფორმაცია ავტორის შესახებ, საკუთარი შეხედულებები და ემოციები.** | | |
| **ჩანს ავტორის შემოქმედებითობა და კრეატიულობა.** | | |
| **დაცულია ენობრივი გამართულობა და სასვენი ნიშნების ხმარების წესები.** | | |

**აქტივობები:**

**აქტივობა 1**. წინარე ცოდნის გახსენება **(რესურსი 1).**

- დღიურის სტრუქტურული და ენობრივ-სტილურ მახასიათებლებზე მუშაობა (*რუბრიკები, ილუსტრაციისა და ტექსტის მიმართება, შრიფტის ზომა და სახესხვაობა, ტექსტის აბზაცებად/ სვეტებად დაყოფა და სხვა).*
- დღიურის ზოგად შინაარსზე / ცალკეული ნაწილის ძირითად სათქმელზე დაკვირვება.
- ნაბეჭდი და ელექტრონული ვარიანტების შედარება (რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?).

**აქტივობა 2.** დღიურზე მუშაობა

- იდეების წამოყენება დღიურთან დაკავშირებით (შინაარსი, ფოტოილუსტრაცია, ნახატები და ა.შ.);
- განსახორციელებელი ეტაპების დაგეგმვა;
- კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად სათანადო ენობრივი ცოდნის მობილიზება;
- დღიურის პირველადი ვერსიის შედგენა;
- შეფასების კრიტერიუმების ბადის მიხედვით პირველადი ვერსიის გაუმჯობესება **(რესურსი 2);**
- დღიურის საბოლოო ვარიანტის შედგენა.

**რეკომენდაციები:**

- განსაზღვრეთ საკომუნიკაციო სიტუაცია (*ტექსტის მიზანი, ფორმატი*);
- განსაზღვრეთ სათაური, ილუსტრაციები;
- შეარჩიეთ ტექსტის სტილი და ფორმა.

**აქტივობა 3.** დღიურის წარდგენა კლასის წინაშე:

- პრეზენტაციის დაგეგმვა (სად, როდის, როგორ);
- პრეზენტაციის მოწყობა

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • რა ჟანრობრივი მახასიათებელი აქვს დღიურს?<br>• რა სახის ინფორმაცია უნდა აისახოს?<br>• როგორ გამოიყენებთ დღიურს თქვენი მიზნებისთვის?<br>• რამდენად გამოგადგებათ მიღებული ცოდნა-გამოცდილება დავალების შესრულებაში? |

**კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ).**
***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.***

- დაიცავი თუ არა დღიურის სტრუქტურა? **(ტექსტი)**;
- რამდენად შეძელი საჭირო ლექსიკისა და გრამატიკის გამოყენება დღიურის შექმნისას? მისი წარდგენისას? რატომ?
- რამდენად შეძელი საჭირო ენობრივი კონტრუქციების მიზნობრივად / ფუნქციურად გამოყენება? რატომ? **(ენობრივ-გამომსახ. საშუალება; სამეტყ. ქმედება)**.
- რამდენად დაგეხმარა სხვა ქვეყნის ღირსშესანიშნაობებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გაცნობა კულტურათა დიალოგის ხელშეწყობაში? **(კულტ. დიალოგი)**
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

# შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიის მიხედვით

**კომპლექსური დავალება N1**

**გაიხსენე შენი ცხოვრებიდან ერთი რომელიმე ეპიზოდი და გადმოეცი დღიურის სახით.**

| კრიტერიუმი/ სამიზნე ცნება | სამეტყველო ქმედება | ტექსტი | ენობრივ-გრამატიკული საშუალებები | კულტურათა დიალოგი |
|---|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია გაბმულად საუბარი საკუთარი ცხოვრებიდან შერჩეული ერთი რომელიმე ეპიზოდის ირგვლივ. ახერხებს დავალების ეფექტურად პრეზენტაციას თანაკლასელების წინაშე. ეფექტურად | შემოქმედებითად იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს დღიურის შესაქმნელად, შეუძლია საკუთარი ცხოვრებიდან შერჩეული ეპიზოდის საინტერესოდ გადმოცემა და შესწავლილ ტექსტებთან დაკავშირება, მსგავსება-განსხვავების პოვნა. თავისუფლად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას დაუბრკოლებლად იყენებს ნასწავლ და შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. შეუძლია სუბიექტური და ობიექტური პირების ბრუნვების სწორად შერჩევა და წინადადებაში მართებულად გამოყენება. | შესწავლილ ტექსტებში ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/განსხვავებულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. ტექსტის „ლალას ჩანაწერების" მიხედვით, ეფექტურად შეუძლია ისაუბროს ჩეხეთის კულტურის შესახებ, მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია, პარალელი გაავლოს საკუთარი ქვეყნის კულტურასთან, ისაუბროს მსგავსება-განსხვავებაზე. უცხო ქვეყნის კულტურის მიმართ უყალიბდება |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი. | | | დადებითი დამოკიდებულება და სხვებსაც მიუთითებს ამისკენ. |
| **მიმართებითი დონე** მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისა ს ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია საუბარი საკუთარი ცხოვრებიდან შერჩეული ერთი რომელიმე ეპიზოდის ირგვლივ. ახერხებს დავალების პრეზენტაციას თანაკლასელების წინაშე მცირე შეცდომებითა და აქცენტით. | აცნობიერებს დღიურის ჟანრობრივ მახასიათებლებს. შეუძლია საკუთარი ცხოვრებიდან შერჩეული ეპიზოდის საინტერესოდ გადმოცემა დღიურის სახით. შეუძლია სიღრმისეული გაგება-გააზრება, დასკვნების გამოტანა. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისა ს იყენებს შეთავაზებულ გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციების უმეტესობას. შეუძლია სუბიექტური და ობიექტური პირების ბრუნვების სწორად შერჩევა და წინადადებაში მართებულად გამოყენება მცირე შეცდომებით. ნაწერში ავლენს დღიურის სტრუქტურის ცოდნას. | ტექსტის „ლალას ჩანაწერების“ მიხედვით, შეუძლია ისაუბროს ჩეხეთის კულტურის შესახებ, მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია, ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/განსხვავებუ ლ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება. |
| **მულტისტრუქტურული** | სამეტყველო ქმედების | შეუძლია საკუთარი ცხოვრებიდან შერჩეული | მოსწავლეს შეუძლია სუბიექტური და | მოსწავლე შესწავლილ ტექსტში აღმოაჩენს |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გარეშე. | განხორციელებისას შეუძლია მოკლე ფრაზებით საუბარი საკუთარი ცხოვრებიდან შერჩეული ერთი რომელიმე ეპიზოდის ირგვლივ. ახერხებს დავალების პრეზენტაციას თანაკლასელების წინაშე მცირე შეცდომებითა და აქცენტით. | ეპიზოდის გადმოცემა დღიურის სახით, ამოიცნობს ძირითად მახასიათებლებსტექსტში . შეუძლია ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგება. | ობიექტური პირების ბრუნვების სწორად შერჩევა, მაგრამ უჭირს წინადადებაში მართებულად გამოყენება. მოსწავლე ნაწერში ავლენს დღიურის სტრუქტურის ცოდნას. | ორიოდე სოციოკულტურულ მახასიათებელს, მაგრამ უჭირს განზოგადება და მსგავსება-განსხვავებაზე მსჯელობა. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია საკუთარი ცხოვრებიდან შერჩეული ეპიზოდის შესახებ მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა. | შეუძლია წაკითხული ტექსტიდან ზოგადი აზრის გამოტანა. შეუძლია საკუთარი ცხოვრებიდან შერჩეული ეპიზოდის გადმოცემა რამდენიმე მარტივი წინადადებით. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციებიდან მხოლოდ ორიოდე ფორმას, მრავლადაა შეცდომები. მოსწავლეს შეუძლია სუბიექტური და ობიექტური პირების სწორად პოვნა | ტექსტში ამოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ მახასიათებელს, თუმცა ვერ ადარებს საკუთარს და ვერ მსჯელობს. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | წინადადებაში, მაგრამ უჭირს წინადადებაში თავად აგება და მათი სათანადო ბრუნვის ფორმით გამოყენება. | |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითს ან იყენებს არარაელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. |

## შუალედური სასწავლო მიზანი - 2

**თემა: ჩემი ცხოვრების ერთი ეპიზოდი**

**კომპლექსური დავალების თემა:** მისწერე წერილი ჯუდის, ესაუბრე რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი; რა არის შენი ყველაზე დიდი ოცნება; რა გზით გსურს ამ ოცნების ასრულება.

**სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები**

**სამეტყველო ქმედება** - ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში.
**ტექსტი** - ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება (წერილის სტრუქტურა);
**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** - ლექსიკა: შესაბამისი დარგობრივი ლექსიკა: თავშესაფარი, მეურვე, დაარსება, გაუგონარი, ძვირფასი, დარდი, სიხარული, გართობა, ბედნიერება, გრძნობები...

გრამატიკა: ზმნა და ზმნის საწყისი ფორმა

**საკითხი: პირადი ინტერესების, შთაბეჭდილების გაზიარება წერილის საშუალებით.**

**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:**

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო საუბარი საკუთარ ოცნებებზე? როგორ მოვახერხო ინფორმაციის საინტერესოდ გადმოცემა?
- რა ცოდნა და სტრატეგიები დამეხმარება წერილის დასაწერად? როგორ დაგეხმარათ წერილის სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა ამაში?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო მიზნობრივად და მართებულად წერისა და მეტყველებისათვის? რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა საკუთარ ოცნებაზე სასაუბროდ და წერილის შესაქმნელად?

**კომპლექსური დავალება 1.** მისწერე წერილი ჯუდის, ესაუბრე რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი; რა არის შენი ყველაზე დიდი ოცნება; რა გზით გსურს ამ ოცნების ასრულება.

**დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:**

- წერილის სტრუქტურის ცოდნა და საკომუნიკაციო მიზნების შესაბამისი მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური, გრაფიკულ-მაორგანიზებელი ელემენტების მართებული გამოყენება **(ტექსტი)**;
- შესაბამისი გრამატიკული ცოდნა და ნასწავლი ლექსიკის მართებული გამოყენება **(ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; სამეტყველო ქმედება).**

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)**

**ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** წინარე ცოდნის გააქტიურება.
მოსწავლეები კითხულობენ სატიტულო გვერდზე მოცემულ ინფორმაციას, შემდეგ კი ეცნობიან ტექსტს: „ლეილასა და მერაბის დიალოგს“. აქტიურდება მათი წინარე ცოდნა.

რადგან კომპლექსურ დავალებაში მოსწავლეებმა წერილი უნდა მისწერონ პერსონაჟს, ამიტომ მასწავლებელი ააქტიურებს ამ კუთხით მოსწავლეთა ცოდნას.

- რა არის წერილი და რა ფუნქცია აქვს მას?
- ფიქრობ, თუ არა, რომ წერილის დასაწერად საჭიროა ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება? რატომ?
- დაგიწერია თუ არა წერილი და როდის, რატომ და რა მიზნით?

**აქტივობა 2.** დავალების მოთხოვნების გააზრება.

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რას უნდა მიაქციო ყურადღება წერილზე მუშაობისას?
- რაზე უნდა ისაუბრო პრეზენტაციის დროს?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება?
- რის შესწავლა დაგვჭირდება?
- რა გაგიადვილდება? რა გაგიძნელდება? რაში დაგჭირდება დახმარება?

რეკომენდაცია: კლასის/მოსწავლეების **საჭიროების გათვალიწინებით შეგიძლიათ** გარკვეული პასუხები მშობლიურ ენაზე მოსთხოვოთ მოსწავლეს, ვინაიდან აქ მოწმდება არა ქართული ენის ცოდნა (ეს არ არის მიზანი), არამედ, ვარკვევთ რა გამოცდილება აქვს მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით.

## ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

### ნაბიჯი 1. რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო / დამჭირდება დავალების შესასრულებლად?

**საჭირო ენობრივი საკითხები:**

**ზმნა და ზმნის საწყისი ფორმები**

**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული**

**აქტივობები:**
წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ მასწავლებელი კომენტირებული და მართული კითხვის გამოყენებით მოსწავლეებს აცნობს ტექსტს: „გრძელფეხება მამილო“.

მოსწავლეები ემზადებიან ტექსტის წასაკითხად:

რას მეუბნება პირველადი მინიშნებები (მაგ., სათაური, ილუსტრაცია) ტექსტის შესახებ? რით უკავშირდება ისინი ჩემს ცოდნას? რას მეუბნება ტექსტი? როგორ გამოვიყენო მინიშნებები იმის გასაგებად, თუ რეალურად რის შესახებ არის ტექსტი?

ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით;

ყოველი ეპიზოდის წაკითხვამდე მოსწავლეები ავსებენ ვარაუდების ცხრილის პირველ ორ მონაცემს, ბოლო მონაცემს - წაკითხვის შემდეგ; მსჯელობენ მინიშნებებზე, რომლებსაც მიაქციეს/არ მიაქციეს ყურადღება;

**ეპიზოდი 1.**

- როგორ ფიქრობ, რა მოხდება? -------------------
- რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი?
- სინამდვილეში რა მოხდა? ---------

**ეპიზოდი 2.**

- როგორ ფიქრობ, რა მოხდება? -------------------
- რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი?
- სინამდვილეში რა მოხდა? ---------

ტექსტის გაგება-გააზრების დონის გასარკვევად მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს. პირველი მონაკვეთის გაცნობის შემდეგ:

1. ჯუდის სიტყვებით, რატომ არის მეურვე კეთილი?
2. როგორ იხსენებს ჯუდი თავს გადახდენილ კურიოზებს?

ა) სინანულით.　　ბ) იუმორით.　　გ) აღშფოთებით.

საიდან ჩანს მისი დამოკიდებულება ამ ფაქტების მიმართ? დაიმოწმეთ ტექსტი.

3. როგორ დააღწია ჯუდიმ თავი უცოდინარობით გამოწვეულ მოსალოდნელ უხერხულობას?

4. ჯუდის რომელი თვისება ჩანს მოთხრობის ამ მონაკვეთში? მოგწონს მისი ეს თვისება? რატომ?

მეორე მონაკვეთის გაცნობის შემდეგ:

1. რაზე ოცნებობს ჯუდი? მისი რა თვისება ჩანს ამ ოცნებიდან?
2. ჯუდის აზრით, რა არის მნიშვნელოვანი ბავშვისთვის? ისაუბრეთ, რატომ მიაჩნია მას ასე?
3. როგორი ადამიანია ჯუდი? დაიმოწმე ტექსტი.

**ლექსიკური აქტივობები:**

**ლექსიკონის შედგენა** - მოსწავლეები ახლად ნასწავლ სიტყვებს შეიტანენ რვეულებში და თითოეულისათვის შეავსებენ სქემას შემდეგი რუბრიკებით:

- განმარტება,
- სინონიმი/ანტონიმი;
- მაგალითი/ასოციაცია;
- სიტყვა წინადადებაში.

მოსწავლის რვეულში შეასრულებენ სავ. N 1-ს, 2-ს, 3-სა და 4-ს.

**გრამატიკული აქტივობები:**

განვლილი გრამატიკული მასალის გახსენებისა და განმტკიცების, ასევე პრაქტიკაში სწორად გამოყენების მიზნით, მოსწავლეები რვეულში წერენ სავარჯიშოებს: N 5, 6, 7.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ გრამატიკის გზამკვლევს: ზმნა და ზმნის საწყისი ფორმა. მოსწავლეები წაიკითხავენ წინადადებებს და დააკვირდებიან ცხრილს. შემდეგ ისაუბრებენ, რა განსხვავებაა ზმნის პირიან ფორმასა და საწყისებს შორის.

დამოუკიდებლად შეასრულებენ წიგნში მოცემულ დავალებას: გაარკვიე, ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელია ზმნის საწყისი ფორმა, რომელი – პირიანი. შენი პასუხი დაასაბუთე.

დაარსება – დავაარსებ.   ახსენებს – ხსენება.   ცხოვრობ – ცხოვრება.   არევა – აურევენ.

ნასწავლი გრამატიკული მასალის განმტკიცების მიზნით, რვეულში წერენ სავ. N 8, 9

**კომპლექსური დავალება 2**

**კომპლექსური დავალების პირობა:**

მისწერე წერილი ჯუდის, ესაუბრე რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი; რა არის შენი ყველაზე დიდი ოცნება; რა გზით გსურს ამ ოცნების ასრულება.

**ნამუშევარში:**

გაეცანი წერილის ფორმა/სტრუქტურას, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინო.

გაამახვილე ყურადღება წერილის სტრუქტურულ ელემენტებზე (მიმართვა/მისალმება, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება).

გამოიყენე წერილის ჩარჩო:

**მიმართვა**

გამარჯობა -------------!
**ძირითადი ტექსტი**

მოკითხვა (როგორ ხარ?)
ამბავი (სად არის, რას აკეთებს...)

**დასასრული**

შენი -------------

- წერილში დაწერე: გამოთქვი მოსაზრება ჯუდის ოცნების შესახებ, შენი აზრით, რა არის საჭირო იმისთვის რომ ბავშვი ბედნიერი იყოს, ისაუბრე, რა არის შენი ყველაზე დიდი ოცნება, რა გზით გსურს ამ ოცნების ასრულება, ვისი დახმარება დაგჭირდება.
- ყურადღება მიაქციე ენობრივ გამართულობას (შესაბამისი გრამატიკული ცოდნა და ნასწავლი ლექსიკის მართებული

გამოყენება), გადაიკითხე შენ მიერ შექმნილი ტექსტი და აღნიშნე, გამოიყენე თუ არა ზმნის საწყისი ფორმები.

**დავალების წარდგენის შემდეგ ისაუბრე:**

- ახსენი, რა ნაბიჯები გადადგი წერილის დაწერისას.
- გაიხსენე, რა ენობრივი საშუალებები დაგეხმარა წერის დროს.
- რა სიძნელეები შეგექმნა წერის დროს.
- შენი პირადი გამოცდილებიდან რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება წერილის წერისას და რატომ?
- თავიდან რომ წერდე წერილს, რას შეცვლიდი და რატომ?

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ წერილის დასაწერად და მის წარსადგენად?<br>• სად/როგორ გამოიყენებთ ზმნის საწყის ფორმებს?<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |

***ნაბიჯი 2. როგორ მოვახერხო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადაჭრა-წერილის დაწერა და საკუთარი ოცენებების გადმოცემა? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამისთვის? როგორ დამეხმარება ნასწავლი ენობრივი საშუალებები და გამოყენებული სტრატეგიები ამაში?***

***რესურსები და აქტივობები***

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული**

**აქტივობები:**

**აქტივობა 1.** მოსასმენი / წასაკითხი ტექსტის/ინფორმაციის გაგება/გააზრება (საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა) მოსწავლეები იმსჯელებენ, რატომაა ტექსტი „გრძელფეხება მამილო“ წერილი, რომელ ჟანრობრივ მახასიათებლებს გამოყოფენ. ჩამოაყალიბონ ინსტრუქცია, რომელიც უნდა გაითვალისწინონ წერილის წერის დროს.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ მოემზადებით მოსასმენი და წასაკითხი ტექსტების გასაგებად?<br>• რა ხერხებს გამოიყენებთ მათ გაცნობამდე? მათი გაცნობისას?<br>• კითხვები მოსასმენი ტექსტის გაგება/გააზრებისათვის.<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? |

***ნაბიჯი 3. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო წერილის შესაქმნელად? როგორ გამოვიყენო წერილის ჟანრობრივი მახასიათებლები ტექსტის შესაქმნელად.***

***რესურსები და აქტივობები:***

**რესურსი 1.** წერილის შეფასების კრიტერიუმების ბადე.

| კრიტერიუმები | კარგია | გასაუმჯობესებელია |
|---|---|---|
| დაცულია წერილის სტრუქტურა და ფორმალური მხარე. | | |
| წერილში მკაფიოდ არის წარმოჩენილი ძირითადი და საინტერესო ინფორმაცია ავტორის შესახებ, საკუთარი შეხედულებები და ემოციები. | | |
| ჩანს ავტორის შემოქმედებითობა და კრეატიულობა. | | |
| დაცულია ენობრივი გამართულობა და სასვენი ნიშნების ხმარების წესები. | | |

**აქტივობა 1.** წერილზე მუშაობა

- იდეების წამოყენება წერილთან დაკავშირებით (შინაარსი, ფოტოილუსტრაცია, ნახატები და ა.შ.);
- განსახორციელებელი ეტაპების დაგეგმვა;

- კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად სათანადო ენობრივი ცოდნის მობილიზება;
- წერილის პირველადი ვერსიის შედგენა;
- შეფასების კრიტერიუმების ბადის მიხედვით პირველადი ვერსიის გაუმჯობესება;
- წერილის საბოლოო ვარიანტის შედგენა.

**რეკომენდაციები:**

- განსაზღვრეთ საკომუნიკაციო სიტუაცია (*ტექსტის მიზანი, ფორმატი*);
- განსაზღვრეთ სათაური, ილუსტრაციები;

შეარჩიეთ ტექსტის სტილი და ფორმა.

**აქტივობა 3.** წერილის წარდგენა კლასის წინაშე:
- პრეზენტაციის დაგეგმვა (სად, როდის, როგორ);
- პრეზენტაციის მოწყობა

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • რა ჟანრობრივი მახასიათებელი აქვს წერილს?<br>• რა სახის ინფორმაცია უნდა აისახოს?<br>• როგორ გამოიყენებთ წერილს თქვენი მიზნებისთვის?<br>• რამდენად გამოგადგებათ მიღებული ცოდნა-გამოცდილება დავალების შესრულებაში? |

**კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ).** ***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.***

- დაიცავი თუ არა წერილის სტრუქტურა? **(ტექსტი)**;
- რამდენად შეძელი საჭირო ლექსიკისა და გრამატიკის გამოყენება წერილის შექმნისას? მისი წარდგენისას? რატომ?
- რამდენად შეძელი საჭირო ენობრივი კონტრუქციების მიზნობრივად / ფუნქციურად გამოყენება? რატომ? **(ენობრივ-გამომსახ. საშუალება; სამეტყ. ქმედება)**.
- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა?

- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

## შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიის მიხედვით

**კომპლექსური დავალება N2**

**მისწერე წერილი ჯუდის, ესაუბრე რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი; რა არის შენი ყველაზე დიდი ოცნება; რა გზით გსურს ამ ოცნების ასრულება.**

| კრიტერიუმი/ სამიზნე ცნება | სამეტყველო ქმედება | ტექსტი | ენობრივ-გრამატიკული საშუალებები |
|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე** მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; წარმატებული კომუნიკაციისთვის მყისიერად იღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებებს სტრატეგიების შეცვლის ჩათვლით. მოსწავლეს | შემოქმედებითად იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს წერილის შესაქმნელად. შეუძლია ჟანრის მახასიათებლების თავისუფალი გამოყენება. შეუძლია მოცემული ტექსტისა და მოსასმენი მასალის გათვალისწინებით, | მოსწავლე ზეპირი და წერითი მეტყველებისას დაუბრკოლებლად იყენებს შეთავაზებულ ზმნის ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს. შეუძლია ზმნის პირიანი და საწყისი ფორმების განსაზღვრა, წინადადებების სწორად აგება და |

| | | | |
|---|---|---|---|
| | შეუძლია მოცემული ტექსტისა და მოსასმენი მასალის გათვალისწინებით, შექმნას წერილი, რომლის ადრესატიც იქნება პერსონაჟი და ეფექტურად ისაუბროს საკუთარ ოცნებებსა და მისი განხორციელების გზებზე. | მისწეროს წერილი პერსონაჟს და ეფექტურად გადმოსცეს საკუთარი ოცნებები და განხორციელების გზები. | მათი მართებულად გამოყენება. |
| **მიმართებითი დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; წარმატებული კომუნიკაციისთვის ზოგჯერ ვერ ახერხებს სტრატეგიების შეცვლას სიტუაციისდა მიხედვით. შეუძლია | საფუძვლიანად აცნობიერებს ჟანრობრივ მახასიათებლებს ტექსტისთვის. შეუძლია კითხვის დასმა, არგუმენტირება.<br><br>შეუძლია მოცემული ტექსტისა და მოსასმენი მასალის გათვალისწინებით, მისწეროს წერილი | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს, ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს.<br><br>შეუძლია ზმნის პირიანი და საწყისი ფორმების განსაზღვრა, წინადადებების |

| | | | |
|---|---|---|---|
| | მოცემული ტექსტისა და მოსასმენი მასალის გათვალისწინებით, შექმნას წერილი, რომლის ადრესატიც იქნება პერსონაჟი და ისაუბროს საკუთარ ოცნებებსა და მისი განხორციელების გზებზე. | პერსონაჟს და გადმოსცეს საკუთარი ოცნებები და განხორციელების გზები. | სწორად აგება. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გარეშე. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებზე, ადგილსა და დროზე კონცენტრირება. თუმცა ერთი კომპონენტის შეცვლის შემთხვევაში ვერ ახერხებს სხვა კომპონენტის მოდიფიცირებას.<br>შეუძლია შექმნას | შეუძლია ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებში. შეუძლია ჩამოთვალოს წერილის შემადგენელი ნაწილები, შეადგინოს გეგმა.<br>შეუძლია მისწეროს წერილი პერსონაჟს და გადმოსცეს საკუთარი | მოსწავლე ზეპირი და წერითი მეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციების უმეტესობას. წერილის წერის დროს შეუძლია ზმნის პირიანი და საწყისი ფორმების განსაზღვრა, წინადადებების სწორად აგება, მაგრამ უშვებს მცირე |

| | | | |
|---|---|---|---|
| | წერილი, რომლის ადრესატიც იქნება პერსონაჟი და ისაუბროს საკუთარ ოცნებებზე, მაგრამ უჭირს საუბარი მისი განხორციელების გზებზე. | ოცნებები, მაგრამ უჭირს წერა მისი განხორციელების გზებზე. | შეცდომებს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია შეკითვების ფარგლებში წარმოაჩინოს შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული ცოდნა. შეუძლია შექმნას წერილი, რომლის ადრესატიც იქნება პერსონაჟი და რამდენიმე წინადადებით ისაუბროს საკუთარ ოცნებებზე, თუმცა ვერ ახერხებს საუბარს მისი | შეუძლია კონკრეტული ტიპისა და ჟანრის ტექსტში ორიოდე ექსპლიციტური ინფორმაციის გაგება.<br>შეუძლია შექმნას წერილი, რომლის ადრესატიც იქნება პერსონაჟი და რამდენიმე წინადადებით დაწეროს და ისაუბროს საკუთარი ოცნებების შესახებ, თუმცა ვერ ახერხებს წერას მისი განხორციელების | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციებიდან მხოლოდ ორიოდე ფორმას. შეუძლია მარტივი ინსტრუქციის შესრულება.<br>წერილის წერის დროს შეუძლია ზმნის პირიანი და საწყისი ფორმების განსაზღვრა, მაგრამ უშვებს შეცდომებს წინადადებების |

| | | | |
|---|---|---|---|
| | განხორციელების გზებზე. | გზებზე. | აგების დროს. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითს ან იყენებს არარაელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. |

**შუალედური სასწავლო მიზანი - 3**

| |
|---|
| **თემა: ჩემი ცხოვრების ერთი ეპიზოდი**<br><br>**კომპლექსური დავალების თემა:** მნიშვნელოვანია თუ არა ჩემთვის სხვისი აზრი მაშინ, როდესაც ვირჩევ მოდას, მეგობარსა თუ მომავალ პროფესიას. იმსჯელე რატომ. („მრგვალი მაგიდის მოწყობა“) |
| **სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები**<br><br>**სამეტყველო ქმედება –** ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ **ლოგიკური კავშირების გამოხატვა** (მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა, მიზანი)<br><br>**ტექსტი –** მეტყველების ფუნქციური ტიპები – თხრობა, აღწერა, მსჯელობა.<br><br>**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები –** ლექსიკა: თინეიჯერი, დისკუსია, გემოვნება, ჩაცმულობა, გამომეტყველება, გარეგნობა, ვარცხნილობა... ომონიმები: მძიმე, წელი...<br><br>**გრამატიკა:** ზმნა და მიმღეობა. |
| **საკითხი: საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა დისკუსიის საშუალებით.** |

**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:**

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო საუბარი და საკუთარი შეხედულებების გადმოცემა? როგორ მოვახერხო ჩემ შესახებ ინფორმაციის საინტერესოდ გადმოცემა?
- რა ცოდნა და სტრატეგიები დამეხმარება საუბრის საინტერესოდ და არგუმენტირებულად წარსამართავად? საუბრის, დიალოგის, მსჯელობის რომელი მახასიათებლების ცოდნა დაგეხმარა სათქმელის ნათლად, მკაფიო, გასაგებად და არგუმენტირებულად გადმოცემაში?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო მიზნობრივად და მართებულად მეტყველებისათვის? რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა საკუთარი შეხედულებებისა და მოსაზრებების უკეთ გადმოსაცემად?

**კომპლექსური დავალება 1. კომპლექსური დავალების თემა: მნიშვნელოვანია თუ არა ჩემთვის სხვისი აზრი მაშინ, როდესაც ვირჩევ მოდას, მეგობარსა თუ მომავალ პროფესიას. იმსჯელე რატომ.** („მრგვალი მაგიდის მოწყობა“)

**დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:**

- საკომუნიკაციო მიზნების შესაბამისი მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური, გრაფიკულ-მაორგანიზებელი ელემენტების მართებული გამოყენება **(ტექსტი)**;
- ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის (*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები*) გათვალისწინებით (**სამეტყველო ქმედება).**
- ქართული ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის)* ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის; **(ენობრივ-გრამატიკული საშუალებები;).**

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)**

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

**აქტივობა 1.** წინარე ცოდნის გააქტიურება.
მოსწავლეები დააკვირდებიან სატიტულო გვერდზე მოცემულ ფოტოს და ისაუბრებენ კითხვების მიხედვით. ამგვარად წარმოდგენა შეექმნებათ ტექსტში წამოჭრილ პრობლემაზე. შემდეგ უპასუხებენ კითხვებს:

- რატომ არის მნიშვნელოვანი რომ შევძლოთ საკუთარი აზრის გადმოცემა/დასაბუთება?

- ფიქრობთ, თუ არა, რომ საკუთარი აზრის გადმოსაცემად საჭიროა მსმენელთა აუდიტორიის გათვალისწინება? რატომ?
- თქვენი აზრით, საკუთარი აზრის გადმოცემის დროს, მნიშვნელოვანია თუ არა არგუმენტების მოხმობა? რატომ?
- გაიხსენეთ სიტუაცია, როდესაც დაგჭირდათ საკუთარი აზრის გამოხატვა და დასაბუთება.

**აქტივობა 2.** დავალების მოთხოვნების გააზრება.

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რას უნდა მიაქციო ყურადღება როცა შენს აზრს გადმოსცემ?
- როგორ უნდა დაიწყო საუბარი, რომ მსმენელი დააინტერესო?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება?
- რის შესწავლა დაგვჭირდება?
- რა გაგიადვილდება? რა გაგიძნელდება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1. რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო / დამჭირდება დავალების შესასრულებლად?**

**საჭირო ენობრივი საკითხები:**

**ზმნა და მიმღეობა**

**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

დამატებითი რესურსი:

**აქტივობები:**
ტექსტის წაკითხვამდე მოსწავლეები შეასრულებენ აქტივობას „ჩემი წინადადება“.

## „ჩემი წინადადება“

მოსწავლეები სხედან წრეში. მასწავლებელი უსახელებს მათ იმ სათაურს „თინეიჯერი“, რომელზედაც მათ უნდა შექმნან ამბავი. პირველი მოსწავლე ამბობს პირველ წინადადებას, მეორე აგრძელებს და ა. შ. თითო მოსწავლეს მხოლოდ ერთი წინადადების თქმის უფლება აქვს. თუ ერთ წრეზე ისტორია არ დამთავრდება, პირველი მოსწავლე იწყებს მეორე წრეს მანამ, სანამ ისტორია დასრულებულ სახეს არ მიიღებს. მასწავლებელს შეუძლია, თავად თქვას პირველი წინადადება. ასე, ერთობლივად მოსწავლეები შექმნიან ტექსტს.

მოსწავლეები ემზადებიან ტექსტის წასაკითხად:

რას მეუბნება პირველადი მინიშნებები (მაგ., სათაური, ილუსტრაცია) ტექსტის შესახებ? რით უკავშირდება ისინი ჩემს ცოდნას? რას მეუბნება ტექსტი? როგორ გამოვიყენო მინიშნებები იმის გასაგებად, თუ რეალურად რის შესახებ არის ტექსტი?

ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით;

მასწავლებელი საჩვენებელი და კომენტირებული კითხვის გამოყენებით აცნობს ტექსტს მოსწავლეებს.

**ლექსიკონის შედგენა** - მოსწავლეები ახლად ნასწავლ სიტყვებს შეიტანენ რვეულებში და თითოეულისათვის შეავსებენ სქემას შემდეგი რუბრიკებით:

- განმარტება,
- სინონიმი/ანტონიმი;
- მაგალითი/ასოციაცია;
- სიტყვა წინადადებაში.

ლექსიკური მარაგის გამდიდრების მიზნით, მოსწავლის რვეულში ასრულებენ სავ. N 1-ს, 2-სა და 3-ს.

ტექსტის გაგება-გააზრების დონის გასარკვევად მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს:

1. ვინ არის ამბის მთხრობელი?
2. რა პროფესიისაა ანის დედა? დაიმოწმეთ ტექსტი.
3. რის გამო გააჟრჟოლა ანის დედას?
4. რა უხარია ანის განსაკუთრებით? ახსენით ამის მიზეზი.

5. როგორ აფასებს დედა თავისი ქალიშვილის ჩაცმულობას? წაიკითხე შესაბამისი წინადადება.
6. შენი აზრით, რატომ წუხს ანის დედა თავისი შვილის ჩაცმულობაზე: იმიტომ, რომ ადარდებს, სხვები რას იტყვიან თუ თავად არ მოსწონს?
7. სახლიდან გამოსული ანი მალულად მაინც იკეთებს „აკრძალულ“ ქამარს. როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა ანის ამგვარი ქმედება?
8. ანის შეფასებით, რამ შეუწყო ხელი თინეიჯერის ჩაცმულობის სტილისა და გემოვნების ჩამოყალიბებას?
9. რა პრობლემაა წამოჭრილი ნაწარმოების მოცემულ ეპიზოდში?
10. რას ურჩევდი ანის? ანის დედას?
11. შენი აზრით, რა არის მოცემული ნაწყვეტის მთავარი სათქმელი? რატომ ფიქრობ ასე?

მოსწავლეები ავსებენ **თხრობის რუკას** და მასზე დაყრდნობით ზეპირად გადმოსცემენ ტექსტში მოთხრობილ ამბავს.

<table>
<tr><td colspan="2">მთავარი პერსონაჟები:<br><br><br>სხვა პერსონაჟები:</td><td colspan="2">მოქმედების დრო და ადგილი:</td></tr>
<tr><td>რა მოხდა დასაწყისში ⇒</td><td colspan="2">შემდეგ რა მოხდა? ⇒</td><td>რით დასრულდა ამბავი?</td></tr>
<tr><td>„ერთხელ...</td><td colspan="2">„ამის შემდეგ...</td><td>„ბოლოს...</td></tr>
</table>

მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებებს, რომლებშიც გამოყენებულია ომონიმები. სთხოვს მოსწავლეებს დააკვირდნენ და ისაუბრონ, როგორ სიტყვებს ეწოდებათ ომონიმები. სთხოვს წიგნში შეასრულონ შესაბამისი დავალება (გვ 26). შემდეგ რვეულში

შეასრულებენ სავ. N 4.

განვლილი გრამატიკული მასალის გამეორება-განმტკიცების მიზნით რვეულში წერენ სავ. N 5-ს.

მოსწავლეები აკვირდებიან გვერდზე მოცემულ ფოტოებს, რომლებზეც გამოსახულნი არიან ცნობილი დიზაინერები. არკვევენ რომელი სფეროს წარმომადგენლები არიან ეს პიროვნებები. მოისმენენ მოსასმენ N 1-ს: „კოკო შანელი“ და შეასრულებენ სავარჯიშო N 6-ს. პასუხობენ კითხვებს (გვ 25), შემდეგ მუშაობენ ჯგუფურად.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ მოსწავლის წიგნში მოცემულ გზამკვლევს: ზმნა და მიმღეობა. დააკვირდებიან წიგნში მოცემულ ცხრილს, ისაუბრებენ რა მსგავსება-განსხვავებაა ზმნას, საწყისსა და მიმღეობას შორის. რვეულში წერენ სავარჯიშოებს N 7, 8, 9, 10. სანამ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას დაიწყებენ, ასრულებენ დავალებებს: N 11-სა და N 12-ს.

**კომპლექსური დავალება 3**

მოსწავლეები მუშაობენ კომპლექსურ დავალებაზე: **„მრგვალი მაგიდის მოწყობა“.**

**კომპლექსური დავალების პირობა:** მნიშვნელოვანია თუ არა ჩემთვის სხვისი აზრი მაშინ, როდესაც ვირჩევ მოდას, მეგობარსა თუ მომავალ პროფესიას. იმსჯელე რატომ.

**დავალებაზე მუშაობისას:**

სამუშაოს დაწყებამდე დაფიქრდი დავალების შესრულების ეტაპებზე და რომელ სტრატეგიებს გამოიყენებ ამისათვის (გაითვალისწინე: დისკუსიის წარმართვის წესები, არგუმენტების მოხმობა, შეკითხვების მომზადება, არგუმენტირებული მსჯელობისთვის სათანადო ლექსიკის გამოყენება, რეგლამენტის დაცვა...).

თვალსაზრისის გამოხატვისას გამოიყენე სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები (ჩემი აზრით, ვფიქრობ, რომ..., მგონი).

**დავალების წარდგენის შემდეგ:**

- აღწერე და შეაფასე შენ მიერ გავლილი ეტაპები: სწორად დაგეგმე თუ არა;
- როდის რა გააკეთე და რატომ;
- რა სტრატეგიები გამოიყენე;
- რამ იმუშავა და რამ - ვერა;
- რა გაგიჭირდა და რა გაგიადვილდა;
- რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე დავალების შესრულებას და რატომ.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ საუბრის და აზრის არგუმენტირებულად გადმოსაცემად?<br>• სად/როგორ გამოიყენებთ მიმღეობას?<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |

***ნაბიჯი 2.  როგორ მოვახერხო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადაჭრა? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამისთვის? როგორ დამეხმარება ნასწავლი ენობრივი საშუალებები და გამოყენებული სტრატეგიები ამაში?***

***რესურსები და აქტივობები***

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

**აქტივობები:**
**აქტივობა 1.** წასაკითხი ტექსტის/ინფორმაციის გაგება/გააზრება (საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა)
მოსწავლეები პერსონაჟის ქცევის შესახებ. ისაუბრებენ, თავად როგორ მოიქცეოდნენ მათ ადგილას რომ ყოფილიყვნენ.

**აქტივობა 2.** მოსწავლეები გადმოსცემენ საკუთარ აზრს და შეეცდებიან დაასაბუთონ.
**აქტივობა 3.** მოსწავლეები იმსჯელებენ, საჭიროა თუ არა საკუთარი მოსაზრების დაცვა და რატომ?

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ მოემზადებით წასაკითხი ტექსტების გასაგებად?<br>• რა ხერხებს გამოიყენებთ მათ გაცნობამდე? მათი გაცნობისას?<br>• კითხვები ტექსტის გაგება/გააზრებისათვის (ვინ არიან თანამოსაუბრეები ერთმანეთისთვის, რა არის მათი საუბრის თემა, სად მიმდინარეობს დიალოგი)<br>• როგორ/რა ენობრივი საშუალებებით წარმოაჩენთ თქვენს დამოკიდებულებას, რჩევას? როგორ გამოხატავთ და დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას?<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? |

***ნაბიჯი 3. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო მრგვალი მაგიდის მოსაწყობად?***
***რესურსები და აქტივობები:***
**რესურსი 1.**
შეფასების კრიტერიუმების ბადე.

| კრიტერიუმები | კარგია | გასაუმჯობესებელია |
|---|---|---|
| **თანმიმდევრულად გადმოსცემს საკუთარ შეხედულებას** | | |
| **თავის მოსაზრებას ამყარებს შესაბამისი არგუმენტით** | | |
| **ჩანს ავტორის დამოუკიდებელი აზროვნება** | | |
| **დაცულია ენობრივი გამართულობა** | | |

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • რა ცოდნა-გამოცდილება მჭირდება საუბრის დროს?<br>• როგორ გადმოვცე საკუთარი აზრი თანამიმდევრულად, გარკვევით და გასაგებად?<br>• როგორ გამოვიყენო ნასწავლი ლექსიკური და ენობრივი მასალა აზრის გადმოცემისა და არგუმენტირების დროს?<br>• რამდენად გამოგადგებათ მიღებული ცოდნა-გამოცდილება ცხოვრებაში? |

**კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ).** ***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.***

- შეძელი თუ არა საკუთარი აზრის თანმიმდევრულად გადმოცემა? **(ტექსტი)**;
- რამდენად შეძელი საჭირო ლექსიკისა და გრამატიკის გამოყენება საუბრის დროს? არგუმენტირების დროს?
- რამდენად შეძელი საჭირო ენობრივი კონტრუქციების მიზნობრივად / ფუნქციურად გამოყენება? რატომ? **(ენობრივ-გამომსახ. საშუალება; სამეტყ. ქმედება)**.
- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წაააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

## შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიის მიხედვით

**კომპლექსური დავალება N3**

მნიშვნელოვანია თუ არა ჩემთვის სხვისი აზრი მაშინ, როდესაც ვირჩევ მოდას, მეგობარსა თუ მომავალ პროფესიას. იმსჯელე რატომ.

| კრიტერიუმი/ სამიზნე ცნება | სამეტყველო ქმედება | ტექსტი | ენობრივ-გრამატიკული საშუალებები |
|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე** მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, საკითხი გააზრებულია და არგუმენტირებული, მსჯელობა თანამიმდევრულია და ლოგიკური. საუბრობს გაბმულად საკითხისა და დავალების ირგვლივ. ეფექტურად | შემოქმედებითად იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს. თავისუფლად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. მოსწავლეს შეუძლია წაკითხული და მოსმენილი ტექსტების შინაარსის გათვალისწინებით,არგუმენტირებუ | მოსწავლე დაუბრკოლებლად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს, ჟესტიკულაციას, |

| | | | |
|---|---|---|---|
| პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. | იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი. მოსწავლეს შეუძლია წაკითხული და მოსმენილი ტექსტების შინაარსის გათვალისწინებით,არგუმენტირებულად და ეფექტურად ისაუბროს საკუთარ შეხედულებებზე, ჩაცმის სტილზე, მეგობრებსა თუ მომავალ პროფესიაზე. | ლად და ეფექტურად ისაუბროს საკუთარ შეხედულებებზე, ჩაცმის სტილზე, მეგობრებსა თუ მომავალ პროფესიაზე. | ინტერვალს საუბარში და ა.შ.), ნასწავლ და შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. საუბრის დროს შეუძლია ზმნის პირიანი ფორმებისა და მიმღეობის განსაზღვრა, წინადადებების სწორად აგება. |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, საკითხი გააზრებულია და არგუმენტირებული, მოჰყავს ერთი არგუმენტი. საუბრობს გაბმულად საკითხისა და დავალების ირგვლივ მცირეოდენი შეცდომებით. იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს აქცენტი. მოსწავლეს შეუძლია წაკითხული და მოსმენილი ტექსტების შინაარსის გათვალისწინებით, ისაუბროს | დასმული საკითხის ირგვლივ შეუძლია სიღრმისეული გაგება-გააზრება დასკვნების გამოტანა. მოსწავლეს შეუძლია წაკითხული და მოსმენილი ტექსტების შინაარსის გათვალისწინებით, ისაუბროს საკუთარ შეხედულებებზე, ჩაცმის სტილზე, მეგობრებსა თუ მომავალ პროფესიაზე. | მოსწავლე იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს, ჟესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში და ა.შ.), ნასწავლ და შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | საკუთარ შეხედულებებზე, ჩაცმის სტილზე, მეგობრებსა თუ მომავალ პროფესიაზე. | | კონსტრუქციების უმეტესობას. საუბრის დროს შეუძლია ზმნის პირიანი ფორმებისა და მიმღეობის განსაზღვრა, წინადადებების სწორად აგება.<br><br>უშვებს მცირე შეცდომებს. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გარეშე. | მოსწავლეს მოკლე ფრაზებით შეუძლია წაკითხული და მოსმენილი ტექსტების შინაარსის გათვალისწინებით, ისაუბროს საკუთარ შეხედულებებზე, ჩაცმის სტილზე, მეგობრებსა თუ მომავალ პროფესიაზე შეცდომებითა და აქცენტით.. | შეუძლია ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა ტექსტში. შეუძლია ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგება. შეუძლია მოკლე ფრაზებით ისაუბროს საკუთარ შეხედულებებზე, ჩაცმის სტილზე, მეგობრებსა თუ მომავალ პროფესიაზე შეცდომებითა და აქცენტით.. | მოსწავლე საკმაო რაოდენობის შეცდომებით ახერხებს აზრის გადმოცემას.<br><br>საუბრის დროს შეუძლია ზმნის პირიანი ფორმებისა და მიმღეობის განსაზღვრა, წინადადებების აგება, თუმცა უშვებს შეცდომებს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **უნისტრუქტურული დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვით საკუთარი შეხედულებების გადმოცემა. | შეუძლია კონკრეტული ტიპისა და ჟანრის ტექსტში ორიოდე ექსპლიციტური ინფორმაციის გაგება, საკუთარი შეხედულებების გადმოცემა რამდენიმე სიტყვით. | მოსწავლე ზეპირი და წერითი მეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციებიდ ან მხოლოდ ორიოდე ფორმას, მრავლადაა შეცდომები. ზმნის პირიანი ფორმებისა და მიმღეობის განსაზღვრისას უშვებს შეცდომებს, უჭირს წინადადებების აგება. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br><br>მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითს ან იყენებს არარაელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. |

# თემატური მატრიცის თავფურცელი

**თემის სახელწოდება:** **წარმატების საიდუმლო**

**საათების სავარაუდო რაოდენობა: მასწავლებელი განსაზღვრავს კლასის საჭიროებებისა და მოსწავლეთა უნარების მიხედვით.**

**ძირითადი რესურსი:** მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები**

**წარმოსახვითი ინტერვიუსთვის კითხვა-პასუხის მოსამზადებლად მნიშვნელოვანია სათანადო ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენება.**

**პოსტერის მოსამზადებლად და მასში სათანადო ინფორმაციის წარმოსაჩენად, საჭიროა პოსტერის ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება.**

**საჭირო ლექსიკისა და გრამატიკული მასალის ცოდნა და მისი მიზნობრივი გამოყენება მნიშვნელოვანია სამეტყველო ქმედებების განხორციელებისთვის.**

**სამეტყველო ქმედება**

**მკვიდრი წარმოდგენები**

- სამეტყველო ქმედებები *(მაგ., ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში - თხოვნა, შეთავაზება..., საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება, დროსა და სივრცეში ორიენტირება, პოზიციის გამოხატვა, ახსნა და დასაბუთება და ა.შ.)* ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით (მაგ., *ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამოხატვა ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით* და ა.შ.);
- ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (მაგ., *თავაზიანი თუ ფამილარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.).*

**ტექსტი**

***მკვიდრი წარმოდგენები:***

- არსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / არამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, კორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი და წერილობითი ტექსტი;
- ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის შესაქმნელად;

ტექსტის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და არასიტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია*) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება.

**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები**

***მკვიდრი წარმოდგენები:***

- ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს;
- ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის დასაუფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური ასოები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები*, *ქართული ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, სხვადასხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა* და ა.შ.);

ქართული ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის*) ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის;

**კულტურათა დიალოგი**

***<u>მკვიდრი წარმოდგენები:</u>***

- ქართული ენის შესწავლისას ალმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროს შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებას (მაგ., *თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას*);

განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება გვეხმარება მშობლიური ენისა და კულტურის

| უკეთ გაცნობიერებაში. | | |
|---|---|---|
| **სამიზნე ცნებები** | **საკითხი 1**<br><br>**წარმოსახვითი ინტერვიუსთვის კითხვა-პასუხის ჩაწერა** | **საკითხი 2**<br><br>**პოსტერის მომზადება ბიოგრაფიული დეტალების გათვალისწინებით და წარდგენა** |
| **სამეტყველო ქმედება** | **ქვეცნება:**<br><br>**ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში;**<br><br>**ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად.**<br><br>**ქვესაკითხები:** კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, წარდგენა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, წახალისება/შექება, კეთილი სურვილების /თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მობოდიშება;<br>პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის ხასიათი / თვისებები; გარემოს, საქმიანობის / მოვლენის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (ჰობი და ინტერესები, საქმიანობა, ჯანმრთელობა, შეგრძნებები, გეგმები/განზრახვა და ა.შ.); | **ქვეცნება:**<br><br>**ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად.**<br><br>**ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ:**<br><br>**ქვესაკითხები:** პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის ხასიათი / თვისებები; გარემოს, საქმიანობის / მოვლენის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (ჰობი და ინტერესები, საქმიანობა, ჯანმრთელობა, შეგრძნებები, გეგმები/განზრახვა და ა.შ.);<br>დროის მითითება (საათის / დღის / კვირის / თვის / წლის), მოქმედების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის განსაზღვრა (ჯერ / შემდეგ), ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება. |

| | | |
|---|---|---|
| **ტექსტი** | **ქვეცნება:** მეტყველების ტიპი; სიტუაციური მახასიათებლები.<br><br>**ქვესაკითხები:** კომუნიკაციის მიზანი - *ინტერვიუს ჩაწერა*, ადრესატი - *წარმატებული ადამიანი.*<br><br>ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება (ინტერვიუ); | **ქვეცნება:**<br><br>ტექსტის ჟანრი;<br><br>ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური<br><br>ელემენტები; ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები<br><br>**ქვესაკითხები:**<br><br>ბიოგრაფიული ტექსტი;<br><br>*სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა, შემოკლებული სიტყვები;*<br><br>*ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, ცხრილი, ტიპოგრაფიულ მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი.* |
| **ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** | **ქვესაკითხები:**<br><br><u>ლექსიკა:</u> შესაბამისი დარგობრივი და პროფესიული ლექსიკა: ინტერვიუ, ინტერვიუერი, კითხვითი სიტყვები...<br><br><u>გრამატიკა:</u> აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი.<br><br>ენობრივი კონსტრუქციები: პასუხი კითხვებზე: რას შვრება? რას | **ლექსიკა;**<br><br>**გრამატიკა.**<br><br>ნასწავლი თემატური ლექსიკა: მწერალი, ეგზემპლარი, წარმატება, ტირაჟი, გამომცემლობა, პოპულარული, მომგებიანი, დამფუძნებელი, სახელგანთქმული და სხვა.<br><br>გრამატიკა - წევრკავშირების ხმარება რთულ წინადადებაში. |

| | | |
|---|---|---|
| | შვრებოდა? რას შვრებოდეს?<br><br>მაგ. გიორგი ხატავს, გიორგი ხატავდა, გიორგი ხატავდეს. | ენობრივი კონსტრუქციები: ფილმი, რომელშიც; ქვეყანა, სადაც. |
| **კულტურათა დიალოგი** | | **ქვეცნება:**<br><br>სოციოკულტურული რეალიები<br><br>**ქვესაკითხები:**<br><br>საკუთარი სოციოკულტურული გარემოს გაცნობა; კულტურათა დიალოგისთვის ხელის შეწყობა. |
| | **კომპლექსური დავალება 1**<br><br>**წარმოსახვითი ინტერვიუ ცნობილ პიროვნებასთან.** | **კომპლექსური დავალება 2**<br><br>**მოიძიე ინფორმაცია წარმატებული ადამიანის შესახებ და მოამზადე პოსტერი.** |

## შუალედური სასწავლო მიზანი - 1

**თემა: წარმატების საიდუმლო**

**კომპლექსური დავალების თემა: წარმოსახვითი ინტერვიუ ცნობილ პიროვნებასთან**

**სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები**

**სამეტყველო ქმედება -** ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად.

**ტექსტი** - ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება (ინტერვიუ);

**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები -** ლექსიკა: შესაბამისი დარგობრივი ლექსიკა: ინტერვიუ, ინტერვიუერი, კითხვითი სიტყვები, პროფესიული ლექსიკა... გრამატიკა: აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი.

**საკითხი: წარმოსახვითი ინტერვიუსთვის კითხვა-პასუხის ჩაწერა.**

**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:**

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო საუბარი ცნობილ პიროვნებასთან? როგორ მოვახერხო მის შესახებ საინტერესო ინფორმაციის მოპოვება?
- რა ცოდნა და სტრატეგიები დამეხმარება დიალოგის საინტერესოდ წარსამართავად? როგორ დაგეხმარათ ინტერვიუს სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა ამაში?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო მიზნობრივად და მართებულად წერისა და მეტყველებისათვის? რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა ინტერვიუს ჩასაწერად?

**კომპლექსური დავალება 1.  წარმოსახვითი ინტერვიუ ცნობილ პიროვნებასთან.**

**დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:**

- საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო ქმედებების განხორციელება ვერბალური და არავერბალური ენის გამოყენებით; ზეპირი და წერითი მეტყველების სათანადო სტრატეგიების გამოყენება მიღწევების გასაუმჯობესებლად **(სამეტყველო ქმედება)**
- ინტერვიუს სტრუქტურის ცოდნა და საკომუნიკაციო მიზნების შესაბამისი მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური, გრაფიკულ-მაორგანიზებელი ელემენტების მართებული გამოყენება **(ტექსტი)**;
- შესაბამისი გრამატიკული ცოდნა და ნასწავლი ლექსიკის მართებული გამოყენება **(ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; სამეტყველო ქმედება).**
- განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება გვეხმარება მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში. **(კულტურათა დიალოგი).**

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)**

**ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** წინარე ცოდნის გააქტიურება.

- რა არის ინტერვიუ და რა ფუნქცია აქვს მას?
- ფიქრობთ, თუ არა, რომ ინტერვიუს დასაწერად საჭიროა ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება? რატომ?
- თქვენი აზრით, რა არის საჭირო ინტერვიუს ჩასაწერად?
- აგილიათ/ჩაგიწერიათ თუ არა ინტერვიუ? როდის, რატომ და რა მიზნით?
- როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო წარმატების მისაღწევად?
- თქვენი აზრით, წარმატების მისაღწევად საჭიროა თუ არა სწავლა?

**აქტივობა 2.** დავალების მოთხოვნების გააზრება.

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რას უნდა მიაქციო ყურადღება ინტერვიუზე მუშაობისას?
- რაზე უნდა ისაუბრო ინტერვიუს დროს?

- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება?
- რის შესწავლა დაგვჭირდება?
- რა გაგიადვილდება? რა გაგიძნელდება? რაში დაგჭირდება  დახმარება?

**ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1. რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო / დამჭირდება დავალების შესასრულებლად?**

**საჭირო ენობრივი საკითხები:**

აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი

**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

**აქტივობები:**
მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ილია ჭავჭავაძის ფრაზას: „ცოდნა იმისთანა სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუნაწილო, შენ არაფერი დაგაკლდება, თუ არ მოგემატება.“ მოსწავლეები გაიაზრებენ ილიას შეხედულებას ცოდნაზე და მსჯელობენ თემაზე: ,,ცოდნა - წარმატების უმთავრესი გზა“.

მოსწავლეები გაეცნობიან ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებს: ,,ცოდნა სინათლეა“. დაამუშავებენ ახალ ლექსიკურ ერთეულებს, უპასუხებენ კითხვებს და რვეულში დაწერენ სავ. N 1-ს.

მოსწავლეები შეისწავლიან ნაწყვეტს დავით გურამიშვილის პოემიდან. კომენტირებული და ორიენტირებული კითხვის გამოყენებით ეცნობიან ტექსტს. მუშაობენ ახალ ლექსიკურ ერთეულებზე. პასუხობენ კითხვებს. დაუკავშირებენ შესწავლილ ტექსტებს ერთმანეთს.

მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას დავით გურამიშვილის ბიოგრაფიის შესახებ და რვეულში შეავსებენ ცხრილს. შემდეგ კი მოიფიქრებენ და ჩაწერენ კითხვებს, რომლებსაც დაუსვამდნენ ავტორს.

მასწავლებელი ცდილობს წინარე ცოდნის გააქტიურებას. მოსწავლეებს უსვამს კითხვებს: რა არის ინტერვიუ? ვინ არის რესპოდენტი? ვინ არის ინტერვიუერი? როგორი სტრუქტურა აქვს ინტერვიუს? თუ აუღიათ ვიმესგან ინტერვიუ? როდის? რატომ? რა მიზნით? ვისთან ისურვებდნენ ინტერვიუს ჩაწერას? რატომ? როგორ უნდა მოიძიონ ინფორმაცია სასურველი რესპოდენტის შესახებ? როგორ უნდა შეადგინონ კითხვები?
მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ინტერვიუს გივი შაჰნაზართან (მოსასმენი ტექსტი N 1).
მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს:

1. ვინ არის ინტერვიუერი?
2. ვინ არის რესპოდენტი?
3. რომელი პროფესიის წარმომადგენელია რესპოდენტი?
4. რა თემაზე საუბრობენ?
5. რა ინფორმაცია შეიტყვეს გივი შაჰნაზარის შესახებ?
6. რა რჩევებს იძლევა რესპოდენტი.

მოსწავლის რვეულში ასრულებენ სავარჯიშოს N 1.

მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს: „ინტერვიუ თვითნასწავლ მხატვართან“. ყურადღებას ამახვილებენ ინტერვიუს სტრუქტურაზე. ტექსტის წაკითხვის შემდეგ პასუხობენ კითხვებს. მსჯელობენ თავად რა კითხვებს დაუსვამდნენ რესპოდენტს ჟურნალისტის ადგილას რომ ყოფილიყვნენ. საუბრობენ თავიაანთ სამომავლო გეგმებსა და ინტერესებზე. მსჯელობენ, მათი აზრით, რა არის საჭირო წარმატების მისაღწევად. პასუხობენ კითხვას: ჟურნალისტები რომ იყოთ ვისგან აიღებდით ინტერვიუს? რატომ?

რვეულში წერენ სავარჯიშოებს N 1-სა და N 2-ს.

მოსწავლეები ეცნობიან გრამატიკის გზამკვლევში მოცემულ მასალას, აკვირდებიან ცხრილში მოცემულ სიტყვებს და მსჯელობენ მსგავსება-განსხვავებაზე. მათი დახმარებით ადგენენ წინადადებებს, რომლებსაც წერენ ფლიპჩარტზე და გამოაკრავენ კლასში თვალსაჩინოდ. საუბრობენ როგორ უნდა იქნეს გაგებული ზმნით გამოხატული მოქმედება. მასწავლებელი მოსწავლეებს დაეხმარება გრამატიკული მასალის გააზრებაში:

ზმნები, რომლებიც პასუხობენ კითხვაზე: რას ვშვრები? გამოხატავენ ახლანდელ დროს და ზმნით გამოხატული მოქმედება უნდა გავიგოთ, როგორც უეჭველი ფაქტი.

ზმნები, რომლებიც პასუხობენ კითხვაზე: რას ვშვრებოდი? გამოხატავენ წარსულ დროსა და მოქმედების მრავალგზისობას.

ზმნები, რომლებიც პასუხობენ კითხვაზე: რას ვშვრებოდე? მოქმედებას წარმოგვიდგენენ როგორც სასურველ-შესაძლებელს.

შემდეგ კი კითხულობენ წიგნში მოცემულ წინადადებებს და არკვევენ ზმნის მწკრივს.

მოსწავლის რვეულში ასრულებენ სავ. N 3-ს, N 4-სა და N 5-ს.

მოსწავლეები ემზადებიან წარმოსახვითი ინტერვიუს ჩასაწერად.

**კომპლექსური დავალების პირობა:**

მოიძიე წარმატებული ადამიანის ბიოგრაფია, მოამზადე კითხვები და ჩაწერე წარმოსახვითი ინტერვიუ. დასმულ კითხვებს პასუხიც თავად გაეცი.

**დავალებაზე მუშაობისას:**

სამუშაოს დაწყებამდე ყურადღებით გაეცანი ტექსტს. დაუკვირდი როგორი ტიპის შეკითხვებია დასმული. შეარჩიე შენთვის საინტერესო რესპოდენტი, შეისწავლე მისი ბიოგრაფია, რომელი პროფესიის წარმომადგენელია და ამის გათვალისწინებით მოამზადე კითხვები. დაფიქრდი დავალების შესრულების ეტაპებზე და რომელ სტრატეგიებს გამოიყენებ ამისათვის (გაითვალისწინე: წინასწარ მოიძიე ინფორმაცია შერჩეულ ცნობილ პიროვნებაზე, ჩამოწერე შეკითხვები, რომლებსაც დაუსვამ რესპონდენტს, შეკითხვების შედგენისას გამოიყენე კითხვითი სიტყვები, თავაზიანი ფორმები, მოიფიქრე და ჩაწერე სავარაუდო პასუხები).

**დავალების წარდგენის შემდეგ:**

- აღწერე და შეაფასე შენ მიერ გავლილი ეტაპები; სწორად დაგეგმე თუ არა;
- როდის რა გააკეთე და რატომ;
- რა სტრატეგიები გამოიყენე;

- რამ იმუშავა და რამ - ვერა;
- რა გაგიჭირდა და რა გაგიადვილდა;
- რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე დავალების შესრულებას და რატომ.
- როგორ გამოვიყენო სწორად ზმნის სხვადასხვა დროის ფორმები?

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ ინტერვიუს დასაწერად და მის წარსადგენად?<br>• სად/როგორ გამოიყენებთ ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირების სათანადო ბრუნვებს?<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |

***ნაბიჯი 2. როგორ მოვახერხო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადაჭრა-ინტერვიუს ჩაწერა? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამისთვის? რომელი ფორმატით წარვადგინო ჩემი ნამუშევარი კლასის წინაშე? როგორ დამეხმარება ნასწავლი ენობრივი საშუალებები და გამოყენებული სტრატეგიები ამაში?***

***რესურსები და აქტივობები***

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

**აქტივობები:**

**აქტივობა 1.** მოსასმენი / წასაკითხი ტექსტის/ინფორმაციის გაგება/გააზრება (საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა)
მოსწავლეები დაიყოფიან ჯგუფებად. გუგლის საძიებო სისტემის საშუალებით მოიძიებენ ინტერვიუს, მოისმენენ, დააკვირდებიან და
იმსჯელებენ, ვინ არის რესპოდენტი, ვინ არის ინტერვიუერი, რა თემაზეა, რა ინფორმაციას ვიგებთ, რა არის ჟურნალისტის მიზანი, რატომაა მოსმენილი ტექსტი ინტერვიუ, რომელ ჟანრობრივ მახასიათებლებს გამოყოფენ. ჩამოაყალიბებენ ინსტრუქციას, რომელიც უნდა გაითვალისწინონ ინტერვიუზე მუშაობის დროს. პრეზენტაციას წარადგენენ კლასის წინაშე.

**აქტივობა 2.** კონკრეტული სამეტყველო ქმედების განხორციელება საკომუნიკაციო სიტუაციების გათვალისწინებით. მოსწავლეები შეეცადონ გაითამაშონ დიალოგი. გაინაწილონ როლები. ერთი იყოს ჟურნალისტი, მეორე რესპოდენტი. მასწავლებელი ყურადღებით უსმენს, შეესაბამება თუ არა მათ მიერ წარმოდგენილი დიალოგი ინტერვიუს.
**აქტივობა 3. ინტერვიუს** ჟანრობლივი მახასიათებლების გათვალისწინებით ჩამოაყალიბე ინტერვიუს ჩასაწერად საჭირო საფეხურები.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ მოემზადებით მოსასმენი და წასაკითხი ტექსტების გასაგებად?<br>• რა ხერხებს გამოიყენებთ მათ გაცნობამდე? მათი გაცნობისას?<br>• კითხვები მოსასმენი ტექსტის გაგება/გააზრებისათვის.<br>• როგორ/რა ენობრივი საშუალებებით შეძლებთ ინტერვიუს ჩაწერას?<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? |

***ნაბიჯი 3. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ინტერვიუს შესაქმნელად? როგორ გამოვიყენო ინტერვიუს ჟანრობრივი მახასიათებლები ტექსტის შესაქმნელად.***

***რესურსები და აქტივობები:***

**რესურსი 1.** ნებისმიერი სატელევიზიო ინტერვიუ.

**რესურსი 2. ინტერვიუ**ს შეფასების კრიტერიუმების ბადე.

| კრიტერიუმები | კარგია | გასაუმჯობესებელია |
|---|---|---|
| დაცულია ეთიკური მხარე. | | |
| დასმულია საინტერესო შეკითხვები. ინტერვიუერი კარგად იცნობს ცნობილი ადამიანის ბიოგრაფიას. | | |
| ინტერვიუ გამდიდრებულია დეტალებით. | | |
| დაცულია ენობრივი გამართულობა. | | |

**აქტივობები:**

**აქტივობა 1**. წინარე ცოდნის გახსენება.

- მოსწავლეები ეცნობიან ცნობილი ადამიანების ისტორიებს.
- მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას ცნობილ ადამიანებზე.
- მოსწავლეები ამზადებენ კითხვებს ინტერვიუსთვის.

**აქტივობა 2. მუშაობა ინტერვიუს ჩასაწერად.**

- ცნობილი ადამიანების ისტორიების გაცნობა.
- ინფორმაციის მოძიება ცნობილ ადამიანებზე.
- ინტერვიუსთვის კითხვების მომზადება.
- კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად სათანადო ენობრივი ცოდნის მობილიზება;
- ტექსტის პირველადი ვერსიის შედგენა;
- შეფასების კრიტერიუმების ბადის მიხედვით პირველადი ვერსიის გაუმჯობესება **(რესურსი 1);**
- ტექსტის საბოლოო ვარიანტის შედგენა.

**რეკომენდაციები:**

- განსაზღვრეთ საკომუნიკაციო სიტუაცია (*ტექსტის მიზანი, ფორმატი, ადრესატი*);
- ტექსტის მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით შეარჩიეთ სტილი და ფორმა.

**აქტივობა 3.** ტექსტის პრეზენტაცია კლასის წინაშე

- პრეზენტაციის მოწყობა

**აქტივობა 3.** ინტერვიუს წარდგენა კლასის წინაშე:

- პრეზენტაციის დაგეგმვა (სად, როდის, როგორ);
- პრეზენტაციის მოწყობა

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • რამდენი კითხვისგან შედგება ინტერვიუ?<br>• რა სახის ინფორმაციის მიღება გვსურს?<br>• როგორ გამოიყენებთ ინტერვიუს თქვენი მიზნებისთვის?<br>• რამდენად გამოგადგებათ მიღებული ცოდნა-გამოცდილება დავალების შესრულებაში? |

**კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ).** ***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს.***

- დაიცავი თუ არა ინტერვიუს სტრუქტურა? **(ტექსტი)**;
- რამდენად შეძელი საჭირო ლექსიკისა და გრამატიკის გამოყენება ინტერვიუს შექმნისას? მისი წარდგენისას? რატომ?
- რამდენად შეძელი საჭირო ენობრივი კონტრუქციების მიზნობრივად / ფუნქციურად გამოყენება? რატომ? **(ენობრივ-გამომსახ. საშუალება; სამეტყ. ქმედება)**.
- რამდენად გამოგადგება ინტერვიუ სხვა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის, ცხოვრების სტილის, განსხვავებული ქცევის წესების გაცნობის დროს? **(კულტ. დიალოგი)**
- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წაააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

**შეფასების რუბრიკა**

**კომპლექსური დავალება N1**

წარმოსახვითი ინტერვიუ ცნობილ პიროვნებასთან.

| კრიტერიუმი/ სამიზნე ცნება | სამეტყველო ქმედება | ტექსტი | ენობრივ-გრამატიკული საშუალებები |
|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია გაბმულად საუბარი რესპოდენტთან ურთიერთობისას. იცავს ეთიკურ მხარეს. ეფექტურად იყენებს კითხვის დასმის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს | შემოქმედებითად იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს ინტერვიუს ჩასაწერად. მოიპოვებს ინფორმაციას რესპოდენტზე, ამხადებს კითხვებს, თავისუფლად აზუსტებს გაუგებარ დეტალებს, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას დაუბრკოლებლად იყენებს ინტერვიუს ჩასაწერად საჭირო ნასწავლ და შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | აქცენტი. | | |
| **მიმართებითი დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია გაბმულად საუბარი რესპოდენტთან ურთიერთობისას. იყენებს კითხვის დასმის სტრატეგიებს. შეუძლია გაბმული მეტყველება მცირე შეცდომებით და აქცენტით. | შემოქმედებითად იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს ინტერვიუს ჩასაწერად. მოიპოვებს ინფორმაციას რესპოდენტზე, ამხადებს კითხვებს, აზუსტებს გაუგებარ დეტალებს, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციების უმეტესობას. მცირე შეცდომებით ახერხებს კითხვების მომზადებას. ავლენს ინტერვიუს სტრუქტურის ცოდნას. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების | შეუძლია მოკლე ფრაზებით საუბარი, შეცდომებითა და აქცენტით. | შეუძლია ინტერვიუს მახასიათებლების ამოცნობა. შეუძლია ზედაპირული ინფორმაციის | მოსწავლე საკმაო რაოდენობის შეცდომებით ახერხებს ინტერვიუს დაწერას. თუმცა |

| | | | |
|---|---|---|---|
| გარეშე. | | აღქმა-გაგება. | ნაწერში ავლენს ინტერვიუს სტრუქტურის ცოდნას. |
| **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა. | შეუძლია კონკრეტული ტიპისა და ჟანრის ტექსტში ორიოდე ექსპლიციტური ინფორმაციის გაგება. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციებიდან მხოლოდ ორიოდე ფორმას, მრავლადაა შეცდომები. |
| **პრე-სტრუქტურული დონე** მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითს ან იყენებს არარაელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. |

## შუალედური სასწავლო მიზანი - 2

**თემა: წარმატების საიდუმლო**

**კომპლექსური დავალების თემა:** მოიძიე ინფორმაცია წარმატებული ადამიანის შესახებ, მოამზადე პოსტერი შენთვის მოსახერხებელი ფორმატით (Power Point-ის პრეზენტაცია, ქაღალდი, ფანქრები, Canva) და პრეზენტაცია წარადგინე კლასის წინაშე.

**სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები**

**სამეტყველო ქმედება** - ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად.

**ტექსტი** - ტექსტის ჟანრი;

ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები;

ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები;

**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** - ნასწავლი თემატური ლექსიკა: მწერალი, ეგზემპლარი, წარმატება, ტირაჟი, გამომცემლობა, პოპულარული, მომგებიანი, დამფუძნებელი, სახელგანთქმული და სხვა.

გრამატიკა - წევრკავშირების ხმარება რთულ წინადადებაში.

**კულტურათა დიალოგი** - სოციოკულტურული რეალიები.

**საკითხი: პოსტერის მომზადება ბიოგრაფიული დეტალების გათვალისწინებით და წარდგენა.**

**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:**

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო ინფორმაციის მოპოვება/დამუშავება; როგორ მოვახერხო ინფორმაციის დახარისხება: მთავარისა და მეორეხარისხოვანის გამოყოფა?
- რა ცოდნა და სტრატეგიები დამეხმარება პოსტერის შესაქმნელად? როგორ დაგეხმარათ პოსტერის სტრუქტურული

მახასიათებლების ცოდნა ამაში?

- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო მიზნობრივად და მართებულად წერისა და მეტყველებისათვის? რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა ინფორმაციის მოსაძიებლად და პოსტერის შესაქმნელად?

**კომპლექსური დავალება 1.** მოიძიე ინფორმაცია წარმატებული ადამიანის შესახებ, მოამზადე პოსტერი შენთვის მოსახერხებელი ფორმატით (Power Point-ის პრეზენტაცია, ქაღალდი, ფანქრები, Canva) და პრეზენტაცია წარადგინე კლასის წინაშე.

**დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:**

- საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო ქმედებების განხორციელება ვერბალური და არავერბალური ენის გამოყენებით; ზეპირი და წერითი მეტყველების სათანადო სტრატეგიების გამოყენება მიღწევების გასაუმჯობესებლად **(სამეტყველო ქმედება)**
- პოსტერის სტრუქტურის ცოდნა და საკომუნიკაციო მიზნების შესაბამისი მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური, გრაფიკულ-მაორგანიზებელი ელემენტების მართებული გამოყენება **(ტექსტი)**;
- შესაბამისი გრამატიკული ცოდნა და ნასწავლი ლექსიკის მართებული გამოყენება **(ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; სამეტყველო ქმედება)**.
- განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება გვეხმარება მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში **(კულტურათა დიალოგი)**.

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)**

**ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** წინარე ცოდნის გააქტიურება.

- რა არის პოსტერი და რა ფუნქცია აქვს მას?
- ფიქრობ, თუ არა, რომ პოსტერის დასაწერად საჭიროა ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება? რატომ?
- შეგიქმნია თუ არა პოსტერი და როდის, რატომ და რა მიზნით?

**აქტივობა 2.** დავალების მოთხოვნების გააზრება.

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რას უნდა მიაქციო ყურადღება პოსტერზე მუშაობისას?
- რაზე უნდა ისაუბრო პრეზენტაციის დროს?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება?
- რის შესწავლა დაგვჭირდება?
- რა გაგიადვილდება? რა გაგიძნელდება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1. რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო / დამჭირდება დავალების შესასრულებლად?**

**საჭირო ენობრივი საკითხები:**

**წევრკავშირები რთულ წინადადებებში**
**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

დამატებითი რესურსი: http://mastsavlebeli.ge/?p=7931 - როგორ შევქმნათ პოსტერი

**აქტივობები:**

წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს: „დიანა ანფიმიადი“. უსმენენ მოსასმენ N 2-ს https://www.youtube.com/watch?v=T0-lOL-liwM&t=44s შემდეგ წყვილებში ავსებენ სქემას: ვიცი, გავიგე, მინდა გავიგო. მოსწავლეები მუშაობენ ლექსიკაზე. რვეულში წერენ სავარჯიშოებს N 1-ს, 2-სა და 3-ს. შემდეგ წერენ სავ. N 4-სა და N 5-ს. მოსწავლეები გაითამაშებენ დიალოგს. ერთი დასვამს კითხვებს, მეორე კი ნასწავლი და მოსმენილი ტექსტიდან გამომდინარე, უპასუხებს კითხვებზე. მოსწავლეები დააკვირდებიან სოციოკულტურულ გარემოს და აღმოაჩენენ მსგავსება-განსხვავებას.

**ჯოან როულინგი**

ტექსტის წაკითხვამდე:

დააკვირდი მოცემულ ილუსტრაციებს. თუ იცი რომელი ფილმიდანაა? რა იცი მის შესახებ? ვინ არის ჯოან როულინგი? თუ გსმენია, როგორ მიაღწია წარმატებას? ისაუბრე, რა იცი ჰარი პოტერის შესახებ? თუ წაგიკითხავს ეს წიგნი ან გინახავს ფილმი? გადმოეცი შენი შთაბეჭდილებები.

წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ, მოსწავლეები ეცნობიან საინფორმაციო ტექსტს „ჯოან როულინგი“. მოსწავლეები მუშაობენ ლექსიკაზე. რვეულში წერენ სავარჯიშოებს N 1-სა და 2-ს.
ტექსტის დამუშავების შემდეგ პასუხობენ კითხვებს. მსჯელობენ რატომაა, მათი აზრით, ჯოან როულინგის წიგნები ასეთი პოპულარული. რა უნდა გააკეთო წარმატების მისაღწევად.

https://www.youtube.com/watch?v=EZ73IC22xt8

მოსწავლეები უყურე ვიდეოსიუჟეტს (მოსასმენი N 3) და შეავსებენ ვენის დიაგრამას (სავ. N 3-ს).

**ალფრედ ნობელი**

წაკითხვამდე მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს:

თუ იცი ვინ არის ალფრედ ნობელი? რითი გაითქვა მან სახელი? ვინ გამოიგონა დინამიტი?

წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ, მოსწავლეები ეცნობიან საინფორმაციო ტექსტს „ალფრედ ნობელი“. მოსწავლეები მუშაობენ ლექსიკაზე. რვეულში წერენ სავარჯიშო N 1-ს.

ტექსტის გააზრების მიზნით, უპასუხებენ წიგნში მოცემულ კითხვებს.

**გრამატიკული აქტივობები:**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ გრამატიკის გზამკვლევს: წევრკავშირების ხმარება რთულ წინადადებაში.

მასწავლებელი წინადადებებს დაწერს ფლიფჩარტზე, რათ მოსწავლეები დააკვირდნენ მოცემულ წინადადებებს. ისინი იმსჯელებენ როდის რომელი წევრ-კავშირი გამოიყენონ. მასწავლებელი იყენებს ხარაჩოს მეთოდს, მოსწავლეები სწორად შერჩეული კითხვების საშუალებით მიჰყავს სწორ პასუხამდე. შემდეგ, იმის გასარკვევად თუ რამდენად კარგად გაიგეს ახალი გრამატიკული მასალა, ზეპირად, წყვილებში ასრულებენ წიგნში მოცემულ სავარჯიშოს და რვეულში წერენ სავ. N 2-ს. შესწავლილი ტექსტების მიხედვით რვეულში ავსებენ სავ. N 3-ს.

## კომპლექსური დავალება 2

**კომპლექსური დავალების პირობა:**

მოიძიე ინფორმაცია წარმატებული ადამიანის შესახებ, მოამზადე პოსტერი შენთვის მოსახერხებელი ფორმატით (Power Point-ის პრეზენტაცია, ქაღალდი, ფანქრები, Canva) და პრეზენტაცია წარადგინე კლასის წინაშე.

**ნამუშევარში:**

საინტერესოდ ასახე შერჩეული პიროვნების ბიოგრაფიული მონაცემები; ეცადე გაამდიდრო დამატებითი ცნობებით. არ დაგავიწყდეს აღნიშნო რა იყო მისი წარმატების საიდუმლო.

პოსტერის შესაქმნელად გამოიყენე ნახატები, წარწერები, სურათები;
საუბრისას გამოიყენე თემასთან შესატყვისი ენობრივი კონსტრუქციები; გამოიყენე რთული წინადადებები, სწორად შეარჩიე წევრ-კავშირები.

**პოსტერის წარმოდგენისას:**

- აღწერე ნამუშევარი და ისაუბრე, რატომ გსურს შერჩეულ პიროვნებაზე საუბარი.
- პოსტერის რომელი მახასიათებლების გათვალისწინება დაგჭირდა.
- რა გაითვალისწინე პოსტერის შექმნის დროს.

**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**

- რა გაგიადვილდა, რა გაგიძნელდა დავალების შესრულებისას;
- რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე დავალების შესრულებას.

- რატომ შეარჩიე დავალების შესასრულებლად ეს ფორმატი (Power Point-ის პრეზენტაცია, ქაღალდი, ფანქრები, Canva)?
- ახსენი, რა ნაბიჯები გადადგი პოსტერის შექმნისას.
- გაიხსენე, რა ენობრივი საშუალებები დაგეხმარა წერის დროს.
- რა სიძნელეები შეგექმნა წერის დროს.
- შენი პირადი გამოცდილებიდან რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება და რატომ?
- თავიდან რომ ქმნიდე პოსტერს რას შეცვლიდი და რატომ?

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ პოსტერის შესაქმნელად და მის წარსადგენად?<br>• სად/როგორ გამოიყენებთ წევრ-კავშირებს?<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |

***ნაბიჯი 2. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო პოსტერის შესაქმნელად? როგორ გამოვიყენო პოსტერის ჟანრობრივი მახასიათებლები ტექსტის შესაქმნელად.***

***რესურსები და აქტივობები:***

**რესურსი 1.** ნებისმიერი პოსტერი (შესაძლებელია როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ვერსია).

**რესურსი 2. რჩევები პოსტერის შეფასებისთვის:**
პოსტერის საშუალებით, თქვენ აკეთებთ საკუთარი ნამუშევრის შედეგების შეჯამებას და წარუდგენთ მას თანაკლასელებს. მნიშვნელოვანია, პოსტერი ისე იყოს ორგანიზებული, რომ იქცევდეს ხალხის ყურადღებას. მის მნახველს უნდა გაუჩნდეს სურვილი,

მეტი შეიტყოს მოცემული თემის შესახებ.

**სათაური:** უნდა იყოს მოკლე და საინტერესო: მისი დანახვა შესაძლებელი უნდა იყოს შორი მანძილიდან.

**ტექსტი:** უნდა იყოს მსხვილი ასოებით შედგენილი და გარჩევადი. თუ ნაბეჭდ ტექსტს იყენებთ, მოერიდეთ ბევრი განსხვავებული შრიფტის გამოყენებას. ტექსტი უნდა შედგებოდეს მოკლე წინადადებებისაგან და მისი წაკითხვა შესაძლებელი უნდა იყოს ზომიერად შორი მანძილიდან.

**სურათები, ფოტოები, გრაფიკა:** უნდა ესადაგებოდეს თემას და გამოხატავდეს თქვენს სათქმელს და, ასევე, საინტერესოს უნდა ხდიდეს პოსტერს. ნუ გადატვირთავთ პოსტერს, არჩევანი გააკეთეთ რამდენიმე შთამბეჭდავ სურათზე, ფოტოზე ან გრაფიკაზე.

**სქემა:** სად უნდა ჩავსვათ სათაური, ქვესათაურები, სიმბოლოები, ფანჯრები, ფოტოები ან სურათები? სანამ პოსტერის საბოლოო ვარიანტის მომზადებას შეუდგებოდეთ, განსაზღვრეთ ამ ელემენტების ადგილი.

**გაითვალისწინეთ:** პოსტერისათვის შერჩეული ფორმატი უნდა იყოს შევსებული თქვენ მიერ შერჩეული ელემენტებით, მაგრამ არ უნდა იყოს ზედმეტად გადატვირთული.

პოსტერის შეფასების კრიტერიუმების ბადე.

| კრიტერიუმები | კარგია | გასაუმჯობესებელია |
|---|---|---|
| **დაცულია პოსტერის სტრუქტურა და ფორმალური მხარე.** | | |
| **პოსტერში მკაფიოდ არის წარმოჩენილი ძირითადი და საინტერესო ინფორმაცია საკითხის შესახებ** | | |
| **ჩანს ავტორის შემოქმედებითობა და კრეატიულობა.** | | |
| **ფოტოები მიესადაგება თემას, გამოხატავს სათქმელს და არ გადატვირთავს პოსტერს.** | | |
| **დაცულია ენობრივი გამართულობა და სასვენი ნიშნების ხმარების წესები.** | | |

**აქტივობა 1.** პოსტერზე მუშაობა

- იდეების წამოყენება პოსტერთან დაკავშირებით (შინაარსი, წარწერები, ფოტოილუსტრაცია, ნახატები და ა.შ.);
- განსახორციელებელი ეტაპების დაგეგმვა;
- სათანადო ენობრივი ცოდნის მობილიზება;
- პოსტერის პირველადი ვერსიის შედგენა;
- შეფასების კრიტერიუმების ბადის მიხედვით პირველადი ვერსიის  გაუმჯობესება;
- პოსტერის საბოლოო ვარიანტის შედგენა.

**რეკომენდაციები:**

- განსაზღვრეთ პოსტერის თემა, მიზანი (*ტექსტის მიზანი, ფორმატი*);
- განსაზღვრეთ სათაური, ილუსტრაციები;
- შეარჩიეთ ტექსტის სტილი და ფორმა.

**აქტივობა 3.  პოსტერის** წარდგენა კლასის წინაშე:

- პრეზენტაციის დაგეგმვა (სად, როდის, როგორ);
- პრეზენტაციის მოწყობა.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • რა ჟანრობრივი მახასიათებელი აქვს პოსტერს?<br>• რა სახის ინფორმაცია უნდა აისახოს?<br>• როგორ გამოიყენებთ პოსტერს თქვენი მიზნებისთვის?<br>• რამდენად გამოგადგებათ მიღებული ცოდნა-გამოცდილება დავალების შესრულებაში? |

**კომპლექსური დავალების  წარდგენის პროცესში  დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ).** ***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს.***

- დაიცავი თუ არა პოსტერის სტრუქტურა?  **(ტექსტი)**;
- რამდენად შეძელი საჭირო ლექსიკისა და გრამატიკის გამოყენება პოსტერის შექმნისას? მისი წარდგენისას? რატომ?
- რამდენად შეძელი საჭირო ენობრივი კონტრუქციების მიზნობრივად / ფუნქციურად გამოყენება? რატომ?  **(ენობრივ-გამომსახ.**

**საშუალება; სამეტყ. ქმედება)**.

- რამდენად გამოგადგება პოსტერი სხვა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის, ცხოვრების სტილის, განსხვავებული ქცევის წესების გაცნობის დროს? **(კულტ. დიალოგი)**
- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

**შეფასების რუბრიკა**

**კომპლექსური დავალება N2**

პოსტერის მომზადება ბიოგრაფიული დეტალების გათვალისწინებით და წარდგენა.

| **კრიტერიუმი/ სამიზნე ცნება** | **სამეტყველო ქმედება** | **ტექსტი** | **ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** | **კულტურათა დიალოგი** |
|---|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია გაბმულად | შემოქმედებითად იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს პოსტერის მოსამზადებლად. ავლენს პოსტერის სტრუქტურის ცოდნას. მართებულად იყენებს გრაფიკულ/მაორგანიზებე | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველების ას დაუბრკოლებლად იყენებს ნასწავლ და შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. | ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/განსხვავებულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება და სხვებსაც მიუთითებს |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იდეების გადატანა ახალ სფეროში. | საუბარი პოსტერის ირგვლივ. ეფექტურად იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი. | ლ ელენენტებს. თავისუფლად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. საინტერესოდ წარმოაჩენს შერჩეული პიროვნების ბიოგრაფიულ მონაცემებს. | რთულ წინადადებაში მართებულად იყენებს წევრკავშირებს, ნასწავლ თემატურ ლექსიკას. | ამისკენ. |
| **მიმართებითი დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია გაბმულად საუბარი პოსტერის ირგვლივ. იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს.შეუძლ ია გაბმული მეტყველება მცირე შეცდომებით და აქცენტით. | იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს პოსტერის მოსამზადებლად. ავლენს პოსტერის სტრუქტურის ცოდნას. იყენებს გრაფიკულ/მაორგანიზებე ლ ელენენტებს. გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. საინტერესოდ წარმოაჩენს შერჩეული პიროვნების ბიოგრაფიულ მონაცემებს. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველების ას იყენებს ნასწავლ და შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. რთულ წინადადებაში იყენებს წევრკავშირებს, ნასწავლ თემატურ ლექსიკას. | ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/განსხვავებუ ლ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გარეშე. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია მოკლე ფრაზებით საუბარი პოსტერში მოცემული ბიოგრაფიული ცნობების შესახებ შეცდომებითა და აქცენტით. | შეუძლია ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა პოსტერში. სათაურზე დაკვირვებით შეუძლია ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგება. | მოსწავლე შეცდომებით ახერხებს პოსტერის დაწერას. თუმცა ნაწერში ავლენს პოსტერის სტრუქტურის ცოდნას. | ტექსტში აღმოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ მახასიათებელს, რომელსაც ადარებს საკუთარს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა ბიოგრაფიული ცნობების შესახებ. | შეუძლია ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა პოსტერში. სათაურზე დაკვირვებით შეუძლია მარტივი ზედაპირული ინფორმაციის გაგება. | მოსწავლე საკმაო რაოდენობის შეცდომებით ახერხებს პოსტერის დაწერას. თუმცა ნაწერში ავლენს პოსტერის სტრუქტურის ზედაპირულ ცოდნას. | ტექსტში აღმოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ მახასიათებელს, თუმცა ვერ ადარებს საკუთარს. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითს ან იყენებს არარაელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. |

# თემატური მატრიცის თავფურცელი

**თემის სახელწოდება:** **კულტურა**

**საათების სავარაუდო რაოდენობა:** **მასწავლებელი განსაზღვრავს კლასის საჭიროებებისა და მოსწავლეთა უნარების მიხედვით.**

**ძირითადი რესურსი:** მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები**

**საინფორმაციო ტექსტის მიხედვით ბუკლეტის დამზადებისა და წარდგენისთვის მნიშვნელოვანია სათანადო ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენება.**

**საქართველოს ერთ-ერთი კუთხის შესახებ გზამკვლევის შესაქმნელად და მასში სათანადო ინფორმაციის წარმოსაჩენად, საჭიროა გზამკვლევის ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება.**

**საჭირო ლექსიკისა და გრამატიკული მასალის ცოდნა და მისი მიზნობრივი გამოყენება მნიშვნელოვანია სამეტყველო ქმედებების განხორციელებისთვის.**

**სამეტყველო ქმედება**

**მკვიდრი წარმოდგენები**

- სამეტყველო ქმედებები *(მაგ., ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში - თხოვნა, შეთავაზება..., საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება, დროსა და სივრცეში ორიენტირება, პოზიციის გამოხატვა, ახსნა და დასაბუთება და ა.შ.)* ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით (მაგ., *ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამოხატვა ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით* და ა.შ.);
- ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (მაგ., *თავაზიანი თუ ფამილარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.).*

**ტექსტი**

***მკვიდრი წარმოდგენები:***

- არსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / არამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, კორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი და წერილობითი ტექსტი;
- ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის შესაქმნელად;

ტექსტის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და არასიტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია*) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება.

**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები**

***მკვიდრი წარმოდგენები:***

- ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს;
- ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის დასაუფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური ასოები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები, ქართული ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, სხვადასხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა* და ა.შ.);

ქართული ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის*) ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის;

**კულტურათა დიალოგი**

***<u>მკვიდრი წარმოდგენები:</u>***

- ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროს შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებას (მაგ., *თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას*);

განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება გვეხმარება მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში.

| სამიზნე ცნებები | საკითხი 1<br><br>**საინფორმაციო ტექსტის მიხედვით ბუკლეტის შექმნა.** | საკითხი 2<br><br>**გზამკვლევის შექმნა საქართველოს ერთ-ერთი კუთხის შესახებ.** |
|---|---|---|
| **სამეტყველო ქმედება** | **ქვეცნება:** ფუნქციური სამეტყველო აქტები<br><br>ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად;<br><br>ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ.<br><br>სიტუაციური მახასიათებლები.<br><br>**ქვესაკითხები:**<br><br>*გარემოს, საქმიანობის / მოვლენის აღწერა/დახასიათება;*<br>თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა. კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; კომუნიკაციის მონაწილეები, კომუნიკაციის ადგილი, დრო. | **ქვეცნება:** ფუნქციური სამეტყველო აქტები<br><br>ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად;<br><br>ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ.<br><br>**ქვესაკითხები:**<br><br>*გარემოს, საქმიანობის / მოვლენის აღწერა/დახასიათება;* თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა. |
| **ტექსტი** | **ქვეცნება:** ბუკლეტის სტრუქტურა და ორგანიზება. ტექსტის ჟანრები.<br><br>**ქვესაკითხები:** ბუკლეტის მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები. ტექსტის ტიპი - არამხატვრული, საინფორმაციო. | **ქვეცნება:** გზამკვლევის სტრუქტურა და ორგანიზება. ტექსტის ჟანრები.<br><br>**ქვესაკითხები:** ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები.<br><br>ტექსტის ტიპი - არამხატვრული (გზამკვლევი). |
| **ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** | **ქვესაკითხები:**<br><br>ლექსიკა - ბუკლეტის შესაქმნელად საჭირო | **ქვესაკითხები:**<br><br>ლექსიკა: შესაბამისი დარგობრივი ლექსიკა: გეოგრაფიული |

| | | |
|---|---|---|
| | შესაბამისი დარგობრივი ლექსიკა: ბუკლეტი, ღირსშესანიშნავი, მნიშვნელოვანი, ცნობილი, არქიტექტურული, ძეგლი, ნაგებობა, კულტურა, ექსპონატი, ბროშურა, წიგნაკი...<br><br>გრამატიკა: I და II თურმეობითი. | მდებარეობა, ჰორიზონტის მხარეები, კლიმატი, ისტორია, კულტურა, ტრადიციები, კურორტი, სამზარეულო, პოლიფონიური, საქართველოს კუთხეები...<br><br>გრამატიკა - ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხები |
| **კულტურათა დიალოგი** | **ქვეცნება:** სოციოკულტურული რეალიები<br><br>**ქვესაკითხები:** ღირსშესანიშნაობები; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; | **ქვეცნება:** სოციოკულტურული რეალიები<br><br>**ქვესაკითხები:** წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, ყოფითი რეალიები; ფასეულობები; ღირსშესანიშნაობები; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; სამყაროსეული ხედვა; კულტურული ნორმები. |
| | **კომპლექსური დავალება 1**<br><br>**წიგნში მოცემული ტექსტების მიხედვით შეარჩიე ერთ-ერთი არქიტექტურული ძეგლი, დაამზადე ბუკლეტი. (სურვილის მიხედვით, ბუკლეტი შეგიძლია შექმნა ქაღალდისგან ან ელექტრონულად).** | **კომპლექსური დავალება 2**<br><br>**შეარჩიე საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, მოიძიე მის შესახებ ინფორმაცია, შექმენი გზამკვლევი და წარადგინე კლასის წინაშე.** |

## შუალედური სასწავლო მიზანი - 1

**თემა: კულტურა**
**კომპლექსური დავალების თემა: წიგნში მოცემული ტექსტების მიხედვით შეარჩიე ერთ-ერთი არქიტექტურული ძეგლი, დაამზადე ბუკლეტი. (სურვილის მიხედვით, ბუკლეტი შეგიძლია შექმნა ქაღალდისგან ან ელექტრონულად).**

**სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები**

**სამეტყველო ქმედება** - ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად;

ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ.

**ტექსტი** - ბუკლეტის სტრუქტურა და ორგანიზება; ტექსტის ჟანრები.

**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** - ლექსიკა - ბუკლეტის შესაქმნელად საჭირო შესაბამისი დარგობრივი ლექსიკა: ბუკლეტი, ღირსშესანიშნავი, მნიშვნელოვანი, ცნობილი, არქიტექტურული, ძეგლი, ნაგებობა, კულტურა, ექსპონატი, ბროშურა, წიგნაკი...

გრამატიკა: I და II თურმეობითი

**კულტურათა დიალოგი** - სოციოკულტურული რეალიები

**საკითხი: საინფორმაციო ტექსტის მიხედვით ბუკლეტის შექმნა.**
**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:**

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო საუბარი მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლის შესახებ? როგორ მოვახერხო ინფორმაციის საინტერესოდ გადმოცემა?
- რა ცოდნა და სტრატეგიები დამეხმარება ბუკლეტის შესაქმნელად? როგორ დაგეხმარათ ბუკლეტის სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა ამაში?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო მიზნობრივად და მართებულად წერისა და მეტყველებისათვის? რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა საინფორმაციო ტექსტის გადმოსაცემად და ბუკლეტის შესაქმნელად?

**კომპლექსური დავალება 1. წიგნში მოცემული ტექსტების მიხედვით შეარჩიე ერთ-ერთი არქიტექტურული ძეგლი, დაამზადე ბუკლეტი. (სურვილის მიხედვით, ბუკლეტი შეგიძლია შექმნა ქაღალდისგან ან ელექტრონულად. იხ. რესურსი 1).**

**დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:**

- ბუკლეტის სტრუქტურის ცოდნა და საკომუნიკაციო მიზნების შესაბამისი მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური, გრაფიკულ-მაორგანიზებელი ელემენტების მართებული გამოყენება **(ტექსტი)**;
- შესაბამისი გრამატიკული ცოდნა და ნასწავლი ლექსიკის მართებული გამოყენება **(ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; სამეტყველო ქმედება)**.
- ღირსშესანიშნაობებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გაცნობა მეხმარება განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენაში, მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში **(კულტურათა დიალოგი)**.

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)**

**ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** წინარე ცოდნის გააქტიურება.

- რა არის ბუკლეტი და რა ფუნქცია აქვს მას?
- ფიქრობთ, თუ არა, რომ ბუკლეტის დასაწერად საჭიროა ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება? რატომ?
- თქვენი აზრით, საჭიროე თუ არა ცნობილი არქიტექტურული ძეგლების შესახებ საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა და საზოგადოებისთვის გაცნობა?
- შეგიქმნიათ თუ არა ბუკლეტი და როდის, რატომ და რა მიზნით?

**აქტივობა 2.** დავალების მოთხოვნების გააზრება.

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რას უნდა მიაქციო ყურადღება ბუკლეტზე მუშაობისას?
- რაზე უნდა ისაუბრო პრეზენტაციის დროს?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?

- რის შესწავლა დაგვჭირდებათ?
- რა გაგიადვილდებათ? რა გაგიძნელდებათ? რაში დაგჭირდებათ  დახმარება?

მოსწავლეები წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, კომენტირებული და მართული კითხვის გამოყენებით, გაეცნობიან და დაამუშავებენ ტექსტს „ინტერვიუ მოგზაურთან“.
ტექსტის შესწავლის შემდეგ, გაგება-გააზრების დონის დასადგენად, მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს:

- საქართველოს რომელ ქალაქს შეადარა მელინემ პარიზი? რატომ?
- რისი სიმბოლოა თავისუფლების ქანდაკება?
- რომელი ქალაქები ჩამოთვალა მელინემ?
- რა ურჩია მელინემ დამწყებ მოგზაურებს? ეთანხმები თუ არა? რატომ?

შემდეგ იმუშავებენ დავალებაზე: გაიხსენე შენი ერთ-ერთი მოგზაურობა და ისაუბრე, რამ დაგაინტერესა? ურჩევ თუ არა სხვებს რომ ნახონ. რატომ? შეგიძლია გამოიყენო ინტერნეტმასალა ან პირადი ფოტოები. ეცადე შენი საუბარი საინტერესო იყოს მსმენლისთვის.

მოცემულ დავალებაზე მუშაობა დაეხმარება მოსწავლეებს ტექსტის გლობალურ გააზრებაში, გააქტიურებს მათ პირად გამოცდილებას. ისინი გაიაქტიურებენ ცოდნას სხვადასხვა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ.

**რეკომენდაცია:** კლასის/მოსწავლეების **საჭიროების გათვალიწინებით შეგიძლიათ** გარკვეული პასუხები მშობლიურ ენაზე მოსთხოვოთ მოსწავლეს, ვინაიდან აქ მოწმდება არა ქართული ენის ცოდნა (ეს არ არის მიზანი), არამედ, ვარკვევთ რა გამოცდილება აქვს მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით.

**ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1. რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო / დამჭირდება დავალების შესასრულებლად?**

**საჭირო ენობრივი საკითხები:**
- ბუკლეტის დასამზადებლად საჭირო ენობრივი საყრდენები;
- შესაბამისი ენობრივი ფორმულები;
- I და II თურმეობითი.

**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი, ბუკლეტის შესაქმნელად საჭირო მასალა.**

**დამატებითი რესურსი.**
**რესურსი 1 (მასწავლებელმა გამოიყენოს სურვილისამებრ. შეუძლია მსგავსი სასწავლო ვიდეოები მოიძიოს ინტერნეტში ან დაიხმაროს ისტ-ის მასწავლებელი)**
**https://www.youtube.com/watch?v=sKLUDHXmXII&t=184s**

**აქტივობები:**
„ინტერვიუ მოგზაურთან“ ტექსტის დამუშავების დროს მოსწავლეებს დასჭირდებათ I და II თურმეობითის ფორმების გამოყენება. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გრამატიკის გზამკვლევში მოცემულ მასალას: I და II თურმეობითი.
ის დაფაზე წერს წინადადებებს:

- მომიყევი, სად გიმოგზაურია?
- ბევრ ქვეყანაში მიმოგზაურია.
- ბევრ ქვეყანაში უმოგზაურია.

სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ მოცემული წინადადებები, გამოყონ ზმნები, დაუსვან კითხვა და ისაუბრონ, მათი აზრით, როგორ მოქმედებას გამოხატავს თითოეული მათგანი. მასწავლებელი ხარაჩოს მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს მიიყვანს სწორ პასუხამდე: მოცემული ზმნის ფორმები გამოხატავს წარსულში შესრულებულ მოქმედებას ისე, რომ არ აკონკრეტებს როდის. პასუხობს კითხვაზე: რა მიქნია?

მოსწავლეები აკვირდებიან ზმნის უღლებასა და შესაბამის კითხვებს I თურმეობითში:

მე მიმოგზაურია - რა მიქნია?

შენ გიმოგზაურია - რა გიქნია?

მას უმოგზაურია - რა უქნია?

ჩვენ გვიმოგზაურია - რა გვიქნია?

თქვენ გიმოგზაურიათ - რა გიქნიათ?

მათ უმოგზაურიათ - რა უქნიათ?

მოსწავლეები მოცემული ზმნის ფორმების გამოყენებით შეადგენენ წინადადებებს.

მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებებს:

- ლუვრის მუზეუმიც დამეთვალიერებინა.
- ლუვრის მუზეუმიც დაგეთვალიერებინა.
- ლუვრის მუზეუმიც დაეთვალიერებინა.

სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ მოცემული წინადადებები, გამოყონ ზმნები, დაუსვან კითხვა და ისაუბრონ, მათი აზრით, როგორ მოქმედებას გამოხატავს თითოეული მათგანი. მასწავლებელი ხარაჩოს მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს მიიყვანს სწორ პასუხამდე: მოცემული ზმნის ფორმები გამოხატავს წარსულ დროს. პასუხობს კითხვაზე: რა მექნა?

მოსწავლეები აკვირდებიან ზმნის უღლებასა და შესაბამის კითხვებს II თურმეობითში:

მე დამეთვალიერებინა - რა მექნა?

შენ დაგეთვალიერებინა - რა გექნა?

მას დაეთვალიერებინა - რა ექნა?

ჩვენ დაგვეთვალიერებინა - რა გვექნა?

თქვენ დაგეთვალიერებინათ - რა გექნათ?

მათ დაეთვალიერებინათ - რა ექნათ?

მოსწავლეები მოცემული ზმნის ფორმების გამოყენებით შეადგენენ წინადადებებს.

შემდეგ, ნასწავლი გრამატიკული მასალის გააქტიურებისა და პრაქტიკაში სწორად გამოყენების მიზნით, ასრულებენ წიგნში გრამატიკული გზამკვლევის ბოლოს მოცემულ დავალებას: შეადგინეთ და გაითამაშეთ დიალოგი, სადაც გამოიყენებთ I და II თურმეობითის ფორმებს.

შემდეგ ნასწავლი გრამატიკული მასალის განმტკიცების მიზნით ასრულებენ რვეულში მოცემულ სავარჯიშოებს: N 1, 2, 3, 4.

იმისათვის, რომ მოსწავლეები მოემზადონ კომპლექსური დავალების შესასრულებლად, რვეულში წერენ სავარჯიშოებს N 5 და N 6.

ისინი მოიძიებენ  და მიზნობრივად გამოიყენებენ საჭირო მასალას საინფორმაციო ტექსტების შესაქმნელად.

მოემზადებიან ფოლკლორული ტექსტის გასაცნობად. მასწავლებელი მოსწავლეებს დაუსვამს კითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა უცხოელთან კომუნიკაციის დამყარება ვერბალური კომუნიკაციის (სამეტყველო ენის) გარეშე? როგორ?
- აღმოჩენილხართ თუ არა თავად ასეთ სიტუაციაში? როგორ გადაგიჭრიათ საკომუნიკაციო პრობლემა?
- გსმენიათ თუ არა რაიმე არავერბალური კომუნიკაციის (ჟესტების ენის) შესახებ?
- როგორ ფიქრობთ, განსხვავებულია თუ არა სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებთა ჟესტების ენა ერთმანეთისგან?
- იცით თუ არა ვინ იყო ხოჯა, იგივე მოლა ნასრედინი?

**ცნობარი მასწავლებლებისთვის.**

**ნასრედინი** — XIII საუკუნის **ფოლკლორული** პერსონაჟი, ისლამური აღმოსავლური კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული სახალხო **სატირული სუფი** ფილოსოფოსი, რომელიც ცნობილი იყო თავისი სასაცილო ისტორიებითა და ანეკდოტებით. მიჩნეულია, რომ იგი დაიბადა **რუმის სასულთნოში**, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე. ნასრედინის თქმულებები ხშირად იუმორისტული და აღმზრდელობითი ხასიათისაა. მისი დაბადების თუ გარდაცვალების ზუსტი თარიღი არ არის ცნობილი. სხვადასხვა აღმოსავლურ კულტურაში იგი ასევე ცნობილია როგორც „**მოლა** ნასრედინი“, „**ხოჯა** ნასრედინი“ ან „**ეფენდი**“.

**ლექსიკური ერთეულები**

ფოლკლორი-ხალხური ზეპირსიტყვიერება

სატირა- სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ხერხი. უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენების დაუზოგავი დაცინვა, გაკიცხვა.

სუფი - სუფიზმის მიმდევარი; სუფიზმი-ისლამის შინაგანი, მისტიკური, ფსიქო-სულიერი განზომილება.

რუმის სასულთნო-ფეოდალური სახელმწიფო მცირე აზიაში, რომელიც არსებობდა 1077-1307 წლებში.

მოლა-მუსლიმანთა რელიგიური კულტის მსახური, ,,ბატონი“

ხოჯა-საპატიო პირი

ეფენდი-მამაკაცისადმი ზრდილობიანი მიმართვის ფორმა თურქეთში. ,,ბატონი“

მასწავლებელი კომენტირებული კითხვის საშუალებით მოსწავლეებს გააცნობს ტექსტს. პარალელურად იმუშავებენ ლექსიკურ ერთეულებზე. შეასრულებენ მოსწავლის რვეულში სავ. N 1სა და 2-ს.

მასწავლებელი კომენტირებული და მართული კითხვის გამოყენებით მოსწავლეებს აცნობს ტექსტებს: „თავისუფლების ქანდაკება“, „ტერაკორას არმია“ და „დედაბოძი“.

ორიენტირებული კითხვა მონაკვეთებად დაყოფილ ტექსტთან მუშაობას გულისხმობს და მოიცავს კითხვის სამივე ფაზას: წაკითხვამდე, კითხვის დროს, წაკითხვის შემდეგ.
პირველ ფაზაში მასწავლებელი ამზადებს მოსწავლეებს კითხვის დასაწყებად. ამ ფაზაში მოსწავლეები ააქტიურებენ წინარე ცოდნას, განიხილავენ ტექსტის მნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულებს (სიტყვებს, ცნებებს, ტერმინებს), აყალიბებენ ტექსტის წაკითხვის მიზანს, დემონსტრირებისა და პრაქტიკული ვარჯიშის გზით ივითარებენ ეფექტური კითხვისა და გაგებისთვის საჭირო უნარებს. კითხვის პროცესში, მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების მეშვეობით, მოსწავლეები ცდილობენ ტექსტის გაგებას. ამ ფაზაში ისინი მიმართავენ გაგებისთვის საჭირო ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა წაკითხულის შეჯამება, დასკვნის გამოტანა, კითხვების დასმა, ვარაუდის გამოთქმა და ა.შ. ასევე, ცდილობენ გაარკვიონ, რა ვერ გაიგეს სათანადოდ და როგორ არის შესაძლებელი გააზრებაში წარმოქმნილი ხარვეზების დაძლევა.

ლექსიკური აქტივობები: მასწავლებელი ახალი ლექსიკური ერთეულების შინაარსის სწორად გასააზრებლად გამოიყენებს აქტივობას „სიტყვის პირამიდა“.
მასწავლებელი ტექსტის დამუშავების დროს მუშაობს ლექსიკაზე. მოსწავლეები ინიშნავენ უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს და ერთმანეთის ან მასწავლებლის დახმარებით განმარტავენ. მასწავლებელი დაფაზე წერს ასეთ სიტყვებს და მოსწავლეებს სთხოვს ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინონ წინადადებები ან ააგონ „სიტყვის პირამიდა“(მოასწავლე დაწერს მოცემული სიტყვის სინონიმს ან ანტონიმს, შეადგენს წინადადებებს.):

შესაძლოა მოსწავლეებს მივცეთ რამდენიმე სიტყვა და მოიფიქრონ ამბავი მათი გამოყენებით. ეს აქტივობა, ხელს შეუწყობს როგორც ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, ასევე შემოქმედებითი უნარების განვითარებას და ნასწავლის ლექსიკური ერთეულების პრაქტიკაში სწორად გამოყენებას.

„თავისუფლების ქანდაკება“ - მოსწავლის რვეულში ასრულებენ სავარჯიშოებს:

N 1, 2, 3, 4, 5, 6, 7.

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს მოსასმენ N 1-ს და რვეულში შეასრულებენ სავ. N 8-ს: შეადარებენ მოსმენილ და წაკითხულ ტექსტებს ერთმანეთს, შეავსებენ ვენის დიაგრამას, ჩაწერენ მსგავსა და განსხვავებულ ინფორმაციას.

ტექსტის „ტერაკოტას არმია“ შესწავლისას მოსწავლის რვეულში მუშაობენ დავალებებზე, რომელთა მიზანია ლექსიკური ერთეულების გაცნობა და ნასწავლი გრამატიკული მასალის გამეორება. ასრულებენ სავარჯიშოებს: N 1, 2, 3, 4, 5. მოსწავლეები მოისმენენ მოსასმენ N 2-ს და შეასრულებენ სავ. N 6-ს.

ტექსტის „დედაბოძი“ შესწავლისას, მოსწავლის რვეულში მუშაობენ ლექსიკურ დავალებებზე. რვეულში ასრულებენ სავარჯიშოებს: N 1, 2, 3.

იმისათვის, რომ მოსწავლეები მოემზადონ კომპლექსური დავალების შესასრულებლად, რვეულში წერენ სავარჯიშოს N 4.

გრამატიკული მასალის განმტკიცების მიზნით წერენ სავ. N 5-ს.

**კომპლექსური დავალების პირობა:**

**წიგნში მოცემული ტექსტების მიხედვით შეარჩიე ერთ-ერთი არქიტექტურული ძეგლი, დაამზადე ბუკლეტი (სურვილის მიხედვით, ბუკლეტი შეგიძლია შექმნა ქაღალდისგან ან ელექტრონულად. იხ. რესურსი 1). წარადგინე თანაკლასელების წინაშე.**

**ნამუშევარში:**

- გაითვალისწინე ბუკლეტის ფორმა-სტრუქტურა.
- გააფორმე შესაბამისი ილუსტრაციებით.
- ტექსტი იყოს მოკლედ, ლაკონიურად და საინტერესოდ გადმოცემული, ისე, რომ მკითხველი გაეცნოს ძირითად ინფორმაციას.
- გამოიყენე წიგნში მოცემული ტექსტები და მოიძიე დამატებითი ინფორმაცია.

***<u>პრეზენტაციისას:</u>***

- ისაუბრე შენ მიერ შერჩეული არქიტექტურული ძეგლის შესახებ, როდის და ვის მიერ შეიქმნა? რომელ ქვეყანაში მდებარეობს? რითია განსაკუთრებული?
- დაწერე სათანადო რჩევა, გამოხატე შენი პოზიცია - რითია ეს ძეგლი საინტერესო და დაასაბუთე შესაბამისი არგუმენტებით;
- რა გაითვალისწინე ტექსტის მიხედვით? რა დაამატე შენი ფანტაზიით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი ბუკლეტი შეესაბამება კონკრეტულ არქიტექტურულ ძეგლს?

**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**

- შენ რატომ შეარჩიე კონკრეტული არქიტექტურული ძეგლი?
- რამდენად მუშაობდი წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით?
- რა ინფორმაცია დაამატე სახელმძღვანელოში არსებულს?
- როგორ და რატომ გააფორმე ილუსტრაციებით შენი ბუკლეტი?
- რა გაგიადვილდა და რა გერთულა დავალებაზე მუშაობის დროს?
- რას გაითვალისწინებ მსგავსი დავალების შესრულებისას?
- რა ენობრივი საშუალებების ცოდნა გამოიყენე ბუკლეტის წერის დროს.
- თავიდან რომ წერდე ბუკლეტს, რას შეცვლიდი და რატომ?

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ ბუკლეტის შესაქმნელად და მის წარსადგენად?<br>• სად/როგორ გამოიყენებთ I და II თურმეობითის ფორმებს?<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |

***ნაბიჯი 2. როგორ მოვახერხო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადაჭრა-ბუკლეტის დაწერა? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამისთვის? რომელი ფორმატით წარვადგინო ჩემი ნამუშევარი კლასის წინაშე? როგორ დამეხმარება ნასწავლი ენობრივი საშუალებები და გამოყენებული სტრატეგიები ამაში?***

***რესურსები და აქტივობები***

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

**აქტივობები:**

**აქტივობა 1.**
მოსწავლეებმა ჩამოაყალიბონ ინსტრუქცია, რომელიც უნდა გაითვალისწინონ ბუკლეტზე მუშაობის დროს.

**აქტივობა 2.** კონკრეტული სამეტყველო ქმედების განხორციელება საკომუნიკაციო სიტუაციების გათვალისწინებით. მოსწავლეებმა იმსჯელონ რა ინფორმაცია უნდა დაიტანონ ბუკლეტზე, როგორ გააფორმონ, რომელი ფორმატით წარმოადგინონ. მასწავლებელი ყურადღებით უსმენს , შეესაბამება თუ არა მათ მიერ მოფიქრებული ტექსტი ბუკლეტს.

**აქტივობა 3.** მასწავლებლისა და თანაკლასელების მითითებების გათვალისწინებით მოსწავლეები იწყებენ ბუკლეტის შექმნაზე მუშაობას.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ მოემზადებით მოსასმენი და წასაკითხი ტექსტების გასაგებად?<br>• რა ხერხებს გამოიყენებთ მათ გაცნობამდე? მათი გაცნობისას?<br>• როგორ/რა ენობრივი საშუალებებით წარმოაჩენთ თქვენს მოსაზრებას?<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული დავალების შესასრულებლად? |

***ნაბიჯი 3. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ბუკლეტის შესაქმნელად? როგორ გამოვიყენო ბუკლეტის ჟანრობრივი მახასიათებლები ტექსტის შესაქმნელად.***

***რესურსები და აქტივობები:***

**რესურსი 2.** ნებისმიერი ბუკლეტი  (შესაძლებელია როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ვერსია).



**ასურელი მამები**-საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც მე-6 საუკუნეში მოსულან საქართველოში.

ისტორიამ შემოგვინახა იმ ასურელი მამების სახელები, რომელთა მოღვაწეობამაც თვალსაჩინო კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში. ესენი არიან:

დავით გარეჯელი, იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტყოფელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, ისე წილკნელი, სტეფანე ქიზიყელი (ხირსელი), ისიდორე სამთავნელი,

მიქაელ ულუმბოელი, ზენონ იყალთოელი, აბიბოს ნეკრესელი.

მათ მიერ დაარსებული ეკლესია-მონასტრები დღემდე შემორჩა საქართველოს.

ნეკრესი

ხირსა

მარტყოფი

დავით გარეჯი

საქართველოში ასურელი მამების წამოსვლის მოთავე და ხელმძღვანელი იოანე ზედაზნელი ყოფილა.

პირველად, მე-6 საუკუნის დასაწყისში ჯგლაქ ანტიოქიიდან დავით გარეჯელი მოსულა.

შემდეგ- მე-6 საუკუნის შუა ხანებში, იოანე ზედაზნელი მოწაფეების თანხლებით. და ბოლოს, 70-იან წლებში კი, აბიბოს ნეკრესელი.

ზედაზენი

ალავერდი

**რეკომენდაციები:**

- განსაზღვრეთ საკომუნიკაციო სიტუაცია (*ტექსტის მიზანი, ფორმატი*);
- განსაზღვრეთ სათაური, ილუსტრაციები;
- შეარჩიეთ ტექსტის სტილი და ფორმა.

**რესურსი 3.** ბუკლეტის შეფასების კრიტერიუმების ბადე.

| კრიტერიუმები | გასაუმჯობესებელია | კარგია |
|---|---|---|
| **დაცულია ბუკლეტის სტრუქტურა და ფორმალური მხარე.** | | |
| **ბუკლეტში ნათლად, ლაკონიურად და საინტერესოდ არის წარმოდგენილი ძირითადი ინფორმაცია.** | | |
| **ჩანს ავტორის ცოდნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.** | | |
| **დაცულია ენობრივი გამართულობა და სასვენი ნიშნების ხმარების წესები.** | | |

**აქტივობები:**

**აქტივობა 1**. წინარე ცოდნის გახსენება **(რესურსი 1).**

- ბუკლეტის სტრუქტურული და ენობრივ-სტილურ მახასიათებლებზე მუშაობა (*რუბრიკები, ილუსტრაციისა და ტექსტის მიმართება, შრიფტის ზომა და სახესხვაობა, ტექსტის აბზაცებად/ სვეტებად დაყოფა და სხვა).*
- ბუკლეტის ზოგად შინაარსზე / ცალკეული ნაწილის ძირითად სათქმელზე დაკვირვება.
- ქაღალდისა და ელექტრონული ვარიანტების შედარება (რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?).

**აქტივობა 2.** ბუკლეტზე მუშაობა.

- იდეების წამოყენება ბუკლეტთან დაკავშირებით (შინაარსი, ფოტოილუსტრაცია, ნახატები და ა.შ.);
- განსახორციელებელი ეტაპების დაგეგმვა;
- კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად სათანადო ენობრივი ცოდნის მობილიზება;
- ბუკლეტის პირველადი ვერსიის შედგენა;
- შეფასების კრიტერიუმების ბადის მიხედვით პირველადი ვერსიის გაუმჯობესება **(რესურსი 2);**
- ბუკლეტის საბოლოო ვარიანტის შედგენა.

**აქტივობა 3.** ბუკლეტის წარდგენა კლასის წინაშე:

- პრეზენტაციის დაგეგმვა (სად, როდის, როგორ);
- პრეზენტაციის მოწყობა

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • რა ჟანრობრივი მახასიათებელი აქვს ბუკლეტს?<br>• რა სახის ინფორმაცია უნდა აისახოს?<br>• როგორ გამოიყენებთ ბუკლეტს თქვენი მიზნებისთვის?<br>• რამდენად გამოგადგებათ მიღებული ცოდნა-გამოცდილება დავალების შესრულებაში? |

**კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ).** ***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.***

- დაიცავი თუ არა ბუკლეტის სტრუქტურა? **(ტექსტი)**;
- რამდენად შეძელი საჭირო ლექსიკისა და გრამატიკის გამოყენება ბუკლეტის შექმნისას? მისი წარდგენისას? რატომ?
- რამდენად შეძელი საჭირო ენობრივი კონტრუქციების მიზნობრივად / ფუნქციურად გამოყენება? რატომ? **(ენობრივ-გამომსახ. საშუალება; სამეტყ. ქმედება)**.
- რამდენად დაგეხმარა სხვა ქვეყნის ღირსშესანიშნაობებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გაცნობა კულტურათა დიალოგის ხელშეწყობაში? **(კულტ. დიალოგი)**
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

**შეფასების რუბრიკა**

**კომპლექსური დავალება N1**

წიგნში მოცემული ტექსტების მიხედვით შეარჩიე ერთ-ერთი არქიტექტურული ძეგლი, დაამზადე ბუკლეტი. (სურვილის მიხედვით, ბუკლეტი შეგიძლია შექმნა ქაღალდისგან ან ელექტრონულად).

| კრიტერიუმი/ სამიზნე ცნება | სამეტყველო ქმედება | ტექსტი | ენობრივ-გრამატიკული საშუალებები | კულტურათა დიალოგი |
|---|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე** მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია გაბმულად საუბარი ბუკლეტის შესახებ. ეფექტურად იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი. | შემოქმედებითად იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს ბუკლეტის შესაქმნელად. ეფექტურად იყენებს ბუკლეტის მაორგანიზებელ სიტყვიერ/ ვერბალურ ელემენტებს. თავისუფლად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. | მოსწავლე ზეპირ და წერითი მეტყველებისას დაუბრკოლებლად იყენებს ბუკლეტის შესაქმნელად საჭირო შესაბამის დარგობრივ ლექსიკას: ზმნის მწკრივების ფორმების ცოდნას, ენობრივ კონსტრუქციებს. | ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/განსხვავებულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება და სხვებსაც მიუთითებს ამისკენ. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მიმართებითი დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია გაბმულად საუბარი ბუკლეტის შესახებ. იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირე შეცდომები და აქცენტი. | იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს ბუკლეტის შესაქმნელად. იყენებს ბუკლეტის მაორგანიზებელ სიტყვიერ/ ვერბალურ ელემენტებს. გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას.<br><br>მოსწავლე სწორად გაიაზრებს ბუკლეტის სტრუქტურას და შეძლებს დამოუკიდებლად მოამზადოს ბუკლეტი სხვადასხვა თემატიკაზე. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციების უმეტესობას. მცირე შეცდომებით ახერხებს ბუკლეტის დაწერას. ნაწერში ავლენს ბუკლეტის სტრუქტურის ცოდნას. | ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/განსხვავებულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია მოკლე ფრაზებით საუბარი ბუკლეტში მოცემული | შეუძლია ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა ტექსტში. შეუძლია ზედაპირული ინფორმაციის | მოსწავლე საკმაო რაოდენობის შეცდომებით ახერხებს ბუკლეტის დაწერას. თუმცა ნაწერში ავლენს ბუკლეტის | ტექსტში ალმოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ მახასიათებელს, რომელსაც ადარებს საკუთარს. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გარეშე. | ინფორმაციის შესახებ. | აღქმა-გაგება. | სტრუქტურის ცოდნას. | |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა<br>ბუკლეტში მოცემული ინფორმაციის შესახებ. | შეუძლია ბუკლეტის ტიპისა და ჟანრის ტექსტში მარტივი ზედაპირული ინფორმაციის გაგება. | მოსწავლე ახერხებს ბუკლეტის დაწერას.<br>გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციებიდან მხოლოდ მრავლადაა შეცდომები. | ტექსტში აღმოაჩენს სოციოკულტურულ მახასიათებელს, თუმცა ვერ ადარებს საკუთარს. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითს ან იყენებს არარაელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. |

## შუალედური სასწავლო მიზანი - 2

| |
|---|
| თემა: კულტურა<br><br>**კომპლექსური დავალების თემა: შეარჩიე საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, მოიძიე მის შესახებ ინფორმაცია, შექმენი გზამკვლევი და წარადგინე კლასის წინაშე.** |
| **სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები**<br>**სამეტყველო ქმედება:** ფუნქციური სამეტყველო აქტები; ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად; ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ.<br><br>**ტექსტი:** გზამკვლევის სტრუქტურა და ორგანიზება.<br>ტექსტის ჟანრები.<br><br>**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** – შესაბამისი დარგობრივი ლექსიკა: გეოგრაფიული მდებარეობა, ჰორიზონტის მხარეები, კლიმატი, ისტორია, კულტურა, ტრადიციები, კურორტი, სამზარეულო, პოლიფონიური, საქართველოს კუთხეები...<br><br><u>გრამატიკა:</u> ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხები.<br><br>**კულტურათა დიალოგი:** სოციოკულტურული რეალიები. |
| **საკითხი: გზამკვლევის შექმნა საქართველოს ერთ-ერთი კუთხის შესახებ.**<br><br>**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:**<br>• როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო ინფორმაციის მოძიება? როგორ მოვახერხო ინფორმაციის საინტერესოდ გადმოცემა?<br>• რა ცოდნა და სტრატეგიები დამეხმარება გზამკვლევის დასაწერად? როგორ დაგეხმარათ გზამკვლევის სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა ამაში?<br>• რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო მიზნობრივად და მართებულად წერისა და მეტყველებისათვის? რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა გზამკვლევის შესაქმნელად? |

**კომპლექსური დავალება 2. შეარჩიე საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, მოიძიე მის შესახებ ინფორმაცია, შექმენი გზამკვლევი და წარადგინე კლასის წინაშე.**

**დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:**

- გზამკვლევის სტრუქტურის ცოდნა და საკომუნიკაციო მიზნების შესაბამისი მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური, გრაფიკულ-მაორგანიზებელი ელემენტების მართებული გამოყენება **(ტექსტი)**;
- შესაბამისი გრამატიკული ცოდნა და ნასწავლი ლექსიკის მართებული გამოყენება **(ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; სამეტყველო ქმედება)**.
- ღირსშესანიშნაობებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გაცნობა მეხმარება განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენაში, მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში **(კულტურათა დიალოგი)**.

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)**

**ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** წინარე ცოდნის გააქტიურება.

- რა არის გზამკვლევი და რა ფუნქცია აქვს მას?
- ფიქრობ, თუ არა, რომ გზამკვლევის დასაწერად საჭიროა ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება? რატომ?
- დაგიწერია თუ არა გზამკვლევი და როდის, რატომ და რა მიზნით?

**აქტივობა 2.** დავალების მოთხოვნების გააზრება.

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რას უნდა მიაქციო ყურადღება გზამკვლევზე მუშაობისას?
- რაზე უნდა ისაუბრო პრეზენტაციის დროს?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება?
- რის შესწავლა დაგვჭირდება?
- რა გაგიადვილდება? რა გაგიძნელდება? რაში დაგჭირდება დახმარება?

რეკომენდაცია: კლასის/მოსწავლეების **საჭიროების გათვალიწინებით შეგიძლიათ** გარკვეული პასუხები მშობლიურ ენაზე მოსთხოვოთ მოსწავლეს, ვინაიდან აქ მოწმდება არა ქართული ენის ცოდნა (ეს არ არის მიზანი), არამედ, ვარკვევთ რა გამოცდილება აქვს მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით.

**ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1. რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო / დამჭირდება დავალების შესასრულებლად?**

**საჭირო ენობრივი საკითხები:**

ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხები
**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

დამატებითი რესურსი: https://www.youtube.com/watch?v=hdsEY7YPW5Y - გურიის მდებარეობა, ბუნებრივი პირობები და მეურნეობის დარგები #ტელესკოლა
https://www.youtube.com/watch?v=J9q3xbh4byQ - საახალწლო სუფრა, მეკვლე, გურული ღვეზელი და კალანდობის აუცილებელი ატრიბუტი - ჩიჩილაკი. როგორია გურიის საახალწლო და საშობაო ტრადიცია - ძველით ახალი წელი და რეალურ დროში გაცოცხლებული ტრადიციები.
https://www.youtube.com/watch?v=GvFauy2KEes - მოგზაურობა მზიან გურიაში - გურული სამზარეულო და გურული ჩაის ცნობილი პლანტაციები
https://www.youtube.com/watch?v=dUs8c9skzXg- გურია, კურორტი გომისმთა, ჭინჭაოს ტბა, ხედი ღრუბლებიდან

**აქტივობები:**
ტექსტის წაკითხვამდე მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს: დააკვირდი ფოტოებს და ისაუბრე, საქართველოს რომელი კუთხეა ასახული? როგორ მიხვდი? საქართველოს რომელ კუთხეებს იცნობ? რა იცი გურიისა და გურულების შესახებ?

წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაეცნონ ტექსტს: „გურია“. შემდეგ ყოფს მათ ოთხ ჯგუფად:

I ჯგუფი - შეისწავლის გურიის გეოგრაფიულ მდებარეობასა და კლიმატს;

II ჯგუფი - შეისწავლის გურიის ისტორიას, კულტურასა და ტრადიციას;

III ჯგუფი - შეისწავლის გურიის კურორტებს;

IV ჯგუფი - შეისწავლის გურიის სამზარეულოს.

მოსწავლეები ეცნობიან წიგნში მოცემულ ინფორმაციას და მოიპოვებენ დამატებით მასალას. თითოეული ჯგუფი წარადგენს პრეზენტაციას კლასის წინაშე. პრეზენტაციის დროს ცდილობენ ინფორმაცია გადმოსცენ საინტერესოდ და გაამრავალფეროვნონ თვალსაჩინოებით, მოიძიონ ფოტო და ვიდეო რესურსები.

ტექსტის დამუშავების შემდეგ შეასრულებენ წიგნში მოცემულ სასაუბროს, გამოკვეთენ მსგავსება-განსხვავებას გურიასა და საკუთარ კუთხეს შორის.

რვეულში ასრულებენ სავ. N 1-ს. ისინი იხსენებენ სახელთა წარმოებას -ულ და -ურ მაწარმოებლების საშუალებით, რადგან კომპლექსური დავალების შესრულების დროს დასჭირდებათ მსგავსი სიტყვების გამოყენება.

იმისთვის, რომ მოემზადონ კომპლექსური დავალების შესასრულებლად რვეულში წერენ სავ. N 2-ს. ისინი კიდევ ერთხელ აკვირდებიან გზამკვლევის სტრუქტურას, შინაარსის მიხედვით წერენ გამოტოვებულ სიტყვებს.

**გრამატიკული აქტივობები:**

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გრამატიკის გზამკვლევში წარმოდგენილ მასალას: ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხები. ის ცდილობს, მოსწავლეებმა თავად იმსჯელონ და გამოიტანონ დასკვნები. ამისთვის მასწავლებელი დაფაზე, ფლიპჩარტზე წერს ან პროექტორის საშუალებით უჩვენებს წინასწარ მომზადებულ პრეზენტაციას. ჯერ აცნობს წინადადებებს. მოსწავლეები აკვირდებიან ქვემდებარესა და შემასმენელს და შემდეგ გამოაქვთ დასკვნები, როდის შეეწყობა ან არ შეეწყობა ქვემდებარე შემასმენელს რიცხვში. მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და ასრულებენ წიგნში გრამატიკიკული ბლოკის ბოლოს მოცემულ დავალებას. მასწავლებელი აკვირდება, რამდენად სწორად გაიგეს ახსნილი მასალა. შემდეგ კი მოსწავლეები დამოუკიდებლად წერენ რვეულში მოცემულ სავ. N 3. კითხულობენ კლასში და ამოწმებენ სწორად შეასრულეს თუ არა.

შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, მოსწავლეები ფანტაზიით იმოგზაურებენ გურიაში, რვეულში წერენ სავ. N 4-ს და ემზადებიან კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

## კომპლექსური დავალება 2

**კომპლექსური დავალების პირობა:**

**შეარჩიე საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, მოიძიე მის შესახებ ინფორმაცია, შექმენი გზამკვლევი და წარადგინე კლასის წინაშე.**

***ნაშრომში:***

- მიუთითე ინფორმაცია რეგიონის შესახებ (*მდებარეობა, საზღვრები - რომელი რეგიონები ესაზღვრება და საიდან, მთავარი ქალაქი, მდინარე* და ა.შ.); შეიტანე შენთვის საინტერესო ყველა ინფორმაცია, დააკონკრეტე მითითებული ობიექტების ადგილმდებარეობები (მაგ., *ღირსშესანიშნაობები, ლამაზი და ისტორიული ადგილები, ადგილობრივი სამზარეულო* და ა.შ.);
- დაწერე სათანადო რჩევა, გამოხატე შენი პოზიცია - რითია საინტერესო ეს კუთხე და დაასაბუთე შესაბამისი არგუმენტებით;
- ყურადღება მიაქციე გზამკვლევის ფორმალურ მხარეს (*ნაწილების დასათაურება - რუბრიკები, ილუსტრაციისა და ტექსტის მიმართება, შრიფტის ზომა და სახესხვაობა, ტექსტის აბზაცებად/ სვეტებად დაყოფა და სხვა).*
- გაითვალისწინე ტექსტის ენობრივი მხარე, სწორად შეუწყვე ქვემდებარე და შემასმენელი რიცხვში.

**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**

- რატომ შეარჩიე საქართველოს ეს კუთხე?
- რა გაგიადვილდა და რა გერთულა დავალებაზე მუშაობის დროს?
- რას გაითვალისწინებ მსგავსი დავალების შესრულებისას?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი ტექსტი არის გზამკვლევი.
- შენი პირადი გამოცდილებიდან რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება გზამკვლევისს წერისას და რატომ?

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ სტრუქტურის დასაწერად და მის წარსადგენად?<br>• სად/როგორ გამოიყენებთ ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხებს?<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |

***ნაბიჯი 2. როგორ მოვახერხო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადაჭრა-გზამკვლევის დაწერა და წარდგენა? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამისთვის? როგორ დამეხმარება ნასწავლი ენობრივი საშუალებები და გამოყენებული სტრატეგიები ამაში?***

*რესურსები და აქტივობები*

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული**

**დამატებითი რესურსი:**

**აქტივობები:**

**აქტივობა 1.**
მოსწავლეები იმსჯელებენ, რატომაა წაკითხული ტექსტი გზამკვლევი, რომელ ჟანრობრივ მახასიათებლებს გამოყოფენ. ჩამოაყალიბონ ინსტრუქცია, რომელიც უნდა გაითვალისწინონ გზამკვლევზე მუშაობის დროს.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ მოემზადებით წასაკითხი ტექსტების გასაგებად?<br>• რა ხერხებს გამოიყენებთ მათ გაცნობამდე? მათი გაცნობისას?<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? |

***ნაბიჯი 3. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო გზამკვლევის შესაქმნელად? როგორ გამოვიყენო გზამკვლევის ჟანრობრივი მახასიათებლები ტექსტის შესაქმნელად.***

*რესურსები და აქტივობები:*

**რესურსი 1.** ნებისმიერი გზამკვლევი (შესაძლებელია როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ვერსია).
**რესურსი 2.** გზამკვლევის შეფასების კრიტერიუმების ბადე.

| კრიტერიუმები | გასაუმჯობესებელია | კარგია |
|---|---|---|
| დაცულია გზამკვლევის სტრუქტურა და ფორმალური მხარე. | | |
| გზამკვლევში მკაფიოდ არის წარმოჩენილი ძირითადი და საინტერესო ინფორმაცია საქართველოს ერთ-ერთი კუთხის შესახებ. | | |
| ჩანს ავტორის ცოდნა, შემოქმედებითობა და კრეატიულობა. | | |
| დაცულია ენობრივი გამართულობა და სასვენი ნიშნების ხმარების წესები. | | |

**აქტივობა 1.** გზამკვლევზე მუშაობა
- იდეების წამოყენება გზამკვლევთან დაკავშირებით (შინაარსი, ფოტოილუსტრაცია, ნახატები და ა.შ.);
- განსახორციელებელი ეტაპების დაგეგმვა;
- კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად სათანადო ენობრივი ცოდნის მობილიზება;
- გზამკვლევის პირველადი ვერსიის შედგენა;
- შეფასების კრიტერიუმების ბადის მიხედვით პირველადი ვერსიის გაუმჯობესება;
- გზამკვლევის საბოლოო ვარიანტის შედგენა.

## რეკომენდაციები:

- განსაზღვრეთ საკომუნიკაციო სიტუაცია (*ტექსტის მიზანი, ფორმატი*);
- განსაზღვრეთ სათაური, ილუსტრაციები;
- შეარჩიეთ ტექსტის სტილი და ფორმა.

**აქტივობა 3.** გზამკვლევის წარდგენა კლასის წინაშე:
- პრეზენტაციის დაგეგმვა (სად, როდის, როგორ);
- პრეზენტაციის მოწყობა

კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ შეადარონ ერთმანეთს სხვადასხვა კუთხის გარემო, კლიმატი, ტრადიციები, კულტურა, სამზარეულო და პარალელი გაავლონ საკუთართან.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • რა ჟანრობრივი მახასიათებელი აქვს გზამკვლევს?<br>• რა სახის ინფორმაცია უნდა აისახოს?<br>• როგორ გამოიყენებთ გზამკვლევს თქვენი მიზნებისთვის?<br>• რამდენად გამოგადგებათ მიღებული ცოდნა-გამოცდილება დავალების შესრულებაში? |

| | |
|---|---|
| | • |

**კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ).** ***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.***

- დაიცავი თუ არა გზამკვლევის სტრუქტურა? **(ტექსტი)**;
- რამდენად შეძელი საჭირო ლექსიკისა და გრამატიკის გამოყენება გზამკვლევის შექმნისას? მისი წარდგენისას? რატომ?
- რამდენად შეძელი საჭირო ენობრივი კონტრუქციების მიზნობრივად / ფუნქციურად გამოყენება? რატომ? **(ენობრივ-გამომსახ. საშუალება; სამეტყ. ქმედება)**.
- რამდენად დაგეხმარა სხვა ქვეყნის ღირსშესანიშნაობებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გაცნობა კულტურათა დიალოგის ხელშეწყობაში? **(კულტ. დიალოგი)**
- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წაააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

**შეფასების რუბრიკა**

**კომპლექსური დავალება N2**

შეარჩიე საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, მოიძიე მის შესახებ ინფორმაცია, შექმენი გზამკვლევი და წარადგინე კლასის წინაშე.

| **კრიტერიუმი/ სამიზნე ცნება** | **სამეტყველო ქმედება** | **ტექსტი** | **ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** | **კულტურათა დიალოგი** |
|---|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე** მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; გაბმულად საუბრობს საქართველოს ერთ-ერთი კუთხის გზამკვლევის შესაებ. ეფექტურად იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი. | შემოქმედებითად იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს გზამკვლევის შესაქმნელად. ეფექტურად ითვალისწინებს გზამკვლევის სტრუქტურას, გზამკვლევში მიანიშნებს შერჩეული კუთხის გეოგრაფიულ მდებარეობას, კლიმატს, კულტურასა და ტრადიციებს, კურორტებს, ისტორიას, სამზარეულოს. თავისუფლად | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას დაუბრკოლებლად იყენებს ნასწავლ და შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა(შემასმენლისა და ქვემდებარის რიცხვში შეთანხმების საკითხები) და ენობრივ კონსტრუქციებს. | ამჩნევს და საკუთარს ადარებს მოცემული კუთხის გზამკვლევის სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება და სხვებსაც მიუთითებს ამისკენ. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. | | |
| **მიმართებითი დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია გაბმულად საუბარი საქართველოს ერთ-ერთი კუთხის გზამკვლევის შესაებ. იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირე შეცდომები და აქცენტი. | იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს გზამკვლევის შესაქმნელად. ეფექტურად ითვალისწინებს გზამკვლევის სტრუქტურას, გზამკვლევში მიანიშნებს შერჩეული კუთხის გეოგრაფიულ მდებარეობას, კლიმატს, კულტურასა და ტრადიციებს, კურორტებს, ისტორიას, სამზარეულოს. გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციების უმეტესობას. მცირე შეცდომებით ახერხებს გზამკვლევის დაწერას. | გზამკვლევში ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/განსხვავებულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება. |
| **მულტისტრუქტურული დონე** | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას | შეუძლია გზამკვლევის ძირითადი | მოსწავლე შეცდომებით ახერხებს გზამკვლევის დაწერას. თუმცა | გზამკვლევში აღმოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გარეშე. | შეუძლია მოკლე ფრაზებით საუბარი, შეცდომებითა და აქცენტით. | მახასიათებლების ამოცნობა ტექსტში. შეუძლია ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგება. | ნაწერში ავლენს გზამკვლევის სტრუქტურის ცოდნას. | მახასიათებელს, რომელსაც ადარებს საკუთარს. |
| **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა მოცემული თემის ირგვლივ. | შეუძლია გზამკვლევში ორიოდე ექსპლიციტური ინფორმაციის გაგება. | მოსწავლე საკმაო რაოდენობის შეცდომებით ახერხებს გზამკვლევის დაწერას. მრავლადაა ენობრივ-გრამატიკული შეცდომები. | გზამკვლევში აღმოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ მახასიათებელს, თუმცა ვერ ადარებს საკუთარს. |
| **პრე-სტრუქტურული დონე** მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითს ან იყენებს არარაელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. |

# თემატური მატრიცის თავფურცელი

**თემის სახელწოდება:** **დედამიწა ყველას სახლია**

**საათების სავარაუდო რაოდენობა:** **მასწავლებელი განსაზღვრავს კლასის საჭიროებებისა და მოსწავლეთა უნარების მიხედვით.**

**ძირითადი რესურსი:** მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები**

**სათანადო ლექსიკის, გრამატიკული მასალის ცოდნა და მიზნობრივი გამოყენება მნიშვნელოვანია დისკუსიის წარმართვისთვის.**

**ბუნების გადარჩენის თემაზე ბანერის შესაქმნელად და წარსადგენად მნიშვნელოვანია სათანადო ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენება.**

**საჭირო ლექსიკისა და გრამატიკული მასალის ცოდნა და მისი მიზნობრივი გამოყენება მნიშვნელოვანია სამეტყველო ქმედებების განხორციელებისთვის.**

**სამეტყველო ქმედება**

**მკვიდრი წარმოდგენები**

- სამეტყველო ქმედებები *(მაგ., ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში - თხოვნა, შეთავაზება..., საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება, დროსა და სივრცეში ორიენტირება, პოზიციის გამოხატვა, ახსნა და დასაბუთება* და ა.შ.) ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით (მაგ., *ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამოხატვა ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით* და ა.შ.);
- ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (მაგ., *თავაზიანი თუ ფამილარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.).*

**ტექსტი**

***მკვიდრი წარმოდგენები:***

- არსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / არამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, კორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი და წერილობითი ტექსტი;
- ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის შესაქმნელად;

ტექსტის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და არასიტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია*) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება.

**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები**

***მკვიდრი წარმოდგენები:***

- ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს;
- ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის დასაუფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური ასოები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები, ქართული ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, სხვადასხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა* და ა.შ.);

ქართული ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის*) ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის;

**კულტურათა დიალოგი**

***<u>მკვიდრი წარმოდგენები:</u>***

- ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროს შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებას (მაგ., *თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას*);

განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება გვეხმარება მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში.

| სამიზნე ცნებები | საკითხი 1<br><br>**საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა-დასაბუთება დედამიწის გადარჩენის გზების ძიების შესახებ.** | საკითხი 2<br><br>**ბანერის შექმნა ბუნების გადარჩენის თემაზე.** |
|---|---|---|
| **სამეტყველო ქმედება** | **ქვეცნება:**<br><br>ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში.<br>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/დამოკიდებულებების შესახებ.<br>ლოგიკური კავშირების გამოხატვა.<br>**ქვესაკითხები:**<br><br>*კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, წარდგენა, თხოვნა, მადლობის გადახდა.*<br><br>ემოციების, შთაბეჭდილებების, შეფასების, პოციციის გამოხატვა.<br><br>მიზეზი, შედეგი, მიზანი. | **ქვეცნება:**<br><br>ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში.<br>ლოგიკური კავშირების გამოხატვა.<br>სიტუაციური მახასიათებლები.<br><br>**ქვესაკითხები:**<br><br>*კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, წარდგენა, თხოვნა.*<br>მიზეზი, შედეგი, მიზანი.<br>კომუნიკაციის მიზანი, თემა, ადგილი, დრო. |

| | | |
|---|---|---|
| **ტექსტი** | **ტექსტის ტიპები:**<br><br>მხატვრული (ადაპტირებული მოთხრობა).<br><br>არამხატვრული (საინფორმაციო ტექსტი).<br><br>**ქვეცნება:** ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება.<br><br>ტექსტის ჟანრები.<br><br>**ქვესაკითხები:** ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები. | **ტექსტის ტიპი:**<br>არამხატვრული<br><br>**ქვეცნება:** ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება (ბანერის ტექსტის სტრუქტურა);<br><br>**ქვესაკითხები:** ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები. |
| **ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** | **ქვესაკითხები:**<br><br>ლექსიკა - თემასთან შესატყვისი ლექსიკა: დედამიწა, ბუნება, უცვეულო, ფოტოაპარატი, წითელი წიგნი, უხსოვარი, ხოხობი, კაკაბი.<br><br>გრამატიკა: რთული წინადადებების სახეები. | **ქვესაკითხები:**<br><br>ლექსიკა: თემასთან შესატყვისი ლექსიკა: ჰარმონიული, პოპულარული, დევიზი, სპიკერი, ველური ბუნება, აფრიკა, ცხოველი, ფრინველი.<br><br>გრამატიკა - რთული ქვეწყობილი წინადადება. |
| **კულტურათა დიალოგი** | | **ქვეცნება:** სოციოკულტურული რეალიები<br><br>**ქვესაკითხები:** სამყაროსეული ხედვა. |

| | | |
|---|---|---|
| | **კომპლექსური დავალება 1**<br><br>„მრგვალი მაგიდის მოწყობა''<br><br>შეუძლია თუ არა თითოეულ ჩვენგანს გახდეს რეინჯერი, რომელიც დაიცავს პლანეტასა და მომავალი თაობებისთვის შეინარჩუნებს ბუნებრივ რესურსებს. | **კომპლექსური დავალება 2**<br><br>შექმენი ბანერი როგორ დავეხმაროთ ბუნებას. |

## შუალედური სასწავლო მიზანი - 1

| |
|---|
| **თემა: დედამიწა ყველას სახლია**<br><br>**კომპლექსური დავალების თემა:** „მრგვალი მაგიდის მოწყობა''<br><br>შეუძლია თუ არა თითოეულ ჩვენგანს გახდეს რეინჯერი, რომელიც დაიცავს პლანეტასა და მომავალი თაობებისთვის შეინარჩუნებს ბუნებრივ რესურსებს. |
| **სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები**<br><br>**სამეტყველო ქმედება** - ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/დამოკიდებულებების შესახებ, ლოგიკური კავშირების გამოხატვა.<br>**ტექსტი** - ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება. მხატვრული (ადაპტირებული მოთხრობა); არამხატვრული (საინფორმაციო ტექსტი).<br>**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები**<br><br>ლექსიკა - თემასთან შესატყვისი ლექსიკა: დედამიწა, ბუნება, უჩვეულო, ფოტოაპარატი, წითელი წიგნი, უხსოვარი, ხოხობი, კაკაბი...<br><br>გრამატიკა: რთული წინადადებების სახეები. |
| **საკითხი: საუბარი საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდზე.**<br>**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:** ლექსიკა - თემასთან შესატყვისი ლექსიკა: დედამიწა, ბუნება, უჩვეულო, ფოტოაპარატი, წითელი |

წიგნი, უხსოვარი, ხოხობი, კაკაბი.

<u>გრამატიკა:</u> რთული წინადადებების სახეები.

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა-დასაბუთება დედამიწის გადარჩენის გზების ძიების შესახებ.
- რა ცოდნა და სტრატეგიები დამეხმარება აზრის სწორად და თანმიმდევრულად გადმოცემაში?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო მიზნობრივად და მართებულად წერისა და მეტყველებისათვის? რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა დისკუსიის დროს?

**კომპლექსური დავალება 1.** „მრგვალი მაგიდის მოწყობა''

შეუძლია თუ არა თითოეულ ჩვენგანს გახდეს რეინჯერი, რომელიც დაიცავს პლანეტასა და მომავალი თაობებისთვის შეინარჩუნებს ბუნებრივ რესურსებს.

**დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:**

- სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად (**ტექსტი**);
- შესაბამისი გრამატიკული ცოდნა და ნასწავლი ლექსიკის მართებული გამოყენება **(ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; სამეტყველო ქმედება)**.

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)**

**ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** მოსწავლეები უყურებენ ფილმს: <u>https://www.youtube.com/watch?v=nve_zmqwfME</u>

იმსჯელებენ, რა არის მთავარი სათქმელი? რატომ ფიქრობენ ასე? ეთანხმებიან თუ არა ავტორს?

მათი აზრით, საჭიროა თუ არა დედამიწაზე ზრუნვა?

როგორ ესმით გამოთქმა „დედამიწა ყველას სახლია“?

- ვინ არის რეინჯერი და რა ფუნქცია აქვს მას?
- ფიქრობთ, თუ არა, რომ დედამიწის სასაცავად ყველას აზრი მნიშვნელოვანია?
- თქვენი აზრით, მნიშვნელოვანია თუ არა საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება გარემოს დაცვის კუთხით?
- გიმსჯელიათ თუ არა გარემოს დაცვის მნიშვნელობაზე და როდის, რატომ და რა მიზნით?

**აქტივობა 2.** დავალების მოთხოვნების გააზრება.

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რაზე უნდა ისაუბრო პრეზენტაციის დროს?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რის შესწავლა დაგვჭირდებათ?
- რა გაგიადვილდებათ? რა გაგიძნელდებათ? რაში დაგჭირდებათ  დახმარება?

რეკომენდაცია: კლასის/მოსწავლეების **საჭიროების გათვალიწინებით შეგიძლიათ** გარკვეული პასუხები მშობლიურ ენაზე მოსთხოვოთ მოსწავლეს, ვინაიდან აქ მოწმდება არა ქართული ენის ცოდნა (ეს არ არის მიზანი), არამედ, ვარკვევთ რა გამოცდილება აქვს მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით.

**ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1. რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო / დამჭირდება დავალების შესასრულებლად?**

**საჭირო ენობრივი საკითხები:**
სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება ;
რთული წინადადების სახეები.

**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

**აქტივობები:**
მოსწავლეები უყურებენ ანიმაციურ ფილმს https://www.youtube.com/watch?v=fZyyXp5x_3I და შეასრულებენ მოსწავლის რვეულში დავალებებს (სავ. N 1 და სავ. N 2)
წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ მასწავლებელი კომენტირებული და მართული კითხვის გამოყენებით მოსწავლეებს აცნობს **„დაე იცოცხლონ კაკაბმა და ხოხობმა!“**

ტექსტის წაკითხვამდე პასუხობენ კითხვებს:
თუ გიყვარს ბუნებაში გასეირნება? ვისთან/რასთან ერთად?
რა აზრის ხარ ნადირობაზე? რატომ?
გიყვარს ფოტოების გადაღება?
შენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ფოტოაპარატით ნადირობა?
წაიკითხე ტექსტი და იმსჯელე, რა მიზნით დაწერა ნიკო კეცხოველმა ეს მოთხრობა?
ორიენტირებული კითხვა მონაკვეთებად დაყოფილ ტექსტთან მუშაობას გულისხმობს და მოიცავს კითხვის სამივე ფაზას: წაკითხვამდე, კითხვის დროს, წაკითხვის შემდეგ.
სასურველია მასწავლებელმა კითხვის დაწყებამდე და ასევე კითხვის პროცესში მოსწავლეებს შესთავაზოს ვარაუდების გამოთქმა. დაწყებამდე სათაურისა და ფოტოების მიხედვით იმსჯელონ რაზე იქნება საუბარი, თავად რა ამბავს მოიფიქრებდნენ. შემდეგ კი ეპიზოდების მიხედვით განაგრძონ მოცემული სქემის მიხედვით:

**ეპიზოდი 1.**

- როგორ ფიქრობ, რა მოხდება? -------------------
- რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი?-
- სინამდვილეში რა მოხდა? ---------

**ეპიზოდი 2.**

- როგორ ფიქრობ, რა მოხდება? -------------------
- რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი?-
- სინამდვილეში რა მოხდა? ---------

ორიენტირებული კითხვის მეთოდი ეხმარება როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელსაც: მასწავლებელს ის საშუალებას აძლევს, ყველა დონის მოსწავლეს გააზრებინოს და დაამუშავებინოს თუნდაც რთული ტექსტი; მოსწავლე გაკვეთილის ბოლომდე გატაცებულ მკითხველად რჩება.

ორიენტირებული კითხვა ხელს უწყობს მოსწავლეებს ტექსტის უკეთ გააზრებაში, უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას – ისინი სწავლობენ კითხვის დასმას, ვარაუდის გამოთქმას და არგუმენტირებულ მსჯელობას.

მოსწავლეები რვეულში წერენ სავ. N 3-ს, 4-სა და 5-ს. შემდეგ კი ავსებენ თხრობის რუკას და მასზე დაყრდნობით ზეპირად გადმოსცემენ მოთხრობილ ამბავს.

| | | |
|---|---|---|
| **მთავარი პერსონაჟები:**<br><br>**სხვა პერსონაჟები:** | **მოქმედების დრო და ადგილი:** | |
| **რა მოხდა დასაწყისში** ⇨ | **შემდეგ რა მოხდა?** ⇨ | **რით დასრულდა ამბავი?** |
| „ერთხელ... | „ამის შემდეგ... | „ბოლოს... |

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს უპასუხონ ტექსტის ბოლოს მოცემულ კითხვებს, ისაუბრონ რატომ, რა მიზნით დაწერა ავტორმა ეს მოთხრობა. მოსწავლეებს სთხოვს დააკვირდნენ ბუნების მშვენიერებას, გადაიღონ ლამაზი ფოტოები და შექმნან ფოტოალბომი. (შეასრულებენ წიგნში მოცემულ დავალებას.)

მასწავლებელი აცნობს წიგნში მოცემულ მასალას: სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება. მოსწავლეები

ასრულებენ წიგნში მოცემულ დავალებას.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გრამატიკის ბლოკში მოცემულ მასალას: რთული წინადადების სახეები.

მოსწავლეები წიგნში მოცემულ წინადადებებზე დაკვირვებით განიხილავენ რთულ ქვეწყობილ და რთულ თანწყობილ წინადადებებს. შეასრულებენ მოსწავლის წიგნში დავალება 1-სა და დავალება 2-ს. რვეულში დაწერენ სავ. N 6-ს, 7-სა და 8-ს.

აღნიშნული დავალებები ხელს შეუწყობს ახსნილი მასალის გაგება-გააზრებისა და პრაქტიკაში სწორად გამოყენების უნარების განვითარებას.

რვეულში წერენ სავარჯიშო N 9-ს. მანამდე დავუსვამთ კითხვებს: თუ გყავთ სახლში შინაური ცხოველი? თქვენ თუ არ გყავთ თქვენს საახლობლოში თუ ჰყავს ვინმეს? როგორ უვლიან მას? თუთიყუში ვის ჰყავს? რა იციან მისი მოვლის შესახებ? შემდეგ დაწერენ დავალებას. მასწავლებელი სთხოვს, რომ ეცადონ გამოიყენონ რთული წინადადებები.

მასწავლებელი ახალი ტექსტის წაკითხვამდე („წითელი წიგნი“) მოსწავლეებს უსვამს კითხვებს: როგორ ფიქრობ, ადამიანის ცხოვრების წესი ახდენს თუ არა გავლენას დედამიწის სხვა ბინადრებზე? ეკოლოგიაზე?

შენი აზრით, რამ გამოიწვია ის, რომ ზოგიერთი მცენარე და ცხოველი გადაშენების პირასაა?

თუ იცი რა არის წითელი წიგნი? რა ინფორმაცია არის შეტანილი მასში?

რამ გამოიწვია მისი შექმნის აუცილებლობა? რა დანიშნულება აქვს წითელ წიგნს?

როგორ ფიქრობთ, წითელი წიგნი მხოლოდ საქართველოში არსებობს თუ სხვა ქვეყნებსაც ექნებათ მისი შექმნის აუცილებლობა? რატომ ფიქრობთ ასე?

ტექსტის წაკითხვის შემდეგ შეასრულებენ წიგნში მოცემულ დავალებას.

ტექსტის კოლხური ხოხობის წაკითხვამდე მასწავლებელი ცდილობს მოამზადოს მოსწავლეები, გააქტიუროს წინარე ცოდნა. ეკითხება თუ იციან ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ, როგორ უკავშირდება ეს ამბავი ხოხობს. რა იციან ხოხბის შესახებ...

მოსწავლეები კომენტირებული და მართული კითხვის გამოყენებით წაიკითხავენ ტექსტს: კოლხური ხოხობი. წაკითხვის შემდეგ დამოუკიდებლად შეასრულებენ ტესტს და  შემდეგ მეწყვილესთან ერთად გადაამოწებენ პასუხებს. შეცდომის შემთხვევაში მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად იმსჯელებენ რატომაა ესა თუ ის პასუხი სწორი ან არასწორი. ჩამოაყალიბებენ საკუთარ შეხედულებებს, როგორ უნდა შეძლონ წაკითხული ტექსტის გააზრება, რას მიაქციონ ყურადღება.

მოსწავლის რვეულში წერენ სავარჯიშოებს: N 1, 2, 3, 4.

**კომპლექსური დავალება 1**

**„მრგვალი მაგიდის მოწყობა“**

**კომპლექსური დავალების პირობა:** შეუძლია თუ არა თითოეულ ჩვენგანს გახდეს რეინჯერი, რომელიც დაიცავს პლანეტასა და მომავალი თაობებისთვის შეინარჩუნებს ბუნებრივ რესურსებს.

**დავალებაზე მუშაობისას:**

სამუშაოს დაწყებამდე დაფიქრდი დავალების შესრულების ეტაპებზე და რომელ სტრატეგიებს გამოიყენებ ამისათვის (გაითვალისწინე: დისკუსიის წარმართვის წესები, არგუმენტების მოხმობა, შეკითხვების მომზადება, არგუმენტირებული მსჯელობისთვის სათანადო ლექსიკის გამოყენება, რეგლამენტის დაცვა...).

თვალსაზრისის გამოხატვისას გამოიყენე სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები (ჩემი აზრით, ვფიქრობ, რომ..., მგონი). საუბრისას გამოიყენე რთული წინადადებები საკუთარი აზრის დასასაბუთებლად.

**დავალების წარდგენის შემდეგ:**

- აღწერე და შეაფასე შენ მიერ გავლილი ეტაპები: სწორად დაგეგმე თუ არა;
- როდის რა გააკეთე და რატომ;
- რა სტრატეგიები გამოიყენე;
- რამ იმუშავა და რამ — ვერა;
- რა გაგიჭირდა და რა გაგიადვილდა;
- რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე დისკუსიაში მონაწილეობის მიღებას.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ მსჯელობისას და საკუთარი აზრის გადმოსაცემად?<br>• სად/როგორ გამოიყენებთ რთული წინადადების სახეებს?<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |

***ნაბიჯი 2. როგორ მოვახერხო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადაჭრა-დისკუსიაში მონაწილეობა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად გადმოცემა? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამისთვის? როგორ დამეხმარება ნასწავლი ენობრივი საშუალებები და გამოყენებული სტრატეგიები ამაში?***

***რესურსები და აქტივობები***

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

**დამატებითი რესურსი: რესურსი 1. სიმღერა „ტყე შეუნახე შვილებსა“**

https://www.youtube.com/watch?v=ux4i73sRsmc

**აქტივობები:**

**აქტივობა 1.** მოსასმენი / წასაკითხი ტექსტის/ინფორმაციის გაგება/გააზრება (საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა)

მოსწავლეები მოისმენენ სიმღერას: https://www.youtube.com/watch?v=ux4i73sRsmc მოსასმენიდან გამომდინარე იმსჯელებენ, რატომაა აუცილებელი ბუნების გაფრთხილება.

**აქტივობა 2.** კონკრეტული სამეტყველო ქმედების განხორციელება საკომუნიკაციო სიტუაციების გათვალისწინებით. მოსწავლეები შეეცდებიან საკუთარი მოსაზრებები ჩამოწერონ დაფაზე ან ფლიპჩარტზე.

**აქტივობა 3.** გამოკვეთავენ პრობლემას, მისი წარმოშობის მიზეზსა და ამ პრობლემის მოგვარების საშუალებას.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ მოემზადებით მოსასმენი და წასაკითხი ტექსტების გასაგებად?<br>• რა ხერხებს გამოიყენებთ მათ გაცნობამდე? მათი გაცნობისას?<br>• კითხვები მოსასმენი ტექსტის გაგება/გააზრებისათვის (როგორი მუსიკალური ნაწარმოები მოისმინეთ? რას ამბობს სიმღერის ავტორი? ეთანხმებით მის მოსაზრებას?)<br>• როგორ/რა ენობრივი საშუალებებით წარმოაჩენთ თქვენს დამოკიდებულებას, რჩევას? როგორ გამოხატავთ და დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას?<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? |

***ნაბიჯი 3. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო მსჯელობის დროს? როგორ გამოვიყენო ჩემი ცოდნა მოცემულ საკითხზე მსჯელობის დროს?***

***რესურსები და აქტივობები:***

**რესურსი 1.** მოსწავლეების მიერ შექმნილი ცხრილი გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილას ( სადაც წერია რა აყენებს ბუნებას ზიანს, რა არის ამ ზიანის მიზეზი და როგორ შეიძლება მისი მოგვარება. მოსწავლეები ემზადებიან „მრგვალი მაგიდის“ მოსაწყობად. თავად, მასწავლებლის დახმარებით, შეიმუშავებენ დისკუსიისათვის შეფასების კრიტერიუმებს.

**რესურსი 2.** დისკუსიის კრიტერიუმების ბადე.

| **კრიტერიუმები გასაუმჯობესებელია** | **კარგია** | |
|---|---|---|
| **საუბრობს მოცემული საკითხის ირგვლივ** | | |
| **მკაფიოდ არის წარმოჩენილი ავტორის მთავარი სათქმელი, მისი შეხედულებები და მოსაზრებები.** | | |
| **ჩანს ავტორის აზროვნება. მსჯელობს არგუმენტირებულად.** | | |
| **დაცულია ენობრივი გამართულობა. წინადადებები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს და აზრი თანამიმდევრულად, ნათლად არის გადმოცემული.** | | |

**აქტივობები:**

**აქტივობა 1**. წინარე ცოდნის გახსენება.

- ვინ არის რეინჯერი? რა ევალება მას?
- შეიძლება თუ არა, რომ თითოეული ჩვენგანი გახდეს რეინჯერი?

**აქტივობა 2.** მრგვალი მაგიდის მოწყობა

- იდეების წამოყენება;
- განსახორციელებელი ეტაპების დაგეგმვა;
- კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად სათანადო ენობრივი ცოდნის მობილიზება;
- საკუთარი მოსაზრებების თეზისებად ჩამოწერა;
- შეფასების კრიტერიუმების გაცნობა;
- „მრგვალი მაგიდის მოწყობა“

რეკომენდაციები:

- განსაზღვრეთ საკომუნიკაციო სიტუაცია (*ტექსტის მიზანი, ფორმატი*);
- განსაზღვრეთ რა საკითხებზე აპირებთ საუბარს/მსჯელობას;
- შეარჩიეთ სათანადო სტრატეგიები საკუთარი აზრის უკეთ/დამაჯერებლად წარმოსაჩენად.

**აქტივობა 3. „მრგვალი მაგიდის მოწყობა“**

- შეხვედრის დაგეგმვა (სად, როდის, როგორ);
- შეხვედრის მოწყობა

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • რა თემაზე აპირებთ საუბარს?<br>• რა სახის ინფორმაცია უნდა გადმოსცეთ?<br>• ვინ არიან თქვენი მსმენელები?<br>• რამდენად გამოგადგებათ მიღებული ცოდნა-გამოცდილება ცხოვრებაში? |

**კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ).** ***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.***

- დაიცავი თუ არა „მრგვალი მაგიდის" მოსაწყობად საჭირო სტრუქტურა? **(ტექსტი/ვერბალური)**;
- რამდენად შეძელი საჭირო ლექსიკისა და გრამატიკის გამოყენება საკუთარი აზრის წარდგენისას? რატომ?
- რამდენად შეძელი საჭირო ენობრივი კონტრუქციების მიზნობრივად / ფუნქციურად გამოყენება? რატომ? **(ენობრივ-გამომსახ. საშუალება; სამეტყ. ქმედება)**.
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

## შეფასების რუბრიკა

### კომპლექსური დავალება N1

,,მრგვალი მაგიდის მოწყობა"

შეუძლია თუ არა თითოეულ ჩვენგანს გახდეს რეინჯერი, რომელიც დაიცავს პლანეტასა და მომავალი თაობებისთვის შეინარჩუნებს ბუნებრივ რესურსებს.

| კრიტერიუმი/ სამიზნე ცნება | სამეტყველო ქმედება | ტექსტი | ენობრივ-გრამატიკული საშუალებები |
|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე** მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; მოსაზრება საინტერესოა და გამყარებულია ორიგინალური ფაქტებით, არის ლოგიკური კავშირი დასმულ საკითხთან. იცავს ეთიკურ მხარეს. ეფექტურად იყენებს დისკუსიის | შემოქმედებითად და მიზნობრივად იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს. იყენებს მრავალფეროვან მასალას დასმული საკითხის ირგვლივ. თავისუფლად აზუსტებს გაუგებარ დეტალებს, შემოქმედებითად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას დაუბრკოლებლად იყენებს საჭირო ნასწავლ და შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | წარმართვის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი. | | |
| **მიმართებითი დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; მოსაზრება გამყარებულია ფაქტებით, არის ლოგიკური კავშირი დასმულ საკითხთან. იცავს ეთიკურ მხარეს. იყენებს დისკუსიის წარმართვის სტრატეგიებს. საუბრობს მცირეოდენი აქცენტით. | მიზნობრივად იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს. იყენებს შეთავაზებულ მასალას დასმული საკითხის ირგვლივ. აზუსტებს გაუგებარ დეტალებს, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციების უმეტესობას. მცირე შეცდომებით ახერხებს საკითხის მომზადებას. |
| **მულტისტრუქტურული დონე** | შეუძლია მოკლე ფრაზებით საუბარი, | შეუძლია შეთავაზებული ტექსტების | მოსწავლე უშვებს |

| | | | |
|---|---|---|---|
| მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გარეშე. | შეცდომებითა და აქცენტით. | მახასიათებლების ამოცნობა. შეუძლია ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგება. | საკმაო რაოდენობის შეცდომებს თუმცა ავლენს დისკუსიის სტრატეგიების ცოდნას. |
| **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა. | შეუძლია კონკრეტული ტიპისა და ჟანრის ტექსტში ორიოდე ექსპლიციტური ინფორმაციის გაგება. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციებიდან მხოლოდ ორიოდე ფორმას, მრავლადაა შეცდომები. |
| **პრე-სტრუქტურული დონე** მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითს ან იყენებს არარაელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. |

## შუალედური სასწავლო მიზანი - 2

**თემა: დედამიწა ყველას სახლია**

**კომპლექსური დავალების თემა:**

**შექმენი ბანერი: როგორ დავეხმაროთ ბუნებას. შეგიძლია შეარჩიო შენთვის მოსახერხებელი ფორმატი (power point, canva, ფერადი ფანქრები, საღებავები, ფორმატი...).**

**სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები**
**სამეტყველო ქმედება** – ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში. ლოგიკური კავშირების გამოხატვა. სიტუაციური მახასიათებლები.

**ტექსტი** - არამხატვრული; ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება (ბანერის ტექსტის სტრუქტურა);
**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები –**

ლექსიკა: თემასთან შესატყვისი ლექსიკა: ჰარმონიული, პოპულარული, დევიზი, სპიკერი, ველური ბუნება, აფრიკა, ცხოველი, ფრინველი.

გრამატიკა - რთული ქვეწყობილი წინადადება.

**კულტურათა დიალოგი** – სამყაროსეული ხედვა მეხმარება ჩემი ქვეყნის პრობლემები განვიხილო ზოგადსაკაცობრიო ჭრილში ან პირიქით.

**საკითხი: ბანერის შექმნა ბუნების გადარჩენის თემაზე.**

**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:**
- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო ბანერის შექმნა? როგორ მოვახერხო ინფორმაციის საინტერესოდ გადმოცემა?
- რა ცოდნა და სტრატეგიები დამეხმარება ბანერის შესაქმნელად? როგორ დაგეხმარათ ბანერის სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა ამაში?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო მიზნობრივად და მართებულად წერისა და მეტყველებისათვის? რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ბანერის შესაქმნელად?

**კომპლექსური დავალება 1. შექმენი ბანერი: როგორ დავეხმაროთ ბუნებას. შეგიძლია შეარჩიო შენთვის მოსახერხებელი ფორმატი (power point, canva, ფერადი ფანქრები, საღებავები, ფორმატი...).**

**დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:**

- ბანერის სტრუქტურის ცოდნა და საკომუნიკაციო მიზნების შესაბამისი მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური, გრაფიკულ-მაორგანიზებელი ელემენტების მართებული გამოყენება **(ტექსტი)**;
- შესაბამისი გრამატიკული ცოდნა და ნასწავლი ლექსიკის მართებული გამოყენება **(ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; სამეტყველო ქმედება)**.
- სამყაროსეული ხედვა მეხმარება ჩემი ქვეყნის პრობლემები განვიხილო ზოგადსაკაცობრიო ჭრილში ან პირიქით. **(კულტურათა დიალოგი)**.

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)**

**ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** წინარე ცოდნის გააქტიურება.
მოსწავლეები ემზადებიან ტექსტის წასაკითხად. კითხულობენ სატიტულო გვერდზე მოცემულ კითხვებს, პასუხობენ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე. ისინი დააკვირდებიან სათაურს, ფოტოს და გამოთქვამენ მოსაზრებებს, რაზე იქნება საუბარი, მათი აზრით. რას მეუბნება პირველადი მინიშნებები (მაგ., სათაური, ილუსტრაცია) ტექსტის შესახებ? რით უკავშირდება ისინი ჩემს ცოდნას? რას მეუბნება ტექსტი? როგორ გამოვიყენო მინიშნებები იმის გასაგებად, თუ რეალურად რის შესახებ არის ტექსტი?

ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით;

რადგან კომპლექსურ დავალებაში მოსწავლეებმა ბანერი უნდა შექმნან, ამიტომ მასწავლებელი ააქტიურებს ამ კუთხით მოსწავლეთა ცოდნას.

- რა არის ბანერი და რა ფუნქცია აქვს მას?
- ფიქრობ, თუ არა, რომ საჭიროა ბანერის მახასიათებლების გათვალისწინება? რატომ?
- შეგიქმნია თუ არა ბანერი და როდის, რატომ და რა მიზნით?

**აქტივობა 2.** დავალების მოთხოვნების გააზრება.

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რას უნდა მიაქციო ყურადღება ბანერზე მუშაობისას?
- რაზე უნდა ისაუბრო პრეზენტაციის დროს?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება?
- რის შესწავლა დაგვჭირდება?
- რა გაგიადვილდება? რა გაგიძნელდება? რაში დაგჭირდება დახმარება?

რეკომენდაცია: კლასის/მოსწავლეების **საჭიროების გათვალიწინებით შეგიძლიათ** გარკვეული პასუხები მშობლიურ ენაზე მოსთხოვოთ მოსწავლეს, ვინაიდან აქ მოწმდება არა ქართული ენის ცოდნა (ეს არ არის მიზანი), არამედ, ვარკვევთ რა გამოცდილება აქვს მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით.

## ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

### ნაბიჯი 1. რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო / დამჭირდება დავალების შესასრულებლად?

**საჭირო ენობრივი საკითხები:**
რთული ქვეწყობილი წინადადება.

**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

**აქტივობები:**
წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ მასწავლებელი კომენტირებული და მართული კითხვის გამოყენებით მოსწავლეებს აცნობს ტექსტს: „ტიპპი დეგრე - „გოგონა მაუგლი“.

მოსწავლეები ემზადებიან ტექსტის წასაკითხად:

ყოველი ეპიზოდის წაკითხვამდე მოსწავლეები ავსებენ ვარაუდების ცხრილის პირველ ორ მონაცემს, ბოლო მონაცემს - წაკითხვის შემდეგ; მსჯელობენ მინიშნებებზე, რომლებსაც მიაქციეს/არ მიაქციეს ყურადღება;

**ეპიზოდი 1.**

- როგორ ფიქრობ, რა მოხდება? -------------------
- რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი?
- სინამდვილეში რა მოხდა? ---------

**ეპიზოდი 2.**

- როგორ ფიქრობ, რა მოხდება? -------------------
- რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი?
- სინამდვილეში რა მოხდა? ---------

**ტექსტზე მუშაობისას მოსწავლეები ადგენენ ლექსიკონს** - მოსწავლეები ახლად ნასწავლ სიტყვებს შეიტანენ რვეულებში და თითოეულისათვის შეავსებენ სქემას შემდეგი რუბრიკებით:

- განმარტება,
- სინონიმი/ანტონიმი;
- მაგალითი/ასოციაცია;
- სიტყვა წინადადებაში.

ტექსტის გაგება-გააზრების დონის გასარკვევად მოსწავლეები უპასუხებენ გაკვეთილის ბოლოს მოცემულ კითხვებს.

რვეულში წერენ სავარჯიშოებს: N 1, 2, 3.

**გრამატიკული აქტივობები:**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ გრამატიკის გზამკვლევს: რთული ქვეწყობილი წინადადება. უხსნის ახალ მასალას და ასრულებენ წიგნში მოცემულ დავალებას. შემდეგ რვეულში წერენ სავარჯიშოს: N 4.

დემოკრატიული კომპეტენციების განვითარების მიზნით, იმისთვის, რომ მოსწავლეები ჩამოყალიბდნენ საზოგადოების აქტიურ წევრებად, განუვითარდეთ კრიტიკული აზროვნება, მსჯელობის უნარი, რვეულში ასრულებენ სავარჯიშოს N 5.

**კომპლექსური დავალება 2**

**კომპლექსური2**

**შექმენი ბანერი**

**კომპლექსური დავალების პირობა: შექმენი ბანერი: როგორ დავეხმაროთ ბუნებას.**

**შეგიძლია შეარჩიო შენთვის მოსახერხებელი ფორმატი (power point, canva, ფერადი ფანქრები, საღებავები, ფორმატი...).**

**დავალებაზე მუშაობისას:**

სამუშაოს დაწყებამდე დაფიქრდი დავალების შესრულების ეტაპებზე და რომელ სტრატეგიებს გამოიყენებ ამისათვის.

ბანერის შექმნისას მნიშვნელოვანია თითოეული ელემენტის სწორედ შერჩევა. მისი დიზაინი მიმზიდველი უნდა იყოს და ასრულებდეს იმ მიზანს, რომელიც მის წინაშეა დასმული.

ტექსტი უნდა იყოს მოკლე, გასაგები და მხოლოდ იმ შინაარსის მატარებელი, რა მიზანსაც ემსახურება ბანერი.

**დავალების წარდგენის შემდეგ:**

- აღწერე და შეაფასე შენ მიერ გავლილი ეტაპები: სწორად დაგეგმე თუ არა;
- როდის რა გააკეთე და რატომ;
- რა სტრატეგიები გამოიყენე;
- რამ იმუშავა და რამ — ვერა;
- რა გაგიჭირდა და რა გაგიადვილდა;
- რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე დავალების შესრულებას და რატომ.
- რას ურჩევ მეგობრებს, ბანერის შექმნისას რა უნდა გაითვალისწინონ?

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ ბანერის შესაქმნელად და მის წარსადგენად?<br>• სად/როგორ გამოიყენებთ რთულ ქვეწყობილ წინადადებას.<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |

***ნაბიჯი 2. როგორ მოვახერხო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადაჭრა - ბანერის შექმნა? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამისთვის? როგორ დამეხმარება ნასწავლი ენობრივი საშუალებები და გამოყენებული სტრატეგიები ამაში?***

***რესურსები და აქტივობები***

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

**დამატებითი რესურსი:** https://www.youtube.com/watch?v=fZyyXp5x_3I

**აქტივობები:**

**აქტივობა 1.** მოსასმენი / წასაკითხი ტექსტის/ინფორმაციის გაგება/გააზრება (საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა) მოსწავლეები უყურებენ ფილმს https://www.youtube.com/watch?v=fZyyXp5x_3I და უპასუხებენ კითხვებს. იმსჯელებენ, ბუნების დაცვის მნიშვნელობაზე.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ მოემზადებით მოსასმენი და წასაკითხი ტექსტების გასაგებად?<br>• რა ხერხებს გამოიყენებთ მათ გაცნობამდე? მათი გაცნობისას?<br>• კითხვები მოსასმენი ტექსტის გაგება/გააზრებისათვის (რა მიზნითაა შექმნილი მოსასმენი და წასაკითხი ტექსტები)?<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? |

***ნაბიჯი 3. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ბანერის შესაქმნელად? როგორ გამოვიყენო ბანერის ჟანრობრივი მახასიათებლები ტექსტის შესაქმნელად.***

***რესურსები და აქტივობები:***

**რესურსი 1.** ნებისმიერი ბანერი (შესაძლებელია როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ვერსია).

**რესურსი 2.** ბანერის შეფასების კრიტერიუმების ბადე.

| კრიტერიუმები | კარგია | გასაუმჯობესებელია |
|---|---|---|
| **დაცულია ბანერის სტრუქტურა და ფორმალური მხარე.** | | |
| **ბანერში მკაფიოდ არის წარმოჩენილი ძირითადი და საინტერესო ინფორმაცია.** | | |
| **ჩანს ავტორის შემოქმედებითობა და კრეატიულობა.** | | |
| **დაცულია ენობრივი გამართულობა და სასვენი ნიშნების ხმარების წესები.** | | |

**აქტივობა 1.** ბანერზე მუშაობა
- იდეების წამოყენება ბანერთან დაკავშირებით (შინაარსი, ფოტოილუსტრაცია, ნახატები და ა.შ.);
- განსახორციელებელი ეტაპების დაგეგმვა;
- კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად სათანადო ენობრივი ცოდნის მობილიზება;
- ბანერის პირველადი ვერსიის შედგენა;
- შეფასების კრიტერიუმების ბადის მიხედვით პირველადი ვერსიის გაუმჯობესება;

რეკომენდაციები:

- განსაზღვრეთ საკომუნიკაციო სიტუაცია (*ტექსტის მიზანი, ფორმატი*);
- განსაზღვრეთ სათაური, ილუსტრაციები, ტექსტი;
- შეარჩიეთ ტექსტის სტილი და ფორმა.

**აქტივობა 3.** ბანერის წარდგენა კლასის წინაშე:
- პრეზენტაციის დაგეგმვა (სად, როდის, როგორ);
- პრეზენტაციის მოწყობა

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • რა ჟანრობრივი მახასიათებელი აქვს ბანერს?<br>• რა სახის ინფორმაცია უნდა აისახოს?<br>• როგორ გამოიყენებთ ბანერს თქვენი მიზნებისთვის?<br>• რამდენად გამოგადგებათ მიღებული ცოდნა-გამოცდილება დავალების შესრულებაში? |

**კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ).** ***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.***

- დაიცავი თუ არა ბანერის სტრუქტურა? **(ტექსტი)**;
- რამდენად შეძელი საჭირო ენობრივი კონტრუქციების მიზნობრივად / ფუნქციურად გამოყენება? რატომ? **(ენობრივ-გამომსახ. საშუალება; სამეტყ. ქმედება)**.
- რამდენად დაგეხმარა სამყაროსეული ხედვა საკუთარი ქვეყნის პრობლემების განხილვაში ზოგადსაკაცობრიო ჭრილში ან პირიქით (**კულტურათა დიალოგი).**
- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

## შეფასების რუბრიკა

### კომპლექსური დავალება N2

ბანერის მომზადება: როგორ დავეხმაროთ ბუნებას.

| კრიტერიუმი/ სამიზნე ცნება | სამეტყველო ქმედება | ტექსტი | ენობრივ-გრამატიკული საშუალებები | კულტურათა დიალოგი |
|---|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე** მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ეფექტურად ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია გაბმულად საუბარი ბანერის თემატიკის ირგვლივ. ეფექტურად იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი. | შემოქმედებითად იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს ბანერის მოსამზადებლად. ავლენს ბანერის სტრუქტურის ცოდნას. მართებულად იყენებს გრაფიკულ/მაორგანიზებელ ელენენტებს. თავისუფლად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. შემოქმედებითად და საინტერესოდ წარმოაჩენს ბუნების დასახმარებლად საჭირო ინფორმაციას. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას დაუბრკოლებლად იყენებს ნასწავლ და შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში თავისუფლად განარჩევს მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას ერთმანეთისაგან. მართებულად იყენებს ნასწავლ თემატურ ლექსიკას. | შეუძლია სამყაროსეული ხედვა გამოიყენოს საკუთარი ქვეყნის პრობლემების განხილვაში ზოგადსაკაცობრიო ჭრილში ან პირიქით. შეუძლია საერთო პრობლემების იდენტიფიცირება და მათი მოგვარების საშუალებების შეთავაზება. ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/განსხვავებულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება და სხვებსაც მიუთითებს ამისკენ. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მიმართებითი დონე** მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს. | სამეტყველო ქმედების განხორციელების ას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია გაბმულად საუბარი ბანერის თემატიკის ირგვლივ. იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს.შეუძლია გაბმული მეტყველება მცირე შეცდომებით და აქცენტით. | იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს პოსტერის მოსამზადებლად. ავლენს პოსტერის სტრუქტურის ცოდნას. იყენებს გრაფიკულ/მაორგანიზებელ ელენენტებს. გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. საინტერესოდ წარმოაჩენს შერჩეული პიროვნების ბიოგრაფიულ მონაცემებს. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს ნასწავლ და შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში განარჩევს მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას ერთმანეთისაგან. იყენებს ნასწავლ თემატურ ლექსიკას. | შეუძლია სამყაროსეული ხედვა გამოიყენოს საკუთარი ქვეყნის პრობლემების განხილვაში ზოგადსაკაცობრიო ჭრილში ან პირიქით. შეუძლია საერთო პრობლემების იდენტიფიცირება, მაგრამ დამოუკიდებლად უჭირს მათი მოგვარების საშუალებების შეთავაზება. ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/განსხვავებულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება. |
| **მულტისტრუქტურული დონე** მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გარეშე. | სამეტყველო ქმედების განხორციელების ას შეუძლია მოკლე ფრაზებით საუბარი ბანერის თემის შესახებ შეცდომებითა და აქცენტით. | შეუძლია ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა პოსტერში. სათაურზე დაკვირვებით შეუძლია ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგება. | მოსწავლე შეცდომებით ახერხებს ბანერის ტექსტის დაწერას. თუმცა ნაწერში ავლენს ბანერის ტექსტის სტრუქტურის ცოდნას. | რამდენიმე ფრაზით შეუძლია სამყაროსეული ხედვა გამოიყენოს საკუთარი ქვეყნის პრობლემების განხილვაში ზოგადსაკაცობრიო ჭრილში ან პირიქით. შეუძლია საერთო პრობლემების იდენტიფიცირება, მაგრამ ვერ ახერხებს მათი მოგვარების საშუალებების შეთავაზებას. ტექსტში |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | ალმოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ მახასიათებელს, რომელსაც ადარებს საკუთარს. |
| **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | სამეტყველო ქმედების განხორციელების ას შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა ბანერის თემატიკის შესახებ. | შეუძლია ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა პოსტერში. სათაურზე დაკვირვებით შეუძლია მარტივი ზედაპირული ინფორმაციის გაგება. | მოსწავლე საკმაო რაოდენობის შეცდომებით ახერხებს ბანერის ტექსტის დაწერას. თუმცა ნაწერში ავლენს ბანერის სტრუქტურის ზედაპირულ ცოდნას. | უჭირს სამყაროსეული ხედვა გამოიყენოს საკუთარი ქვეყნის პრობლემების განხილვაში ზოგადსაკაცობრიო ჭრილში ან პირიქით. უჭირს საერთო ბრობლემების იდენტიფიცირება და მათი მოგვარების საშუალებების შეთავაზება. ტექსტში ალმოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ მახასიათებელს, თუმცა ვერ ადარებს საკუთარს. |
| **პრე-სტრუქტურული დონე** მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითს ან იყენებს არარაელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. |

## თემატური მატრიცის თავფურცელი

| | |
|---|---|
| **თემის სახელწოდება:** ეს ჩვენი სამშობლოა<br><br>**საათების სავარაუდო რაოდენობა:** მასწავლებელი განსაზღვრავს კლასის საჭიროებებისა და მოსწავლეთა უნარების მიხედვით<br><br>**ძირითადი რესურსი:** მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი<br><br>**თემატური მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>**ინფორმაციის მოძიება-დახარისხებისა და ვიდეოსიუჟეტის მოსამზადებლად საჭიროა სათანადო ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება;**<br><br>**ისტორიული ფაქტის/მოვლენის შესახებ საგაზეთო სტატიის დასაწერად და წარსადგენად მნიშვნელოვანია სათანადო ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენება.**<br><br>**საჭირო ლექსიკისა და გრამატიკული მასალის ცოდნა და მისი მიზნობრივი გამოყენება მნიშვნელოვანია დისკუსიის წარმართვისთვის.**<br><br>**სამეტყველო ქმედება**<br><br>**მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>• სამეტყველო ქმედებები *(მაგ., ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში - თხოვნა, შეთავაზება..., საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება, დროსა და სივრცეში ორიენტირება, პოზიციის გამოხატვა, ახსნა და დასაბუთება* და ა.შ.) ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით (მაგ., *ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამოხატვა ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით* და ა.შ.);<br><br>• ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (მაგ., *თავაზიანი თუ ფამილარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.*). | |

| | |
|---|---|
| **ტექსტი**<br><br>***მკვიდრი წარმოდგენები:***<br><br>• არსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / არამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, კორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი და წერილობითი ტექსტი;<br><br>• ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის შესაქმნელად;<br><br>ტექსტის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და არასიტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია*) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება.<br><br>**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები**<br><br>***მკვიდრი წარმოდგენები:***<br><br>• ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს;<br><br>• ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის დასაუფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური ასოები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები, ქართული ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, სხვადასხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა* და ა.შ.);<br><br>ქართული ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის*) ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის; | |

| კულტურათა დიალოგი<br><br>***<u>მკვიდრი წარმოდგენები:</u>***<br><br>• ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროს შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებას (მაგ., *თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას*);<br>განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება გვეხმარება მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში. | | | |
|---|---|---|---|
| **სამიზნე ცნებები** | **საკითხი 1**<br><br>**ინფორმაციის მოძიება-დახარისხება და ვიდეოსიუჟეტის მომზადება.** | **საკითხი 2**<br><br>**საგაზეთო სტატიის დაწერა ისტორიული ფაქტის/მოვლენის შესახებ.** | **საკითხი 3**<br><br>**საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა დისკუსიის საშუალებით.** |
| **სამეტყველო ქმედება** | **ქვეცნება:**<br><br>ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში.<br>ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ.<br>**ქვესაკითხები:**<br><br>*კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, წარდგენა, თხოვნა, მადლობის გადახდა.*<br><br>თანადროულობა, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება/განსაზღვრა. | **ქვეცნება:** ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში.<br>ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად.<br>ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ.<br>**ქვესაკითხები:** *კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, წარდგენა, თხოვნა.*<br>გარემოს მოვლენის აღწერა/დახასიათება.<br>მოქმედების ქრონოლოგია, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება/განსაზღვრა. | **ქვეცნება:** ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში.<br>ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად.<br>ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ.<br>**ქვესაკითხები:**<br>შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა. გარემოს, მოვლენის აღწერა/დახასიათება.<br>მოწონება/არ მოწონება; სურვილისა და ინტერესის გამოხატვა; დადებითი და უარყოფითი შეფასება (კარგია, ცუდია...); |

| | | | |
|---|---|---|---|
| **ტექსტი** | **ტექსტის ტიპები:**<br><br>მხატვრული და არამხატვრული ტექსტები.<br><br>**ქვეცნება:** ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება.<br><br>ტექსტის ჟანრები.<br><br>**ქვესაკითხები:** ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები. | **ტექსტის ტიპი:** არამხატვრული საინფორმაციო ტექსტები.<br><br>**ქვეცნება:** ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება (სტატიის სტრუქტურა);<br><br>**ქვესაკითხები:**<br><br>ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები. | **ტექსტი** - მეტყველების ფუნქციური ტიპები.<br><br>**ქვესაკითხები:** თხრობა, აღწერა, მსჯელობა. |
| **ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** | **ქვესაკითხები:**<br><br>ლექსიკა - თემასთან შესატყვისი ლექსიკა: სახელმწიფო სიმბოლოები, დედაქალაქი, კუთხე, მოსახლეობა, უბანი, მდებარეობა, ჰანგი...<br><br><u>გრამატიკა:</u> ზმნის ქცევა. | **ქვესაკითხები:**<br><br>ლექსიკა: ნაკრძალი, რეკონსტრუქცია, არქეოლოგია/არქეოლოგიური, მითი, არგონავტები, ოქრომრავალი, ისტორიული...<br><br>გრამატიკა - უშუალო და შუალობითი კონტაქტი. | **ქვესაკითხები:**<br><br>ლექსიკა: ტრადიციული, კულტურული, ფესტივალი, საპატიო მოქალაქე, დღესასწაული, ნოვრუზ ბაირამი, ეთნიკური უმცირესობა...<br><br>გრამატიკა - ნასწავლი გრამატიკული მასალის გამეორება |

| | | | |
|---|---|---|---|
| **კულტურათა დიალოგი** | | **ქვეცნება:** სოციოკულტურული რეალიები<br><br>**ქვესაკითხები:** ღირსშესანიშნაობები, ფასეულობები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; | **ქვეცნება:** სოციოკულტურული რეალიები<br><br>**ქვესაკითხები:** ღირსშესანიშნაობები, ფასეულობები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; |
| | **კომპლექსური დავალება 1**<br><br>მოიძიე ინფორმაცია საქართველოს რომელიმე ქალაქის შესახებ და მოამზადე ვიდეოსიუჟეტი. | **კომპლექსური დავალება 2**<br><br>მოირგე ჟურნალისტის როლი და დაწერე საგაზეთო სტატია ცნობილი ისტორიული ფაქტის/მოვლენის შესახებ. | **კომპლექსური დავალება 3**<br><br>**„მრგვალი მაგიდის მოწყობა“**<br><br>დაეთანხმე ან უარყავი მოსაზრება: დღესასწაულებსა და ფესტივალებზე დასწრება ადამიანს ეხმარება, უკეთ გაიცნოს ხალხების კულტურა და ყოფა-ცხოვრება. |

## შუალედური სასწავლო მიზანი - 1

**თემა:** **ეს ჩვენი სამშობლოა**
**კომპლექსური დავალების თემა:** მოიძიე ინფორმაცია საქართველოს რომელიმე ქალაქის შესახებ და მოამზადე ვიდეოსიუჟეტი.

**სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები**

**სამეტყველო ქმედება -** ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ. ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ.
**ტექსტი** - ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება.
**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები -** ლექსიკა - თემასთან შესატყვისი ლექსიკა: სახელმწიფო სიმბოლოები, დედაქალაქი, კუთხე, მოსახლეობა, უბანი, მდებარეობა, ჰანგი; გრამატიკა: ზმნის ქცევა.

**საკითხი:** **ინფორმაციის მოძიება-დახარისხება და სიუჟეტის მომზადება.**
**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:**

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო ინფორმაციის მოძიება-დახარისხება რომელიმე ქალაქის შესახებ ვიდეოსიუჟეტის მოსამზადებლად?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო მიზნობრივად და მართებულად წერისა და მეტყველებისათვის? რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დამჭირდა დავალების შესასრულებლად?

**კომპლექსური დავალება 1**

მოიძიე ინფორმაცია საქართველოს რომელიმე ქალაქის შესახებ და მოამზადე ვიდეოსიუჟეტი.

**დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:**

- სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად **(ტექსტი)**;
- შესაბამისი გრამატიკული ცოდნა და ნასწავლი ლექსიკის მართებული გამოყენება **(ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; სამეტყველო ქმედება)**.

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)**

**ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** წინარე ცოდნის გააქტიურება.
მოსწავლეები აკვირდებიან სატიტულო გვერდზე მოცემულ ილუსტრაციას და საუბრობენ მოცემული კითხვების მიხედვით. მასწავლებელს შეუძლია მოიწვიოს გეოგრაფიის ან ისტორიის მასწავლებელი, რომელიც დამატებით ინფორმაციას მიაწვდის ბავშვებს საქართველოსა და მოსაზღვრე ქვეყნების შესახებ. გააცნობს თბილისის დაარსების ისტორიას.
რადგან კომპლექსურ დავალებაში მოსწავლეებმა უნდა მოამზადონ სიუჟეტი, ამიტომ მასწავლებელი ამ კუთხითაც ააქტიურებს მათ წინარე ცოდნას:

- რა არის სიუჟეტი? რა ფუნქცია აქვს მას?
- ფიქრობთ თუ არა, რომ ვიდეოსიუჟეტის მოსამზადებლად საჭიროა ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება? რატომ?
- მოგიმზადებიათ თუ არა ვიდეოსიუჟეტი და როდის? რა მიზნით?

**აქტივობა 2.** დავალების მოთხოვნების გააზრება.

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რას უნდა მიაქციო ყურადღება ვიდეოსიუჟეტზე მუშაობისას?
- რაზე უნდა ისაუბრო პრეზენტაციის დროს?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?

- რა გაგიადვილდებათ? რა გაგიძნელდებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

რეკომენდაცია: კლასის/მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით, შეგიძლიათ, გარკვეული პასუხები მშობლიურ ენაზე მოსთხოვოთ მოსწავლეს, ვინაიდან აქ მოწმდება არა ქართული ენის ცოდნა (ეს არ არის მიზანი), არამედ, ვარკვევთ, რა გამოცდილება აქვს მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით.

**ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1. რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო / დამჭირდება დავალების შესასრულებლად?**

**საჭირო ენობრივი საკითხები:** ზმნის ქცევა.

**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

დამატებითი რესურსი: https://www.youtube.com/watch?v=ZFu28KXfLus - საქართველოს ჰიმნი კარაოკე
https://www.youtube.com/watch?v=4RRHnPnqFNE - საქართველოს ჰიმნი
https://www.youtube.com/watch?v=zO4dZoUgiAA - ნანი ბრეგვაძე „თბილისო“
https://www.youtube.com/watch?v=__FiUBt7SB4 - თბილისის ხედები

**აქტივობები:**

გაკვეთილის ახსნამდე მასწავლებელი სვამს მაპროვოცირებელ კითხვებს: რა იციან საქართველოს ან სხვა ქვეყნების სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ. თუ მოუსმენიათ საქართველოს ჰიმნი? როდის? როგორ უნდა მოვისმინოთ ჰიმნი? რატომ? შემდეგ აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ სიმბოლოებს და მსჯელობენ, რა არის გამოსახული და რატომ. მასწავლებელი მოასმენინებს საქართველოს ჰიმნს, მერე კი წაიკითხავენ ტექსტს. მასწავლებელი ახალი ლექსიკური ერთეულების შინაარსის სწორად გასააზრებლად გამოიყენებს აქტივობას: „სიტყვის პირამიდა“.

მასწავლებელი მუშაობს ლექსიკაზე. მოსწავლეები ინიშნავენ უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს და ერთმანეთის ან მასწავლებლის დახმარებით განმარტავენ. მასწავლებელი დაფაზე წერს ასეთ სიტყვებს და მოსწავლეებს სთხოვს ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინონ წინადადებები ან ააგონ „სიტყვის პირამიდა“ (მოასწავლე დაწერს მოცემული სიტყვის სინონიმს ან ანტონიმს, შეადგენს წინადადებებს.):

იმისათვის, რომ გავარკვიოთ რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ახალი მასალა, უპასუხებენ გაკვეთილის ბოლოს მოცემულ კითხვებს დ რვეულში დაწერენ N 1 სავარჯიშოს. მასწავლებელს, სურვილის მიხედვით, შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს შექმნან საკუთარი კლასის ან სკოლის გერბი, დროშა და ჰიმნი. მოსწავლეებს შეუძლიათ, ისწავლონ საქართველოს ჰიმნის ტექსტი და იმღერონ კარაოკეს თანხლებით.

შესაძლოა, მოსწავლეებს მივცეთ რამდენიმე სიტყვა და მოიფიქრონ ამბავი მათი გამოყენებით.

გრამატიკული აქტივობები: მასწავლებელი მოსწავლეებს წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით რვეულში დასაწერად აძლევს სავარჯიშოებს N 2-სა და N 3-ს.

ტექსტის გაცნობამდე „საქართველოს დედაქალაქი თბილისი“ მოსწავლეები მოისმენენ ნანი ბრეგვაძის სიმღერას „თბილისო“ https://www.youtube.com/watch?v=zO4dZoUgiAA და უპასუხებენ თავფურცელზე გამოტანილ კითხვებს. შემდეგ გაეცნობიან ტექსტს, მოისმენენ მოსასმენ N 2-ს და რვეულში დაწერენ N 1 სავარჯიშოს. მოსწავლეები გაეცნობიან წიგნში გაკვეთილის ბოლოს მოცემულ დავალებას, მოიძიებენ მათ მიერ შერჩეული ქალაქის შესახებ ინფორმაციას და მოამზადებენ სტატიას, რომელსაც განათავსებენ ვიკიპედიის გვერდზე.

რვეულში წერენ N 2 სავარჯიშოს.

განვლილი გრამატიკული მასალის გამეორება-განმტკიცების მიზნით დაწერენ N 3 სავარჯიშოს.

მოსწავლეები ლექსის, „ნათელას სიმღერა“, გაცნობამდე უპასუხებენ თავფურცელზე გამოტანილ კითხვებს. დააკვირდებიან საქართველოს რუკას და ისაუბრებენ საქართველოს რომელ კუთხეებს იცნობენ, თავად რომელ კუთხეში ცხოვრობენ. მოსწავლის რვეულში დაწერენ N 1 სავარჯიშოს.

მასწავლებელი კომენტირებული კითხვის გამოყენებით მოსწავლეებს გააცნობს ლექსს. იმუშავებენ ლექსიკურ ერთეულებზე, უპასუხებენ სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებს.

მოსწავლეები წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, რვეულში წერენ N 2 სავარჯიშოს.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ზმნის ერთ-ერთ კატეგორიას - ქცევას. ის ასრულებს ფასილიტატორის როლს და ხარაჩოს მეთოდის გამოყენებით ეხმარება მოსწავლეებს ცოდნის აგებაში. მოსწავლეები აკვირდებიან გრამატიკულ ბლოკში წარმოდგენილ

წინადადებებს, მათში გამოყენებულ ზმნებს და საუბრობენ, თუ ჩანს ზმნის ფორმაში ვისთვის სრულდება მოქმედება. ეცნობიან ქცევის სახეებს და ასრულებენ წიგნში მოცემულ დავალებებს N 1-სა და N 2-ს. ნასწავლის განმტკიცების მიზნით, რვეულში წერენ სავარჯიშოებს N 3-ს, N 4-სა და N 5-ს. მოსწავლეები შესწავლილ ლიტერატურულ და გრამატიკულ მასალაზე დაყრდნობით ადვილად შეასრულებენ კომპლექსურ დავალებას.

**კომპლექსური დავალების პირობა:**

**კომპლექსური დავალება 1**

**მოიძიე ინფორმაცია საქართველოს რომელიმე ქალაქის შესახებ და მოამზადე ვიდეოსიუჟეტი.**

ვიდეოსიუჟეტში წარმოაჩინე:

- შერჩეული ქალაქის/კუთხის გეოგრაფიული მახასიათებლების ცოდნა;
- შერჩეული ქალაქის/კუთხის კულტურული მახასიათებლების ცოდნა;
- ზმნის ქცევის ცოდნა;
- რამდენიმე რეკომენდაცია, რა შეიძლება ნახოს დამთვალიერებელმა.

ვიდეოსიუჟეტის პრეზენტაციის შემდეგ აღნიშნე:

- როგორ გაითვალისწინე აუდიტორია ვიდეოსიუჟეტის მომზადებისას;
- როგორ შეძელი მოძიებული ინფორმაციის დახარისხება;
- როგორ დაგეგმე სამუშაო და ვინ დაგეხმარა მუშაობის პროცესში;
- როგორ წარმოადგინე სიუჟეტი, რამდენად კმაყოფილი ხარ გამოთქმითა და ინტონაციით.

| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ ვიდეოსიუჟეტის მოსამზადებლად და მის წარსადგენად?<br>• სად/როგორ გამოიყენებთ ზმნის ქცევის ფორმებს?<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |
|---|---|

***ნაბიჯი 2. როგორ მოვახერხო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადაჭრა სიუჟეტის მოსამზადებლად? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამისთვის? რომელი ფორმატით წარვადგინო ჩემი ნამუშევარი კლასის წინაშე? როგორ დამეხმარება ნასწავლი ენობრივი საშუალებები და გამოყენებული სტრატეგიები ამაში?***

***რესურსები და აქტივობები***

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

**დამატებითი რესურსი:**

**აქტივობები:**

**აქტივობა 1.** მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ინტერნეტის საშუალებით მოიძიონ სხვადასხვა ვიდეოსიუჟეტი, დააკვირდნენ, როგორ არის მომზადებული, ჩაინიშნონ ვიდეოსიუჟეტის მოსამზადებლად საჭირო რჩევები. რომელ ჟანრობრივ მახასიათებლებს გამოყოფენ. ჩამოაყალიბონ ინსტრუქცია, რომელიც უნდა გაითვალისწინონ ვიდეოსიუჟეტზე მუშაობის დროს.

**აქტივობა 2.** მოსწავლეები დაწერილ ინსტრუქციებს გააცნობენ კლასს და მასწავლებლის დახმარებით შეადგენენ ვიდეოსიუჟეტის მოსამზადებლად საჭირო ინსტრუქციას.

| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ მოემზადებით მოსასმენი/წასაკითხი ტექსტების გასაგებად?<br>• რა ხერხებს გამოიყენებთ მათ გაცნობამდე? მათი გაცნობისას?<br>• კითხვები მოსასმენი/წასაკითხი ტექსტის გაგება/გააზრებისათვის (საკომუნიკაციო სიტუაცია);<br>• როგორ/რა ენობრივი საშუალებებით წარმოაჩენთ თქვენს დამოკიდებულებას, რჩევას? როგორ გამოხატავთ და დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას?<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? |
|---|---|

***ნაბიჯი 3. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ვიდეოსიუჟეტის შესაქმნელად? როგორ გამოვიყენო ვიდეოსიუჟეტის ჟანრობრივი მახასიათებლები ტექსტის შესაქმნელად.***

***რესურსები და აქტივობები:***

**რესურსი 1.** ნებისმიერი ვიდეოსიუჟეტი, რომელსაც თავად მოიძიებენ მოსწავლეები გუგლის საძიებო სისტემის საშუალებით.
**რესურსი 2.** ვიდეოსიუჟეტის შეფასების კრიტერიუმების ბადე.

| კრიტერიუმები<br>გასაუმჯობესებელია | კარგია | |
|---|---|---|
| დაცულია ვიდეოსიუჟეტის სტრუქტურა და ფორმალური მხარე | | |
| სიუჟეტში მკაფიოდ არის წარმოჩენილი ავტორების მთავარი სათქმელი - ძირითადი და საინტერესო ინფორმაცია ქალაქის შესახებ | | |
| ჩანს ავტორის შემოქმედებითობა და კრეატიულობა | | |
| ენობრივად გამართულია | | |

**აქტივობები:**

**აქტივობა 1**. წინარე ცოდნის გახსენება.

- ვიდეოსიუჟეტის სტრუქტურულ და ენობრივ-სტილურ მახასიათებლებზე მუშაობა.
- ვიდეოსიუჟეტის ზოგად შინაარსზე / ცალკეული ნაწილის ძირითად სათქმელზე დაკვირვება.
- ნაბეჭდი და ელექტრონული ვარიანტების შედარება (რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?).

**აქტივობა 2.** ვიდეოსიუჟეტზე მუშაობა

- იდეების წამოყენება ვიდეოსიუჟეტთან დაკავშირებით;
- განსახორციელებელი ეტაპების დაგეგმვა;
- კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად სათანადო ენობრივი ცოდნის მობილიზება;
- ვიდეოსიუჟეტის პირველადი ვერსიის შედგენა;
- შეფასების კრიტერიუმების ბადის მიხედვით პირველადი ვერსიის გაუმჯობესება;
- ვიდეოსიუჟეტის საბოლოო ვარიანტის შედგენა.

**რეკომენდაციები:**

- განსაზღვრეთ საკომუნიკაციო სიტუაცია (*ტექსტის მიზანი, ფორმატი*);
- განსაზღვრეთ სათაური, შინაარსი;
- შეარჩიეთ ტექსტის სტილი და ფორმა.

**აქტივობა 3.** ვიდეოსიუჟეტის წარდგენა კლასის წინაშე:

- პრეზენტაციის დაგეგმვა (სად, როდის, როგორ);
- პრეზენტაციის მოწყობა

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • რა ჟანრობრივი მახასიათებელი აქვს ვიდეოსიუჟეტს?<br>• რა სახის ინფორმაცია უნდა აისახოს?<br>• როგორ გამოიყენებთ ვიდეოსიუჟეტს თქვენი მიზნებისთვის?<br>• რამდენად გამოგადგებათ მიღებული ცოდნა-გამოცდილება დავალების შესასრულებლად? |

**კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ).** ***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.***

- დაიცავი თუ არა ვიდეოსიუჟეტის სტრუქტურა? **(ტექსტი)**;
- რამდენად შეძელი საჭირო ლექსიკისა და გრამატიკის გამოყენება ვიდეოსიუჟეტის მომზადებისას? მისი წარდგენისას? რატომ?
- რამდენად შეძელი საჭირო ენობრივი კონსტრუქციების მიზნობრივად / ფუნქციურად გამოყენება? რატომ? **(ენობრივ-გამომსახ. საშუალება; სამეტყ. ქმედება)**.
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

**შეფასების რუბრიკა**

**კომპლექსური დავალება N1**

მოიძიე ინფორმაცია საქართველოს რომელიმე ქალაქის შესახებ და მოამზადე ვიდეოსიუჟეტი.

| **კრიტერიუმი/ სამიზნე ცნება** | **სამეტყველო ქმედება** | **ტექსტი** | **ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** |
|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია გაბმულად საუბარი შერჩეული ქალაქის გეოგრაფიულ მდებარეობასა და ღირსშესანიშნაობებზე. მოძიებული ინფორმაცია მრავალფეროვანია და მიზნობრივადაა გამოყენებული. იცავს ეთიკურ მხარეს. | შემოქმედებითად იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს საქართველოს რომელიმე ქალაქის შესახებ ვიდეოსიუჟეტის მოსამზადებლად. მოიძიებს მრავალფეროვან ინფორმაციას ქალაქის შესახებ და მიზნობრივად იყენებს ვიდეოსიუჟეტის მომზადებისას. თავისუფლად აზუსტებს | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას დაუბრკოლებლად იყენებს ვიდეოსიუჟეტის მოსამზადებლად საჭირო ნასწავლ და შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ეფექტურად იყენებს ვიდეოსიუჟეტის მოსამზადებლად საჭირო სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი. | გაუგებარ დეტალებს, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. | |
| **მიმართებითი დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია საუბარი შერჩეული ქალაქის გეოგრაფიულ მდებარეობასა და ღირსშესანიშნაობებზე. მოძიებული ინფორმაცია მიზნობრივადაა გამოყენებული. იცავს ეთიკურ მხარეს. ეფექტურად იყენებს ვიდეოსიუჟეტის მოსამზადებლად საჭირო სტრატეგიებს.<br><br>შეუძლია გაბმული მეტყველება მცირე | იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს საქართველოს რომელიმე ქალაქის შესახებ ვიდეოსიუჟეტის მოსამზადებლად. მოიძიებს ინფორმაციას ქალაქის შესახებ და მიზნობრივად იყენებს ვიდეოსიუჟეტის მომზადებისას. აზუსტებს გაუგებარ დეტალებს. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს შეთავაზებული გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციების უმეტესობას. მცირე შეცდომებით ახერხებს ვიდეოსიუჟეტის მომზადებას. ავლენს სტრუქტურის ცოდნას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | შეცდომებითა და აქცენტით. | | |
| **მულტისტრუქტურული დონე** მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გარეშე. | შეუძლია მოკლე ფრაზებით საუბარი შერჩეული ქალაქის გეოგრაფიულ მდებარეობასა და ღირსშესანიშნაობებზე. მეტყველებს შეცდომებითა და აქცენტით. | შეუძლია ვიდეოსიუჟეტის მახასიათებლების ამოცნობა. შეუძლია ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგება. | მოსწავლე საკმაო რაოდენობის შეცდომებით ახერხებს ვიდეოსიუჟეტის მომზადებას. თუმცა ნაწერში ავლენს სტრუქტურის ცოდნას. |
| **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა. | შეუძლია კონკრეტული ტიპისა და ჟანრის ტექსტში ორიოდე ექსპლიციტური ინფორმაციის გაგება. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს შეთავაზებული გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციებიდან მხოლოდ ორიოდე ფორმას, მრავლადაა შეცდომები. |
| **პრე-სტრუქტურული დონე** მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. |

## შუალედური სასწავლო მიზანი - 2

**თემა: ეს ჩვენი სამშობლოა**

**კომპლექსური დავალების თემა:** მოირგე ჟურნალისტის როლი და დაწერე საგაზეთო სტატია ცნობილი ისტორიული ფაქტის/მოვლენის შესახებ. შენ მიერ შექმნილი ნამუშევარი გააცანი კლასელებს.

**სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები**

**სამეტყველო ქმედება** - ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად; ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ.
**ტექსტი** - ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება (სტატიის სტრუქტურა);
**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** - ლექსიკა: ნაკრძალი, რეკონსტრუქცია, არქეოლოგია/არქეოლოგიური, მითი, არგონავტები, ოქრომრავალი, ისტორიული...

გრამატიკა - უშუალო და შუალობითი კონტაქტი.

**კულტურათა დიალოგი** - სოციოკულტურული რეალიები (ღირსშესანიშნაობები, ფასეულობები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები).

**საკითხი: საგაზეთო სტატიის დაწერა ისტორიული ფაქტის/მოვლენის შესახებ.**
**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:**

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო საგაზეთო სტატიის მომზადება ისტორიული ფაქტის/მოვლენის შესახებ? რა ცოდნა და სტრატეგიები დამეხმარება სტატიის დასაწერად? როგორ დაგეხმარათ სტატიის სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა ამაში?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო მიზნობრივად და მართებულად წერისა და მეტყველებისათვის? რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა სტატიის შესაქმნელად?

**კომპლექსური დავალება 1.** მოირგე ჟურნალისტის როლი და დაწერე საგაზეთო სტატია ცნობილი ისტორიული ფაქტის/მოვლენის შესახებ. შენ მიერ შექმნილი ნამუშევარი გააცანი კლასელებს.

**დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:**

- საგაზეთო სტატიის სტრუქტურის ცოდნა და საკომუნიკაციო მიზნების შესაბამისი მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური, გრაფიკულ-მაორგანიზებელი ელემენტების მართებული გამოყენება **(ტექსტი)**;
- შესაბამისი გრამატიკული ცოდნა და ნასწავლი ლექსიკის მართებული გამოყენება **(ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; სამეტყველო ქმედება)**.
- სოციოკულტურული რეალიები (ღირსშესანიშნაობები, ფასეულობები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები) **(კულტურათა დიალოგი)**.

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)**

**ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** წინარე ცოდნის გააქტიურება.

მასწავლებელი სატიტულო გვერდზე მოცემული კითხვების დასმით ააქტიურებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას. რადგან კომპლექსურ დავალებაში მოსწავლეებმა უნდა დაწერონ საგაზეთო სტატია, ამიტომ მასწავლებელი ააქტიურებს ამ კუთხით მოსწავლეთა ცოდნას.

- რა არის საგაზეთო სტატია და რა ფუნქცია აქვს მას?
- ფიქრობ თუ არა, რომ საგაზეთო სტატიის დასაწერად საჭიროა ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება? რატომ?
- დაგიწერია თუ არა სტატია? როდის, რატომ და რა მიზნით?

**აქტივობა 2.** დავალების მოთხოვნების გააზრება.

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რას უნდა მიაქციო ყურადღება საგაზეთო სტატიაზე მუშაობისას?
- რაზე უნდა ისაუბრო პრეზენტაციის დროს?

- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება?
- რის შესწავლა დაგჭირდება?
- რა გაგიადვილდება? რა გაგიძნელდება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**რეკომენდაცია:** კლასის/მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით, შეგიძლიათ, გარკვეული პასუხები მშობლიურ ენაზე მოსთხოვოთ მოსწავლეს, ვინაიდან აქ მოწმდება არა ქართული ენის ცოდნა (ეს არ არის მიზანი), არამედ, ვარკვევთ, რა გამოცდილება აქვს მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით.

## ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

### ნაბიჯი 1. რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო / დამჭირდება დავალების შესასრულებლად?

**საჭირო ენობრივი საკითხები:**
უშუალო და შუალობითი კონტაქტი.
**რესურსები და აქტივობები:**
**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

**დამატებითი რესურსი:**
**აქტივობები:**
წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ მასწავლებელი კომენტირებული და მართული კითხვის გამოყენებით მოსწავლეებს აცნობს სტატიას: „პირველი ევროპელის სამშობლო“.

მოსწავლეები ემზადებიან ტექსტის წასაკითხად:

რას მეუბნება პირველადი მინიშნებები (მაგ., სათაური, ფოტო) ტექსტის შესახებ? რით უკავშირდება ისინი ჩემს ცოდნას? რას მეუბნება ტექსტი? როგორ გამოვიყენო მინიშნებები იმის გასაგებად, თუ რეალურად რის შესახებ არის ტექსტი?

ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ფოტოზე დაყრდნობით; ტექსტის წაკითხვამდე მოსწავლეები ავსებენ ვარაუდების ცხრილს, წაკითხვის შემდეგ მსჯელობენ მინიშნებებზე, რომლებსაც მიაქციეს/არ მიაქციეს ყურადღება; იმისთვის, რომ გავარკვიოთ, რამდენად კარგად გაიგეს და გაიაზრეს ტექსტი, მოსწავლეებს შევთავაზოთ ინდივიდუალურად ან წყვილებში დაწერონ გაკვეთილის ბოლოს მოცემულ კითხვებზე პასუხი. შემდეგ წარმოადგინონ კლასში და იმსჯელონ, როგორ მივიდნენ ამ პასუხამდე, რა მინიშნებები დაეხმარათ სწორი პასუხის პოვნაში.

შესაძლოა, მასწავლებელმა გამოიყენოს „სიტყვების ყუთი“. შესწავლილი ახალი სიტყვები ყოველ გაკვეთილზე მოათავსონ ამ ყუთში და შემდეგ მოსწავლეები გავანაწილოთ ჯგუფებში, ამოიღონ ყუთიდან იმდენი სიტყვა, რამდენი ბავშვიც იქნება ჯგუფში (წლის განმავლობაში სიტყვები საკმარისად დაგროვდება) და ერთად განმარტონ. შეადგინონ ამ სიტყვების გამოყენებით წინადადებები. ჩაწერონ და წარმოადგინონ პრეზენტაციები. ვინც მეტ სიტყვას ახსნის სწორად, ის იქნება გამარჯვებული.

„პირველი ევროპელის სამშობლოს“ დამუშავების შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან სტატიას „მითი არგონავტების შესახებ“. მასწავლებელი ამზადებს მოსწავლეებს კითხვის დასაწყებად. ამ ფაზაში მოსწავლეები ააქტიურებენ წინარე ცოდნას, განიხილავენ ტექსტის მნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულებს (სიტყვებს, ცნებებს, ტერმინებს), აყალიბებენ ტექსტის წაკითხვის მიზანს, დემონსტრირებისა და პრაქტიკული ვარჯიშის გზით ივითარებენ ეფექტური კითხვისა და გაგებისთვის საჭირო უნარებს. კითხვის პროცესში, მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების მეშვეობით, მოსწავლეები ცდილობენ ტექსტის გაგებას. ამ ფაზაში ისინი მიმართავენ გაგებისთვის საჭირო ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა წაკითხულის შეჯამება, დასკვნის გამოტანა, კითხვების დასმა, ვარაუდის გამოთქმა და ა.შ. ასევე, ცდილობენ გაარკვიონ, რა ვერ გაიგეს სათანადოდ და როგორ არის შესაძლებელი გააზრებაში წარმოქმნილი ხარვეზების დაძლევა.
ტექსტზე მუშაობის დროს მოსწავლეები მონიშნავენ გაუგებარ სიტყვებს. მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ფურცლებს, რომლებზეც დაბეჭდილია ქვემოთ მოცემული ცხრილი და სთხოვს მათ, შეავსონ მისი პირველი სამი სვეტი მონიშნული სიტყვების გამოყენებით (ერთი ნიმუში მასწავლებელმა გააკეთოს მოსწავლეებთან ერთად):

| **უცნობი სიტყვა** | **კონტექსტი** | **ჩემი განმარტება**<br><br>**(როგორ მესმის მე)** | **სალექსიკონო განმარტება** |
|---|---|---|---|
| ადრეული | მეცნიერებმა ადრეული ადამიანის ანატომია შეისწავლეს | უძველესი | **1.** რაც ადრე შემოვიდა, დამწიფდა.<br>***კიტრის ადრეული მოსავალი.***<br>**2.** უწინდელი, ძველი დროისა.<br>***ადრეული ხანის ძეგლები.*** |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |

მოსწავლეები ლექსიკური მარაგის გამდიდრების მიზნით მოსწავლის რვეულში შეასრულებენ სავ. N 1-სა და N 2-ს.

მოსწავლეები მოსწავლის რვეულში ასრულებენ სავ. N 3-ს.

მასწავლებელი ფლიპჩარტის დაფაზე წერს წინადადებებს: იაზონმა გაიმარჯვა; იაზონს მედეამ გაამარჯვებინა. მოსწავლეები დააკვირდებიან და შეადარებენ ზმნის ფორმებს. მოსწავლეები გაიაზრებენ, სუბიექტი თვითონ მოქმედებს თუ სხვა პირს ასრულებინებს მოქმედებას.

მოსწავლეები შეასრულებენ წიგნში მოცემულ დავალებას და წყვილებში გაარკვევენ რამდენად სწორად შეასრულეს იგი.

ნასწავლი გრამატიკული მასალის განმტკიცების მიზნით, რვეულში წერენ სავ. N 4, 5, 6, 8 . შემდეგ ასრულებენ სავ. N 7-ს.

**კომპლექსური დავალება 2**

**კომპლექსური დავალების პირობა:** მოირგე ჟურნალისტის როლი და დაწერე საგაზეთო სტატია ცნობილი ისტორიული ფაქტის/მოვლენის შესახებ. შენ მიერ შექმნილი ნამუშევარი გააცანი კლასელებს.

**ნამუშევარში:**

დაიცავი წერილობითი ტექსტის სტრუქტურა.

განსაზღვრე მკითხველთა აუდიტორია, ანუ ვინ წაიკითხავს სტატიას;

შეადგინე გეგმა-მონახაზი სტატიის ორგანიზებისთვის.

დაახარისხე მოპოვებული მასალა. გამოიყენე კითხვები: რომელი ინფორმაცია არის ყველაზე მნიშვნელოვანი?

კიდევ რომელი ინფორმაცია არის მკითხველისთვის აუცილებლად გადასაცემი?

დახარისხებული ინფორმაცია დაწერე ლოგიკური თანმიმდევრობით.

გაითვალისწინე ზმნის კონტაქტის ცოდნა.

***<u>ნამუშევრის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:</u>***

- როგორ გაითვალისწინე აუდიტორია საგაზეთო სტატიის მომზადებისას;
- რა ხერხები გამოიყენე, რა ნაბიჯები გადადგი საგაზეთო სტატიის დაწერისას.

- როგორ დაგეგმე სამუშაო და ვინ დაგეხმარა მუშაობის პროცესში;
- რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე დავალების შესრულებას და რატომ.

- როგორ წარმოადგინე საგაზეთო სტატია, რამდენად კმაყოფილი ხარ გამოთქმითა და ინტონაციით.

- გაიხსენე, რა ენობრივი საშუალებები დაგეხმარა წერის დროს.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ სტატიის დასაწერად და მის წარსადგენად?<br>• სად/როგორ გამოიყენებთ ზმნის უშუალო და შუალობითი კონტაქტის ფორმებს?<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |

***ნაბიჯი 2. როგორ მოვახერხო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადაჭრა საგაზეთო სტატიის დასაწერად? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამისთვის? როგორ დამეხმარება ნასწავლი ენობრივი საშუალებები და გამოყენებული სტრატეგიები ამაში?***

***რესურსები და აქტივობები***

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

**აქტივობები:**

**აქტივობა 1.** მოსასმენი / წასაკითხი ტექსტის/ინფორმაციის გაგება/გააზრება (საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა) მოსწავლეები მოისმენენ მოსასმენ ტექსტს N 2-ს და უპასუხებენ კითხვებს:

1. ვინ არიან ახალი არგონავტები?
2. რა მიზნით მოაწყო ექსპედიცია ტიმ სევერინმა?
3. რა მარშრუტი გაიარა მან? რატომ?
4. ვინ მონაწილეობდა ექსპედიციაში?
5. სხვა ექსპედიციების შესახებ თუ გსმენია რაიმე?
6. შენ თუ ისურვებდი ექსპედიციაში მონაწილეობას? რატომ?

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ მოემზადებით მოსასმენი და წასაკითხი ტექსტების გასაგებად?<br>• რა ხერხებს გამოიყენებთ მათ გაცნობამდე? მათი გაცნობისას?<br>• კითხვები მოსასმენი ტექსტის გაგება/გააზრებისათვის.<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? |

***ნაბიჯი 3. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო საგაზეთო სტატიის შესაქმნელად? როგორ გამოვიყენო საგაზეთო სტატიის ჟანრობრივი მახასიათებლები ტექსტის შესაქმნელად.***

***რესურსები და აქტივობები:***

**რესურსი 1.** ნებისმიერი საგაზეთო სტატია.

**რესურსი 2.** საგაზეთო სტატიის შეფასების კრიტერიუმების ბადე.

| კრიტერიუმები | კარგია | გასაუმჯობესებელია |
|---|---|---|
| დაცულია საგაზეთო სტატიის სტრუქტურა და ფორმალური მხარე | | |
| სტატიაში მკაფიოდ არის წარმოჩენილი საინტერესო ინფორმაცია ცნობილი ისტორიული ფაქტის/მოვლენის შესახებ | | |
| ჩანს ავტორის შემოქმედებითობა და კრეატიულობა | | |
| დაცულია სასვენი ნიშნების ხმარების წესები და გამართულია ენობრივად | | |

**აქტივობა 1**. საგაზეთო სტატიაზე მუშაობა
- იდეების წამოყენება საგაზეთო სტატიასთან დაკავშირებით (შინაარსი, ფოტოილუსტრაცია, სანდო ინფორმაცია და ა.შ.);
- განსახორციელებელი ეტაპების დაგეგმვა;
- კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად სათანადო ენობრივი ცოდნის მობილიზება;
- საგაზეთოსტატიის პირველადი ვერსიის შედგენა;
- შეფასების კრიტერიუმების ბადის მიხედვით პირველადი ვერსიის გაუმჯობესება;
- საგაზეთო სტატიის საბოლოო ვარიანტის შედგენა.

## რეკომენდაციები:

- განსაზღვრეთ საკომუნიკაციო სიტუაცია (*ტექსტის მიზანი, ფორმატი*);
- განსაზღვრეთ სათაური, ილუსტრაციები;
- შეარჩიეთ ტექსტის სტილი და ფორმა.

**აქტივობა 3.** საგაზეთოსტატიის წარდგენა კლასის წინაშე:
- პრეზენტაციის დაგეგმვა (სად, როდის, როგორ);
- პრეზენტაციის მოწყობა.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • რა ჟანრობრივი მახასიათებელი აქვს საგაზეთო სტატიას?<br>• რა სახის ინფორმაცია უნდა აისახოს?<br>• როგორ გამოიყენებთ სტატიას თქვენი მიზნებისთვის?<br>• რამდენად გამოგადგებათ მიღებული ცოდნა-გამოცდილება დავალების შესრულებაში? |

**კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ).** ***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.***

- დაიცავი თუ არა საგაზეთო სტატიის სტრუქტურა? **(ტექსტი)**;
- რამდენად შეძელი საჭირო ლექსიკისა და გრამატიკის გამოყენება საგაზეთო სტატიის შექმნისას? მისი წარდგენისას? რატომ?
- რამდენად შეძელი საჭირო ენობრივი კონსტრუქციების მიზნობრივად / ფუნქციურად გამოყენება? რატომ? **(ენობრივ-გამომსახ. საშუალება; სამეტყ. ქმედება)**.
- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

**შეფასების რუბრიკა**

**კომპლექსური დავალება N2**

მოირგე ჟურნალისტის როლი და დაწერე საგაზეთო სტატია ცნობილი ისტორიული ფაქტის/მოვლენის შესახებ.

| **კრიტერიუმი/ სამიზნე ცნება** | **სამეტყველო ქმედება** | **ტექსტი** | **ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** | **კულტურათა დიალოგი** |
|---|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე** მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია გაბმულად საუბარი ცნობილი ისტორიული ფაქტის/მოვლენის შესახებ. ეფექტურად იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი. | შემოქმედებითად იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს სტატიის დასაწერად. ავლენს საგაზეთო სტატიის სტრუქტურის ცოდნას. მართებულად იყენებს გრაფიკულ/მაორგანიზებელ ელემენტებს. თავისუფლად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. საინტერესოდ წარმოაჩენს შერჩეულ ისტორიულ ფაქტს/მოვლენას. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას დაუბრკოლებლად იყენებს ნასწავლ და შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. შეუძლია უშუალო და შუალობითი კონტაქტის გარჩევა, მიზნობრივად იყენებს ნასწავლ თემატურ ლექსიკას. | ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/განსხვავებულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება და სხვებსაც მიუთითებს ამისკენ. |
| **მიმართებითი დონე** | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას | იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს სტატიის დასაწერად. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს ნასწავლ და | ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/განსხვავებულ სოციოკულტურულ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს. | ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; შეუძლია საუბარი ცნობილი ისტორიული ფაქტის/მოვლენის შესახებ. იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს.<br>მეტყველებს მცირე შეცდომებითა და აქცენტით. | ავლენს სტატიის სტრუქტურის ცოდნას. იყენებს გრაფიკულ/მაორგანიზებელ ელემენტებს. წარმოაჩენს შერჩეულ ისტორიულ ფაქტს/მოვლენას. | შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. ახერხებს უშუალო და შუალობითი კონტაქტის გარჩევას, იყენებს ნასწავლ თემატურ ლექსიკას. | თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გარეშე. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია მოკლე ფრაზებით საუბარი სტატიაში მოცემული ცნობილი ისტორიული ფაქტის/მოვლენის შესახებ შეცდომებითა და აქცენტით. | შეუძლია ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა საგაზეთო სტატიაში. სათაურზე დაკვირვებით შეუძლია ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგება. | მოსწავლე შეცდომებით ახერხებს საგაზეთო სტატიის დაწერას. თუმცა ნაწერში ავლენს სტატიის სტრუქტურის ცოდნას. | ტექსტში ამოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ მახასიათებელს, რომელსაც ადარებს საკუთარს. |
| **უნისტრუქტურუ** | სამეტყველო ქმედების | შეუძლია ძირითადი მახასიათებლების | მოსწავლე საკმაო რაოდენობის შეცდომებით | ტექსტში ამოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ლი დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | განხორციელებისას შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა ისტორიული ფაქტის/მოვლენის შესახებ. | ამოცნობა სტატიაში. სათაურზე დაკვირვებით შეუძლია მარტივი ზედაპირული ინფორმაციის გაგება. | ახერხებს სტატიის დაწერას. თუმცა ნაწერში ავლენს სტატიის სტრუქტურის ზედაპირულ ცოდნას. | მახასიათებელს, თუმცა ვერ ადარებს საკუთარს. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br><br>მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. |

## შუალედური სასწავლო მიზანი - 3

**თემა: ეს ჩვენი სამშობლოა**

**კომპლექსური დავალების თემა:**

დაეთანხმე ან უარყავი მოსაზრებას: დღესასწაულებსა და ფესტივალებზე დასწრება ადამიანს ეხმარება, უკეთ გაიცნოს ხალხების კულტურა და ყოფა-ცხოვრება („მრგვალი მაგიდის მოწყობა“).

**სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები**

**სამეტყველო ქმედება** - ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში. ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად. ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ.
**ტექსტი** - მეტყველების ფუნქციური ტიპები - თხრობა, აღწერა, მსჯელობა.

**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** - ლექსიკა: ტრადიციული, კულტურული, ფესტივალი, საპატიო მოქალაქე, დღესასწაული, ნოვრუზ ბაირამი, ეთნიკური უმცირესობა...

**კულტურათა დიალოგი** - სოციოკულტურული რეალიები (ღირსშესანიშნაობები, ფასეულობები, კულტურული მემკვიდრეობა).

**საკითხი: საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა დისკუსიის საშუალებით.**

**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:**

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა-დასაბუთება, როგორ შევძლო მსჯელობა თემაზე: დღესასწაულებსა და ფესტივალებზე დასწრება ადამიანს ეხმარება თუ არა უკეთ გაიცნოს ხალხების კულტურა და ყოფა-ცხოვრება?
- რა ცოდნა და სტრატეგიები დამეხმარება აზრის სწორად და თანმიმდევრულად გადმოცემაში?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო მიზნობრივად და მართებულად წერისა და მეტყველებისათვის? რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა დისკუსიის დროს?

**კომპლექსური დავალება 1.** დაეთანხმე ან უარყავი მოსაზრებას: დღესასწაულებსა და ფესტივალებზე დასწრება ადამიანს ეხმარება, უკეთ გაიცნოს ხალხების კულტურა და ყოფა-ცხოვრება („მრგვალი მაგიდის მოწყობა“).

**დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:**

- სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად **(ტექსტი)**;
- შესაბამისი გრამატიკული ცოდნა და ნასწავლი ლექსიკის მართებული გამოყენება **(ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; სამეტყველო ქმედება)**.
- სოციოკულტურული რეალიები (ღირსშესანიშნაობები, ფასეულობები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები) **(კულტურათა დიალოგი)**.

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)**
**ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** წინარე ცოდნის გააქტიურება.

მასწავლებელი სატიტულო გვერდზე მოცემული კითხვების დასმით ააქტიურებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას.

- საქართველოში საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები მშვიდობიანად ცხოვრობენ. თითოეულ მათგანს საკუთარი დღესასწაული აქვს, რომელსაც ყოველ წელს აღნიშნავენ.
- შენ რომელ დღესასწაულს იცნობ, რომელიც საქართველოში აღინიშნება?
- რომელ ტრადიციულ დღესასწაულს აღნიშნავთ თქვენს ოჯახში?
- შენ რომელი დღესასწაული მოგწონს და რატომ?
- შენი აზრით, რის მიხედვით შეიძლება ადამიანს მიენიჭოს საპატიო მოქალაქის წოდება?

- თბილისის რომელ საპატიო მოქალაქეს იცნობ? რა იცი მის შესახებ?

**აქტივობა 2.** დავალების მოთხოვნების გააზრება.
- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რას უნდა მიაქციო ყურადღება დისკუსიის დროს?
- რაზე უნდა ისაუბრო?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება?
- რისი შესწავლა დაგჭირდება?
- რა გაგიადვილდება? რა გაგიძნელდება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**რეკომენდაცია:** კლასის/მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით, შეგიძლიათ, გარკვეული პასუხები მშობლიურ ენაზე მოსთხოვოთ მოსწავლეს, ვინაიდან აქ მოწმდება არა ქართული ენის ცოდნა (ეს არ არის მიზანი), არამედ, ვარკვევთ, რა გამოცდილება აქვს მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით.

**ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1. რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო / დამჭირდება დავალების შესასრულებლად?**

**საჭირო ენობრივი საკითხები:**
განვლილი მასალის გამეორება
**რესურსები და აქტივობები:**
**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი.**
**დამატებითი რესურსი:**
**აქტივობები:**
წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ მასწავლებელი კომენტირებული და მართული კითხვის გამოყენებით მოსწავლეებს აცნობს ტექსტს: „თბილისობის დღესასწაული და თბილისის საპატიო მოქალაქეები“.

მოსწავლეები ემზადებიან ტექსტის წასაკითხად:

რას მეუბნება პირველადი მინიშნებები (მაგ., სათაური, ფოტო) ტექსტის შესახებ? რით უკავშირდება ისინი ჩემს ცოდნას? რას მეუბნება ტექსტი? როგორ გამოვიყენო მინიშნებები იმის გასაგებად, თუ რეალურად რის შესახებ არის ტექსტი?

ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ფოტოზე დაყრდნობით; იმისთვის, რომ გავარკვიოთ რამდენად კარგად გაიგეს და გაიაზრეს

ტექსტი, მოსწავლეები უპასუხებენ გაკვეთილის ბოლოს მოცემულ კითხვებზე.

მოსწავლეები საუბრობენ: რა იციან თავიანთი წინაპრების შესახებ, როგორ მეზობლობენ დანარჩენი ეროვნებისა თუ რელიგიის ადამიანებთან.

შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს „ნოვროუზ ბაირამი". მასწავლებელი ამზადებს მოსწავლეებს კითხვის დასაწყებად. ამ ფაზაში მოსწავლეები ააქტიურებენ წინარე ცოდნას, განიხილავენ ტექსტის მნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულებს (სიტყვებს, ცნებებს, ტერმინებს), აყალიბებენ ტექსტის წაკითხვის მიზანს, დემონსტრირებისა და პრაქტიკული ვარჯიშის გზით ივითარებენ ეფექტური კითხვისა და გაგებისთვის საჭირო უნარებს. კითხვის პროცესში, მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების მეშვეობით, მოსწავლეები ცდილობენ ტექსტის გაგებას. ამ ფაზაში ისინი მიმართავენ გაგებისთვის საჭირო ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა წაკითხულის შეჯამება, დასკვნის გამოტანა, კითხვების დასმა, ვარაუდის გამოთქმა და ა.შ. ასევე, ცდილობენ გაარკვიონ, რა ვერ გაიგეს სათანადოდ და როგორ არის შესაძლებელი გააზრებაში წარმოქმნილი ხარვეზების დაძლევა.
მოსწავლეები მონიშნავენ გაუგებარ სიტყვებს. მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ფურცლებს, რომლებზედაც დაბეჭდილია ქვემოთ მოცემული ცხრილი და სთხოვს მათ, შეავსონ მისი პირველი სამი სვეტი მონიშნული სიტყვების გამოყენებით (ერთი ნიმუში მასწავლებელმა გააკეთოს მოსწავლეებთან ერთად):

| **უცნობი სიტყვა** | **კონტექსტი** | **ჩემი განმარტება** (როგორ მესმის მე) | **სალექსიკონო განმარტება** |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |

მოსწავლეები რვეულში ასრულებენ სავ. N 1-სა და N 2-ს.

## კომპლექსური დავალება 3

**კომპლექსური დავალების პირობა: „მრგვალი მაგიდის მოწყობა“**
დაეთანხმე ან უარყავი მოსაზრება: დღესასწაულებსა და ფესტივალებზე დასწრება ადამიანს ეხმარება, უკეთ გაიცნოს ხალხების კულტურა და ყოფა-ცხოვრება.

*ნაშრომში:*
სამუშაოს დაწყებამდე დაფიქრდი დავალების შესრულების ეტაპებზე და რომელ სტრატეგიებს გამოიყენებ ამისათვის (გაითვალისწინე: დისკუსიის წარმართვის წესები, არგუმენტების მოხმობა, შეკითხვების მომზადება, არგუმენტირებული მსჯელობისთვის სათანადო ლექსიკის გამოყენება, რეგლამენტის დაცვა...).
თვალსაზრისის გამოხატვისას გამოიყენე სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები (ჩემი აზრით, ვფიქრობ, რომ..., მგონი).

**დავალების წარდგენის შემდეგ:**

- აღწერე და შეაფასე შენ მიერ გავლილი ეტაპები: სწორად დაგეგმე თუ არა?
- როდის რა გააკეთე და რატომ?
- რა სტრატეგიები გამოიყენე?
- რამ იმუშავა და რამ - ვერა?
- რა გაგიჭირდა და რა გაგიადვილდა?
- რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე დავალების შესრულებას და რატომ?

**საკვანძო შეკითხვები:**
როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო სათანადო ინფორმაციის წარმოდგენა და საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა?
როგორ გამოვიყენო ტექსტის ჟანრობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა საკუთარი აზრის გამოსახატავად?
რა ენობრივი ცოდნა გამოვიყენო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? როგორ მოვახერხო მიზნობრივად და მართებულად მეტყველება?

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ დისკუსიის მოსაწყობად?<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ნასწავლი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |

***ნაბიჯი 2. როგორ მოვახერხო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადაჭრა დისკუსიის დროს? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამისთვის? როგორ დამეხმარება ნასწავლი ენობრივი საშუალებები და გამოყენებული სტრატეგიები ამაში?***

***რესურსები და აქტივობები***

**ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიოდისკი**

**აქტივობები:**

**აქტივობა 1.** მოსასმენი / წასაკითხი ტექსტის/ინფორმაციის გაგება/გააზრება (საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა)
მოსწავლეები მოისმენენ მოსასმენ ტექსტს N 3-ს და უპასუხებენ კითხვებს:

- რომელი ცნობილი მსახიობები მონაწილეობენ ფილმში „მზე შემოდგომისა“?
- რომელი ცნობილი მხატვრები მონაწილეობენ ამ ფილმში?
- რა არის ფილმში გადმოცემული, რის გამოც მოეწონა იგი ავტორს?
- მოცემული მოსასმენიდან გამომდინარე, შეგიძლია თუ არა იმის თქმა, რომ ავტორს მოსწონს თბილისში მცხოვრები ეთნიკურად და რელიგიურად განსხვავებული ხალხების მეგობრული ურთიერთობა?

მოსწავლეები მოისმენენ მოსასმენ N 3-ს და რვეულში შეასრულებენ სავ. N 3-ს.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • როგორ მოემზადებით მოსასმენი და წასაკითხი ტექსტების გასაგებად?<br>• რა ხერხებს გამოიყენებთ მათ გაცნობამდე? მათი გაცნობისას?<br>• კითხვები მოსასმენი ტექსტის გაგება/გააზრებისათვის.<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? |

***ნაბიჯი 3. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო დისკუსიის დროს? როგორ გამოვიყენო დისკუსიის ჟანრობრივი მახასიათებლები ტექსტის შესაქმნელად.***

***რესურსები და აქტივობები:***

**რესურსი 1.** დისკუსიის შეფასების კრიტერიუმების ბადე.

| კრიტერიუმები | კარგია | გასაუმჯობესებელია |
|---|---|---|
| **თანმიმდევრულად გადმოსცემს საკუთარ შეხედულებას** | | |
| **თავის მოსაზრებას ამყარებს შესაბამისი არგუმენტით** | | |
| **ჩანს ავტორის დამოუკიდებელი აზროვნება** | | |
| **ენობრივად გამართულია** | | |

**აქტივობა 1.** დისკუსიის მოწყობა:
- დაგეგმვა (სად, როდის, როგორ);
- მოწყობა.

| | |
|---|---|
| გეზისმიმცემი შეკითხვები: | • რა ცოდნა-გამოცდილება მჭირდება საუბრის დროს?<br>• როგორ გადმოვცე საკუთარი აზრი თანამიმდევრულად, გარკვევით და გასაგებად?<br>• როგორ გამოვიყენო ნასწავლი ლექსიკური და ენობრივი მასალა აზრის გადმოცემისა და არგუმენტირების დროს?<br>• რამდენად გამოგადგებათ მიღებული ცოდნა-გამოცდილება ცხოვრებაში? |

**კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ).** ***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.***

- შეძლეი თუ არა საკუთარი აზრის თანმიმდევრულად გადმოცემა? **(ტექსტი)**;
- რამდენად შეძლეი საჭირო ლექსიკისა და გრამატიკის გამოყენება საუბრის დროს? არგუმენტირების დროს?
- რამდენად შეძლეი საჭირო ენობრივი კონსტრუქციების მიზნობრივად / ფუნქციურად გამოყენება? რატომ? **(ენობრივ-გამომსახ. საშუალება; სამეტყ. ქმედება)**.
- რამდენად შეძლეი სოციოკულტურულ რეალიებზე საუბარი (ღირსშესანიშნაობები, ფასეულობები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები) **(კულტურათა დიალოგი);**
- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

# შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიის მიხედვით

## კომპლექსური დავალება N3
## „მრგვალი მაგიდის მოწყობა“

დაეთანხმე ან უარყავი მოსაზრება: დღესასწაულებსა და ფესტივალებზე დასწრება ადამიანს ეხმარება, უკეთ გაიცნოს ხალხების კულტურა და ყოფა-ცხოვრება.

| კრიტერიუმი/ სამიზნე ცნება | სამეტყველო ქმედება | ტექსტი | ენობრივ-გრამატიკული საშუალებები |
|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე** მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, საკითხი გააზრებულია და არგუმენტირებული, მსჯელობა თანამიმდევრულია და ლოგიკური. საუბრობს გაბმულად საკითხისა და დავალების ირგვლივ. ეფექტურად იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი. მოსწავლეს შეუძლია წაკითხული და მოსმენილი ტექსტების შინაარსის გათვალისწინებით, არგუმენტირებულად და ეფექტურად ისაუბროს საკითხზე: დღესასწაულებსა და ფესტივალებზე დასწრება ადამიანს ეხმარება, უკეთ გაიცნოს ხალხების | შემოქმედებითად იყენებს ჟანრობრივ მახასიათებლებს. თავისუფლად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. მოსწავლეს შეუძლია წაკითხული და მოსმენილი ტექსტების შინაარსის გათვალისწინებით, არგუმენტირებულად და ეფექტურად ისაუბროს დღესასწაულებსა და ფესტივალებზე დასწრება ეხმარება თუ არა ადამიანს უკეთ გაიცნოს ხალხების კულტურა და ყოფა-ცხოვრება. | მოსწავლე დაუბრკოლებლად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს, ჟესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში და ა.შ.), ნასწავლ და შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. საუბრის დროს შეუძლია ნასწავლი გრამატიკული კატეგორიების სწორად გამოყენება, წინადადებების სწორად აგება. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | კულტურა და ყოფა-ცხოვრება. | | |
| **მიმართებითი დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, საკითხი გააზრებულია და არგუმენტირებული, მოჰყავს ერთი არგუმენტი. საუბრობს გაბმულად საკითხისა და დავალების ირგვლივ მცირეოდენი შეცდომებით. იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს აქცენტი. მოსწავლეს შეუძლია წაკითხული და მოსმენილი ტექსტების შინაარსის გათვალისწინებით, ისაუბროს საკითხზე: დღესასწაულებსა და ფესტივალებზე დასწრება ადამიანს ეხმარება, უკეთ გაიცნოს ხალხების კულტურა და ყოფა-ცხოვრება. | დასმული საკითხის ირგვლივ შეუძლია სიღრმისეული გაგება-გააზრება დასკვნების გამოტანა. მოსწავლეს შეუძლია წაკითხული და მოსმენილი ტექსტების შინაარსის გათვალისწინებით, ისაუბროს დღესასწაულებსა და ფესტივალებზე დასწრება ეხმარება თუ არა ადამიანს უკეთ გაეცნოს ხალხების კულტურასა და ყოფა-ცხოვრებას. | მოსწავლე იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს, ჟესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში და ა.შ.), ნასწავლი და შეთავაზებული გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციების უმეტესობას. საუბრის დროს შეუძლია ნასწავლი გრამატიკული კატეგორიების სწორად გამოყენება, წინადადებების სწორად აგება.უშვებს მცირე შეცდომებს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გარეშე. | მოსწავლეს მოკლე ფრაზებით შეუძლია წაკითხული და მოსმენილი ტექსტების შინაარსის გათვალისწინებით, ისაუბროს დღესასწაულებსა და ფესტივალებზე დასწრება ეხმარება თუ არა ადამიანს უკეთ გაეცნოს ხალხების კულტურასა და ყოფა-ცხოვრებას. საუბრობს შეცდომებითა და აქცენტით. | შეუძლია ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა ტექსტში. შეუძლია ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგება. შეუძლია მოკლე ფრაზებით ისაუბროს დღესასწაულებსა და ფესტივალებზე დასწრება ეხმარება თუ არა ადამიანს უკეთ გაეცნოს ხალხების კულტურასა და ყოფა-ცხოვრებას. საუბრობს შეცდომებითა და აქცენტით. | მოსწავლე საკმაო რაოდენობის შეცდომებით ახერხებს აზრის გადმოცემას.<br>საუბრის დროს შეუძლია ნასწავლი გრამატიკული კატეგორიების სწორად გამოყენება, წინადადებების აგება, თუმცა უშვებს შეცდომებს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვით საკუთარი შეხედულებების გადმოცემა. | შეუძლია კონკრეტული ტიპისა და ჟანრის ტექსტში ორიოდე ექსპლიციტური ინფორმაციის გაგება, საკუთარი შეხედულებების გადმოცემა რამდენიმე სიტყვით. | მოსწავლე ზეპირი და წერითი მეტყველებისას იყენებს შეთავაზებული გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციებიდან მხოლოდ ორიოდე ფორმას, მრავლადაა შეცდომები. უჭირს წინადადებების აგება. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას. |

# 5. პროექტზე დაფუძნებული სწავლება და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა

პროექტზე დაფუძნებული სწავლება არის მეთოდი, რომელიც სრულიად განსხვავებულია ტრადიციული სწავლების მეთოდისგან. ის ავითარებს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარს: დაკვირვების, მოძიების, კვლევის, პრეზენტაციის, გუნდური მუშაობის, ლიდერობისა და პრობლემის გადაჭრის უნარებს; ხელს უწყობს საგანთაშორის ინტეგრირებას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას, თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას...

მისი გამოყენება, ნებისმიერი საგნის სწავლების დროს, ქმნის საინტერესო სასწავლო გარემოს მოსწავლეებისთვის. პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს წინასწარ უნდა იყოს გაწერილი მიზანი, განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი, მათი შესრულების ვადები, სასწავლო რესურსები და ა.შ.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება საჭიროებს ახალი ინფორმაციის მოძიებას. არსებული პრობლემის გადასაჭრელად მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია, გამოიტანონ დასკვნები და ჩამოუყალიბდეთ გარკვეული შეხედულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

პროექტულ სწავლებასთან დაკავშირებით გაეცანით სტატიას:
http://mastsavlebeli.ge/?p=21607

**პროექტი** 1.

**პროექტის თემა**: **ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში**

**მიზანი**: კულტურული მრავალფეროვნების გაცნობა. პროექტის მიზანია მოსწავლეებში კომუნიკაციის უნარის განვითარება, სხვა ქვეყნების ან სხვა ეთნოსის კულტურისა და ტრადიციების გაზიარება, სამზარეულოებისა და ტრადიციული კერძების გაცნობა, ლექსიკური მარაგის გამდიდრება და ნასწავლი ლექსიკის პრაქტიკაში გამოყენება.

პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ 13-დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეებს. პროექტში შესაძლოა ჩაერთონ როგორც ერთი სკოლის სხვადასხვა კლასის, ასევე სხვადასხვა სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და დაინტერესების შემთხვევაში, მათი მშობლებიც.

**ამოცანები**:

- რითია გამორჩეული ჩემი ქვეყანა/ეთნოსი სხვებისგან?
- როგორ შევძლებ ჩემი ქვეყნის/ეთნოსის კულტურული მრავალფეროვნების წარმოდგენას?
- რა ტრადიციები არსებობს სხვადასხვა დღესასწაულის ან მნიშვნელოვანი დღის აღსანიშნავად?
- როგორია ჩვენი ნაციონალური კერძები და რის დაგემოვნებას ვურჩევ მეგობრებს?

**პროექტის განხორციელების ეტაპები**:

- **პირველი**: ვიდეორგოლის მომზადება. საკუთარი თავის და ქვეყნის/ეთნოსის წარდგენა ვიდეორგოლის საშუალებით. ვიდეოკონფერენცია პროექტში ჩართულ კლასებთან ან პარტნიორ სკოლებთან. შეხვედრები სკოლის ფარგლებში წარიმართება ოფლაინ, ხოლო სხვა სკოლის მოსწავლეებთან შესაძლოა ონლაინ პლატფორმების გამოყენებაც. მოსწავლეები ეცნობიან ერთმანეთს, აცნობენ საკუთარ თავს, ასაკს, საყვარელ საქმიანობას.
- **მეორე**: ეთნიკური მრავალფეროვნების წარმოდგენა. რითია გამორჩეული ჩემი ქვეყანა/ეთნოსი სხვებისგან. როგორ შევძლებ სხვებს გავაცნო ჩვენი კულტურა, ტრადიციები... პრეზენტაციისთვის შესაძლოა ჩაიწეროს ვიდეოც ან გამოიყენონ ნებისმიერი საპრეზენტაციო პროგრამა.
- **მესამე**: ეროვნული დღესასწაულების/მნიშვნელოვანი დღეების გაცნობა. მოსწავლეები აცნობენ ერთმანეთს როდის აღნიშნავენ დღესასწაულებს. როგორია ამ დღისადმი მიძღვნილი ეთნიკური თუ ოჯახური ტრადიცია. ვინ მონაწილეობს ამ ღონისძიებებში, რითია გამორჩეული და საინტერესო.
- **მეოთხე**: ნაციონალური კერძების გაცნობა. ჩემი ეროვნული კერძის (2 ან მეტი კერძი), ეროვნული დესერტის (2 ან მეტი სახეობის ტკბილეული) გაცნობა. პრეზენტაცია ვიდეოს ან საპრეზენტაციო პროგრამის გამოყენებით.

ასევე სკოლების შესაძლებლობებისა და სურვილის მიხედვით შესაძლოა მოეწყოს ნაციონალური სამზარეულოს რეალურ გარემოში გაცნობა - სკოლაშივე მოამზადონ და დააგემოვნონ კერძები.

- **მეხუთე**: პროექტის შეფასება. მოსწავლეების, მონაწილე მასწავლებლების მიერ (პროექტის შეფასება რუბრიკის მიხედვით, მოსწავლეების შთაბეჭდილებების გაზიარება).

**საბოლოო პროდუქტი**: წიგნი ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე. წიგნის შექმნა ხელნაკეთი/ ელექტრონული სახით, ან პროექტის ბლოგის შექმნა სურვილის მიხედვით.

პროექტისთვის პრეზენტაციების მომზადება შეგვიძლია სხვადასხვა პროგრამის გამოყენებით: power point, sway, pizzap.com kizoa ან ვიდეო რგოლი.

**პროექტის ხანგრძლივობა**: გაიწეროს მასწავლებლის სურვილისამებრ.

მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრების ატვირთვა შეიძლება პორტალზე, სადაც პროექტის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ აჩვენონ ეს რესურსები მოსწავლეებს. ასევე თავადაც გაიზიარონ სხვა პროექტის მონაწილე მოსწავლეების ნამუშევრები.

პროექტზე მუშობის დროს შევქმნით საინფორმაციო კედლის გაზეთს, პროექტის ბლოგს. პროექტის მონაწილე კლასების ან სხვა სკოლების ჩართულობით შესაძლოა დამზადდეს სადღესასწაულო მისალოცი ბარათები, რომლებსაც გაუგზავნიან ერთმანეთს. მოსწავლეები, პროექტის ფარგლებში, გაეცნობიან ეთნიკური მრავალფეროვნებით წარმოდგენილი ქვეყნის ტრადიციებს, კულტურას, ეროვნულ სამზარეულოს. თანატოლების გაცნობა, ნაციონალური იდენტობის გაზიარება, საკუთარ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე საუბარი კი მათ გამოუმუშავებს ეფექტური კომუნიკაციის, თანამშრომლობის, ნასწავლის ცხოვრებასთან დაკავშირების უნარებს. გაუმდიდრდებათ ლექსიკური მარაგი, განუვითარდებათ წერის, კითხვის, მოსმენის, საკუთარი აზრის გამოხატვის, შეფასების უნარები. ეს კი საბოლოოდ, მათ ადაპტაციასა

და სოციუმში ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. შესაძლოა, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ზოგიერთი მოსწავლისთვის ახალი შესაძლებლობებისა და ინტერესების აღმომჩენიც გახდეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას- რაც უფრო სწორად გამოიყენებს მასწავლებელი პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, მით უფრო წარმატებული იქნება პროექტი და მოსწავლეები ახალ უნარებს შეიძენენ, განიმტკიცებენ უკვე არსებულ ცოდნას, პრაქტიკაში გამოიყენებენ ნასწავლს, შეძლებენ მოახდინონ ნასწავლის ტრანსფერი და მოემზადონ თანამედროვე ცხოვრებისთვის.

**პროექტი** 2.

**პროექტის თემა**: ტოლერანტობა ჩვენს ქვეყანაში

**პროექტის მიზანი**:

- ტოლერანტული ცნობიერების ამაღლება მოსწავლეებში;
- ტოლერანტობის, როგორც ადამიანური ღირსების გაცნობიერება;
- მიმღებლობისა და ურთიერთპატივისცემის კულტურის ჩამოყალიბება;
- არატოლერანტული საზოგადოების რისკ-ფაქტორების გააზრება და შეფასება;
- დისკუსიის, საპრეზენტაციო უნარებისა და ეფექტური კომუნიკაციის ამაღლება.

**პროექტის ამოცანები**:

- რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანი იყოს ტოლერანტი და რა ეხმარება მას ამ თვისების გამომუშავებაში?
- რა რისკებს შეიცავს არატოლერანტული გარემო და როგორ შეიძლება აღმოვფხვრათ ეს დამოკიდებულება საზოგადოებაში?
- რა როლს ასრულებს სკოლა და ოჯახი ტოლერატული ცნობიერების ჩამოყალიბებაში?
- როგორ, რა საშუალებით/საშუალებებით შეუძლია სკოლას ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ტოლერანტობის ამაღლებას?
- რას ნიშნავს აქტიური მოქალაქის ცნება და რა პასუხისმგებლობა გვაკისრია თითოეულ ჩვენგანს ტოლერანტული კულტურის რეალიზებაში?

**პროექტის აქტუალობის დასაბუთება**:

საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა. აქ ქართველების გვერდით ოდითგანვე მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ ებრაელები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, იეზიდები, ქურთები, ასურელები, რუსები უკრაინელები, პოლონელები, გერმანელები და სხვა მრავალი წარმომავლობის ეთნოსი. უმნიშვნელოვანესია თითოეულმა ჩვენგანმა გავაცნობიეროთ, რომ დედამიწა ყველას სახლია და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშეწყობა კი - ყველას ვალდებულება. ტოლერანტული ცნობიერების ჩამოყალიბებაში ოჯახთან ერთად განსაკუთრებული როლი ეკისრება სკოლას, რადგან სწავლებასთან ერთად მოსწავლის ღირსეულ მოქალაქედ ფორმირება საგანმანათლებლო დაწესებულების უპირველესი მოვალეობაა. ტოლერანტობა კი ღირსეული მოქალაქის აუცილებელი მახასიათებელია.

**განხორციელების გზები**:

- სამუშაო შეხვედრა პროექტის დასაგეგმად, იდეების გენერირება გონებრივი შტურმის საშუალებით;
- სამოქალაქო განათლების მასწავლებლის მოწვევა და საუბარი თემაზე: რა თვისებები უნდა ჰქონდეს ტოლერანტ ადამიანს და რა საფრთხეებს შეიცავს არატოლერანტული გარემო როგორც პიროვნებისთვის, ასევე ქვეყნისთვის;
- ფილმის ჩვენება ტოლერანტობაზე, მისი განხილვა-გაანალიზება და შეფასება; ანიმაციური ფილმი: https://www.youtube.com/watch?v=rw_PtY6r4KE
- დისკუსია თემაზე: ,,მე, ტოლერანტობა და ღირსება". მოსწავლეები იმსჯელებენ, რატომ არის მნიშვნელოვანი თითოეული მათგანისთვის იყოს ტოლერანტი, როგორ უკავშირდება ეს თვისება ღირსებას; როგორ, რა გამოწვევების წინაშე დგას თითოეული მათგანი ამ მიმართულებით და როგორია მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობა; როგორია არატოლერანტი ადამიანი და რა საფრთხეების შემცველია მისი დამოკიდებულება საზოგადოებისათვის; როგორ შეიძლება ავამაღლოთ მოსწავლეების ცნობიერება ამ კუთხით და შევცვალოთ მსოფლიო უკეთესობისკენ.
- მოსწავლეების პრეზენტაცია თემაზე: ,,ტოლერანტული საქართველო". ამისთვის შეუძლიათ გამოიყენონ ტოლერანტობისა ცენტრის მიერ გამოცემული წიგნი ,,ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში" (საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი; თბილისი. 2022 წელი)
- ფლაერების მომზადება და მოსახლეობაში გავრცელება. ამით პროექტი სკოლის ფარგლებს გასცდება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს.
- კულტურათა შორის დიალოგი – შეხვედრა მრავალეთნიკურ მოსწავლეებთან, შესაძლებელია სტუდენტებთანაც. კარგი იქნება თუ შეხვედრაზე კულტურასა და ტრადიციებზე საუბართან ერთად ერთმანეთს გაუზიარებენ ნაციონალურ სამზარეულოსაც. ასეთი ტიპის შეხვედრები ხელს შეუწყობს მოსწავლეების დამეგობრებას, საერთო თვისებების აღმოჩენას და იმის გაცნობიერებას, რომ ადამიანების მიმღებლობას მხოლოდ მათი პიროვნული თვისებები განსაზღვრავს და არა ეთნიკურ თუ რელიგიურ წარმომავლობა. (კარგი იქნება თუ ამ ტიპის შეხვედრებს სკოლა ტრადიციად აქცევს და უფრო მასშტაბურს გახდის, სადაც მოსწავლეებთან ერთად შესაძლოა ჩაერთოს ადგილობრივი თემიც).

**მოსალოდნელი შედეგები**:

- მოსწავლეებმა გაიაზრეს ტოლერანტობის არსი;
- გააცნობიერეს, რომ ტოლერანტული დამოკიდებულება ადამიანის უმნიშვნელოვანესი ღირსებაა;
- შეაფასეს და გაანალიზეს არატოლერანტული გარემოს საფრთხეები დ გამოწვევები, რომლის წინაშეც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა დგას;
- დაუკავშირეს ახალი საკითხი წინარე ცოდნას და იმსჯელეს, როგორ გამოიყენებენ პროექტის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას ცხოვრებაში;
- გამოუმუშავდათ სხვათა შეხედულებების, ღირებულებებისა და კულტურის პატივისცემის უნარი.
- გაიუმჯობესეს დისკუსიის, პრეზენტაციისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარები.

**პროექტის მონიტორინგი**:

პროექტის მონიტორინგი მიმდინარეობს პროექტის ხელმძღვანელი მასწავლებლის უშუალო დაკვირვებით, შესაძლოა თავად მასწავლებელმა განსაზღვროს შუალედური მიზნებიც და საჭიროებისამებრ მოახდინოს ზოგიერთი აქტივობის მოდიფიცირება ან სხვა უფრო ეფექტური ინტერვენციით ჩანაცვლება. მონიტორინგის პროცესში შესაძლოა ჩაერთოს სკოლის ადმინისტრაციის რომელიმე წევრი, რომელსაც დირექტორის უფლებამოსილების ფარგლებში დაეკისრება ეს ვალდებულება. შესაძლოა შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფიც, პროექტის მასშტაბურობისა და საჭიროებიდან გამომდინარე.

**პროექტის განხორციელების ვადები**:

პროექტის განხორციელების ვადები განისაზღვრება თავად მასწავლებლის მიერ არანაკლებ ერთი თვისა.

**პროექტი** 3.

**პროექტის თემა**: **დედამიწა ჩვენი სახლია**

**მსოფლიოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიზანი დედამიწის ეკოსისტემების დაცვაა**.

**პროექტის მიზანი**:

- გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება მოსწავლეებში;
- საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერება ბუნების დაცვისა და შენარჩუნების საქმეში;
- სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება;
- თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარი რისკ-ფაქტორების გააზრება და შეფასება;
- დისკუსიის, საპრეზენტაციო უნარებისა და ეფექტური კომუნიკაციის ამაღლება.
- კეთებით სწავლების, ,,სწავლის სწავლების" და პროექტში მიღებული გამოცდილების ცხოვრებაში გამოყენება.

**პროექტის ამოცანები**:

- როგორ/რა საშუალებით შეიძლება დავიცვათ დედამიწა ეკოლოგიური კატაკლიზმებისგან?
- როგორ შეგვიძლია ეკოსისტემების დაცვა და შენარჩუნება?
- რა რისკებს შეიცავს ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება როგორ შეიძლება აღმოვფხვრათ ეს პრობლემა საზოგადოებაში?
- როგორ შეუძლია სკოლასა და ოჯახს დაეხმაროს მოზარდებს ბუნებისდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებაში?
- რას ნიშნავს აქტიური მოქალაქის ცნება და რა პასუხისმგებლობა გვაკისრია თითოეულ ჩვენგანს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნაში?

**პრობლემის აქტუალობის დასაბუთება**:

მსოფლიოს მდგრადი განვითარების 17 მიზანს შორის გარემოს დაცვა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. **მიზანი 15**: **დედამიწის ეკოსისტემების დაცვა**, **აღდგენა და მდგრადი გამოყენება**, **ტყეების გონივრული მართვა**, **გაუდაბურების აღდგენა**, **ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება**,

**ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება**. ეს მიზანი ცხადყოფს, რომ თუ არ შეიცვალა მომხმარებლური დამოკიდებულება დედამიწის ეკოსისტემების მიმართ, კატასტროფები გარდაუვალია. აუცილებელია, რომ ადამიანებს აუმაღლდეთ ცნობიერება ამ მიმართულებით, ჩამოუყალიბდეთ გონივრული დამოკიდებულება ბუნებისადმი, იზრუნონ მის აღდგენა-გაუმჯობესებაზე და თავიანთი წვლილი შეიტანონ მდგრად განვითარებაში. უმნიშვნელოვანესია თითოეულმა ჩვენგანმა გავაცნობიეროთ, რომ დედამიწა ყველას სახლია და მასზე ზრუნვა კი - ყველას ვალდებულება. ბუნებისადმი ჯანსაღი ცნობიერების ჩამოყალიბებაში ოჯახთან ერთად განსაკუთრებული როლი ეკისრება სკოლას, რადგან სწავლებასთან ერთად მოსწავლის ღირსეულ მოქალაქედ ფორმირება საგანმანათლებლო დაწესებულების უპირველესი მოვალეობაა. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა კი მოქალაქეობრივი ცნობიერების აუცილებელი მახასიათებელია.

**განხორციელების გზები**:

- სამუშაო შეხვედრა პროექტის დასაგეგმად, იდეების გენერირება გონებრივი შტურმის საშუალებით;
- სამოქალაქო განათლებისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლების მოწვევა და საუბარი თემაზე: ,,როგორ გადავარჩინოთ დედამიწა ეკოლოგიური კატასტროფისგან“;
- იუმორით ნათქვამი სიმართლე - ვიდეორგოლის ჩვენება, მისი განხილვა-გაანალიზება და შეფასება. იუმორის ჟანრული მახასიათებლის გახსენება და მისი დაკავშირება რეალობასთან. https://youtu.be/WfGMYdalClU
- დოკუმენტურ ფილმ ,,სახლის“ ჩვენება. მასში ნაჩვენები პრობლემების იდენტიფიცირება და საფრთხეების შეფასება; გადაჭრის გზების ძიება და დასაბუთება. https://www.youtube.com/watch?v=-GUeDISwZ3E რადგან ფილმი ინგლისურ ენაზეა, დაიხმარონ ინგლისურის მასწავლებელი.
- დისკუსია თემაზე: ,,ჩემი უფლება და ვალდებულებაა ვიცხოვრო ჯანსაღ გარემოში“. მოსწავლეები იმსჯელებენ, რატომ არის მნიშვნელოვანი თითოეული მათგანისთვის გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბება; რა გამოწვევების წინაშე დგას საზოგადოება ამ მიმართულებით და როგორია მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობა; რაში ვლინდება ადამიანის მომხმარებლური დამოკიდებულება ბუნებისადმი და რა საფრთხეების შემცველია მისი არაგონივრული ქმედება დედამიწის ეკოსისტემებისათვის; როგორ შეიძლება ავამაღლოთ მოსწავლეების ცნობიერება ამ კუთხით და შევცვალოთ მსოფლიო უკეთესობისკენ.
- მოსწავლეების პრეზენტაცია თემაზე: ,,დედამიწა ჩემი სახლია“.
- ფლაერების მომზადება და მოსახლეობაში გავრცელება. ამით პროექტი სკოლის ფარგლებს გასცდება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს.
- ბლოგის შექმნა, ვიდეორგოლის გადაღება ბუნების დაცვაზე, მიმართვის ჩაწერა და სკოლის ვებ-გვერდზე განთავსება;
- სკოლის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-დახარისხება და გადასამუშავებელი საგნების შესაბამის ობიექტებში ჩაბარება;
- დასუფთავების ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება. კარგი იქნება, თუ ამ ღონისძიებაში ჩაერთვება ადგილობრივი თემი და ერთობლივი ძალისხმევით დაას-

უფთავებენ სხვადასხვა ტერიტორიას _სკვერებს, ბაღებს, სასაფლაოს... (კარგი იქნება თუ ამ ტიპის აქტივობას სკოლა ტრადიციად აქცევს და უფრო მასშტაბურს გახდის, სადაც მოსწავლეებთან ერთად შესაძლოა ჩაერთოს ადგილობრივი თემიც).

- სკოლის ეზოში ან მიმდებარე ტერიტორიაზე ხეებისა და ყვავილების დარგვა. (თუ სკოლის მიმდებარე გარემო ამის საშუალებას არ იძლევა, ხეები ნებისმიერ სხვა ადგილად დაირგოს, თუნდაც სოფლის ან ქალაქის განაპირას, შეიძლება მცირე ქარსაცავი ზოლის მოწყობაც).
- თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. მათი ხელმძღვანელობითა და მოსწავლეების ჩართულობით სამომავლო პერსპექტივების დასახვა ქალაქის თუ სოფლის ეკოლოგიური პრობლემების გასაუმჯობესებლად.
- თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოებასთან, უფრო მასშტაბური და გრძელვადიანი პროექტის გეგმის შესადგენად. ამ პროექტში, შესაძლოა ჩაერთონ სხვა სკოლის მოსწავლეები ან ადგილობრივი თემი.

**მოსალოდნელი შედეგები**:

- მოსწავლეებმა გაანალიზეს და შეაფასეს მდგრადი განვითარების მიზნები, განსაკუთრებით კი მე-15 მიზანი.
- გააცნობიერეს საკუთარი პასუხისმგებლობა ბუნების დაცვასა და შენარჩუნებაში;
- შეაფასეს და გაანალიზეს ის საფრთხეები დ გამოწვევები, რომელთა წინაშეც მსოფლიო დგას;
- გამოუმუშავდათ პრობლემის იდენტიფიცირების, შეფასებისა და მისი გადაჭრის გზების ძიების უნარები;
- აღმოაჩინეს ახალი უნარები, რომლებიც მომავალში ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის მათ;
- დაუკავშირეს ახალი საკითხი წინარე ცოდნას და იმსჯელეს, როგორ გამოიყენებენ პროექტის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას ცხოვრებაში;
- გამოუმუშავდათ თანამშრომლობის, გუნდურობის, კეთებით სწავლების უნარი;
- გაიუმჯობესეს დისკუსიის, პრეზენტაციისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარები;
- შეიძინეს და განამტკიცეს პროექტზე მუშაობის გამოცდილება.

**პროექტის მონიტორინგი**:

პროექტის მონიტორინგი მიმდინარეობს პროექტის ხელმძღვანელი მასწავლებლის უშუალო დაკვირვებით, შესაძლოა თავად მასწავლებელმა განსაზღვროს შუალედური მიზნებიც და საჭიროებისამებრ მოახდინოს ზოგიერთი აქტივობის მოდიფიცირება ან სხვა უფრო ეფექტური ინტერვენციით ჩანაცვლება. მონიტორინგის პროცესში შესაძლოა ჩაერთოს სკოლის ადმინისტრაციის რომელიმე წევრი, რომელსაც დირექტორის უფლებამოსილების ფარგლებში დაეკისრება ეს ვალდებულება. შესაძლოა შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფიც, პროექტის მასშტაბურობისა და საჭიროებიდან გამომდინარე.

**პროექტის განხორციელების ვადები**:

პროექტის განხორციელების ვადები განისაზღვრება პროექტის ხელმძღვანელი მასწავლებლის მიერ არანაკლებ ერთი სემესტრისა.

## 6. შეფასების რუბრიკები

**მოსწავლეთა შესაფასებლად გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება. საჭიროა, გავითვალისწინოთ შეფასების გარკვეული რუბრიკები. გთავაზობთ სარეკომენდაციო რუბრიკებს.**

სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ცნებების მიხედვით

| **კრიტერიუმი/ სამიზნე ცნება** | **სამეტყველო ქმედება** | **ტექსტი** | **ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** | **კულტურათა დიალოგი** |
|---|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/ შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; წარმატებული კომუნიკაციისთვის მყისიერად იღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებებს სტრატეგიების შეცვლის ჩათვლით. | შემოქმედებითად იყენებს ტექსტის ჟანრობრივ მახასიათებლებს სხვადასხვა ტიპის ტექსტის შესაქმნელად თუ გადასაკეთებლად. შეუძლია ჟანრის მახასიათებლების თავისუფალი გამოყენება. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყვე-ლებისას დაუბრკოლებლად იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. | ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/ განსხვავებულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებუ-ლება და სხვებსაც მიუთითებს ამისკენ. |
| **მიმართებითი დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; წარმატებული კომუნიკაციისთვის ზოგჯერ ვერ ახერხებს სტრატეგიების შეცვლას სიტუაციის მიხედვით. | საფუძვლიანად აცნობიერებს ჟანრობრივ მახასიათებლებს თითოეული ტიპის ტექსტისთვის. შეუძლია ერთი ტიპის ტექსტის სხვა ტიპის ტექსტად გადაკეთება. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყვე-ლებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. | ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/ განსხვავებულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მულტისტრუქ-ტურული დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გარეშე. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებზე, ადგილსა და დროზე კონცენტრირება. თუმცა ერთი კომპონენტის შეცვლის შემთხვევაში ვერ ახერხებს სხვა კომპონენტის მოდიფიცირებას. | შეუძლია ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებში. ვერ ახერხებს მოცემული ჟანრის ტექსტის შეთავაზებულ ჟანრში გადაყვანას. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყვე-ლებისას იყენებს შეთავაზებული გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციების უმეტესობას. | ქართულენოვან ზეპირ თუ წერილობით ტექსტებში აღმოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ მახასიათებელს, რომელსაც ადარებს საკუთარს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br><br>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია ან კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებზე, ან ადგილსა და დროზე კონცენტრირება. | შეუძლია კონკრეტული ტიპისა და ჟანრის ტექსტის ერთი მახასიათებლის საფუძველზე ჟანრობრივი განსხვავებების აღქმა. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყვე-ლებისას იყენებს შეთავაზებული გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციების მხოლოდ ორიოდე ფორმას. | ქართულენოვან ზეპირ თუ წერილობით ტექსტებში აღმოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ მახასიათებელს, თუმცა ვერ ადარებს საკუთარს. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br><br>მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს არარელევანტურ ინფორმაციას. | ვერ ახერხებს სამეტყველო ქმედების განხორციელებას, ვერ მონაწილეობს ქართულენოვანი ინფორმაციის აღქმასა და გაგებაში. | ვერ ახერხებს სხვადასხვა ტიპის ტექსტებს შორის ჟანრობრივი განსხვავებების დაჭერას. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტ-ყველებისას ვერ იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. | ქართულენოვან ტექსტებში ვერ ამჩნევს სოციოკულტურულ მახასიათებლებს. |

## წერითი დავალების შეფასების რუბრიკა (10 ქულა)

| | I. დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება | ქულა |
|---|---|---|
| 1 | დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული. | 2 |
| 2 | დავალების პირობა ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებული. | 1 |
| 3 | დავალება მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული. | 0 ნაწერი აღარ სწორდება |

| | II. **ნაშრომის აგება** | ქულა |
|---|---|---|
| 1 | დავალება კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. | 2 |
| 2 | დავალებაში ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა და აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი. | 1 |
| 3 | ნაშრომში დარღვეულია ტექსტის ლოგიკა; იგი ორგანიზებული არ არის. | 0 |

| | III. **მსჯელობა** | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია. | 2 |
| 2 | მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია ნაწილობრივ. | 1 |
| 3 | მსჯელობა არალოგიკური და არათანმიმდევრულია. | 0 |

| | IV. **ლექსიკა** | ქულა |
|---|---|---|
| 1 | სიტყვები ძირითადად კონტექსტის შესაბამისად სწორად არის გამოყენებული. | 2 |
| 2 | სიტყვები 3-4 შემთხვევაში არასწორად არის გამოყენებული. | 1 |
| 3 | ლექსიკა ძირითადად არაადეკვატურია. | 0 |
| | IV. **ლექსიკა** | ქულა |
| 1 | სიტყვები ძირითადად კონტექსტის შესაბამისად სწორად არის გამოყენებული. | 2 |
| 2 | სიტყვები 3-4 შემთხვევაში არასწორად არის გამოყენებული. | 1 |
| 3 | ლექსიკა ძირითადად არაადეკვატურია. | 0 |

| | V. **გრამატიკა** | ქულა |
|---|---|---|
| 1 | არ არის დაშვებული 2 შეცდომაზე მეტი. | 2 |
| 2 | არ არის დაშვებული 4 შეცდომაზე მეტი. | 1 |
| 3 | დაშვებულია 5 და მეტი შეცდომა. | 0 |

**შეფასების კრიტერიუმები ლაპარაკის ნაწილისათვის** (10 ქულა)

| | I. **დავალებასთან შესაბამისობა** | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ლაპარაკობს თავისუფლად, პაუზების გარეშე. | 2 |
| 2 | ლაპარაკობს გამართულად, თუმცა ზოგ შემთხვევაში მოკლე, წყვეტილი ფრაზებით, პაუზების გარეშე. | 1 |
| 3 | ლაპარაკობს გაუგებრად ან დუმს. | 0 |

| | II. **ლექსიკა და სტილი** | ქულა |
|---|---|---|
| 1 | აქვს საკმარისი ლექსიკური მარაგი; იყენებს თემაში შესწავლილ ლექსიკას. | 2 |
| 2 | აქვს ერთფეროვანი, მწირი ლექსიკა; ხშირად ლექსიკური ერთეულები არაადეკვატურადაა გამოყენებული. | 1 |
| 3 | აზრის გაგება ჭირს, რადგან ლექსიკა არაადეკვატურია. | 0 |

| | III. **გრამატიკული სისწორე** | ქულა |
|---|---|---|
| 1 | სწორად იყენებს ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს; არ უშვებს გრამატიკულ შეცდომებს. | 3 |
| 2 | იყენებს ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს, თუმცა უშვებს 1 ან 2 გრამატიკულ შეცდომას. | 2 |
| 3 | იყენებს ერთფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს. | 1 |
| 4 | მეტყველება გრამატიკულად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს. | 0 |

| | IV. **წარმოთქმა** | ქულა |
|---|---|---|
| 1 | საუბრობს გარკვევით, ბგერებს სწორად წარმოთქვამს. | 3 |
| 2 | ზოგიერთ ბგერას სწორად ვერ წარმოთქვამს, თუმცა ეს არ უშლის აზრის გაგებას. | 2 |
| 3 | ბგერებს სწორად ვერ წარმოთქვამს, ნათქვამის გაგება ჭირს. | 1 |
| 4 | ნათქვამი გაუგებარია. | 0 |

**მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფა და შეფასების კრიტერიუმები**

გთავაზობთ ჯგუფებად დაყოფის პრინციპების სარეკომენდაციო ჩამონათვალს:

- შემთხვევითი დაყოფა;
- საერთო ინტერესების გათვალისწინება;
- მსგავსი შეხედულებები;
- დავალების სპეციფიკის გათვალისწინება და ა. შ.

მოსწავლეები და მასწავლებელი ერთობლივად შეიმუშავებენ ჯგუფური პრეზენტაციების კრიტერიუმებს. კრიტერიუმებში უნდა ჩანდეს მოთხოვნები და შეფასების დონეები.

| **კრიტერიუმები** | სრულად<br>9-10 | კარგად<br>7-8 | ზოგადად<br>5-6 | ნაწილობრივ<br>3-4 | ვერ აკმაყოფილებს<br>2-1 |
|---|---|---|---|---|---|
| უპასუხებს თემას | | | | | |
| საკითხი გააზრებულია და არგუმენტირებული | | | | | |
| პრეზენტაცია ორიგინალური, საინტერესო და კრეატიულია | | | | | |
| მსჯელობა თანმიმდევრულია და ლოგიკური | | | | | |
| მეტყველება მკაფიოა და გამოკვეთილი. | | | | | |
| მონაწილეები ნაშრომის მომზადებისას ითვალისწინებენ შეფასების კრიტერიუმებს | | | | | |
| პრეზენტაცია სათანადოდაა გაფორმებული (დიზაინი, ვიზუალური მხარე, მასალის მიწოდების ფორმა) | | | | | |

დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები

| კრიტერიუმები | დიახ | არა |
|---|---|---|
| მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს | | |
| მსჯელობს არგუმენტირებულად, გამოაქვს ადეკვატური დასკვნა | | |
| იცავს დისკუსიის წესებს და თანაკლასელის მიმართ კორე-ქტულია. | | |
| იყენებს ფაქტებს საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად; | | |
| იცავს საუბრისას დროის ლიმიტს | | |
| დამაჯერებლად იცავს საკუთარ მოსაზრებას, მაგრამ არ ცდილობს დისკუსიაში დომინანტური პოზიციის დაკავებას; | | |
| იცავს დისკუსიის სათანადო წესებს და ეტიკეტს | | |

ინფორმაციის მოძიებისა და დახარისხების შეფასების რუბრიკა

| **კრიტერიუმები** | 1-3 | 4-5 | 6-7 | 8-10 |
|---|---|---|---|---|
| ინფორმაციის მოძიების წყაროები | იყენებს მხოლოდ საკუთარ ინფორმაციას | იყენებს მხოლოდ სახელმძღვა-ნელოში მოცემულ ინფორმაციას | იყენებს მხოლოდ რამდენიმე ინფორმაციის წყაროს | იყენებს მრავალფე-როვან საინფორმაციო საშუალებებს |
| მოძიებული ინფორმაციის შესაბამისობა | მასალა არ არის საკითხის შესაბამისი | მასალა ნაწილობრივ შეესაბამება საკითხს | მასალა ძირითადად შეესაბამება საკითხს | მასალა სრულიად შეესაბამება საკითხს |
| მოპოვებული ინფორმაციის ორგანიზებუ-ლობა | მასალა არ არის სწორად ორგანიზებული | მასალა ნაწილობრივ ორგანიზებულია | მასალა ორგანიზებულია, მაგრამ რთულად აღსაქმელი | მასალა კარგად და მოსახერხებ-ლადაა ორგანიზებული |
| მოძიებული ინფორმაციის ანალიზი | ვერ იყენებს სკოლის მასალას მიზნობრივად | ნაწილობრივ მიზნობრივად იყენებს მოძიებულ მასალას | ძირითადად მიზნობრივად იყენებს მოძიებულ მასალას | მიზნობრივად იყენებს მოძიებულ მასალას |

თვითშეფასების რუბრიკა

| | შეფასების კრიტერიუმები | ყოველთვის | ხშირად | იშვიათად |
|---|---|---|---|---|
| 1 | ვიგებ მასწავლებლის მითითებებს. | | | |
| 2 | მოსასმენი ტექსტებიდან ვიგებ საჭირო ინფორმაციას. | | | |
| 3 | ვსვამ /ვუპასუხებ მოცემულ თემაზე დასმულ კითხვებს. | | | |
| 4 | ვცდილობ, ქართულად ვისაუბრო. | | | |
| 5 | უცნობი სიტყვების გასაგებად ვიშველიებ კონტექსტს, სიტყვის ნაცნობ ფუძეს, ნასწავლ სტრატეგიებს. | | | |
| 6 | ნიმუშზე დაყრდნობით ვასრულებ წერილობით დავალებებს. | | | |
| 7 | ვვარჯიშობ ახალი სიტყვების დამახსოვრებაში. | | | |
| 8 | ვთანამშრომლობ მეწყვილესთან. | | | |
| 9 | ვმონაწილეობ ჯგუფურ აქტივობებში. | | | |

ურთიერთშეფასების რუბრიკა

| | გასაუმჯობესებელი | საუკეთესო |
|---|---|---|
| წერილობითი და ზეპირი ტე-ქსტების ძირითადი შინაარსის გაგება-გააზრება. | | |
| საკლასო აქტივობაში ჩართულობა. | | |
| თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებაში მონაწილეობის მიღება. | | |

**პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა**

| **მოსწავლის სახელი, გვარი:** | **დაბალი** | **საშუალო** | **მაღალი** | **საუკეთესო** |
|---|---|---|---|---|
| თემასთან შესაბამისობა (იცავს თემის, პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს). | | | | |
| პრეზენტაციის უნარი (გაბმულად ლაპარაკობს, თანმიმდევრულად გადმოსცემს / აღწერს მოქმედებებს, განსაზღვრავს მოქმედების დროსა და სივრცეს). | | | | |
| ენობრივი გამართულობა (იყენებს ნასწავლი დროის გამომხატველ გრამატიკულ კონსტრუქციებსა და ენობრივ ფორმებს, იყენებს ნასწავლ ლექსიკას). | | | | |
| თხრობის დროს მხედველობით კონტაქტს ამყარებს აუდიტორიასთან. | | | | |

## 7. გლობალური მიზნები მდგრადი განვითარებისათვის

სასურველია, მასწავლებელმა სწავლების დროს გაითვალისწინოს მდგრადი განვითარების მიზნები.




2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას.

ახალი მიზნები წარმოადგენენ  გაბედული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილს, და ორიენტირებულნი არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები გლობალური ბუნებისა და უნივერსალური გამოყენებისანი არიან, რადგან ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებსა და განვითარების დონეს და პატივს სცემენ ეროვნულ პოლიტიკასა და პრიორიტეტებს. ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არ არიან – მათი განხორციელება ინტეგრირებულად უნდა მოხდეს.

**მდგრადი განვითარების მიზნებია**

მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება.

მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა.

მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის

მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.

მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

მიზანი 12: მდგრადი მოხმარება და წარმოება.

მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.

მიზანი 14: ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის.

მიზანი 15: დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

*http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable–development–goals#.XJUQtygzbIU*

# 8. თანაცხოვრება კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებაში

ასევე, სასურველია, მასწავლებელმა სწავლების დროს გაითვალისწინოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, რათა აღვზარდოთ სრულფასოვანი მოქალაქე.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციათა მოდელის 20 კომპეტენცია




კომპეტენციათა შეჯამებული ჩამონათვალი, რომელთა დაუფლებაც შესაძლებლობას აძლევს პირს, ქმედითად და სათანადოდ მიიღოს მონაწილეობა დემოკრატიის კულტურაში.

**ღირებულებები**

**ადამიანური ღირსებისა და ადამიანის უფლებათა დაფასება.**

ეს ღირებულება ეფუძნება ზოგად რწმენას, რომ თითოეული ადამიანი თანასწორია, თანასწორი ღირსება აქვს, თანასწორ პატივისცემას იმსახურებს და ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ერთნაირი ნაკრები ესადაგება – აქედან გამომდინარე, თითოეულ ადამიანს ამ პრინციპთა შესაბამისად უნდა ეპყრობოდნენ.

**კულტურული მრავალფეროვნების დაფასება.**

ეს ღირებულება ეფუძნება ზოგად რწმენას, რომ პოზიტიურად უნდა აღიქვამდნენ, აფასებდნენ და სათუთად ეპყრობოდნენ სხვა კულტურულ კუთვნილებას, კულტურულ განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებას.

**დემოკრატიის, მართლმსაჯულების, სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება.**

ღირებულებათა ეს ნაკრები ეფუძნება ზოგად რწმენას, რომ საზოგადოება უნდა მოქმედებდეს და იმართებოდეს დემოკრატიული პროცესების გზით, მართლმსაჯულების, სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის პატივისცემით.

**დამოკიდებულებები**

**გახსნილობა კულტურული სხვადასხვაობის, სხვა რწმენების, მსოფლმხედველობისა და ჩვეულებების მიმართ**

გახსნილობა ეს არის დამოკიდებულება ადამიანების მიმართ, რომლებიც სხვა კულტურის წარმომადგენლებად აღიქმებიან, ან განსხვავებული რწმენის, შეხედულებებისა და ჩვეულებების მიმართ. ეს გულისხმობს ასევე მგრძნობიარობას, ცნობისმოყვარეობასა და სურვილს სხვა ადამიანებთან საერთო ენის გამონახვის მიმართ და დაინტერესებას მსოფლიოს სხვა პერსპექტივებით.

**პატივისცემა**

პატივისცემა მოიცავს დადებით დამოკიდებულებასა და მოწიწებას ვინმეს ან რაიმეს მიმართ იმ დასკვნის საფუძველზე, რომ მას აქვს ჭეშმარიტი ფასეულობა, ღირსება და ღირებულება. ქმედითი კულტურათაშორისი დიალოგისა და დემოკრატიის კულტურისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პატივისცემას სხვა ადამიანების მიმართ, რომლებსაც განსხვავებული კულტურული კუთვნილება ან განსხვავებული რწმენა, შეხედულებები და ჩვეულებები აქვს.

**მოქალაქეობრივი თვითშეგნება**

მოქალაქობრივი თვითშეგნება არის დამოკიდებულება საზოგადოების ან სოციალური ჯგუფების მიმართ, რომელსაც ესა თუ ის პირი ეკუთვნის და რომელიც მისი ოჯახის წევრებისა და მეგობრების უშუალო წრეზე უფრო ფართოა. იგი მოიცავს საზოგადოებისადმი კუთვნილების განცდას, ამ საზოგადოების სხვა წევრების შესახებ ინფორმაციის ფლობას, ამა თუ იმ მოქმედების გავლენას მისი საზოგადოების წევრებზე, სოლიდარობას მათ მიმართ და საზოგადოების მიმართ სამოქალაქო ვალდებულების შეგრძნებას.

**პასუხისმგებლობა**

პასუხისმგებლობა არის დამოკიდებულება საკუთარი მოქმედების მიმართ. იგი გულისხმობს საკუთარი ქმედების გააზრებას, წინასწარ დაფიქრებას,

როგორ იმოქმედოს, რომ მორალურად გამართლებული იყოს, ამ მოქმედებათა თანმიმდევრულად განხორციელებას და ანგარიშვალდებულებას საკუთარი ქმედებების შედეგებზე.

**თავდაჯერება**

თავდაჯერება არის დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ. იგი გულისხმობს საკუთარი შესაძლებლობების რწმენას, რომ პირს ძალუძს საჭირო მოქმედებათა განხორციელება კონკრეტული მიზნის მისაღწევად, ასევე იმის დაჯერებას, რომ პირს შეუძლია საკითხის გააზრება, შესაბამისი მეთოდების შერჩევა ამოცანათა განსახორციელებლად, წინააღმდეგობათა წარმატებით გადალახვა და რაიმეს შეცვლა მსოფლიოში.

**გაურკვევლობისადმი ტოლერანტობა**

გაურკვევლობისადმი ტოლერანტობა არის დამოკიდებულება გაურკვეველი სიტუაციების მიმართ, როცა ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაცია არსებობს. იგი გულისხმობს ამგვარ სიტუაციათა დადებითად შეფასებას და მათ კონსტრუქციულად გამკლავებას.

**უნარ-ჩვევები**

**დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევა**

დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევა არის საკუთარი სწავლის საჭიროებათა შესაბამისად, სწავლის პროცესის თანმიმდევრული მიდევნების, ორგანიზებისა და შეფასების უნარი, თანაც მიზანმიმართულად, სხვისი დაძალების გარეშე.

**ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევა**

ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევა არის ნებისმიერი სახის მასალის (მაგ.: ტექსტის, არგუმენტაციის, განმარტებების, საკითხების, მოვლენების, გამოცდილების და სხვ.) სისტემურად და ლოგიკურად გაანალიზების, შეფასებისა და დასკვნების გამოტანის უნარი.

**მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევა**

მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევა არის ნათქვამის შემჩნევისა და გაგების უნარი – რა ითქვა და როგორ ითქვა, აგრეთვე ადამიანთა არავერბალური ქცევის შემჩნევისა და გაგების შესაძლებლობა.

**ემპათია**

ემპათია არის უნარ-ჩვევა, რომელიც საჭიროა სხვა ადამიანთა ფიქრების, რწმენისა და გრძნობების გასაგებად თუ გასაზიარებლად, სამყაროს დასანახად სხვა ადამიანის პერსპექტივიდან.

**მოქნილობა და ადაპტაცია**

მოქნილობა და ადაპტაცია არის უნარ-ჩვევა, საკუთარი ფიქრების, გრძნობებისა თუ ქცევის რეგულირებისა და მოწესრიგებისათვის, რათა ადამიანი ქმედითად და სათანადოდ შეეწყოს ახალ კონტექსტსა და გარემოებებს.

**ლინგვისტური შესაძლებლობები, კომუნიკაციისა და სხვადასხვა ენაზე ურთიერთობის უნარ-ჩვევა**

ლინგვისტური შესაძლებლობები, კომუნიკაციისა და სხვადასხვა ენაზე ურთიერთობის უნარ-ჩვევა საჭიროა იმ ადამიანებთან ქმედითი და სათანადო კომუნიკაციისათვის, ვინც იმავე ან სხვა ენაზე ლაპარაკობს, ასევე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს შორის მედიატორობისთვის.

**თანამშრომლობის უნარ-ჩვევა**

თანამშრომლობის უნარ-ჩვევა საჭიროა საერთო აქტივობებში, საქმიანობებსა და ახალ წამოწყებებში სხვა ადამიანებთან ერთად წარმატებული მონაწილეობისთვის, ასევე სხვათა წასახალისებლად თანამშრომლობისაკენ, საერთო მიზნების გუნდურად მისაღწევად.

**კონფლიქტის გადაწყვეტის უნარ-ჩვევა**

კონფლიქტის გადაწყვეტის უნარ-ჩვევა საჭიროა დაპირისპირებულ მხარეთა შორის კონფლიქტზე რეაგირებისათვის, მისი მართვისა და გადაწყვეტისთვის მშვიდობიანი გზით, ოპტიმალური გამოსავლის გამოძებნით, რომელიც მისაღები იქნება ყველა მხარისათვის.

**ცოდნა და კრიტიკული აზროვნება**

**საკუთარი თავის შემეცნება და კრიტიკული გააზრება**

ეს მოიცავს პირის ფიქრების, რწმენის, გრძნობებისა და მოტივაციის, ასევე კულტურული კუთვნილებისა და სამყაროში მისი პერსპექტივის შემეცნებას და კრიტიკულ გააზრებას.

**ენისა და ურთიერთობების ცოდნა და კრიტიკული გააზრება**

ეს გულისხმობს სოციალურად მისაღები ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ცოდნასა და კრიტიკულ გააზრებას, იმის გაგებას, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ადამიანებზე კომუნიკაციის სხვადასხვა სტილმა და როგორ გამოხატავს სხვადასხვა ენა კულტურულად საერთო ღირებულებებს.

**მსოფლიოს შეცნობა და კრიტიკული გააზრება**

ეს გულისხმობს სრულიად განსხვავებულ სფეროთა ფართო და კომპლექსურ ცოდნასა და კრიტიკულ გააზრებას, რომელთა შორისაა პოლიტიკა, სამართალი, ადამიანის უფლებები, კულტურა, კულტურები, რელიგიები, ისტორია, მედია, ეკონომიკა, გარემო და მდგრადობა.

*https://rm.coe.int/-/1680743642*

# 9. აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. დიფერენცირებული სწავლება

**დიფერენცირებული სწავლება**

თანამედროვე სტანდარტები ფართოდაა მიმართული განათლების ჰუმანიზაციაზე და სწავლების ინდივიუალიზაციაზე, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის რეალიზაციას. ამ მოთხოვნის შესრულების ეფექტური საშუალებაა სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. მსგავს მიდგომებს ხშირად ვიყენებთ პრაქტიკაში, მაგალითად, როდესაც ვგეგმავთ გაკვეთილს, ვცდილობთ, ვუპასუხოთ კითხვას: როგორ გავაკეთოთ ისე, რომ მოსწავლემ უბრალოდ კი არ დაიზეპიროს ცოდნის გარკვეული რაოდენობა, არამედ ისწავლოს იმისდა მიუხედავად, როგორი საშუალებები და რისი პოტენციალი აქვს მას.

სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლის პიროვნება (რაც დამახასიათებელია სწავლებაში დიფერენცირებული მიდგომებისთვის);

სასწავლო პროცესის ორგანიზება აქცენტირებულია ინდივიდუალიზაციასა (რაც წარმოადგენს დიფერენცირებული სწავლების მეთოდურ საფუძველს) და დავალებების დიფერენცირებაზე (გაკვეთილის ჩატარების მეთოდიკაზე).

დიფერენცირება ნიშნავს დაყოფას, დანაწილებას, მთელის გაყოფას ნაწილებად, ფორმისა და საფეხურების მიხედვით დანაწილებას და თითოეულის შესწავლას ცალ-ცალკე. დიფერენცირებული სწავლებისას მასწავლებელი მუშაობს მთელ ჯგუფთან, რომლის თითოეულ წევრს სხვადასხვა ხარისხის ცოდნა აქვს, მაგრამ პროცესი მიმართულია „გათანაბრებაზე" – დავალებები დახარისხებულია თითოეულის შესაძლებლობის მიხედვით, რაც ერთიანობაში ხელს უწყობს თითოეულის მოტივაციას და შესაძლებლობებისა და ინტერესების მაქსიმალურად გამოვლენას, ერთმანეთის საშუალებით სწავლასა და თვითსწავლას.

დიდაქტიკის კუთხით დიფერენცირებული სწავლება თავის თავში მოიცავს განათლების მიზანს, შინაარსს, სწავლა/სწავლების საშუალებების ორგანიზაციას და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობის თითქმის ყველა კრიტერიუმს. ის ეძებს გზას – უფრო მეტად დააკმაყოფილოს მოზარდის შემეცნებითი ინტერესი, გააღვივოს და გამოიწვიოს კიდეც ის და მხარდაჭერა აღმოუჩინოს მოსწავლეს განვითარებისა და პიროვნულ ზრდის პროცესში.

დიფერენცირებული მიდგომის ვარიანტებია:

- მოსწავლეთა დაყოფა ინტელექტუალური განვითარების მხრივ მათი მომავალი განვითარებისა და შემდგომი გაერთიანების მიზნით;
- სრული თავისუფლება სასწავლო მასალის არჩევაში, მასალის შესწავლაში;
- თვითშეფასება;
- ინტეგრირებული სწავლებისა და ზოგადად საგანთაშორისი კავშირების აქტიური გამოყენება ცოდნის გაღრმავებისათვის.

დიფერენცირებული მიდგომების სხვადასხვა სახის გამოყენებისას შედეგებიც სხვადასხვანაირია, კერძოდ:

- სიმძიმის ცენტრი გადატანილია სწავლებიდან მოსწავლეზე, რომელიც დამოუკიდებლად გადაამუშავებს და აითვისებს ინფორმაციას;
- მასწავლებელი ცალსახად ორიენტირებულია სამუშაოს შინაარსზე;
- კლასი ობიექტურადაა დაყოფილი მიკროჯგუფებად – მოსწავლე თვითონ ვერ აირჩევს სამიზნე დონეს, რომელიც შეესაბამება მის შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებს;
- კლასში გამეფებულია ურთიერთნდობისა და თანხმობის ატმოსფერო, მოსწავლეებს უყვართ ჯგუფური სამუშაო, რომლის დროსაც უვითარდებათ მოთმინების, ჯგუფურობის, მხარდაჭერის, კომუნიკაბელურობის უნარები.

**მარტივი ტექსტის შექმნა**.

ა) პირველ ყოვლისა, იმუშავეთ ნახატის აღწერაზე. დაეხმარეთ მოსწავლეებს შეკითხვებით. ყურადღება გაამახვილებინეთ ისეთ დეტალებზე, რომლებიც დასჭირდებათ მარტივი ტექსტის შესაქმნელად. იმ შემთხვევში, თუ მოსწავლე პასიურობს, პირადად მიმართეთ შეკითხვით, მიეცით დრო პასუხის მოსაფიქრებლად. საჭიროების შემთხვევაში ახლოს მიუტანეთ ნახატი, მიეცით დრო დასათვალიერებლად. დარწმუნდით,რომ მან ალიქვა მოცემული გამოსახულებები და ამის შემდეგ წაახალისეთ ნახატის აღწერა. შეკითხვები დაუსვით მისი შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ბ) ამის შემდეგ შეაჯამეთ მოსწავლეების გამოთქმული მოსაზრებები და მათზე დაყრდნობით დაფაზე დაწერეთ შესაქმნელი ამბის ძირითადი ქარგა (ქარგის დახვეწაში დაეხმარეთ მოსწავლეებს და შეავსეთ მათი ინფორმაცია).

გ) შესთავაზეთ თქვენეული ვარიანტი:
სათაური
რით დაიწყო?
რა მოხდა?
რით დამთავრდა?

**მისალოცი/მოსაწვევი ბარათების შედგენა**

ბარათის შედგენამდე მოსწავლეების ყურადღება კიდევ ერთხელ გაამახვილეთ ბარათისსტრუქტურაზე: რისგან შედგება იგი, სად იწერება მიმართვა, სად არის ძირითადი ტექსტი და სად დასასრული. ამის შემდეგ გაახსენეთ შესაბამისი ბარათების შინაარსი (რა იწერება მისალოც ბარათში? — მილოცვა, სურვილი; რა იწერება მოსაწვევ ბარათში? — მოპატიჟება/მოწვევა კონკრეტულ ღონისძიებაზე, ღონისძიების გამართვის დრო და ადგილი) და სამეტყველო სიტუაციის შესაბამისი ენობრივი ფორმულები. ბარათის სტრუქტურის გასაანალიზებლად მიაწოდეთ მოსწავლეს რეალური ბარათები (და არა მათი სქემატური გამოსახულებები); დიალოგი წარმართეთ რეალურ, გაფორმებულ და შევსებულ ბარათებზე დაყრდნობით. სთხოვეთ მოსწავლეს, მიუთითოს, რომელია მიმართვა, ძირითადი ტექსტი, დასასრული. შესაძლებელია, ერთ-ერთ ბარათზე შესაბამისი მინიშნებებიც დაამატოთ. მიაწოდეთ მოსწავლეს რამდენიმე ბარათი და სთხოვეთ, დააჯგუფოს ისინი შინაარსის გათვალისწინებით — ცალ-ცალკე განათავსოს მისალოცი და მოსაწვევი ბარათები.

| რას ვულოცავთ? | ვის ვულოცავთ? | რას ვუსურვებთ? | ენობრივი ფორმულები |
|---|---|---|---|
| ახალ წელს | მეგობარს, მასწავლებელს, ნათესავებს, ბებიას/ბაბუას და ა. შ. | კარგად ყოფნას, წარმატებებს, ჯანმრთელობას, სიხარულს, ბედნიერებას... | ჩემო... საყვარელო... ძვირფასო... გილოცავ.../გილოცავთ... გისურვებ.../გისურვებთ... შენი/თქვენი... სიყვარულით... პატივისცემით... |
| დაბადების დღეს | | | |
| და ა. შ. | | | |

იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს მისალოცი ბარათის შინაარსის განსაზღვრა, შესაძლებელია ცხრილში წარწერებთან ერთად ან მათ ნაცვლად შესაბამისი გამოსახულებების მოთავსება. ეს მიზანშეწონილი იქნება შემდეგი სვეტებისთვის — რას ვულოცავთ? ვის ვულოცავთ?

| რაზე ვეპატიჟებით? | ვის ვეპატიჟებით? | სად და როდის ვეპატიჟებით? | ენობრივი ფორმულები |
|---|---|---|---|
| ახალი წლის ღონისძიებაზე | მეგობრებს, მასწავლებლებს, ოჯახის წევრებს, საბავშვო მწერლებს და ა. შ. | კლასში, სკოლის ბიბლიოთეკაში, გასართობ ცენტრში... კონკრეტული თარიღი და საათი | ჩემო... ძვირფასო... ბატონო/ქალბატონო... გეპატიჟებით... გთხოვთ, მობრძანდეთ... პატივისცემით... |
| დაბადების დღეზე | | | |
| და ა. შ. | | | |

ბარათების შექმნამდე მოსწავლეები ჯერ ცალკეული წინადადებების შედგენაზე ამუშავეთ (მაგ., რას და როგორ ვულოცავთ თანატოლს, უფროსს; რაზე, სად და როდის ვეპატიჟებით/ ვიწვევთ თანატოლებს, უფროსებს, ნაცნობებს/უცნობებს და ა. შ.). შეავსებინეთ წინადადებები:

გიორგი, ------------------------------------------- დაბადების დღეს!

ნათია, --------------------------------------------- დაბადების დღეზე!

გთხოვთ, ----------------------------------------- ჩვენი კლასის ღონისძიებაზე! და ა. შ. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდება ნაკლული წინადადების დამოუკიდებლად შევსება, მიაწოდეთ მას ჩასასმელი სიტყვების ვარიანტები, რომელთა შორის უნდა გააკეთოს სწორი არჩევანი. შესაძლებელია, გამოიყენოთ ბარათები, რომლებზე ცალ-ცალკე სიტყვებია მოცემული და სთხოვოთ მოსწავლეს ბარათების სწორი თანმიმდევრობით დალაგება. ცალკე იმუშავეთ სასვენი ნიშნების სათანადოდ გამოყენებაზე. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა ბარათების დამოუკიდებლად შევსება, თავდაპირველად მიაწოდეთ უკვე შევსებული ანალოგიური ბარათი. სთხოვეთ, წაიკითხოს იგი, მისი შინარსის გასააზრებლად (გადმოსაცემად) დაუსვით შესაბამისი შეკითხვები. ამის შემდეგ მიაწოდეთ ნაკლული ბარათები და

სთხოვეთ მისი შევსება. შესაძლებელია, ასევე ორ მოსწავლეს სთხოვოთ სიტუაციური დიალოგის გათამაშება ბარათზე მოცემული შინაარსის გათვალისწინებით, მესამეს კი დაავალოთ, თვალყური ადევნოს დიალოგს და შესაბამისად შეავსოს ბარათი.

**მუშაობა უცნობ ლექსიკაზე.**

დაურიგეთ მოსწავლეებს ამობეჭდილი ტექსტები (ლექსიკონის გარეშე), მარკერები და ამუშავეთ ტექსტში არსებულ მათთვის უცნობ ლექსიკაზე შემდეგი თანმიმდევრობით: ა) წააკითხეთ ტექსტი თავიდან და მარკერით მოანიშნინეთ ან გაახაზვინეთ მათთვის უცნობი/გაუგებარი სიტყვები; ბ) დაურიგეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი და სთხოვეთ მისი პირველი სამი სვეტის შევსება მონიშნული სიტყვების გამოყენებით (ერთი ნიმუში გააკეთეთ მოსწავლეებთან ერთად):

| **უცნობი სიტყვა** | **კონტექსტი** | **ჩემი განმარტება** (როგორ მესმის მე) | **სალექსიკონო განმარტება** |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |

წააკითხეთ მოსწავლეებს და შეადარეთ მათი ნამუშევარი ერთმანეთს — *ვინ რომელი სიტყვა ამოწერა და როგორ განმარტა, დაემთხვა თუ არა განმარტებები, რა დაემთხვა და რა — არა.* ამის შემდეგ მიეცით ლექსიკონი (შეგიძლიათ, გამოიყენოთ როგორც მოცემული სახელმძღვანელო, ისე უცხო სიტყვათა და განმარტებითი ლექსიკონები) და მისი დახმარებით შეავსებინეთ ცხრილის ბოლო სვეტი.

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს ცხრილებთან მუშაობა, მიეცით უფლება, იმუშაოს ტექსტში. გახაზოს უცნობი სიტყვა, შემდეგ კი წინადადება, რომელშიც ხვდება ეს სიტყვა; ვერბალურად გამოთქვას თავისი ვარაუდი და განმარტოს უცნობი სიტყვა;
- შესაძლებელია სიტყვის სალექსიკონო განმარტების აღმოსაჩენად მისთვის ადაპტირებული, თქვენ მიერ შემუშავებული ლექსიკონის მიწოდება, რომელშიც მას დაევალება მოცემული სიტყვის მოძიება;
- ასევე შესაძლებელია ვერბალურ განმარტებით ლექსიკონთან ერთად უცხო სიტყვების განმარტება გამოსახულებების, ილუსტრაციების საშუალებითაც.

**აქტივობა: თამაში „გამოძიება“**

**რესურსები:** ეს თამაში საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი სთავაზობს ერთ-ერთ მოსწავლეს, მოიფიქროს რომელიმე საგნის აღმნიშვნელი სახელი. დანარჩენებმა უნდა მოიფიქრონ შეკითხვები იმისთვის, რომ გამოიძიონ, რომელი სახელი ჩაიფიქრა მათმა თანაკლასელმა. შეკითხვების სავარაუდო ვარიანტებია: ადამიანია? ცხოველია? ფრინველია? რა ფერისაა? პატარაა? რომელი ბგერით იწყება მისი სახელი? და ა. შ.

მომდევნო სიტყვის მოფიქრების უფლება ენიჭება იმას, ვინც გამოიცნობს სახელს.

მეთოდური მითითება: იმისათვის, რომ მოსწავლეებმა მოიფიქრონ შეკითხვები, მასწავლებელმა წინასწარ უნდა ავარჯიშოს ისინი შეკითხვების დასმაში. ამისათვის ერთი მოთამაშე გადის კლასიდან და შედის მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დაუძახებენ. დანარჩენები ირჩევენ კლასიდან ერთ-ერთს. შემდეგ ეძახიან გარეთ გამოსულ მოთამაშეს, რომელიც იწყებს მისახვედრი კითხვების დასმას. მაგ., ბიჭია? ქერა თმა აქვს? ეს ნიკაა. ახლა კლასიდან გადის ნიკა და თამაში იწყება თავიდან.

**აქტივობა: აუდიოჩანაწერი**

**რესურსები:** კომპიუტერი, ადამიანური რესურსი.

მოსწავლეები აკეთებენ საკუთარი წაკითხულის ჩანაწერს. ჯერ დამოუკიდებლად ვარჯიშობენ შერჩეული ტექსტის წაკითხვაში, შემდეგ ხმამაღლა კითხულობენ და თან, მასწავლებლის დახმარებით, აკეთებენ აუდიოჩანაწერს Voice Recorder-ის საშუალებით.

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლეებს განუვითარდებათ ისეთი უნარები, როგორიცაა: გაწაფული კითხვის უნარი, საკუთარი და სხვის მიერ ხმამაღლა წაკითხულის შეფასების უნარი, ხმამაღლა წაკითხულის სხვადასხვა ასპექტზე ყურადღების გამახვილების უნარი.

**აქტივობა: „გაფუჭებული ტელეფონი“**

**რესურსები:** ეს თამაში საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები სხდებიან წრეში. წამყვანი (მასწავლებელი) გვერდში მჯდომს ყურში უჩურჩულებს ფრაზას/ფრაზებს, ენის გასატეხებს ან რაიმე ინფორმაციას (მაგალითად, „გუშინ სპილოს ნაყინი აჭამეს, რის გამოც სპილო ანგინით დაავადდა“), ტექსტი გადაეცემა მონაწილეებს თანამიმდევრობით. როცა ჯერი მიდგება უკანასკნელზე, ის ხმამაღლა ამბობს მოსმენილს. თუ ის ზუსტად იტყვის იმას, რაც თავიდან ჩასჩურჩულა პირველ მოთამაშეს წამყვანმა, ტელეფონი კარგად მუშაობს, თუ ნათქვამი იქნება შეცვლილი, მაშინ წამყვანი ყველას თანამიმდევრობით ეკითხება, თუ რა გაიგეს მათ. წამყვანი ხდება ის მოთამაშე, რომელმაც დაარღვია სატელეფონო კავშირი (ანუ დაამახინჯა ფრაზა/აზრი) და ის გადასცემს ახალ ინფორმაციას.

მეთოდური მითითება: მასწავლებელმა მოსწავლეებს ყურადღება უნდა მიაქცევინოს იმაზე, რომ მათ სიტყვები, ფრაზები წარმოთქვან მკაფიოდ, დამახინჯების გარეშე, რადგან ისინი პასუხისმგებლები არიან ერთმანეთის წინაშე. სასურველია ამ თამაშის დაწყება მარტივი ფრაზით და შემდეგ ნელ-ნელა გართულება.

**აქტივობა: „ასე ამბობს სურათი“**

**რესურსები:** ილუსტრაციები და ტექსტი.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ტექსტის ილუსტრაციებს და სთხოვს აღწერონ, რას ხედავენ ნახატებზე. მათ უნდა გამოთქვან ვარაუდები, რა შეიძლება იყოს მოთხრობილი ამ ტექსტში, რატომ ფიქრობენ ასე, რა მინიშნებას/მინიშნებებს ეყრდნობიან. შემდეგ მასწავლებელი კლასს უკითხავს ტექსტს. მოსწავლეები ადარებენ მოსმენილს საკუთარ ვარაუდებს.

შეფასდება წარმოსახვისა და დაკვირვების, ნახატის წაკითხვის უნარი, ტექსტის შინაარსის გაგებისა და ვიზუალურ მასალასთან მისი დაკავშირების უნარი.

**მეთოდური მითითება:** ილუსტრაცია არ უნდა იყოს ორზე მეტი და გადატვირთული, რათა მოსწავლეებს არ გაუჭირდეთ მისი აღქმა.

**კავშირი სხვა საგნებთან:** სახვითი ხელოვნება.

**აქტივობა-თამაში „სურათის აღწერა“**

მოსწავლეები იყოფიან წყვილებად და ინაწილებენ ფუნქციებს. მასწავლებელი წყვილიდან ერთ-ერთს აძლევს სიუჟეტური (არ უნდა იყოს რთული და მრავალფიგურიანი) ნამუშევრის ილუსტრაციას. ილუსტრაციის მფლობელმა მოსწავლემ ისე დეტალურად უნდა აღწეროს ილუსტრაცია, რომ მეწყვილემ (რომელიც ვერ ხედავს ილუსტრაციას) შეძლოს ნახატის შესრულება. ბოლოს წყვილები ადარებენ ორიგინალს და მოსწავლის ნამუშევარს. მოიგებს ის წყვილი, რომლის ნამუშევარიც ყველაზე მეტად ემსგავსება ორიგინალს.

**რესურსები**

რაიმე ნაწარმოებების რეპროდუქციები, ნებისმიერი სახატავი მასალა

**შენიშვნა**

მასწავლებელს შეუძლია აქტივობაში მონაწილე წყვილებს დაურიგოს როგორც ერთნაირი, ისე განსხვავებული რეპროდუქციები. მასწავლებელმა უნდა ურჩიოს მოსწავლეებს, წყვილებად დანაწილდნენ შემდეგი პრინციპით – ერთი უკეთ ხატავს, მეორე უკეთ ყვება

**აქტივობა: „ჯადოსნური ნიშნები“**

**რესურსები:** ეს აქტივობა საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ჩამოწერს რამდენიმე სასვენ ნიშანს: წერტილს, მძიმეს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს. აძლევს მოსწავლეებს ერთ წინადადებას, მაგალითად, „დილით მზე ამოვიდა“. ისინი ამბობენ წინადადებას იმ ინტონაციით, რომელ ნიშანზეც მიანიშნებს მასწავლებელი. სასვენი ნიშნის შეცვლის შემთხვევაში შეუძლიათ ერთი აუცილებელი სიტყვის დამატება.

ფასდება, რამდენად ესმის მოსწავლეს ძირითადი სასვენი ნიშნების დანიშნულება და წარმოთქვამს თუ არა წინადადებას შესაბამისი ინტონაციით.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელმა მოსწავლეებს ჯერ თავად უნდა მისცეს წინადადებების შესაბამისი ინტონაციით წარმოთქმის ნიმუში.

**აქტივობა: „მკითხველის თეატრი“**

**რესურსები:** წასაკითხი ტექსტის ქსეროასლები.

**აქტივობის აღწერა:** მკითხველის თეატრი გულისხმობს ნაწარმოების ხმამაღალ როლურ კითხვაში მოსწავლეების ჩართვას. მკითხველის თეატრი არ მოითხოვს დეკორაციებს, კოსტიუმებს ან მოქმედებას. მოსწავლეები გადმოსცემენ განწყობილებას, ტონს, ემოციებს და მოქმედ პირთა ხასიათს ხმის, მიმიკისა და ჟესტების მეშვეობით. მკითხველის თეატრი მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, ერთდროულად ივარჯიშონ კითხვისა და მეტყველების უნარების განვითარებაში. მოსწავლეები სწავლობენ გამომსახველობით კითხვას.

მკითხველის თეატრის ჩატარებამდე უნდა განაწილდეს ტექსტი და განისაზღვროს როლები (მაგ., მთხრობელი, მოქმედი პირები). ყოველმა მოსწავლემ რამდენჯერმე უნდა წაიკითხოს ტექსტი ჩუმად. ისინი იმდენჯერ კითხულობენ ტექსტს, რამდენჯერაც საჭირო იქნება საკუთარ შესაძლებლობაში დასარწმუნებლად, როლის „შესაგუებლად“, თავისუფლად წასაკითხად. კარგი იქნება, თუ მოსწავლეები საკუთარ როლს მონიშნავენ მარკერებით. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მათ ყველა გაუგებარი სიტყვა თუ ფრაზა. მონაწილეთა ერთი ნაწილი განლაგდება ნახევარწრედ, მეორე მაყურებელია. შემდეგ როლები იცვლება.

შეფასება შეიძლება მოხდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: იყო თუ არა ყველა სიტყვა მკაფიოდ წარმოთქმული; იყო თუ არა გათვალისწინებული პერსონაჟის ხასიათი ტონის, ჟესტებისა და მიმიკის გამოყენებისას; იყო თუ არა სწორად გაგებული პუნქტუაცია; იყო თუ არა მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან.

**მეთოდური მითითება:** ამ ეტაპზე მკითხველთა თეატრისათვის უნდა შეირჩეს მცირე ზომის ტექსტი, რომელშიც, სასურველია, იყოს სულ მცირე სამი როლი.

**აქტივობა 3-2-1**

**აქტივობის შესახებ**

არამხატვრული ტექსტების გამართულად კითხვა წარმატებული, გაწაფული მკითხველის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ეს აქტივობა საშუალებას მისცემს მასწავლებელს, დარწმუნდეს, გაიგო და გაიაზრა თუ არა მოსწავლემ წაკითხული ტექსტი. გარდა ამისა, ეს აქტივობა კითხვის სტრატეგიების დაუფლებასაც გულისხმობს და ხელს უწყობს მოსწავლეს წაკითხულის გააზრებაში.

**აქტივობის მიზანი**

მოსწავლეები

1. წარმოაჩენენ, გაიგეს თუ არა წაკითხული ტექსტი;
2. დაეუფლებიან კითხვის კონკრეტულ სტრატეგიას წაკითხულის გასააზრებლად.

**რესურსები**

დაფა, ცარცი/მარკერი, ფანქარი.

**აქტივობის აღწერა**

1. მასწავლებელი დაფაზე წერს, რა თემას ეხება საინფორმაციო ტექსტი (მაგ., ჩრდილოეთის დათვი) და სთხოვს მოსწავლეებს, ისაუბრონ, რა იციან მის შესახებ, რასაც იქვე ჩამოწერს მოსწავლეების კარნახით (მაგ., ისინი თეთრი დათვები არიან; ისინი ცხოვრობენ თოვლსა და ყინულში).

2. კითხულობენ ტექსტს, ამუშავებენ მას ლექსიკურად და შინაარსობრივად.

3. ამის შემდეგ მასწავლებელი წერს დაფაზე სათაურს: **„3 რამ, რაც აღმოვაჩინეთ"** და ავალებს მოსწავლეებს, ჯერ ფანქრით გახაზონ ან მარკერით მონიშნონ ტექსტში სამი ასეთი ადგილი, ხოლო შემდეგ რვეულებში გადაიწერონ ისინი. მასწავლებელი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, დაასახელონ, რომელი ადგილები ამოიწერეს ტექსტიდან. მასწავლებელი შეარჩევს მათგან სამს და ჩამოწერს დაფაზე (მაგ., ჩრდილოეთის დათვი ცხოვრობს არქტიკაში; ჩრდილოეთის დათვები, ძირითადად, სელაპებით იკვებებიან; ჩრდილოეთის დათვმა შეიძლება ერთდროულად სამი ბელი დაბადოს).

4. ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს სათაურს **„2 რამ, რითაც დავინტერესდით"**. მეორდება იგივე პროცედურა (დაფაზე იწერება, მაგ.: არქტიკაში ბინადრობს 25-დან 40 ათასამდე ჩრდილოეთის დათვი; ჩრდილოეთის დათვს შეუძლია სრულიად შეუმჩნევლად მიეპაროს და თავს დაესხას თავის მსხვერპლს).

5. დაბოლოს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ, რა კითხვა დარჩათ მოცემულ თემასთან დაკავშირებით. მასწავლებელი დაფაზე წერს სათაურს:

**„1 კითხვა, რომელიც დაგვრჩა"** (მაგ., რამდენ ხანს ცოცხლობენ ჩრდილოეთის დათვები?) .

**შეფასება**

ამ აქტივობით შეფასდება

- გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა წაკითხული ტექსტის შინაარსი;
- რამდენად გააზრებულად შეუძლიათ მოსწავლეებს ტექსტის წაკითხვა;
- შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს შესაბამისი ადგილების პოვნა და ამოწერა წაკითხული ტექსტიდან.

**მეთოდური მითითება**

1. ამ აქტივობის მოდიფიცირება და გამოყენება თავისუფლად არის შესაძლებელი უფრო მაღალ კლასებშიც კითხვის სტრატეგიების დაუფლებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული შედეგების მისაღწევად. ეს შედეგებია: IV.10, V.12 და VI.13;

2. მოსწავლეთა ასაკისა და უნარების გათვალისწინებით, მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, რა სახით მოითხოვს იგი წერითი დავალების შესრულებას. ამ ეტაპზე ალბათ საკმარისი იქნება, თუ მოსწავლეები ტექსტიდან პირდაპირ გადაიწერენ სამ აღმოჩენას და ორ საინტერესო ადგილს. უფრო მაღალ კლასებში კი შესაძლებელია მათ მოვთხოვოთ წაკითხულის შეჯამება და/ან პერეფრაზირება.

**კავშირი სხვა საგნებთან**

ამგვარი აქტივობები კარგ საშუალებას იძლევა ინტერდისციპლინარული კავშირების დასამყარებლად. საინფორმაციო, შემეცნებითი თუ სხვა ტიპის არამხატვრული ტექსტების შერჩევა შესაძლებელია ნებისმიერი სფეროდან, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების, ინტერესებისა და მომიჯნავე საგნების პროგრამების გათვალისწინებით.

**დიორამის შექმნა**

**აქტივობის შესახებ**

დიორამა არის ისტორიული მოვლენის (მაგ., ბატალური სცენების), ინტერიერის, პეიზაჟის, ქალაქის ხედის სამგანზომილებიანი მინიატურული მოდელი, რომელსაც ქმნიან გასართობი, შემეცნებითი ან სასწავლო მიზნებისათვის. მათ ყველაზე ხშირად ვხვდებით მუზეუმებში.

დიორამის ნიმუშები:

გარდა იმისა, რომ ამ ტიპის აქტივობა ძალიან მოსწონთ ბავშვებს, კითხვის სწავლებისას იგი დიდად უწყობს ხელს ტექსტის შინაარსის საფუძვლიანად გაგებას, ააქტიურებს მოსწავლის წარმოსახვასა და შემოქმედებით უნარებს.

**აქტივობის მიზანი**

მოსწავლეები

1. საფუძვლიანად გაიგებენ წაკითხული ტექსტის შინაარსს;
2. ისწავლიან დეტალებზე დაკვირვებას;
3. გამოავლენენ წარმოსახვისა და შემოქმედებით უნარებს;
4. ივარჯიშებენ ხელნაკეთი ნივთების შექმნაში;
5. იმუშავებენ ჯგუფებში.

**რესურსები**

დიორამის შესაქმნელად საჭირო სხვადასხვა მასალა. ასეთ მასალად გამოდგება, მაგალითად, ფეხსაცმლის კოლოფი ან მცირე ზომის ყუთი, წებო, პლასტილინი, ფერადი ფურცლები, მუყაოს ნაჭრები, ქსოვილები, ფერადი ფანქრები/ფლომასტერები, თოჯინები, გირჩები, გამხმარი ფოთლები, ტოტები, ასანთის ღერები, სათამაშო ჭურჭელი და ა. შ.

**აქტივობის აღწერა**

აქტივობა უნდა დაიგეგმოს ერთი ან ორი დღით ადრე.

1. ტექსტის წაკითხვისა და დამუშავების შემდეგ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რა არის მათი ამოცანა და სთხოვს, შეარჩიონ სცენები ნაწარმოებიდან, რომელთა დიორამის შექმნასაც ისინი ისურვებდნენ. შენიშვნა: დასაშვებია, რომ მოსწავლეებმა დიორამის შესაქმნელად შეარჩიონ, მაგალითად, ინტერიერი (რომელიმე პერსონაჟის ოთახი), პეიზაჟი, ქალაქის/სოფლის ხედი. მეტად სასურველია, რომ თითოეული სცენა ნათლად ასახავდეს ტექსტის შინაარსის გაგების ხარისხს. არ არის მიზანშეწონილი მასობრივი ან ბატალური სცენების შერჩევა, რადგანაც მათი შექმნა შეიძლება დაუძლეველი ამოცანა აღმოჩნდეს მოსწავლეებისთვის.

2. რამდენიმე სცენის შერჩევის შემდეგ მასწავლებელი ყოფს კლასს ჯგუფებად და ავალებს, ერთად მოიფიქრონ და შეარჩიონ მასალა ამ სცენის ამსახველი დიორამის შესაქმნელად. შენიშვნა: მასალა აუცილებლად უნდა იყოს მარტივი და ადვილად ხელმისაწვდომი.

3. შეთანხმებულ დღეს მოსწავლეებს მოაქვთ საჭირო მასალა სკოლაში და იწყებენ მუშაობას. მასწავლებელი ზედამხედველობას უწევს ამ პროცესს და, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება მათ ზოგიერთი ოპერაციის შესრულებაში.

4. მუშაობის დასრულების შემდეგ კლასში განიხილავენ თითოეულ ნამუშევარს. მოსწავლეები გამოთქვამენ აზრს თავიანთი თანაკლასელების მიერ შექმნილი დიორამების შესახებ, აფასებენ, რა არის ზედმეტი, რა აკლია (მაგ., ნაწარმოებში წერია, რომ ბაბუა ბუხარს მიუჯდა, დიორამაზე კი ბუხარი არ არის...) და ა. შ.

5. კარგი იქნება, თუ მოსწავლეთა ნამუშევრები კლასის ან სკოლის მუზეუმში გამოიფინება.

**შეფასება**

ამ აქტივობით შეფასდება

- გაიგო თუ არა მოსწავლემ წაკითხული ტექსტის შინაარსი;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს კითხვისას ყურადღების გამახვილება დეტალებზე;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს ნაწარმოებში აღწერილი ადგილების, სცენების, პერსონაჟების წარმოსახვაში გაცოცხლება;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს საკუთარი წარმოსახვის მიხედვით ნამუშევრის შექმნა;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს სხვისი ნამუშევრის შეფასება.

**მეთოდური მითითება**

სასურველია, მასწავლებელი ჩაერიოს მასალის შერჩევის პროცესში, რათა მოსწავლეებმა სახლიდან არ წამოიღონ და არ გამოიყენონ ოჯახისთვის საჭირო ან ძვირფასი ნივთები.

**კავშირი სხვა საგნებთან**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

(http://ncp.ge/ge/dioramis-sheqmna)

**„ჩემი წინადადება“**

მოსწავლეები სხედან წრეში. მასწავლებელი უსახელებს თემის სათაურს, რომელზეც შემდეგ მათ უნდა შექმნან ამბავი ნაცნობ თემაზე. პირველი მოსწავლე ამბობს წინადადებას, მეორე აგრძელებს და ა. შ. თითო მოსწავლე თითო წინადადებას ამბობს. გრძელდება მანამდე, ვიდრე ამბავი დასრულებულ სახეს არ მიიღებს. მასწავლებელს შეუძლია თავად თქვას პირველი წინადადება.

**„დაუვიწყარი ამბები“**

მასწავლებელი წინა დღეს აბარებს მოსწავლეებს, მოიტანონ ფოტოები, ძველი მოსაწვევები, აფიშები და სხვა ნივთები, რომლებიც მათ რაღაც მნიშვნელოვან ამბავს ახსენებს. თითოეული წარმოადგენს მის მიერ მოტანილ ნივთს/ნივთებს და ჰყვება ამბავს, რომელიც ამ ნივთს უკავშირდება.

**ვხატავ გაგონილს**

მასწავლებელი აღწერს სურათს(მაგალითად, მარტივ პეიზაჟს), რომელსაც მოსწავლეები არ უნდა ხედავდნენ; იყენებს სივრცული მიმართულების აღმნიშვნელ სიტყვებს (მაგ., ზევით, ქვევით, ძირს, მაღლა, ქვემოთ, უკან, წინ, მარჯვნივ, მარცხნივ). სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს ნახატს, რომელსაც მოსწავლეები ადარებენ თავიანთ ნამუშევრებს.

**საკლასო გამოფენა**

მოსწავლეები ქმნიან ნაცნობი ტექსტის ილუსტრაციებს; ამატებენ განმარტებით წარწერებს, სადაც მითითებული იქნება, თუ რომელი ეპიზოდი, პერსონაჟია ასახული სურათზე, ასევე ნაწარმოების სათაური და ავტორის სახელი. საკლასო ოთახში ეწყობა გამოფენა. მოსწავლეები ათვალიერებენ ერთმანეთის ნამუშევრებს და სპეციალურად გამზადებულ შთაბეჭდილებების წიგნში ჩაწერენ, რომელი ნახატი მოეწონათ (შეუძლიათ იქვე ახსნან, თუ რატომ მოეწონათ ეს ნახატი.

http://ncp.ge/ge/preschool-education/general-part/damkhmare-sakhelmdzghvaneloebi

**გმირის რუკა**

გმირის რუკის შედგენისას მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ავსებენ სქემის გრაფებს. მსჯელობენ: თუ რას ფიქრობს, როგორ მოქმედებს, რას გრძნობს მოთხრობის გმირი; რა შედეგი მოჰყვება მის ქმედებას. გამოთქვამენ საკუთარ ვარაუდებს. ახასიათებენ და აფასებენ გმირის საქციელს ტექსტის შინაარსზე დაყრდნობით. შედარებით ვრცელი ტექსტის შემთხვევაშიც სასურველია, ტექსტი დაყოთ აზრობრივ მონაკვეთებად / ეპიზოდებად (სიტუაციებად) და ცალკეულ მონაკვეთზე დაყრდნობით შეადგენინოთ მოსწავლეებს გმირის რუკა. გარდა იმისა, რომ ცალკეული ეპიზოდების მიხედვით რუკის შედგენა სამუშაოდ მარტივია, ამას აქვს სხვა დადებითი მხარეც: მოსწავლეებს, რომლებიც ცალკეულ სიტუაციებში განიხილავენ პერსონაჟს (რას ფიქრობს, რას გრძნობს, რას ამბობს და რას აკეთებს, რა არის მისი მიზანი და რა შედეგი მოჰყვება მის მოქმედებას), შემდეგ მთლიანი ტექსტის ფარგლებში უფრო მეტად უადვილდებათ აღქმა და გაანალიზება იმისა, როდის და როგორ შეიცვალა გმირი, როგორი იყო ის ტექსტის დასაწყისში და როგორი გახდა ტექსტის ბოლოს; რამ განაპირობა მისი ტრანსფორმაცია, რაში გამოვლინდა მისი ცვლილება და რა მოჰყვა ამას საბოლოოდ. მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეებს გააცანით სქემა, შემდეგ

მიეცით კონკრეტული მონაკვეთები და განუსაზღვრეთ სათანადო დრო. დავალების შესრულების შემდეგ გადადით შემდეგ მონაკვეთზე და გააგრძელეთ ასე, ვიდრე არ დაასრულებთ ტექსტის სრულ დამუშავებას ამ კუთხით.

გმირის რუკა

ეპიზოდი/სიტუაცია

მოქმედი გმირი:

რას ფიქრობს:

რას აკეთებს:

რას ამბობს:

რას გრძნობს:

გმირის მიზანი:

მოქმედების შედეგი:

**ამბის რუკა** კარგი საშუალებაა მოთხრობის ეფექტური აღქმისა და ანალიზისთვის. სქემის შევსება შეიძლება როგორც კითხვის პროცესში, ასევე ტექსტის ბოლომდე წაკითხვის შემდეგაც. ამბის რუკის მიზანია: პერსონაჟების, გარემოებების, პრობლემების, მოვლენათა თანმიმდევრობის გამოყოფა. ტექსტის კითხვის დროს ამ მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეები განსაზღვრავენ მოვლენათა თანამიმდევრობას, აკეთებენ დასკვნებს და ასაბუთებენ, აჯამებენ სათქმელს ტექსტზე დაყრდნობით.

ამბის რუკა

სათაური

პერსონაჟები:

გარემოებები:

პრობლემები:

მოვლენა 1:

მოვლენა 2:

მოვლენა 3:

შეჯამება: რით დაიწყო და რით დამთავრდა?

აქტივობები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საიტიდან: http://ncp.ge/files/subjects/saxelmwifo%20enebi/qartuli%20ena%20da%20literatura/qartuli%20ena%20da%20literatura%20I-VI.pdf, სადაც მოცემულია მრავალფეროვანი აქტივობები და მასწავლებელი თავად შეარჩევს სასწავლო მიზნებიდან, მოსწავლეთა ცოდნის დონის, ინტერესებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე.

**„კი-მაგალითები“ და „არა-მაგალითები“**

მასწავლებელი წინმსწრებად მოამზადებს  სხვა კლასის/სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრებს: გამოარჩევს, ერთი მხრივ, შედარების გამართულ ვერსიებს (ან თვითონ გამართავს) და მათ უწოდებს „კი-მაგალითებს“; მეორე მხრივ, გადაარჩევს შედარების გაუმართავ მაგალითებს და მათ უწოდებს „არა-მაგალითებს“. მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ, რა საერთო აქვს „კი-მაგალითებს“ და ამ გზით დაადგინონ შედარების არსებითი მახასიათებლები. „არა-მაგალითებზე“ დაკვირვება მათ ასევე დაეხმარება „კი- მაგალითების“ საერთო თვისებების პოვნაში; ბოლოს დაფაზე დაიწერება არსებითი მახასიათებლების საბოლოო ვარიანტი.

თამაშის წესის შეცვლა: მოსწავლეებს ვაძლევთ მაგალითებს და არ ვაზუსტებთ, „კი-მაგალითია“ თუ „არა-მაგალითი“.  ახალი ცოდნით აღჭურვილი მოსწავლეები თავად დაასკვნიან, შეთავაზებული ვარიანტებიდან რომელი წარმოადგენს „კი-მაგალითს“, რომელი – „არა-მაგალითს“. პასუხებს ასაბუთებენ.

# ᲛᲝᲡᲐᲡᲛᲔᲜᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ

## ᲗᲐᲕᲘ 1

**მოსასმენი №1**

**კოკო შანელი** (0.12წთ-2.05წთ)

## ᲗᲐᲕᲘ 2

**მოსასმენი №1**

**ინტერვიუ გივი შაჰნაზართან** (1.32წთ-3.47წთ)

**მოსასმენი №2**

**დიანა ანფიმიადი**

**მოსასმენი №3**

ჯოან როულინგი

## ᲗᲐᲕᲘ 3

**მოსასმენი №1**

**თავისუფლების ქანდაკება**

სატელევიზიო სიუჟეტი

**მოსასმენი №2**

**ტერაკოტას არმია**

## თავი 4

**მოსასმენი №1**

**დედამიწა და ადამიანი**

ანიმაციური ფილმი

## თავი 5

**მოსასმენი №1**

**ნანი ბრეგვაძე „თბილისო“**

**მოსასმენი №2**

**ივანეს მესიჯი პიტერს**

თბილისში სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის მიმდევარი ადამიანები მეგობრულად ცხოვრობენ. ისინი კარგი მეზობლები არიან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველი თბილისური ეზო, სადაც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ ქართველები, ბერძნები, ოსები, ქურთები, რუსები, ებრაელები, აზერბაიჯანელები. მათ განსხვავებული ადათები და ტრადიციები აქვთ. ძველ თბილისში ერთმანეთის გვერდით დგას: ქრისტიანული ეკლესია, მეჩეთი, სადაც მუსლიმები ლოცულობენ, სინაგოგა, რომელიც ებრაელების სალოცავია. თითოეული მათგანი პატივს სცემს სხვების რელიგიას, კულტურასა და ტრადიციებს. ქრისტიანები მეზობლებს სააღდგომო პასკით მასპინძლობენ, ებრაელები – მაცით, აზერბაიჯანელებთან ერთად აღნიშნავენ ნავროზობას. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისი არის ტოლერანტული ქალაქი.

**მოსასმენი №3**

**გამოხმაურება კინოფილმზე „მზე შემოდგომისა“**

„მზეშემოდგომისა“რეჟისორთემურფალავანდიშვილისპირველისრულმეტრაჟიანი ფილმია. სცენარის ავტორია რეზო თაბუკაშვილი. მთავარ როლებს ასრულებენ მედეა ჯაფარიძე და ოთარ მეღვინეთუხუცესი.

ფილმის გადაღებები 3 თვეს გაგრძელდა, მთლიანად მომზადებას დაახლოებით წელიწადი დასჭირდა.

მე ძალიან მომეწონა ფილმი. მასში ნაჩვენებია ძველი თბილისის უბნებში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ერთმანეთისადმი მეგობრული ურთიერთობები.

ფილმის ყველაზე დასამახსოვრებელი კადრი ფინალია, როდესაც დიდი სუფრაა გაშლილი და ყველა ზეიმობს. კადრში ჩანან ცნობილი ქართველი მხატვრები: ლადო გუდიაშვილი და ელენე ახვლედიანი.

ვურჩევ ყველას, რომ აუცილებლად უყურონ ამ ფილმს.

# 11. გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტრესურსები


1. Kargiskola.ge – საქართველოს დაწყებითი განათლების პორტალი; (რესურს-წიგნები, მეთოდური ფილმები, ხმოვანი წიგნები)

2. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის. ქართული ენა და ლიტერატურა. I-VI კლასები;

http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels

3. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024 წლები;

4. http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/a

5. http://kargiskola.ge/SC/sakintro.php დიაგნოსტიკური შეფასება

6. http://ncp.ge/ge/preschool-education/general-part/damkhmare-sakhelmdzgh-vaneloebi – დამხმარე სახელმძღვანელოები

7. http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable–development–goals#.XJUQtygzbIU მდგრადი განვითარების მიზნები

8. https://rm.coe.int/-/1680743642 თანაცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში

9. http://kargiskola.ge/teachers/resource–books/kitxva/resursi–kitxva.pdf კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე

10. რესურსწიგნი http://www.kargiskola.ge/

11. მეთოდური ფილმი http://kargiskola.ge/teacherintro/teacher-metoduri-videoebi.php

12. გაკვეთილის გეგმები http://kargiskola.ge/teacherintro/teacher-gakvetilis-gegmebi.php

13. .„კითხვის ეფექტური მეთოდები" – დამხმარე მეთოდური მასალა მასწავლებლებისთვის http://www.etaloni.ge/geo/main/index/11867

14. მასწავლებლის წიგნი – გამჭოლი კომპეტენციები http://mastsavlebeli.ge/?p=12743

15. https://www.wvi.org/sites/default/files/Qartuli–Print–HQ–2mm–bleed.pdf სწავლების მეთოდები ინკლუზიურ განათლებაში

16. https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-2/unit-2/ ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში

17. http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2015/12/lobjanidze.pdf „როგორ დავგეგმოთ მოქნილი და შემოქმედებითი გაკვეთილი?", სოფიკო ლობჟანიძე

18. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის – ქართული ენა და ლიტერატურა http://ncp.ge/files/subjects/saxelmwifo%20enebi/qartuli%20ena%20da%20literatura/qartuli%20ena%20da%20literatura%20I-VI.pdf